

ԿԱՆՈՒՄ

6

1970



გიორგი ლეონიძე

70 წლისაა

სიხე

157

გამოცემის მეთოთხმეტი წელი

6

ივნისი

1970

თბილისი



საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

უინეარსი

პროზა

- 3. ნოდარ დუმბაძე. ნუ გეშინია, დედა. რომანი. ვაგრაჟელუბა
- 44. რეზო შვიშვილი. დავლი. რომანი. დასასრული

კოეზია

- 38. გიორგი ლომიძე. წარწერა წიგნზე. ლექსი
- 39. მიხეილ ძვლივიძე. ლექსები
- 40. გივი ქნელაძე. ლექსები
- 77. ნოდარ ნარსია. ლექსები
- 80. დილარ ივარღვაძე. ლექსები
- 83. რუთა ბერძე. ლექსები
- 85. მეჩი წულუისკირი. წითელი დონი. ლექსი.

გიორგი ლომიძე 70 წლისა

- 86. აბაჰი გაწარელია. მუხა და მისი ფესვები

მწერლის არქივიდან

- 91. გიორგი შატბერაშვილი. შავის წიგნიდან

მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე

- 97. ლევან გოთუა. თეთრი ცეცხლი. ოთარ ჩხეიძე. რომა ბაწვზე ჰკიდია. მადია კახიძე. ყველას ბიძყვარ-და. მუხანან მამაპარიაძე. ქართული სიტყვის დიდი მოუტრავი. ნოდარ დუმბაძე. ნიჭი სიყვარულისა. ედიშერ ყიფიანი. ურღვევი ფიცი. სარგის ცაიშვილი. ...ხლო სახელი მისი ჰბიეს. ჯანურ ბოლქვაძე. გიორგი შატბერაშვილს. ლექსი. ჯანულ ჩარკვიანი. ჯიუტი მთიბავი. გივი გეგეჭკორი. სიკეთის ტოტი

ახალი თარგმანები

- 113. ბენედი უილიამსი. მინის სამხეცი. პიესა. ინგლისურ-რიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

წერილები

- 136. ოტია გეგეჭკორია. დრო და სახელები
- 147. რომენ მებრეველი. საპარტოველოს ისტორიის ზოგადი მითხი
- 156. შალვა ამისულაშვილი. შაირი, ბურთი და მოდანი
- 159. ქოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- აბაჰი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვარდწითელი,
- მერაბ ელითაშვილი,
- ქარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია გეგეჭკორია
- (მახუხიხმეგბელი მდივანი),
- ნუგზარ ფოფხაძე,
- ნოდარ წულუისკირი,
- ბარბელ ზანტური,
- სერგი ვილანია,
- თამაზ ვილანია,
- ლავა ჯანაშია,



ნუ გეუინია, ღელა

ჩვენ ორსართულიან ყაზარმაში ვცხოვრობთ. თითო ოთახში ხუთი-ექვსი კაცი ვართ. ადგომისა და დაწოლის დრო საზღვარზე, მკაცრად, და ყველასათვის ერთდროულად არ არის განსაზღვრული, სადღეღამისო მორიგეობის გამო. იმას, ვინც ღღისით მორიგეობდა, ღამით სძინავს, ვინც ღამით მორიგეობდა—ღღისით. ასე რომ, ერთად მთელსაგუმავგოს ვერასოდეს ვერ ნახავ, ან ძალიან იშვიათად, ისიც განგავის დროს.

სექტემბრის ბოლო რიცხვებია. ერთი კვირაა წვიმს, უსაშველოდ წვიმს, ისე როგორც იცის ზღვისპირს, გაბმულად,

გადაუღებლად, გამოუდარებლად, ცრის და ცრის, დალბა ხეც, ნიადაგიც, სასაზღვრო ღობეც, ჩექმაც, ქურჭიც. წვიმამ გაატანა ყველაფერში, რეზინის ლაბადებში და რეზინის ჩექმაშიც. ნესტმა დაბერა სარკმლის რაფები, ჩარჩოები, საბუთები, ასანთი, სიგარეტი, ყველაფერი. გათბობა ჯერ არ დაწყებულა. ნესტიანია საწოლიც, ლეიბიც, საბანიც, საგებიც, სახურავიც, ჰაერიც. ყველაფერი ნესტიანია, დალბა ბუნება. მოგვკლა საკონტროლო კვალის თოხნამ და ფარცხვამ, ყოველ დილით, ყოველ შუადღეზე, ყოველ საღამოს ღვარს მიაქვს ბოძი, წყვეტს მავთულს, ანგრევს მთაში ასასვლელ ხის საფეხურებს, და ისევ ყო-

ველ დილით, ყოველ შუადღეს, ყოველ საღამოს კიბის აღდგენა, ბოძის გამოცვლა, მავთულის დაჭიმვა; სისტემის აღდგენა, თოხნა და ფარცხვა, აუტანელია ამ დროს ღამე, სკვარამი, უკუნი, ტალახი, წითელი ალიზი ტალახი, წებოიანი, ლანჩებს გლეტს, მუხლს გართმევს და წელში გწყვეტს, აღმართი, დაღმართი, სიფრთხილო, სიჩუმე, სიბნელე, შიში, სიცივე, ძილი, უსაშველოდ მძიმე ქუთითობები და უსაშველოდ მძიმე ავტომატი, ცოცხალ-მკვდრები ვბრუნდებით განწყვიდან, უგემურად ვჭამთ ცხელ ულუფას, მერე სამზარეულოს სუნი და სითბო ჟრუანტელივით დაძვრება სხეულში, ძლივს ვასრებთ ყაზარმაში შესვლას, ვახდას, ბალიშზე თავის დადებას და გვიძინავს, მკვდრებივით გვიძინავს. ასეთი დრო ყველაზე საშიში დროა საზღვარზე, განსაკუთრებით ხმელეთიდან, ზღვა ისე საშიში არ არის, როგორც ხმელეთი, ზღვა უკვე ცივია, იშვიათად გაბედოს ვინმემ ასეთ დროს ზღვით შემოსვლა, ან გასვლა. ხმელეთი კი ამ დროს წამალია, ოცნებაა, საზღვრის დამრღვევისათვის.

მე, შერბინა და პარხომენკო დღეს დღისით ვმორიგეობდით, დახოცილები დავბრუნდით საზღვრიდან, ღობე აღვადგინეთ. ტექნიკური მოწყობილობა შევამოწმეთ, საკონტროლო კვალი მოვიყვანეთ წესრიგში და წვიმისაგან ჩამორეცხილი 70 საფეხური შევაკეთეთ. დახოცილები დავბრუნდით საზღვრიდან და მაინც ბედნიერები ვართ, რომ ღამით არ გვიწევს მორიგეობა, ალბათ ამის გამო, არ გვიძინავს.

პარხომენკოს, შერბინასა და ჩემს გარდა ჩვენს ოთახში კიდევ სამი ბიჭია — მორდიუკოვი, ბალტერმანცი და ძნელაძე. სამთავე დიდებული ბიჭებია, წუხელ ღამით მორიგეობდნენ და ახლა ისე ტკბილად ძძინავთ, თუ აცალეს, ერთ კვირას არ გაიღვიძებენ, მაგრამ ვინ აცალის, ერთ საათში ისევ მორიგეობა უწევთ. მარტო იმის ვახსენება, რომ აიღამით ისევ ამით უწევთ მორიგეობა და არა ჩვენ, საამო ჟრუანტელს მგვრის ტანში.

— კიდევ ერთი კვირა რომ გასტანოს ასე, ალბათ დავიხოცებით! — თქვა პარხომენკო.

— ერთი კვირა კი არა, მგონი, ეგ დარჩენილი წელიწადიც სულ იწვიმოს, — ამოიოხრა შერბინამ. — ჯაყელო, ვძინავს?

— არა!

— რაზე ფიქრობ?

რაზე ვფიქრობ? აბა, რა ვიცი, რაზე ვფიქრობ. ამ წუთში, გარდა საზღვრისა, არაფერზე არ ვფიქრობ. საზღვარი ისეთი რამ არის, რაზეც არ უნდა იფიქრო, ბოლოს მაინც საზღვართან მივიყვანს.

— საზღვარზე ვფიქრობ!

— მეც საზღვარზე ვფიქრობ, რაც ბავშვობაში საზღვართან დაკავშირებული ებითეტებით მაქობდნენ, ყველას ახლა ვხვდები.

— მაინც როგორ გამკობდნენ? — ჰკითხა პარხომენკო.

— ალგებრის მასწავლებელი. უსაზღვროდ კრეტის მეძახდა, წარმოიდგინე, უსაზღვროდ კრეტინი, საზღვარი არ გაქვს, ესე იგი, შენი კრეტინიზმი გადაჭიმულია დედამიწის ერთი კიდიდან მეორემდე, არც შლაგაუმი ადევს შენს კრეტინობას, არც საბუთს უსინჯავენ. არც ღობეს უშენებენ, მიდის და მიდის მდინარესავით, უერთდება ზღვას, მერე მეორეს სრუტეებით, არხებით, მერე მესამეს, შედის ოკეანეში, მერე ორთქლდება, მერე წვიმად მოდის, ბალახად ამოდის, ხედ ამოდის, ღრუბლად დაქანაობს ცაში, ქექს, ქუსს, მოკლედ, შენია მთელი მსოფლიო, შენ ხარ მთელი სამყარო, უსაზღვროდ კრეტინი, აუ, რამხელა რამეა. ალგებრის მასწავლებლის ოჯახს ააწუნებს ღმერთი, როგორ მათესება, როგორი წარმოდგენა ჰქონია თურმე ჩემზე და მე კი მლანძღავდა მეგონა. — თქვა ოცნებაში წასულმა შერბინამ.

— რაღა დაგიმალოთ და, მე უსაზღვროდ შეზღუდულს მეძახდნენ. — თქვა პარხომენკო.

— ვინ გეძახდა? — ჰკითხა შერბინამ.

— ყველა! — თქვა პარხომენკომ და ამოიოხრა.

— რატომ? — ჰკითხა შერბინამ.

— აბა, რა ვიცი!

— უსაზღვროდ შეზღუდული, ნამეტანია! — ფიქრის შემდეგ თქვა შერბინამ, — შეზღუდული თავისთავად შემოღობილს ნიშნავს, და, წარმოიდგინე, ისიც უსაზღვრო, რაღა უბედურება იქნება! ეგრე რაღაც უსაზღვრო კრეტინზე უარესია.

— ვიცი, — ისევ ამოიოხრა პარხომენკომ.

— შენ რას გეძახდნენ, ჯაყელო? — მკითხა შერბინამ.

— მე უსაზღვროდ ნიჭიერს!

— ჰო, ჰო, ჰო! უსაზღვროდ ნიჭიერი! აბა, წარმოიდგინე, უსაზღვრო ნიჭი გაგაჩნია, იცი ყველაფერი, ხედავ ყველაფერს, გესმის ყველაფერი, შენც, უსაზღვრო კრეტინის არ იყოს, არც შლაგბაუმი გაქვს, არც საბუთებს გისინჯავენ, არც არაფერი გაკავენს, გადადიხარ, გადმოდიხარ, ზღვა ხარ, ოკეანე ხარ, ღრუბელი ხარ, ყველაგან ხარ, ყველაფერში ხარ, მოკლედ, შენა ხარ რა!!! მოცულობა, უფლებები და სივრცე — მე და შენ ერთნაირი გვაქვს, ერთ სამყაროში ვართ, ერთმანეთში ვართ გათქვეფილები, ამიტომ კაციშვილმა არ იცის რომელი რომელია ჩვენ ორში, ჯაყელო, მე მგონი უსაზღვროდ ნიჭიერი იგივე უსაზღვროდ კრეტინია? ა, რას იტყვი შენ, პარხომენკო?

— კარგია, მასე რომ იყოს, მაშინ იქნებ მეც დამადგეს საშველი. — მიეცა იმედი პარხომენკოს.

— ზუსტად ასეა, თუ უსაზღვროა, ესე იგი ასეა.

— კრეტინობას მაინც აქვს საზღვარი. — ვთქვი მე.

— სად? — იკითხა შერბინამ.

— არ ვიცი სად, მაგრამ აქვს.

— არ დაიჭერო მაგი. ყველაფერს აქვს საზღვარი, კრეტინობის გარდა იმიტომ, რომ არავინ არ იცის სად იწყება და სად მთავრდება კრეტინიზმი. ესეც რომ არ იყოს, კრეტინიზმს საზღვარი თუნდაც იმიტომ არ დაედება, რომ თვი-

თონ საზღვარი კრეტინიზმია. — თქვა შერბინამ და დაღუძა, ალბათ თვითონ გაუკვირდა, ეს რა ვთქვიო და ახლა ფიქრობდა, ამის იქით რაღა ვთქვაო.

— შერბინა, ეგ თვითონ მოიგონე, თუ წაიკითხე სადმე? — ჰკითხა პარხომენკომ.

— ამას რა წაკითხვა უნდა? — თქვა ამაყად შერბინამ.

— ესე იგი, ჩვენ აქ რომ ვდგავართ ზამთარ-ზაფხულს, წვიმაში, თოვლში, ქარში, ტალახში, ღღე და ღამე რომ გასწორებული გვაქვს, კრეტინები ვართ? — ცოტა არ იყოს წყენით თქვა პარხომენკომ.

— სულ ეგრე არ არის! — დაეჭვდა შერბინა.

— აბა როგორ არის?! თქვენ სოფელში ღობე არ გაქვთ? — ჰკითხა პარხომენკომ.

— გვაქვს! — თქვა შერბინამ.

— რატომ გაქვთ?

— პირუტყვი რომ არ ჩამოვიდეს: ძროხა, ღორი, ცხენი, ვირი.

— აღამიანი?

— აღამიანისათვის ჭიშკარი გვაქვს!

— გაღებულია ჭიშკარი?

— არა!

— რატომ?

— აღამიანთან ერთად პირუტყვიც რომ არ შემოვიდეს.

— როგორ ახერხებთ მერე მაგას?

— როგორ და... მოვა კაცი, დაიძახებს მასპინძლო, გავუღებთ კარს და, მობრძანდით, ვეტყვიო.

— მერე?

— რას ჩამაცივდი, შე უღდეურო, სტუმარი არ მოგსვლია სახლში, თუ ქუჩაში ცხოვრობ? — აუწია ხმას შერბინამ.

— იმ კაცს თუ პირუტყვი ახლავს? — არ მოეშვა პარხომენკო.

— იმის ოჯახი აშენდა, ვინც შენ უსაზღვროდ შეზღუდულს გეძახდა! — დაილოცა შერბინა.

ნოდარ დუმბაძე

ნუ გვიწინა, დედა

— ბიჭო, შერბინა, თქვენს მეზობლებს თუ აქვთ ღობე? — ვკითხე ახლა მე. შერბინა ლოგინში აწრიალდა.

— აქვთ, აბა, არა აქვთ?

— რატომ?

— იმიტომ, რომ პირუტყვი მარტო ჩვენს ეზოში კი არ შემოდის.

— ესე იგი, კრეტიწიზმს ჰქონია მაინც საზღვარი.

— ნიჭიერებას? — მკითხა თავისი მხრიდან შერბინამ.

— საზღვარი ყველაფერს აქვს, — ვთქვი მე და უცებ ვალაკტიონის ლექსი გამახსენდა.

...სულს მოსწყურდა საზღვარი,
როგორც უსაზღვროება!

— სამყაროსაც? — შემომიტია შერბინამ.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ყველა სამყაროს თავისი საზღვარი აქვს.

— გამოდის, რომ საზღვარი უსაზღვროდ შეზღუდული ყოფილა! — დაასკვნა პარხომენკომ და იქვე დადუმდა იმის შიშით, რაიმე სისულელე არ წამოშობდეს ამის შემდეგო.

— რა თქვი? — ჰკითხა შერბინამ. პარხომენკომ არ იცოდა, რა თქვა და ამიტომ წაუყრუა შერბინას.

— უბედური შენი მშობლები და ტანგო! — თქვა შერბინამ და, პასუხი რომ არ გაეგონა, თავზე საბანი წაიფარა.

— დავიძინოთ, დავიძინოთ! უსაზღვროდ მეძინება. — თქვა პარხომენკომ და მანაც წაიხურა თავზე საბანი. მეც წავიხურე საბანი თავზე და დაძინება ვცადე. დიდხანს ვიწრიალე, მაგრამ არ მომივიდა ძილი, პირიქით, სულ უფრო და უფრო ვფხიზლობდი. ძნელადის ბიჭები მშვილად ფშვინავდნენ.

— ბიჭებო, გძინავთ! — გავეხმიანე შერბინასა და პარხომენკოს. არც ერთმა ხმა არ გამცა. ვიცოდი, არ ეძინათ, მაგრამ ხმა კი არ გამცეს. ასე იციან ხოლმე, თუ ლაპარაკი არ უნდათ, თავს მოიმიკვდარუნებენ. არ უნდათ და ნუ უნდათ, მოლაპარაკის მეტი რა მყავს.

— რას შევები, ბიჭო ავთო, როგორ ხარ!

— რა ვქნა, ჩემო ჯაყო, ვემსახურები საბჭოთა კავშირს.

— ხომ არ გიჭირს, ბიჭო?

— რატომ უნდა მიჭირდეს, სხვას თუ არ უჭირს, მე რა წითელი კოჭი ვარ!

— გამოტყდი, რომ გიჭირს, ავთო!

— არა, ჯაყო, კი არ მიჭირს, უბრალოდ, ძნელია. საზღვარზე სამსახური ძალიან ძნელია.

— სახლი არ გენატრება?

— მენატრება რომელია, ისე მენატრება, ლამის ვიტირო.

— ვინ გენატრება, ავთო?

— ვინ არ მენატრება, ბაბუაჩემი ისიდორე ჯაყელი მენატრება, ვაჰიჩკა ბიძია მენატრება, შურა დეიდა მენატრება, აბოც მენატრება, დადუნაც მენატრება, ძალიან მენატრება!

— მერე, როგორ ძლებ უძიანო?

— შე კაცო, მე კი რა მიჭირს, მშვენიერ ბიჭებში ვარ, უფროსიც კარგი გვყავს, მაიორი ჩხარტიშვილი, გადასარევი კაცია, ცოტა მკაცრი კია. იმ დღეს, პაპიროსის ნამწვავი დავაგდე ყაზარმის ღერეფანში, ორი საათი საგულშაგოს საერთო საპირფარეშო მახეხია. მერე, ერთხელაც, პარხომენკოს დაბადების დღე იყო. ბათუმში ვიყავით, დასვენების დღე გვქონდა სწორედ, მართალია, პარხომენკო იმ დღეს არ დაბადებულა, 14 აგვისტოს დაიბადა, სამშაბათს, მაგრამ ჩვენ მისი დაბადების დღე კვირისათვის გადავდეთ, ესე იგი 19-ში, როდესაც დასვენება გვერგებოდა. ფული შევავაროვეთ, გასტრონომში სამი ბოთლი არაყი, ნახევარი კილო დიაბეტური ძეხვი, ნახევარი კილო შავი პური ვიყიდეთ და ზღვის პირას მშვენიერი დაბადების დღე გავმართეთ. თამადა მე ვიყავი, მშობლების საღლეგრძელი რომ ვთქვი, პარხომენკო ტირილით გასკდა.

— რა გატირებს, ბიჭო? — ვკითხე.

— როგორ რა მატირებს, ზუღოვი დღე და ღამე დედას მაგინებს და შენ აქ დედაჩემის საღლეგრძელს სვამ, მოდი, ჯერ გააკოცებ და მერე დედაჩემს

მიწვევ რა ოქროს ბიჭიცა ხარ. — პარხომენკომ ჯერ მაკოცა, მერე ფანქარი და ქალაღი მთხოვა. რა თქმა უნდა, მიგვიღ.

— ჯერ დავლიოთ, წერილი მერე დაწერე, სულელო, ახლა ფოსტა დაკეტილია! — უთხრა შერბინამ. პარხომენკომ ფანქარი დამიბრუნა, ქალაღი ჯიბეში ჩაიღო — დამჭირდებაო. მერე შერბინა ვაღდეგრძელე.

— ქართველებმა ლამაზი საღდეგრძელოები იციოთ, ნეტა, რასაც ამბობთ, თუ ფიქრობთ, ან თუ აკეთებთ! — მითხრა შერბინამ.

— შენისთანა უმადური ღორი სუფრიდან უნდა გააგდოს კაცმა, მაგრამ, მაღლობა მითხარი, რომ არ გაგდებ. — ვუთხარი შერბინას.

— ღორიცა ხარ და ღორის ჩხინკორაც! — მითხრა შერბინამ მშვიდად.

მე ბევრი არ მიფიქრია, შერბინას ყურში მოვეცილე ხელი და სამჯერ გადავუტრიალე, შერბინამ იბღავლა და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. მერე პარხომენკომ ორთავე იღლიაში ამოგვიჩარა, ზღვასთან მიგვიყვანა და სამ-სამჯერ ჩაგვყოფინა თავი წყალში. საგულშაგოზე ჩხარტიშვილმა თავისი ხელით შეგვხსნა ქამრები და ნაობახში სულ კინწისკვრით შეგვყარა. ღამით, მე და შერბინას, შეცივებული გოჭებივით, მოღდეღეშილი პარხომენკოს იღლიების ქვეშ გვეძინა. დილით ჩხარტიშვილი მოვიდა.

— როგორ ხართ? — გვითხრა მან ღიმილით.

— მშვენივრად, ამხანაგო მაიორო! — უთხრა შერბინამ. — ცალ-ცალკე უნდა ჩაგვევით, თორემ ერთად ხომ პარხომენკოს დაბადების დღეზეც ვიყავით! — ჩხარტიშვილს გაეცინა, ქამრები დაგვიყარა და ახლა ნაობახიდან გამოგვიყარა კინწისკვრით.

— რა გინდა, კარგი კაცი ყოფილა!
— მეც მავას ვამბობ, კარგი კაცია-მეთქი.

— სხვა კიდევ რა?
— კიდევ რაღა გინდა, გართობაც

გვაქვს, კინოებსაც ვნახულობთ, შეხვედრები გვაქვს სტუდენტებთან, მოსწავლეებთან. ბიბლიოთეკაც გვაქვს, წიგნებს ვკითხულობ, კლუბი გვაქვს, ვმღერით, ვცეკვავთ, კონცერტებს ვმართავთ, რა თქმა უნდა, თავისუფალ დროს, დრო კი ძალიან, ძალიან ცოტა გვაქვს... ისე ცოტა, რომ გამოძინებასაც ვერ ვასწრებთ, აი, ახლაც იმის მაგივრად, რომ მეძინოს, რაღაც სისულელეებს ვაყვები. ძილი ნებისა, ჯაყო, გვეყოფა.

— ძილი ნებისა, ავთო! — ქუთუთოები მიმიძიდება, თანდათან ვღუნდები. ფიქრი უთავბოლოდ გამიბრბის, აზრი მებნევა, მეკარგება, მერე ისევ აღსდგება, მერე ისევ მეკარგება, აი, სულ გაქრა თითქოს... წავედი, წავედი, საღდაც ჩავიძირე და უცებ ორმა, ზედიზედ გასროლამ გამომათხიზლა. შუშხუნა, ვიცანი ხმაზე, წამოვხტი და ფანჯარას ვეცი, პარხომენკო და შერბინა უკვე სარკმელთან იყვნენ.

— განგაშისაა! — თქვა შერბინამ და ჩექმებს სტაცა ხელი.

განგაში რომ გამოცხადდა და მორიგე შემოვიდა, ექვსივე ფეხზე ვიდექით.

— ყველანი დერეფანში! — თქვა მორიგემ და ოთახიდან გავარდა.

ჩხარტიშვილი, კოროლიოვი და პავლოვი უკვე დერეფანში იდგნენ საწვიმრებითა და ხელის ფარნებით. ორ მწკრივად მოვეწყვეთ.

— სმენა, სწორება პირდაპირ, ამხანაგო მაიორო, საგულშაგო მოწყობილია! — მოახსენა ზუღოვმა.

— განწესის უფროსებო, ნაბიჯი წინ! — ბრძანა მაიორმა. მე და რამდენიმე ჯარისკაცი წინ წავდექით, ჩემს გვერდით ძნელაძე იდგა.

— ჯარისკაცებო! — დაიწყო მაიორმა, — სისტემამ იმუშავა, მეოთხე უბანზე დარღვეულია საზღვარი. სხვა დროს შეიძლებოდა უფრო მშვიდად გვემოქმედა. ასეთ დროს, ასეთ ამინდში მოვითხოვ მაქსიმალურ ორგანიზებულობას

ნოდარ ღუმაბაძე
ნუ გიშინია, დედა

და სწრაფ მოქმედებას. არც ერთი შეც-
დომა, ვაცხადებ 411-ს. გიბრძანებთ გა-
ხვიდეთ საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების სახელმწიფო საზღვრის
დასაცავად. შეკითხვები არის?

— არ არის!

— შეუდექით ბრძანების შესრუ-
ლებას.

საზღვარი ცას, ხმელეთსა და ზღვას
შორის წაშლილია... მივდივართ სწრა-
ფად, მაგრამ ფრთხილად, ტალახში. მე-
ოთხე უბნამდე კილომეტრნახევარია. იქ
არიან ბიჭები, მაგრამ სამი ბიჭი რას გა-
აწყობს, ვიდრე საზღვრის დარღვევის
ადგილთან მივლენ, შეიძლება ყველა-
ფერი დამთავრდეს. ამიტომ მივდივართ
ორ ფრთად — ნაწილი ზღვისკენ, ნაწი-
ლი მთაში. მე, შერბინა, პარხომენკო და
ტანგო დაცვის მეორე ხაზს მივყვებით
მთაში. წინ პარხომენკო მიდის ძალლით.
ავტომატები ჯერ გადაკიდებული გვაქვს,
წვიმს, ისე წვიმს, რომ წვიმას აღარ
გაგს, თითქოს ციდან ჩანჩქერი ჩამო-
დისო, ისე ასხამს. ერთ წუთში ჩვენი მო-
სასხამები წყლით გაიჟღინთა და ისე
დამძიმდა, თითო ფუთი გახდა. ჩექმები
წყლით აგვევსო, ფეხი ტალახზე ცუ-
რავს და ნახევარჯერ ფორთხვით მივდი-
ვართ... მეოთხე უბანთან პირველები
მივედით.

— პაროლი! — გვესმის ხმა. ვერავის
ვხედავ. უცებ ჯიბის ნათურის დანასა-
ვით მჭრელი შუქი მჭრის თვალებს. ძა-
ლაუნებურად ხელს ვიფარებ.

— ლიტრაჟი! — ვეუბნები და მეც
ვანათებ ფარანს, ვხედავ სკვარცოვია.
მაინც ვეკითხები:

— პასუხი!

— დუნაი! — მპასუხობს სკვარცოვი.

— რა ამბავია, სკვარცოვ! — ვეკი-
თხები.

— აბა რა ვიცი, ამის დედა ვატირე,
ორ მეტრზეა ღობე გადღეტილი, კვალი
არ ჩანს, გადარეცხილია, თფუ, პირი
წყლით მევსება, რომ ვლაპარაკობ, —
გადააფურთხა სკვარცოვმა, — მავთულ-
ზე ბეწვია დარჩენილი, აგერ ჩემს ბი-
ჭებს აქვთ, დათვის უნდა იყოს!

— ეგ კიდეც საკითხავია. — ტანგო
შერბინამ, — პარხომენკო, ძალღმობა
უშვი.

— ტანგო, ეძებე! — უბრძანა პარხო-
მენკომ და თასმა მიუშვა.

ტანგო ყნოსავს ბეწვს, მერე მიწას,
ტანგოს უჭირს, ერთ ადგილას ტრია-
ლებს, ერთთავად ტალახშია ამოსვრილი.
ფრუტუნებს, წკამუტუნებს, ყურებს
აპარტყუნებს, გარბის სადღაც, მერე
ბრუნდება, უკანა თათებზე ჯდება და
გაოცებული გვიმზერს. წვიმს, ცა ფე-
ხად ჩამოდის.

— მიდი, ტანგო, ეძებე, ძვირფასო,
მიდი. ახლა გვინდა შენი დახმარება! —
ბავშვით ეხვეწება მის წინ ჩაცუც-
ქული პარხომენკო. ტანგო მიდის და
ისევ უკან ბრუნდება.

— ეძებე, ტანგო, გენაცვალე, ეძე-
ბე! — ეხვეწება პარხომენკო და ტანგომ
უცებ დაიქუხა. ტანგო გავარდა. მივყე-
ვით. პარხომენკომ ღვედი მიუშვა, წინ
ტანგოს ფრუტუნის და ხრიალი ისმის.

— კიდეც მიუშვი! — ვეუბნები პარ-
ხომენკოს.

— რალა მივუშვა, მეტი აღარ არის! —
მეუბნება პარხომენკო და გარბის. ტან-
გომ გეზი სოფელზე გადმომდგარი მთი-
საკენ აიღო, ავტომატები გადმოვიღეთ
მხრიდან და ახლა ისე გავრბივართ.
ისევ ხმაური, ტოტების ლაწუნი და
ბრძანება.

— სდექ, ვინ მოდის! — ვეუბნები.

— რაშია საქმე? — მეკითხება ძნე-
ლაძე.

— ტანგომ კვალი აიღო, მომყევით. —
ერთად მივსდევთ კვალს. ვეცემით,
ვღგებთ, წვიმს უბედურად, უსაშვე-
ლოდ, თითქოს ზეციერს ონკანი მოე-
შალა, რა უბედურებაა. ტანგო ხრია-
ლებს, იხრჩობა.

— გაუშვი, პარხომენკო! — ეუბრძა-
ნებ.

— მერე სად ვსდით, დაგვეკარგე-
ბა! — მპასუხობს. ვიფურთხები და
გზას განვაგრძობ.

— შერბინა, შენა ხარ?

— მე ვარ!
 — ძნელაძე სად არის?
 — აქა ვარ. რა იყო?
 — არაფერი, ბიჭებს უთხარი ფრთხილად იყვენენ, ტყვია პირში არ მისცენ, ერთმანეთი არ დახოცონ.
 — იციან! — მაშშვიდებს ძნელაძე და ქლოშინით მომდევს.
 — სდექ, ვინ მოდის! — მესმის ისევ ხმაზე ცნობ. შმიდოვია.
 — მე ვარ, შმიდოვ!
 — ჯაყელი ხარ?
 — ჰო.

— რა უბედურებაა, სად მივყავართ ამ ძაღლებს ამ მთაში? — მეკითხება შმიდოვი. არაფერს ვპასუხობ, ისევ მივრბივარ, ვეცემი, მივფორთხავ, ედგები, ვეცემი. უცებ ვარჩევ პარხომენკოს უზარმაზარ ზურგს, აგერ შერბინაც, ცოტა წინ და მარცხნივ ძნელაძეა. ცვირ-პირი ტალახით აქვს მოსვრილი და მაინც ვარჩევ. რა არის? სიბნელეს შევაჩვიე თვალი თუ თენდება?.. თენდება, მადლობა ღმერთს, თენდება, წვიმამაც იკლო თითქოს. გიდრე ამას ვფიქრობ, კიდევ უფრო ნათდება. უკვე ვარჩევ ჩემს გარშემო მობორიალე ლანდებს, მოჩვენებებით ოდნავ წელში მოხრილნი, ფრთხილად გადადიან ერთი ხიდან მეორემდე, მეორიდან — მესამემდე და ასე შემდეგ. ახლა ზევიდან მესმის ტოტების ლაწუნი, ბარდების გლეჯა და გინება, ეს ჩვენი ბიჭებია, ზედა საგუშაგოდან, პირდაპირ დამჯდარან ნეშოზე, ქვევით მოცურავენ და, უცებ დაიყეფა ძაღლმა.

— აუ! აუ!
 — აუ! აუ, აუ! — გამოეხმინა მეორე
 — აუ, აუ, აუ! — შეეხმინა მესამე, ეს ტანგოა, ეს ქიმერაა, ეს როკი.
 — აუ, აუ, აუ! — ძაღლები ღვეტენ ღვედებს, ხროტინებენ, ფრუტუნებენ, წკმუტუნებენ. ძაღლები იხრჩობიან.

— მიუშვით ძაღლები! — ისმის ბრძანება. ეს უკვე ჩხარტიშვილია. როდის მოვიდა. როდის მოგვასწრო, ჩვენ ხომ არ მოგვეყვებოდა? ეშმაკი ვერ გაიგებს. ძაღლები მიუშვეს. ღვედები ახსნეს და მიუშვეს, წივილ-კივილით გავარდნენ

ძაღლები წინ და ვეებერთელა წიფლის ძირში ხახადაფრენილ უმანოსთან დააბრუნებენ ცუცქდნენ ენაგადმოგდებულები.

— ფრთხილად! — გასცა ბრძანება ჩხარტიშვილმა. რკალი შეეკარით, ავტომატები მოვიმარჯვეთ და ხეებს ამოვეფარეთ.

— არავინ მივიდეს ბუნაგთან ჩემი ბრძანების გარეშე! — ისევ ბრძანა ჩხარტიშვილმა. მხოლოდ ძაღლების ყეფა არღვევდა სიჩუმეს დროდადრო, დაიყეუებდნენ უმანოს წინ დაცუქულები და გაკვირვებული თვალებით გადმოგვხედავდნენ, თითქოს გვეკითხებოდნენ. რას ელოდებითო!

— დაუძახეთ ძაღლებს! — ბრძანა ჩხარტიშვილმა.

— ტანგო, ჩემთან, — ტანგო მოვარდა და პარხომენკოს ფეხებთან გაწვავა ყურებდალურსულნი.

— დათვია! — თქვა შერბინამ და ტალახი გამოაფურთხა, მერე სახელოთი მოიწმინდა ცვირ-პირი.

— ვინ იცის? — ეთქვი მე და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ წვიმა შეწყვეტილიყო, და ახლა ხის ფოთლებიდან ჩამოწურული ცერის სიმსხო წვეთები მესმებოდა კისერში.

— ამხანაგო მაიორო, დათვია აი, ზედ მის კვალზე მიდგას ფეხი! — დაუძახა შერბინამ ჩხარტიშვილს და საფარიდან გამოვიდა.

— ახლავე დაბრუნდი, შერბინა! — უბრძანა ჩხარტიშვილმა.

შერბინა დაბრუნდა. უკვე კარგად გათენებულიყო და მე ვხედავდი ჩხარტიშვილს. იგი ორკაბა ხის უქან იდვა მაკაროვით ხელში და ჩარჩოში გამოყვანილ სურათს ჰგავდა, გვერდით ჩვენი მწერალი ედვა. სასაცილოდ მოთხვრილი და უიარაღო.

— პარხომენკო, რაო, რას ამბობს შენი ტანგო — დათვიაო? — გასძახა შერბინამ.

ვილაცამ გაიცინა.

ნოდარ დუმბაძე
 ნუ გაუხინია, ღეფა

— თუ ეს ის დათვია, შარშან ამ დროს რომ გვაფორთხილა, მოვკლათ და გავათათო! — დაიძახა ძნელად.

— მიდი, ძნელად, და მოკალი! — დართო ნება შერბინამ.

— ჯაყვლო, აუბოლე დენთი, ოღონდ ფრთხილად, მარცხნიდან შემოუარე! — მიბრძანა ჩხარტიშვილმა. მე ფრთხილად მოვცილდი ხეს და ბუნავს მარცხნიდან მოვუარე. ექვს, შვიდ მეტრზე რომ მივუახლოვდი, თევზის კონსერვის კოლოფის ოდენა საკვამლე ყუთი ამოვიღე და ასანთს გავკარი ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ.

— რას აჩხაკუნებ? — მომესმა ჩხარტიშვილის მოუთმენელი, ნერვიული ხმა.

— დასველდა, ამხანავო მაიორო!

— მე მაქვს მშრალი ასანთი. — თქვა მწერალმა და პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა.

— დაბრუნდი! — სტაცა ხელი მაიოროს და ასანთი ჩამოართვა, მერე თვითონ მოვიდა ჩემთან და ასანთს გაჰკრა. მოვუკიდეთ. ყუთი აბოლდა. მოვიქნიე და უმანოს წინ დავადგე. როგორც ბუხრის საკვამურმა, ისე შეისრუტა უმანომ შავი მყრალი კვამლი. ადგილებზე დავბრუნდი, იარაღი მოვიმარჯვეთ და მოლოდინში გავიტრუნეთ.

გავიდა ერთი წუთი, ორი წუთი, სამი წუთი, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ნუთუ კაცია? დათვი ამდენ ხანს ვერ გაუძლებდა. ნუთუ კაცია? ნუთუ კაცია? კაცია, ალბათ, კაცია, ნამდვილად კაცია, შერბინას გავხედე. იგი გაფითრებული, სუნთქვაშეკრული და თვალგაბრუნებული იწვა ხის ძირში. კიდევ ერთი წუთი, ორი, სამი, და უცებ ბუნაგიდან ერთმანეთზე მიყოლებით ორი ყავისფერი ბურთი გამოვარდა საშინელი სიძლიერით, ერთი იქვე, უმანოს წინ დაყუდებულ ლოდს შეასკდა და სისხლადქცეული და ტვინდანთებული საშინლად აფართხალდა. მეორე კი — ბურტყუნითა და საცოდავი წყმუტუნით დაეცა. დაგორდა და პირდაპირ ჩემს ფეხებთან დაეცა დარტყანიებული.

— დათვის ბელი! — ვიყვირე მე. ტომატს ხელი გავუშვი და ბელს დავემხე.

— ფრთხილად, მოემზადეთ! — დაიძახა ჩხარტიშვილმა და მწერალი ხელით უკან დაწია. ეტყობა უმანო გაიგოს, ბოლი უკვე გარეთ გამოდიოდა. გაისმა ჩახმახების ჩხაკუნი, ყველანი მზად იყვნენ. დიდხანს ლოდინი არ დავგვირგვინებია. უცებ ისე, როგორც ცეცხლმოკიდებული სახლიდან, უმანოდან ვეებერთელა მურა დათვი გამოვარდა, იგი რეტანივით იქნევედა თავს, სინათლე და სუფთა ჰაერი რომ დაიგულა, გაჩერდა, უკანა ტორებზე შედგა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. გონს რომ მოეგო, იქითაქეთ გაიხედ-გამოიხედა და უცებ მოხდა საზარელი რამ.

— უააა! — დაიბღვლა დათვმა საშინელი ხმით, თავში ტორები წაიშინა და ტორტმანით წამოვიდა, ლოდზე ტვინისხმული ბელისაკენ.

— აუუუ! — შეუცხადეს შვილი ძაღლებმა და ადგილიდან მოწყდნენ.

— ტანგო, დაბრუნდი! — იკვილა პარხომენკომ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— უაა, უაა! — ბლაოდა დათვი, ტანგოს ნაკუწ-ნაკუწად გლეჯდა და აქეთ-იქით ისროდა სისხლში გათხვრილი.

— ტრა-ტა-ტა! — გაისმა მოკლე ჯერი. დათვი წამით შეჩერდა, თითქოს ელდა ეცაო, მერე დაბარბაცდა და წაიქცა.

— ტრა-ტა-ტა!.. — გაისმა კიდევ. დათვმა თავი ასწია, პირიდან ღუქნარევი სისხლი მოსდიოდა და ბუშტებად ასკდებოდა დრუნჩხე.

— უაა! — იბღვლა კიდევ, წამოდგა, ტორები სახეზე აიფარა კაცივით, ნამდვილი კაცივით, ცოცხალი, დაჭრილი კაცივით, შვილმოკლული, გონსგადასული კაცივით და ასე სახეზე ტორებაფარებული, ბღავილ-ბღავილით წამოვიდა ავტომატის ხმაზე.

— ტრა-ტა-ტა! — გაისმა ისევ. დათვი შეტრიალდა. პირი კვლავ უმანოსაკენ ქნა.

— ტრა-ტა-ტა! — ახლა კეფაზე აი-

ფარა ხელები დათვმა და ასე განავრძო
სვლა, ვილაცამ კიდევ გაუშვა მოკლე
ჯერი. დათვმა ველარ მიაღწია ბუნაგის
კარამდე, ორთავე ტოტი ჩამოუვარდა
და ზედ შვილის სხეულზე დაემხო უზა-
რმაზარ ლოდთან. ახლა იგიც ვეებერთე-
ლა ლოდს გავდა, უსულოს, მუქს, ყავის-
ფერს. ორი დიდი ლოდი ეგდო უმანოს
წინ, ერთი დაბადებით ლოდი, მეორე
ლოდად ქცეული და მათ შორის პატარა,
სულ პატარა, ერთი ციციქნა, ყავისფერი
ლოდითვე ეგდო თავგაპყვილი დათვის
ბელი.

მე არ მიყურებია როგორ გაატყავეს
დათვი, როგორ მოხიკეს ტანგო ნაწილ-
ნაწილ, არც ის გამიგონია, რა სიტყვებით
ლანძღავდა ზუდოვი პარხომენკოს გაუ-
ფრთხილებლობისათვის. მე თითქმის
არაფერს ვხედავდი და არაფერი მესმო-
და. ვიჩქეი შერბინას ვვერდით ხის ძი-
რში. ცალი მკლავით აცახცახებული და-
თვის ბელს ვიხუტებდი გულში, მეორეს
კი შერბინას ვუსვამდი სველ თავზე. შე-
რბინა ტიროდა.

— ჩვენი იღბალი. რომ ყველაფერი
ასე კარგად დამთავრდა. — თქვა ვილა-
ცამ.

— აბა! — დაუდასტურა მეორემ.
მე მათკენ არ გამიხედია, ხმით ვერ
ვიცანი და არ მინდოდა სახით მეცნო ეს
ორი ბედნიერი აღამიანი.

- რა არის ეს?
- დათვის ბელია, ფერიდე!
- საიდან?
- ამ დილით დავიჭირეთ.
- შენ ჩემი სახელი ვინ გასწავლა?
- ჩემით ვისწავლე.
- მთელ სოფელს მთელი დამე არ
უძინია, სულ ეგ იყო, ეს პატარა ბე-
ლი?
- ჰო, სულ ეგ იყო.
- მერე და ვერ გაუშვით?
- სად?
- დედამისთან.

— ეგეთი თვალებით ნუ მიყურებ.
ჯაყელო, არ შეიძლება!

- შენ ჩემი გვარი ვინ გასწავლა?
- ყველა ასე გეძახის, ტყუილს ხომ
არ იტყვიან. ეგ დათვის ბელი არ იკბი-
ნება?
- ჯერ არა.
- რა ჰქვია?
- ჯერ არ ვიცი.
- რას დაარქმევ?
- მერაბიას...
- მერაბიას რატომ?
- აბა, რა ვიცი, კარგი სახელია მე-
რაბია...
- ხომ ვითხარი, ასეთი თვალებით ნუ
მიყურებ-მეთქი?
- რა ვქნა, მე სულ ეგრე ვიყურები.
- ტყუილია!
- შეიძლება ტყუილიც იყოს, ფე-
რიდე, ამ ბოლო ხანებში აღარ ჩანხარ,
რატომ?
- იმიტომ, რომ შენ საზღვარზე უფ-
რო ხშირად მე მიყურებ.
- მერე, ცუდია ეგა?
- ცუდია!
- რატომ, ფერიდე?
- იმიტომ. არ შეიძლება.
- შენთან რომ მოვიდე, შეიძლება?
- შენ გიყი ხომ არ ხარ?!
- თუ შეიძლება?
- არა.
- რატომ?
- იმიტომ, რომ არ მინდა.
- მე თუ მინდა?
- რა?
- შენთან მოსვლა, ლაპარაკი... დაჯ-
ღომა, აი, მე და შენ რომ დავსხდეთ ერ-
თად და ვილაპარაკოთ.
- რაზე?
- რამეზე.
- არ შეიძლება, მე ქვრივი ვარ. შენ
კი, შენ... შენ პატარა ხარ ჩემზე.
- შენ რა იცი, ფერიდე?
- მე ყველაფერი ვიცი, ვიცი, რომ 19

ნოდარ დუმბაძე
ნუ გაჟინია, დედა

წლის ხარ, დედ-მამა რომ არ გყავს, სამედიცინოზე რომ ვერ მოეწყვე, ფოსტაში რომ დადიხარ და შეყვარებულნი წერილებს არ ვწერს, ალი ხორავას მანდარინებს რომ იპარავ ლამლაობით.

— ვინ გითხრა?

— ჩიტმა მითხრა.

— ჩიტმა ის აღარ გითხრა, რომ ძალიან, ძალიან მომწონხარ?

— სულელი ხარ შენ.

— ეგ ვიღამ გითხრა?

— ამას ჩემით მივხვდი.

— ახლა კვირას რომ თავისუფალი დღე მექნება, ქალაქში არ წავალ, შენთან მოვალ და მთელი დღე შენთან ვიქნები.

— აკი გითხარი სულელი ხარ-მეთქი!

— მოვალ!

— კიდევაც გაბედავ!

— მოვალ!

— არ გაბედო, და ეგეთი თვალებით ნუ მიყურებ. წადი, ასეთი თვალებით ქალაქელ გოგოებს უყურე.

— რა თვალებით, ფერიდო? მთელი ღამის უძილო ვარ.

— წადი!

— ნახვამდის, ფერიდო!

— წადი, შენს მერაბიას მოუარე. — ფერიდო აივანს მოსცილდა და ოდის კარი შეაღო. მე ბილიკს დავეყვი, ბიჭები უკვე წასულიყვნენ. გამთბარ მერაბიას კი ტკბილად ეძინა ჩემს მკლავებში და დროდადრო პირში ჩადებულ ცერს მჭაჩავდა ძუძუსავით.

ძმომ სარგის!

უკვე ერთი თვეა საზღვარზე ვარ. ბიჭებმა რომ გამომაცილეთ... თუმცა თავიდან დავიწყებ.

ბათუმი-თბილისი ასომიანი ბერიკაცივით ყველა ნაბიჯზე ჩერდება—ეს დიდუბეო, ეს მცხეთაო, ეს წყალსადენო, ეს ძეგვო, ეს გორიო, ეს სკრაო, ეს აგარაო, ეს ქარელიო, ეს ხაშურიო და ასე ბათუმამდე. გაჩერდება, იქლოშინებს, იქლოშინებს, მერე ერთს გაიქაჩება, რაც ზევით ჩემოდნები აწყვია.

თავზე გადმომავრის, მერე წავა, ისევ გაჩერდება და ასე შემდეგ. კუბეში სანთნი ვართ. იმ კაცს ქობულეთამდე ხმა რომ არ ამოულია, კაცად არ ვთვლი, ესე იგი, იმ კაცის ვარდა, სამნი ვართ: მე, ერთი ქალბატონი, რომელმაც ბათუმამდე რვა ხალათი გამოიცვალა და ერთიც ახალგაზრდა, მაგრამ სულ მელოტი კაცი. როგორც მერე გამოირკვა, ბათუმის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოდგა, სახელად ათანასე, ძალიან ენაწყულიანი და გონება-გახსნილი კაცი. თვითონ გამომეცნაურა. ჯერ იმ რვახალათიანი დედაკაციდან დაიწყო.

— თქვენ ბათუმში მიბრძანდებით, ქალბატონო? — ჰკითხა რვახალათიანს.

— დიახ, ბატონო, მიყვარს სექტემბერში ზღვაზე დასვენება, ცოტა ხალხია, თავისუფლებაა, სიწყნარე... — აუხსნა რვახალათიანმა.

— მაშინ იანვარში წამობრძანებულყავით, კაცის ჭაჭანება არაა ზღვაზე, — დაბატოთა თავმჯდომარემ. რვახალათიანმა ცოტა ამრეზილად ახედა თავმჯდომარეს, ხომ არ დამცინისო, მაგრამ თავმჯდომარეს ისეთი გულუბრყვილო გამოხედვა ჰქონდა, ეჭვის მიტანა არ შეიძლებოდა.

— თქვენ სად მიბრძანდებით? — მომიბრუნდა ახლა მე.

— მეც ბათუმში. — ვუბასუხე.

— დასასვენებლად?

— არა, ჯარში!

— რა დროს თქვენი ჯარია? — გაუჟვირდა თავმჯდომარეს.

— რატომ, შე კაცო? — გავიკვირვე მეც.

— ომი თუ დაიწყო, ბატონო, ნუ დამიმაღავთ, და ისე, ომიც რომ იყოს, პატროსანი მთავრობა თქვენი ხნის კაცს ჯარში მაშინაც არ წაიყვანს. — გაიცინა მან.

— საომრად კი არ მივდივარ, შე კაცო...

— ათანასე მქვია მე, — შემაგება სახელი თავმჯდომარემ.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით? —

არ მაცალა სიტყვის დამთავრება. — მე მდინარაძე ვარ. ვლადიმერი, მწერალი — ბოლო სიტყვა ცოტა ხმამაღლა ვთქვი.

— რას ბრძანებთ, თავიდან შოფერი მეგონეთ. — მომიბოდიშა მან.

— არა, მწერალი ვარ!
— სასიამოვნოა ძალიან, მწერალი მდინარაძე ბრძანდებით აბა?

— დიახ.
— თქვენი ლექსები ჩემმა შვილმა სულ ზემირად იცის, ოლიმპიადებზე და გამოსაშვებ საღამოებზე ამბობს ხოლმე.

— რომელ ლექსს კითხულობს? — დავინტერესდი მე.

— აი იმას, „არ გრცხვენიათ, გოჭებო, ღორებივით იქცევით!“

— ძალიან სასიამოვნოა! — ეუთხარი მე.

— თქვენ, ქალბატონო, ფესხაცემელი ხომ არ გიჭერთ? — ჰკითხა უცებ თავმჯდომარემ რეახალათიანს.

— დიახ, მაზოლი მაქვს. საიდან მიხვდით?

— ფეხზე გახდილი რომ გაქვთ, იმაზე შეგატყვეთ. დედაჩემსაც უჭერდა ფესხაცემელი ორთავე ფეხზე და არ იხდიდა, საცოდავი, იმან მოკლა ალბათ. — ამოიოხრა თავმჯდომარემ. რეახალათიანმა ისევ ამრეზითა და ეჭვით გახედა, მაგრამ თავმჯდომარე გადასაფრენად გახაზირებული ანგელოზივით იჯდა თავის ადგილზე და სევდიანი თვალებით დასცქეროდა ქალს გახდილ ფეხებზე.

— ჯარში რა გინდათ, ბატონო? — მომიბრუნდა უცებ.

— მესაზღვრეების ცხოვრებაზე წიგნი მინდა დავწერო. — ვუპასუხე მე.

— გაგიჭირდებათ! — მითხრა მან.

— რატომ? — ვკითხე მე.

— უბედურება ამბავია საზღვარი. ნამეტანი ძნელი სამსახურია და ერთფეროვანი. ჩვენ სასაზღვრო ზონაში შევდივართ და ვიცი. სახელმწიფო საზღვარი კი არა, სამეზობლო საზღვარი რომ სამეზობლო საზღვარია, უბრალო სარის ღობე, იმისთვის ვერ მოუვლია ზოგიერთს...

— დიდი ხანია თავმჯდომარე ხართ? — ვკითხე მე.

— დაიქვა ის დღე, მე რომ თავმჯდომარედ ამირჩიეს. სამი წელია. — თქვა თავმჯდომარემ.

— რატომ, კაცო? — გავიკვირე მე.

— რატომ, ბატონო და ავერ ამ კაცს, პატიოსნად რომ ხვრინავს, — ახედა თავმჯდომარემ იმ კაცს, მე რომ კაცად არ ვთვლი, — ალბათ ესიზმრება ახლა ტკბილი სიზმრები, კაი-კაი ქალები, ქეი-ფი, დროსტარება. მაინც რას ხვრინავს. ეს უპატრონო, არ გავვხერხა შუაში? — ჰოდა, ესიზმრება ახლა ფერად-ფერადი სიზმრები, მე კი ორი თვეა წვიმისა და ჩაის მეტი არაფერი დამსიზმრებია. ორი თვეა სიზმარში მასხამს და მასხამს თავზე კოკისპირული წვიმა. ბიბინებენ და ბიბინებენ ჩაის ბუჩქები. კრეფენ და კრეფენ ჩემი ქალები დალოცვილს, ვაბარებ და ვაბარებ სახელმწიფოს, ვასრულებ და ვასრულებ გეგმებს. გავიღვიძებ გახარებული, წამოვხტები ლოგინიდან, გვევარდები გარეთ, სადაა წვიმა? იწვის ხე და მიწა, ჩამკვდარია ყლორტი... — იმ კაცმა ხვრინვას უმატა, ერთ ადგილას მაინც ნამეტანი ქნა, მართლაც რომ ხერხივით ამუშავდა.

— კვიელი შეხვდა ალბათ. — თქვა თავმჯდომარემ.

— არ შეიძლება, რომ ვთხოვოთ პრავანდის და სხვაგან გადაიყვანოს? — იკითხა შეწუხებულმა ქალმა.

— ახლა ჩვენი გულისთვის მთელ მატარებელს ხომ არ გაახერხვინებს. — თქვა თავმჯდომარემ, მერე მე მომიბრუნდა.

— საზღვარზე მოგახსენებდით. — ბაბუაჩემ გერონტის და გიორგი ღორჯომელაძეს შქერის ღობე ჰქონდათ საზღვრად, შუაში ერთი დიდი კოპიტი ჰქონდა ამ ღობეს დატანებული. იმ კოპიტმა დაანგრია ჩვენი ოჯახები. გიორგი ღორჯომელაძე იძახდა, მამაჩემის დარგულია ავი კოპიტო, დაარღვევდა ღო-

ნოღარ დუგაძე
ნუ გეზინი, დედა



ბეს ღამე და კობიტს თავის ეზოში მოა-
ყოლებდა. გაიღვიძებდა დილას ბაბუა-
ჩემი გერონტი, ამოაძრებდა სარს ლო-
ბიდან, მიუვარდებოდა გიორგი ღორჯო-
მელაძეს, მამაჩემის დარგულ კობიტს
შენს ეზოში რა უნდაო, ჩეჩქავდა სარს
თავში, დააგდებდა გიორგის უსულოდ
და ვიდრე გიორგის მისი ცოლი ებრაქ-
სია წვილ-კვილითა და მოთქმით ცივ
წყალს ასხამდა გაჩეჩვილ თავზე, იმ კო-
პიტს ისევ ჩვენს ეზოში მოაქცევდა.
ერთი კვირის მერე მოიკეთებდა გიორ-
გი, მიეპარებოდა ბაბუაჩემს, დრუზავდა
სარს წელზე და სანამ წელგათრეული
ბაბუაჩემი თვალებს აპარპალებდა და
ლოყადახოკილი ბებიაჩემი პირზე მომ-
დგარ ღუეს აცლიდა, ისევ თავის მხა-
რეს მოაქცევდა კობიტს. ასე გლეჯდნენ
ერთმანეთს იმ კობიტის გულისთვის,
ვიდრე ერთმანეთს მხარი და თქო არ
ამოუგდეს. ის ორი ოჯახის დამქცევი
კობიტი კი იდგა თავისთვის, ყურს არ
აპარტყუნებდა, ვაშლი ან მსხალი მაინც
ყოფილიყო, უპატრონო. — თავმჯდო-
მარე დადუმდა, ხელჩანთიდან კონიაკი
ამოიღო, „ვარციხე“, და მაგიდაზე დად-
გა.

— მერე? — ვკითხე.
— დავლიოთ თითო ჭიქა! — თქვა
მან, ბოთლს თავი მოხსნა.
— სად გავჩერდი? — მკითხა მან, კო-
ნიაკი რომ გადავკარით.
— ბაბუა თქვენმა გერონტიმ რომ მხა-
რი ჩამოუგდო გიორგი ღორჯომელაძეს,
იძან კი თქო...
— ჰოო, ასე დადიოდნენ მერე, ერთი
დაფეხვილი და მეორე მკლავჩამოგდებ-
ული. კობიტი კი იდგა თავისთვის, შე-
მოდგომანზე გაცვივდებოდა ფოთოლი,
გაზაფხულზე ამოიყრიდა ისევ, შეიფოთ-
ლებოდა, იშრიალებდა, იშრიალებდა,
მერე ისევ გაცვივდებოდა შემოდგომანზე
ფოთოლი. ეს ღობე კი, კაი ლეკვერჩხა
ქამარივით, ხან მარცხნიდან ჰქონდა
წელზე შემორტყმული, ხან მარჯვნიდან,
ორი ოჯახი რომ ინგრეოდა მის გამო, ეს
ამბავი სულ არ აწუხებდა. — თავმჯდო-

მარე კონიაკი დაისხა, გადაჰკრა და
ლა მე დამისხა.

რეახალათიანი წამოდგა და კარებისა-
კენ წავიდა.

— ხალათის გამოსაცვლელად მიბრ-
ძანდებით? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— თქვენ ყველაფერს როგორ ასწ-
რებთ, ეს ბაბუაჩემი გერონტიო, ეს ფეხ-
საცემელი ხომ არ გიჭერთო, ეს ხალათს
ხომ არ იცვლითო, ეს ისო, ის ესო... —
გაკაპასდა მოთმინებიდან გამოსული
რეახალათიანი.

— რა ვქნა, ქალბატონო, თავმჯდომა-
რე ვარ და ყველაფერი თუ არ მოვას-
წარი, იმ გეგმას, კისერზე რომ აღუსი-
ლი ნაჯახივით მადევს, თქვენ შემისრუ-
ლებთ?

— მაგას გირჩევენიათ გარეთ გაბრძან-
დეთ და მომცეთ გახდისა და დაძინების
საშუალება.

მე სიცილი წამსკდა და გარეთ გავედი,
ორ წუთში თავმჯდომარეც გამომყვა,
ილიმებოდა.

— მგონი ნამეტანი მომივიდა! — თქვა
მან.

— ის ამბავი როგორ დამთავრდა, ბა-
ტონო ათანასე! — ვკითხე მე.

— რომელი ამბავი?
— კობიტის.

— ჰო, ის ამბავი ძალიან სასაცილოდ
დამთავრდა. დილას რომ გიორგი ღორ-
ჯომელაძე მოკვდა, საღამოს გახარებუ-
ლი ბაბუაჩემი გერონტი მიეწია. ორთავე
ერთ დღეს დაიხოცა. მამაჩემი ტიტეიკო
უსტა კაცია, ახალგაზრდა გახლდათ მა-
შინ. ჰოდა, სანამ ჭირისუფალი ღამეს
უთევდა მიცვალებულებს, კიდევაც მოჭ-
რა ის კობიტი, კიდევაც ვათალა და კი-
დევაც გააშალაშინა. ორი კაცი ეხმარე-
ბოდა. ორი მშვენიერი კუბო გამოვიდა
შიგ, ჩაასვენეს ერთში გიორგი ღორჯო-
მელაძე, მეორეში ბაბუაჩემი გერონტი,
ერთ დღეს გაასვენეს და ერთ სასაფლა-
ოზე დამარხეს, ერთმანეთის გვერდით.
ბებიაჩემი და გიორგის ცოლი იმ დღი-
დან პირში სულს უბერავდნენ ერთმა-
ნეთს, ორი წლის წინ დაიხოცნენ საწყ-

ლები, ისინიც ერთ წელს მოკვდნენ. მაგრამ სხვადასხვა თვეში.

— შეილები? — ჩავეითხე ათანასეს.

— შეილები რა, მამაჩემმა იმ კობიტის მონარჩენიდან კიდევ ორი ფანდური გამოთალა, ერთი თვითონ დაიტოვა და ერთი გიორგის შეილს ლუკიას მისცა, დაამღერე ხანდახანო. კარგი კობიტი იყო, დალოცვილი. ყველა კობიტში არ გამოვა ორი კუბო და ორი ფანდური. — გაიღიმა ათანასემ.

— შეილებმა როგორ გადაწყვიტეთ საზღვრის საკითხი? — ვკითხე ისევ.

— იმ კობიტმა ამოიყარა ვაღანაჭერზე, იმისსხოა, ხელს ვერ შემოაწვდენ წელზე. ჯერ არაფერს არ აშავებს, ზუსტად შუაზე გვაქვს ღობე მიყენებული. — თავმჯდომარემ ისევ გაიღიმა. — ძნელია საზღვრის მოვლა, ბატონო ვლადიმერ, ძალიან ძნელი! — თქვა მან. — შევიდეთ, დაეწვეთ! — კუბეს კარი შევალეთ და გული კინაღამ შემიღონდა სიცილით. მხვრინავი თავზე პირსახოცწაკრული, შიშველფეხებგადმოკიდებული იჯდა თავის საწოლზე და საცოდავი თვალებით ვვიმხვრდა. კუბე ზანზარებდა, ლურჯი ნათურა თრთოდა.

— გინახავთ, კაცო, ქალი ასე ხვრინავდეს? — შემოგვიჩვია მხვრინავმა. — ეს იყო პირველი და უკანასკნელი სიტყვა, რომელიც იმ კაცის პირიდან გავიგე.

შუალამისას ვილაცამ გამაღვიძა, ძლიერად მანჯღრევდა:

— გაიღვიძეთ, ბატონო ვლადიმერ. გაიღვიძეთ! — შეშინებულმა გავახილეთ თვალები, თავზე თავმჯდომარე მადგა და მანჯღრევდა.

— წვიმა მოვიდა, ბატონო ვლადიმერ, წვიმა!

— მომილოცავს, ბატონო ათანასე, მაგაზე გამაღვიძე, შე კაცო? — ვუსაყვედურე მე და წამოვკეჭი.

— ბოდიშს ვითხოვ, ბატონო ვლადიმერ, მე რომ მიხარია წვიმა, სხვასაც ასე უხარია მგონია. დაიძინეთ, დაიძინეთ.

— აწი რალა დამაძინებს, შე კაცო,

დამზაფრე კაცი! — ღიმილით ვუთხარი. ათანასე მიხვდა, რომ ვეხუმრებოდი და დარჩენილი კონიაკი დაასხა.

— წვიმას გაუმარჯოს, ბატონო ვლადიმერ, ყუყუნა წვიმიდან დაწყებული თქემამდე, კოკისპირულამდე, ყველა წვიმას, მიწას რომ ალბობს, ბალახს რომ აღვიძებს, კრამიტს რომ რეცხავს, ყანას რომ ჩაუდგება ფესვში, ღეროში და ტაროში, მოკლედ, მაცოცხლებელ წვიმას გაუმარჯოს! — თქვა მან და დააჭრა.

— აქეთ მზე იყო მეგონა სანატრელი, ათანასე ბატონო, და წვიმა ყოფილა.

— ასეა, ბატონო, შარშან მთელი ზაფხული მზე მესისმრებოდა, ისე დალბა ქვეყანა.

— კიდევ კარგი, რომ გამაღვიძე, თორემ ასეთ წვიმას საღ ვნახავდი! — ვუთხარი მე და ფანჯარაში გავიხედე, ისეთი თავსხმა იყო, არაფერი არ ჩანდა. წვიმა ნიაღვრად ჩამოდოდა სარკემელზე.

— წვიმაზე და ვაღვიძებზე გამახსენდა, ბატონო ვლადიმერ, შარშან დაგვაქცია წვიმამ, ნოეს დროს არ უწვიმია იმდენი, ჩვენში რომ იწვიმა იმ ზაფხულს, რაც ყანა გვქონდა, სულ წალეკა. ერთ დილას, კანტორაზე რომ მივიდიოდი, გლეხი შემხვდა თავსხმაში, მხარზე თოხგადებული. საღ მიდიხარ-მეთქი, ვკითხე. ქობულეთში მივიდივარო, მიპასუხა. ქობულეთში რა გინდა-მეთქი და, ჩემი ყანა ღვარს ქობულეთში ჩაუტანია და იქ მივიდივარ ვასამარგლადო. ხუმარაა ის გლეხი. ჰოდა, იმას გიყვებოდით ცოტა რომ გადაიღო, მთაში ფუტკარი გვეყავდა, იმის სანახავად წავედი. ჩემმა მტერმა ნახა, მე რომ იქ ამბავი ვნახე. ასი ოჯახი ფუტკრიდან სამოცდაათი დაუხელებული დამხვდა. ჩამოვკარდი შუალამეზე სოფელში გულგახეთქილი, აეტეხე ზარის რეკვა, მთელი სოფელი ფეხზე დავაყენე და კრება მოვიწვიე.

— რაშია საქმე, ათანასე?! — მკითხეს გლეხებმა.

ნოდარ ღუმბაჯი
ნუ გუშინია, დედა

რაშია საქმე და, სამოცდაათი ოჯახი ფუტკარი დაგვეფსო მთაში! — მოეხსენე გლეხებს.

აღმა მამინ ყიამყრალი პაპინო ირემადე და მითხრა:

— ათანასა ნაბიჭვარო, შეიდასი ოჯახი ვართ დაფსებული სოფელში და ყური არ გაგიპარტყუნებია, ახლა სამოცდაათი ოჯახი ფუტკრისთვის წამოგვეყარე ამ შულამეზე?

გულიანად გაიეცინა. ათანასესაც გაეცინა.

— კია სასაცილო, ბატონო ვლადიმერ, მაგრამ მყრალი იყო პაპინო, ტყუილი თქვა, ჩვენზე გამართულ სოფელს ვერ ნახავთ ამ მხარეში, ციტრუსი გინდაო, ჩაი გინდაო, სიმინდი გინდაო, ლობიო გინდაო, ღვინო გინდაო...

— აბა რა მინდაო პაპინო?

— სიკვდილი მინდაო, რა ვიცი რა უნდოდა. ყველა კრებაზე ასე იყო, სიტყვის თქმა მეშინოდა მაგის გადამკიდე. ყველას ეჭავრებოდა სოფელში, შურიანი იყო, ჯაშუში, რაც მაგან ხალხი დალუბა, ერთმანეთს გადაკიდა, ეშმაკი ვერ დაითვლის. მაინც ერიდებოდით და ეშინოდით მისი...

— ხალხმა რა თქვა პაპინოს სიტყვაზე? — ვკითხე მე.

— ხალხს რა უნდა ეთქვა, ატყდა ხორხოცი, სიცილი და ღრიალი, როგორც თქვენ იცინით ახლა, ისე იცინოდა ყველა. ჩამეშალა კრება.

— მერე? — დავინტერესდი მე.

— მერე არაფერი, ორი თვის წინ გავრა სული და მოვისვენე. ისე ძაღლივით კი მოკვდა საწყალი, მახარაძეში იყო წასული ცხენის დასაქედად. იქ ძმები ქერქაძეებია, განთქმული მკვდლები, პოდა, ფეხს რომ უჭერდა ცხენს, დღლიზა ცხენმა წიხლი და რაც შიგანი ჰქონდა, უკულმა ამოუტრიალა. ცას ხევდა მისი კივილი, სანამ საოპერაციო მაგიდაზე დააწვენდნენ, მანამდე გათავდა. საბარგო მანქანით წამოვასვენე, უპატრონო იყო, აბა რა მექნა? ბუუქის წყალის ფონზე რომ გადმოგვეყავდა, მოვარდა

წყალი და კუბოიანად წაგვართვა მკვდრის, ძლივს დავიჭირეთ. შაბათს არა და, კვირას ვასაფლავებდით. ახლა რომ წვიმაა, ამაზე უარესი მოვიდა, საფლავში რომ ვუშვებდით კუბოს, გაწყდა ბაწარი და უკულმა ჩაემხო შიგ, — თფუო! — ჩააფურთხეს მესაფლავებმა, — როგორი გველიც იყავი, ისე უკულმა წავიდა შენი საქმეო! — დაყარეს ბარები და გაიქცნენ. მე მივაყარე მიწა, აბა რა მექნა? ვიდექი იმ წვიმაში მარტო და ვაყრიდი მიწას. მტრისას, ხალხმა თუ შეგიძულა. არც ასე მოძულემა ვარგა კაცის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ვერ გაამტყუნებ ხალხს... — დაამთავრა ამბავი ათანასემ, მერე ისევე დაასხა კონიაკი.

— კიდე მაქვს ამბები მოსაყოლი, მაგრამ დავიძინოთ ახლა, საზღვარი კარგია, მაგრამ ჩვენ სოფელსაც არა უშვავს, ჩამობრძანდით ჩვენთან, ათას საინტერესო ამბავს გაიგებთ, ათას საინტერესო ხალხს შეგახვედრებთ, მერე ჩვენზეც დაწერეთ რამე. — დამპატიყა მან.

— უმუშველად ჩამოვალ! — დავპირდი მე.

— ჩამობრძანდით, დაწერეთ, სოფელი რომ დაცარიელდა, მთელი ახალგაზრდობა რომ ქალაქში გადავარდა.

— ჩამოვალ და დაწერ! — გაუუმოლო მე.

— დიდად დავგავალებთ, ბატონო ვლადიმერ, — ათანასემ ფარდა გაწია და სიბნელეში გაიხედა, წვიმა თქრიალით ესხმებოდა მიწას.

— კარგი აწი, დალოცვილო, გეყოფა, ქვეყანა დაქციე-მეთქი კი არ მითხოვია?! — უთხრა წვიმას, მერე ზედა საწოლებზე აიხედა. ის კაცი და ქალბატონი ხმამეწყობილად ხვრინავდნენ.

— ამათ ერთი ბირდაბირა ხერხი დახატავდა ახლა! — თქვა მან, ძილი ნებისა მისურვა და სინათლე ჩააქრო.

სადგურში თვითონ პოდპოლკოვნიკი, რაზარინოვი დამხვდა.



ნახევარ საათში მის კაბინეტში ვიჯექი. რაზარინოვი, ასე, 50 წლის იქნება, ძალიან სიმპათიური, ენერგიული და ცოცხალი კაცი ჩანს. 15 წუთში თვრამეტ დეტექტურ სიტუეტს მომიყვა, ეს ანეკდოტს, მოკლედ მომიხაზა მომავალი ჩემი წიგნის გეგმა, მგონი ისიც მითხრა, რამდენი გვერდი იქნებოდა, ცოტა სათაურის მოძებნა გაუჭირდა, სახლში ვიფიქრებ სათაურზეო, დამპირდა და სადღაც დარეკა.

— ახლავე მოიტანენ XБ-ს მთელ კომპლექტს. — მითხრა და მოლოდინში თვალღებება დამიწყო.

ხუთ წუთში კაბინეტში ყუთები შემოიტანეს.

— გაიხადეთ!
— კარი რომ დაკვეტოთ. არ იქნება ურიგო! — ვუთხარი მე.

— რა აზრი აქვს, ქალები ჩვენ არ გყავს და. ჩემი თუ გრცხვენიათ, წავალ! — გამიღიმა მან.

— ბრძანდებოდეთ! — ვუთხარი მე და მორცხვად დავიწყე გახდა. შვიდი შარვალი შემომასკდა ღიპზე. სირცხვლით სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მოიძებნა ჩემი ღიპის სარგო შარვალი. რაზარინოვმა შვებით ამოისუნთქა.

— ეს ხრომის ჩექმა. ეს ორი წყვილი საცვალი, ეს ქუდი, ეს სამხრეები, ეს ქაპარი, ეს ტელოგრეიკა. მაზარას ათ დღეში მოგართმევთ. მომიწერეთ ხელი აი, აქ. — მითხრა მან და სიაზე ხელი მომაწერინა.

ჩექმის ჩაცმაზე ისეთი დღე გადამხდა, ვიფიქრე, თუ დაძინება მეღირსა, ამას რა გაიხდის-მეთქი. სარკე არ იყო, შიგ რომ ჩამეხედა. ალბათ ძალიან სასაცილო ვიყავი.

— აი კაცი, — გაშალა ხელები რაზარინოვმა, — მე რომ შენი ვიყო, ამ ფორმას სიკვდილამდე არ გავიხდიდი!

— მაინც მასეა, ამხანაგო პოლკოვნიკო, ამ ჩექმას მკვდარს თუ გამხდით, თორემ ცოცხალი მე ამას ვეღარ გავიხდი.

— ნუ გეშინია, ისეთი შეკერილია,

ორ დღეში მისით გაგძვრება! — დამამშვიდა მან და მხარზე ხელი დამკრა. გადაწყვეტილია, სოფელში მიდიხარ! მერე ყურმილი აიღო, რაღაც ნომერი თქვა, მისცეს.

— გამარჯობა. ჩხარტიშვილი!

— ძალიან კარგი!

— გიგზავნით მწერალ მდინარაძეს. ხომ იცო?.. ხო, ხო, მე, ბებია, ბაბუა და ასე შემდეგ... ორი თვით მოადგილე იქნება შენი პოლიტიკურ დარგში.

— კოროლიოვს ნუ ეშინია, მდინარაძე უშუალოდ მოადგილედ გეყოლება!

— ერთ საათში გამოგზავნით, ყველაფერი პირობები შეუქმენით, მოეფერეთ, მოესიყვარულეთ, ოთახში მაგიდა დაუდგით. რაც გითხრათ, შეუსრულეთ.

— მაგის გარდა ყველაფერი შეუსრულეთ, აბა, ყოჩაღად იყავით, ნახვამდის!
— რაო? — ვკითხე პოლკოვნიკს.

— ვეუბნები ყველაფერი შეუსრულეთ-მეთქი, ის მეკითხება თურქეთში გადასვლა რომ მიხზოვს, რა ვქნაო? მაგის გარდა, ყველაფერი შეუსრულეთ-მეთქი! — ორთავეს გაგვეცინა.

თორმეტ საათზე სოფელში ჩავედი. ამ სოფელში ადრეც ვარ ნამყოფი, ექსკურსიაზე, მაგრამ ახლა რაღაც შიშის, მორცხვობის და ჩემთვის გაუგებარი გრძნობა მაწუხებდა. პირდაპირ საგუშაგოს უფროსის ოთახში შემეყვანეს. მაგიდას ძალიან ძლიერი და ლამაზი სახის მაიორი უჯდა. ისეთი ჭკვიანი თვალები ჰქონდა, რომ ამომხედა, შემშურდა. ადგა, ხელი ჩამომართვა, დაბრძანდითო, მითხრა. დავკეჭი, ცოტა ხანს მათვლიერა, მერე ჩემს მეგზურ ლეიტენანტს მიუბრუნდა:

— გავუთოებინათ მაინც, ასე ხბოს დაღეჭილივით რომ მოიყვანეთ!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— არა უშავს, ჩემით დავიუთოვებ! —
ვთქვი მე და გავწითლდი. მაიორმა უნ-
დობლად შემხედა, ალბათ გაიფიქრა,
რაკი ასე დაჰმუჭუნოლი ჩაცმა იკადრა,
ეგ აწი მაგის დამუთოებელი აღარ არი-
სო და თავისი საქმე განაგრძო, რადაცას
წერდა უშველებელ დავთარში.

მთელი საათი უხმოდ ვიჯექით. ორი
ახალგაზრდა ლეიტენანტი შემოვიდა,
მაიორის წინ გაიჭიმნენ.

— გაიცანით და ჩაიბარეთ! — უთხრა
მაიორმა. გამიცნეს, მხედრული სალამი
მომცეს, ღიმილს ვერ იკავებდნენ. ისევ
გავწითლდი. ღმერთო, ერთი სარკეში
ჩამახედა, მანახვა რას ვგავარ და მომკ-
ლა.

— ამხანაგო მაიორო, ჯარისკაცები
მოეწყვენ! — მოახსენა ვილაცამ.

— წამობრძანდით! — მითხრა მაიო-
რმა და წინ გამიძღვა.

ეზოში გავედით. ჯარისკაცები ორ რი-
გად იდგნენ და გველოდნენ.

— სმენა, სწორება პირდაპირ! — გა-
სცა ვილაცამ ბრძანება.

ყველა გაიჭიმა, მეც გავიჭიმი შეძ-
ლებისდაგვარად. მერე მესმოდა მაიორის
ლაპარაკი, ჩემი გვარი და სახელიც გა-
ვიგონე, ჩემი წიგნების სათაურები, გარ-
კვევით არაფერი არ მახსოვს. მხოლოდ
ის მახსოვს, მაიორმა რომ მკითხა —
ჯარისკაცებს რამეს ხომ არ ეტყვიო?

მახსოვს, სიტყვა ასე დავიწყე:

— როგორც მომხსენებელმა აღნიშ-
ნა...

და ისევ არაფერი აღარ მახსოვს. სი-
ცილმა გამომარკვია და დავდუმდი.

— დაიშალეთ! — გავიგონე მაიორის
სიცილნარევი ბრძანება და ჯარისკაცე-
ბის ხარხარი. ბოლოს მეც დავიწყე სი-
ცილი, რისთვის, არ ვიცი. ჯარისკაცები
რომ დაიშალნენ, მაიორი ჩხარტიშვილი
მომიახლოვდა, მხარზე ხელი შემახო
ფართხილად და ღიმილით მთხოვა:

— ბატონო ვლადიმერ, ეგ სიტყვა და-
წერილი თუ გაქვთ, მომეცით, ლენინის
ოთახში ფიცის გვერდით დავკიდებო. —
არაფერი ვუპასუხე. ჩემს ოთახში წავე-
დი, ჩავიკეტე, საწოლზე წამოვწექი და

სირცხვისისაგან ცეცხლმოკიდებულმა
თვალეები დავხუჭე...

იმ დღეს ოთახიდან არ გამოვსულვარ.
ძმაო სარგის, მერე კი... მერე ყველა-
ფერი ჩადგა თავის კალაპოტში, და მეც
თანდათან მესაზღვრეს დავემსგავსე.

ჩემი საწოლის პირდაპირ, სარკმელში,
მინა ჩამტვრეული. თვალს რომ გაახელ,
გვეგონება ზღვა დილიდანვე შენს ოთახ-
ში ბრძანდება. უკეთესი ზღვა, ან უკე-
თესი პლაჟი არა მგონია დედამიწის ზუ-
რგზე არსებობდეს. ისე ლურჯია წყალი,
ისე გამჭვირვალე, ყველა კენჭი, ყველა
თევზი, ყველა ნიჟარა, მედუზა შენს
ქვეშ დაბორილობს, როგორც აქვარი-
უმში. ზღვაზე რომ გულადმა დაწვები,
ცა ისეთი ლურჯია, ისეთი გამჭვირვალე,
გგონია მალაც ზღვაა მშვიდად და ლუ-
რჯად შედედებული და შენ ორ ზღვას
შუა დასცურავ. გგონია მზეც ზღვაშია,
შენთან ერთად ნებივრობს, შენთან ერ-
თად აგდია გულადმა ამ ორ ზღვას შუა
და ეს მზე სულ სხვა მზეა, ზღვის მზე,
ისე როგორც ზღვის ლომი, ზღვის ვარს-
კლავი და ზღვის ქალწული. ზღვა ვის
არ უნახავს, დალოცვილი, მაგრამ აქ
სულ სხვა ზღვაა, სხვა თრთოლვის, სხვა
რიდის და სხვა ღელვის ზღვა.

რამდენი პლაჟი მოგვივლია მე და შენ,
სარგის, რამდენჯერ დავუჯარბივებიათ
წითელი ალმების იქით ცურვისათვის,
და მაინც არ დავგიშლია შორს ცურვა;
რამდენჯერ გამოგვიკიდებია მენავე კი-
ვილით, უკან დაბრუნდითო და მაინც
წავსულვართ წინ; რამდენჯერ უსტვენ-
ათ ნაპირიდან, გამოდითო და მაინც
გვითამაშია მთასავით აგორებულ ტალ-
ღებზე; რამდენჯერ დავკარგვივართ
თვალთახედვიდან დაზაფრულ მეგობ-
რებს და მაინც არ დავგიშლია შორს
ცურვა. აქ კი, ამ თვალთ აუწერელ ლა-
მაზ ზღვაში, სამი პატარა გახუნებული
ალამი ტივტივებს, ნაპირიდან ასე, 20-
25 მეტრის მანძილზე, ათი მხარის მოს-
მაა, მეტი არა, მაგრამ დედინების შვილი
ხარ და ვასცურე იმის იქით, იმიტომ კი
არა, რომ ვინმე გიშლის, გისტვენს, მოგ-

დევს, გაჯარიმებს, ან გახრჩობს, არა, ეს სამი პატარა, გახუნებული ალამი დვას, როგორც უფსკრული, იმის იქით არ შეიძლება, არ შეიძლება კი არა, არ შეგიძლია, იმის იქით ცურვა გავიწყდება, იმის იქით იღლები, რაც არ უნდა ვაქეცი იყო და კარგი ცურვა იცოდე, იმის იქით იღლები, დუნდები, სუნთქვა გიჭირს, იმის იქით, თევზიც რომ იყო, ცურვა არ იცი, იმის იქით იხრჩობი, გეფიცები სინდისს, ეს ტყუილი არ არის, ეს ყველაფერი მართალია, ჩემს მიერ ნანახი და განცდილი. ეს გრძნობა, როგორც რელიგია, როგორც საღვთო რჯული, ისეა გამჯდარი ყველა ჩვენთაგანში და, ალბათ, ამ გრძნობას ჰქვია ის ძალიან ძნელი სახელი, საზღვარზე სამსახურს რომ ეძახიან. ეს შინაგანი შინისა და რიღის გრძნობა, ალბათ დედის მუცლიდან გვახლავს და, ვიდრე არ გვეჭირდება, ვერ ვგრძნობთ. აქ კი ეს გრძნობა უპირველესია ყველა გრძნობებს შორის. სამი პატარა ალამი ამოსულია ღვთის თვალივით ლურჯ ზღვაზე, როგორც სამი აქრძალული ხე და იმათ იქით საშველი არ არი. იმათ იქით ზღვა თავდება. და კიდევ უფრო დიდი და შემპზარავეა თავისი სიდიადით ის გრძნობა, რომ ამ სამი აქრძალული ალამის დარაჯი შენ ხარ და იმ სამი ალამის აქეთ რაც არის, შენია, მხოლოდ შენი, სხვისი არავისი, და ყველაფერი ეს შენ გაბარია.

ეს ქვეყანა, ჩემო სარგის, პარადოქსებით არის სავე, კაცს თითქოს უნდა უხაროდეს, ქვეყნად რომ სიმშვიდეა, საზღვარს რომ არავინ არ არღვევს, არც იქით გადადის, არც აქეთ გადმოდის. მშვიდი და უწყინარი დღეები თავლივით გადნება ენაზე. ხარ მხარეთქობზე წამოწოლილი და მთვლემარე ბვალეებით გასცქერი სივრცეს, ზღვა სულიერივით მიდის და მოდის, მიდის და მოდის, იხრავს, ქშინავს, რაღაცას გეუბნება. შენც ეუბნები. გგონია გესმის მისი და ესმის შენი, უცქერ მიწას შენს გარშემო. იფოთლება, ყვავილობს, მწიფდება, იძინებს, იღვიძებს, შრიალებს, ბორგავს, გუგუნებს, თითქოს გესაუბრება, ესაუ-

ბრები შენც. გგონია ყურს უგდებ და ისიც გიგდებს ყურს. ახედავ ზეცას და ათი ათას ფერს იცვლის დღელამეში, ღრუბლებით, ცისარტყელებით, მთვართა და ვარსკვლავებით ირთვება, თავს გაწონებს, შენც ათასნაირად ირთვები, შიშვლდები, ხან სახეს მიუშვრ, ხან მკერდს, ხან ზურგს, ხან დაემზობი, ხან გულალმა ამოტრიალდები. გგონია გხედავს და გგონია ხედავ...

ხანდახან ასეთი სულელური აზრიც გებადება, რომ დედამიწა თვითონ ცოცხალი სხეულია, დაგორავს, დაიარება, ხედავს, სუნთქავს, ესმის, ტყევა, უყვარს, სძულს, უხარია და სწყყინს. ამიტომ ხან კენესის, ხან იხრავს, ხან ბორგავს, ხან იციინის, ხან სტირის, ჩვენ კი შესეული ვართ ამ ვეებერთელა სულდგმულს მკებნარებევით, ვჩიჩქნით, ვწიწქნით, ვჯიჯვით, ვგლეჯთ, ვკებნთ, დავრბივართ, ვაწუხებთ, და ისე ვაწუხებთ ხანდახან, რომ ველარ ითმენს, შეაერეოლებს ხოლმე ზურგს დაშავებული ჯაგლაგევით, აგვყრის, დაგვყრის ბუზბივით, დაგვინგრევს, მოგვიშლის, წაგვილექს საბუღარს, ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ჩვენ კი გონს მოსულნი ისევ შევესევით, ისევ დავუწყებთ ჩიჩქნას, ძიძგნას, კებნას, ვიდრე კვლავ არ გაიდვიძებს ეს გოლიათი, კვლავ არ მოიფხანს კეფას, კვლავ არ გამოიფხეკს ყურებს, კვლავ არ ამოისრესს თვალებს და არ შეგვაძრწუნებს კვლავ, რათა მერე ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა?..

არა და, ეს თუ ასეა, ის რაღაა, რომ დგახარ მწვერვალზე, ხელს ასწევ ცაში, რომ მზეს მიწვედ, რადგან მზე შენი გვირგვინი გგონია, დაბლა დაიხედავ. ღრუბელი შენს ფერხთ ქვეშ მისცურავს და შენი ფეხის მტვერი გგონია, მიწა შენს ფერხთ ქვეშ წევს და შენი ტერფის ტოლი გგონია. გახედავ ზღვას და ერთი პეშვი გგონია, დაგიბერავს ქარი და შენი ფრთები გგონია, ეძახი ღმერთს.

ნოდარ ლუმაბაძე
ნუ გაშინია, დედა



და ნაპრალებიდან მოსული ეჭო, შენივე ხმით რომ გასაუხოვს, შენი თავი ღმერთი გგონია, და თუ ღმერთია შემქმნელი ყოვლის ამ ქვეყანაზე, ეს დედამიწაც შენი ნაოფლარი, შენი ნასისხლარი, შენი ნაჯაფარი, შენი შექმნილი გგონია. და როდესაც ასე გგონია, კაცი ხარ მაშინ. აი, ახლა, მე საგუშაგოს მაღალ სათვალთვალო კოშკზე ვდგავარ და ზუსტად ასე მგონია, და მე მინდა ისე ბედნიერი ვიყო, რომ სულ ასე მეგონოს. მე არ ვიცი, რას ფიქრობენ ეს ახალგაზრდები, რომლებიც ჩემთან ერთად დგანან ამ მაღალ სათვალთვალო კოშკზე, მაგრამ მე მინდა, რომ ამათაც ასე იფიქრონ...

— შერბინა, რაზე ფიქრობ? — ვეკითხები შერბინას, რომელსაც მობეზრდა იქით მხარეს ყურება, სკამზე ზის და ავტომატის ლულას აპრიალებს სახელოთი.

— აბა, რა ვიცი, რაზე ვფიქრობ, ამხანაგო ლეიტენანტო, ვფიქრობ, უბრალოდ, — მიპასუხა მან ისე, რომ თავი არც აუწყევია.

მაინც რაზე ფიქრობ?
— რა უნდა ვიფიქრო, მალე სამსახურის ვადა მიმთავრდება, ეს ორი წელი ჩემთვის წყალში ჩაყრილი ორი წელია.

— რატომ, შერბინა?
— როგორ თუ რატომ! არც ერთი ჯაშუში, არც ერთი ვასროლა, დიდი დიდი თვეში ერთხელ საგანგაშო შუშხუნა გავისროლოთ, გავვარდებით ცოფიანებივით, ბოლოს, ან დათვი, ან ტურა, ან ქათამი, სულაც მავთულზე შემომჭდარი ყვავი აღმოჩნდება. ეს არის და ეს. შარშან ძლივს ორი უნამუსო თურქი დავიჭირეთ, ვიფიქრე ავშენდით-მეთქი, იმათაც პოლიტიკური თავშესაფარი მომთხოვეს.

— ამ ორ წელიწადში ამდენი რამ რომ ისწავლე, ამდენი მეგობრები რომ შეიძინე, ამდენი ხალხი რომ გაიცანი, ეს არაფერია?

— მაგრამ ორი წელი რად უნდა, ამხანაგო ლეიტენანტო, საკმარისი იყო თქვენსავით ორი თვით ჩამოვსულიყავი

და ამ ორ თვეში, რაც ჩამოთვალე ლაფერს მოვასწრებდი, — თქვა ბინამ და როგორც იქნა ამომხედა.

— კი მაგრამ, ყველამ რომ ასე იფიქროს, საზღვარი ვიღამ დაიცვას, შერბინა? — ვკითხე მე და შევეცადე ხმის ინტონაციით რაც შეიძლება მეტი იდეური დატვირთვა მიმეცა შეკითხვისათვის.

— მაგას ვინ ამბობს, ამხანაგო ლეიტენანტო, საზღვარი ყველამ უნდა დაიცვას, აკი ვიცავთ კიდევაც. მე იმას ვამბობ, რომ მოწყენილობაა, არაფერი არ ღდება.

— მერე, ასე არ ჯობია? — არ მოვეშვი შერბინას.

— არ ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო, ალბათ ასე ჯობია, მაგრამ მე მაინც ისე მირჩევნია.

— მაინც როგორ?

— აი როგორ, ვინმე რომ გადმოვიდეს, დავიჭირო, დედა ვუჭირო, ცხვირით მიწა ვახეწევი, ვუთხრა, სად მოძვრები, ღორო, შენ საბჭოთა კავშირი ლილახანა ხომ არ გგონია. აქ შერბინა დგას საზღვარზე. გენაცვალე, საფრთხობელა კი არა, დედას ვიჭირებ, შე ნაბიჭვარო! — შერბინა წამოდგა და თვალები გაუბრწყინდა. — ერთი და ორი, ერთი და ორი შენს ჯაშუშს, არა და სახლში რომ ჩავალ, რა მოვეყვ, რა ვუთხრა ხალხს, ეს მაზოლი ცხვირზე ჭოგრიტში ცქერი-საგან მაქვს-მეთქი?.. აი, თქვენ, ამხანაგო ლეიტენანტო, მწერალი ბრძანდებით. რომ ჩაბვალთ თბილისში, რა უნდა დაწეროთ, როცა დასაწერი არაფერი გაქვთ? — მკითხა შერბინამ.

— რატომ არ მაქვს? დავწერ, რომ მსახურობდა საზღვარზე ერთი ბიჭი შერბინა, საცრისოდენა თვალები ჰქონდა, რომ იცინოდა, მიწა ზანზარებდა, კლდეები იმსხვრეოდნენ, მდინარეები კალაპოტს ტოვებდნენ. როცა მრისხანებდა, ზღვა უკან იხევდა, მზე ღრუბელს ეფარებოდა, მის ნაკვალევზე უზარმაზარი ორმოები ჩნდებოდნენ. რასაც ხელს შეახებდა, იფშენებოდა... ერთი სიტყვით, მისი შიშით საზღვარს ვერავინ გადმოდიოდა და შერბინას ამიტომ ჯაშუშის

დაქერა ოცნებად ჰქონდა ქცეული... —
შერბინას გაელია.

— ეგ, რაც ბრძანეთ, პარხომენკოს
უფრო მოუხდება.

— მოუხდება და პარხომენკოზე დაე-
წერ.

— იქნებ მართლა იმიტომ არ გადმო-
დიან, რომ პარხომენკოსი ეშინიათ?! —
გაიცინა შერბინამ.

— აბა, შენ რა გეგონა?
შერბინამ უნდობლად ამომხედა,
მერე წელი ჩაიქნია და ავტომატის წმენ-
და განაგრძო...

— შენ რაღას ფიქრობ, ჯაყელი? —
ჯაყელი გაღმა მხარეს თვალს არ აცილე-
ბდა და რაღაცას იწერდა სამორიგეო
ჟურნალში.

— მე იმას ვფიქრობ, ბატონო ვლა-
დიმერ, ის კრეტინი ასკერი რას მემა-
ლება, რომ მემალდება, ხომ იცის, რომ
ვხედავ. — თქვა ჯაყელმა და ჟურნალი
დახურა.

პარხომენკო, როგორც ყოველთვის,
ქვევითაა და სისტიმას ამოწმებს. პარ-
ხომენკო რას ფიქრობს, არ ვიცი, ალბათ
ჯაყელიც არ მეუბნება რას ფიქრობს,
მაგრამ ბევრს რომ ფიქრობენ, ცხადია,
მთელი დღე შეუძლიათ უხმოდ ისხდნენ
ჰოგრიტთან, უყურებენ გაღმა მხარეს,
ყველა ძაღლი, ყველა კაცი, ყველა კატა,
ქათამი, ძროხა თუ ხე, ალბათ თავიანთ
სახლსა და კარს აგონებთ. ამიტომ ხში-
რად სევდიანები არიან. ალბათ ამიტომ
ენატრება შერბინას ჯაშუში... ვინ იცის.
მე მეორე თვეა აქ ვარ და უკვე შემეპა-
რა საზღვარზე ერთფეროვანი სამსახუ-
რის სევდა. წარმოუდგენლად ძნელია
საზღვარზე რამის დაწერა, სული ისე
ღრმად აქვთ ამ ახალგაზრდებს, ასი არ-
ტეზიული ჰის ამოთხრა უფრო ადვილია,
ვიდრე მათ სულში ჩახედვა და იმ წყა-
როს მიგნება, იქ, სულის ფსკერზე რომ
ჟონავს.

სათვალთვალო კომისიის კუთხეში მწვა-
ნე ნათურა აინთო. ჯაყელმა ელსმენი აი-
ლო.

— ამხანაგო ლეიტენანტო, მაიორო
გთხოვთ! — ელსმენს ვიღებ.

— გისმენთ, ამხანაგო მაიორო!

— ამხანაგო ლეიტენანტო, აქ რომე-
ლიდაც ქარხნის დელეგაციაა ჩამოსული
ექსკურსიაზე, საზღვრის დათვალიერება
სურთ, გთხოვთ გაუწიოთ ექსკურსიამ-
ძლოლობა. მე არ მცალია, შიფრს ვკი-
თხულობ.

— ახლავე გეახლებით!

— გმადლობთ. აქ არიან, საგუშავოს
ეზოში, გელოდებიან! — ჩხარტიშვილმა
ელსმენი დაკიდა.

— მოემზადეთ, ბიჭებო, მალე ექს-
კურსანტებს მოგიყვანთ! — ვუთხარი
შერბინას და ჯაყელს.

— გააწყალეს გული, საქმე არა აქვთ!
— თქვა შერბინამ. მე კიბეს ჩავყევი.

საგუშავოს ეზოში ათამდე ექსკურსან-
ტი იდგა, მათ შორის ერთი ნამდვილად
ღირექტორი იყო, ორი ქალბატონი ახლ-
დათ, ერთი ბავშვიანი, ძალიან მსუქანი.
ღირექტორის გვერდით იდგა და მკლავ-
ზე ეყრდნობოდა. მეორე ქალი, შედა-
რებით ახალგაზრდა იყო, კისერზე ორი
ფოტოაპარატი ეკიდა და ხელში ბლოკ-
ნოტი ჰქონდა მომარჯვებული. ჯგუფს
რომ მივსალამე, ბლოკნოტში რაღაც
ჩაიწერა და ორთავე აპარატიდან ორ-
ორჯერ გადამიღო სურათი. ყველას
სათითაოდ ჩამოვართვი ხელი. ყველამ
სახელი მითხრა, ღირექტორმა — გვარი.

— ქალბატონო, თქვენ ეგ აპარატები
და ბლოკნოტი აქ დატოვეთ, ისე წამობ-
რძანდით! — ვუთხარი მეორე ქალბა-
ტონს. დაბნეულმა ქალბატონმა აპარა-
ტები და ბლოკნოტი პირდაპირ ბალახზე
დააწყო, მერე სასოებით გახედა.

— ნუ გეშინიათ, არავინ წაიღებს.

— არა, იმიტომ კი არა, მიწაზე რომ
დავაწყო.

— ორც გაცივდება! დელეგაციას წინ
გავუძეხი. პირდაპირ სასაზღვრო ხაზთან
მივიყვანე ჯგუფი და ექსკურსიამძლო-
ლის მოვალეობის შესრულებას შევუ-
დექი.

— ჩვენი საგუშავოს ისტორია იწყება

ნოღარ ღუზაჰაჰ
ნუ გუზინია, დედა

1922 წლის 20 დეკემბრიდან, დღიდან მისი დაარსებისა, — დავიწყე მე. — საგუშაგო სანიმუშო საგუშაგოდ ითვლება. აქ ბევრმა მესაზღვრემ ისახელათავი, დაკავებულია უამრავი ჯაშუში, საზღვრის დამრღვევი, რომლებიც ფარულად შემოდიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. 41 წლიდან ვიდრე 45 წლამდე ამ უბანზე დაკავებულია 248 სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი, აქედან 85 ძალიან საშიში ჯაშუში, უცხოეთის დაზვერვისა.

— რაო, რა გვინდაო? — მკითხა დირექტორმა.

— სიკვდილი და არ გადარჩენა! — უპასუხა ცოლმა.

— საზღვარი გადის ამა და ამ პარალელზე, ამა და ამ ვერტიკალზე, გადახრილია ამდენი და ამდენი გრადუსით და როგორც ხედავთ, ერთი ძმა გამოღმა ცხოვრობს, მეორე — გაღმა.

— არ ენატრებათ ერთმანეთი? — მკითხა ვილაცამ.

— როგორ არა, ძალიან ენატრებათ!

— ვუპასუხე მე.

— გადმოსვლა არ უნდათ ჩვენსკენ?

— მკითხა იმავე კაცმა.

— როგორ არ უნდათ, სულ ყელგამობდღვნილი გვეხვეწებიან გამოგვიშვითო და ჩვენ არ ვუშვებთ!

— რატომ კაცო, გადმოუშვით, მე შენ გეტყვი, ვერ მივიღებთ, ვერ ვაჭმევთ, ვერ ვასმევთ და ვერ დავხურათ, თუ რა? — დაპირდა კეკუა დირექტორმა.

— ასე ყველა რომ გადმოუშვათ, ჩვენ სად წავიდეთ, ბატონო? მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ იქით. — ვუპასუხე მე.

— იქით გადამსვლელის დედა ვატირე, ჩემდათავად! — თქვა დელეგაციის ერთმა წევრმა.

— გადასვლაზე გამახსენდა, აქედან რომ გადაიბინოს კაცმა, თუ მოასწრებთ დაჭერას? — მკითხა უაპარატოდ დარჩენილმა ქალმა.

— მე მგონი კი?
— მაინც რომ გაგასწოროთ?
— ვესვრით!
— იმათ ტერიტორიაზე გაქვთ მოკვლის უფლებმა? — არ მომეშვა უაპარატოდ.

— არა, მაგრამ, მაინც ვესვრით.
— ზღვით?
— რა ზღვით?
— ზღვით რამდენ ხანში გასცურავს კაცი, აი პლაჟზე რომ ჩავიდეს და უცებ იქით ქნას პირი, რამდენ ხანში გასცურავს?

— გაჩნია, კარგი მოცურავე ხუთ წუთში თურქეთშია!

— თუ დაინახეთ?
— ვესვრით, სულ ერთია, ზღვაშია, ხმელეთზეა, ვესვრით.

— დამე თუ გაცურა?
— თქვენ ქალბატონო, წასვლა თუ გინდათ, რას იკლავთ თავს ამ ზღვაში ცურვით და მავთულებში ბლოტილით, აიღეთ ერთი ასმანეთიანი საგზური და წადით... — უღრჩიე უაპარატოს.

— არა ბატონო, მე ისე, ცნობისმოყვარეობით, თორემ... რა მჭირს იქ დასარჩენი, მშენიერი ხელფასი მაქვს. — დაიბნა უაპარატო.

კოშკისაკენ წავედით. გზაში პარხომენკო შემოგვხვდა პირდაფჩენილი აკბარით. ტანგოს მერე აკბარი ჩააბარეს, ორი ტანგოს ხელა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, სოფლის საგუშაგოს სახელმწიფო საზღვარზე შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. რიგითი პარხომენკო! — მომახსენა მან. თან ძაღლს ძლივს აკავებდა.

— შეგეჩვია აკბარი? — ვკითხე პარხომენკოს.

— დღეს არ უკბენია! — გამიღიმა პარხომენკომ და ძაღლს ლოყაზე ხელი მოუთათუნა. ძაღლი ყურდაცქვეტილი იჯდა და გვერდზე გადმოგდებული ენა მუხლამდე წვდებოდა.

— შეიძლება პირში ხელი ჩავუყო? — იკითხა დირექტორის ბავშვმა და მარჯვენა მკლავი დაიკოტავა.

— ჩაყოფა კი შეიძლება, ცოტა ამოყოფა გაგიჭირდება! — აუხსნა პარზომენკომ. მარჯვენადაკოტავებული ბავშვი დედამ ყურით მოქაჩა და ზურგს უკან აიფარა.

სათვალთვალო კოშკს მივადექით.

— ჯაყელო! ასხენი ხუფი! — ავძახე მე. ხუფი აიხადა. — სამ-სამი ამოხვალთ, მეტი ვერ დავეტევით. — ავუხსენი ექსკურსანტებს. პირველი დირექტორი და ორი ქალბატონი ამობრძანდნენ, რა თქმა უნდა, ბავშვით. მეც ავედი. ჯაყელი გამეჭიმა.

— ამხანაგო ლეიტენანტო!..

— თავისუფლად, ჯაყელო! გაახედეთ ჭოგრიტში სტუმრები და აუხსენით სად რა არის? — ვუბრძანე მე, ჯაყელმა ჭოგრიტი გადასცა უაპარატოდ დარჩენილ ქალბატონს და დაიწყო:

— ჩვენს ქვემოთ, ხელმარჯვნივ, თქვენ ხედავთ მეჩეთს მინარეთით. აფსუს, რომ შეგავგვიანდათ, თორემ ნახევარი საათის წინ მოლა იდგა მინარეთზე და ლოცულობდა...

— როგორ ადის ამისიმაღლეზე? — იკითხა დირექტორის ცოლმა.

— კიბე აქვთ შიგნით დაყოლებული. — აუხსნა ჯაყელმა.

— ამისიმაღლეზე რომ ახვალ, იწამებ ღმერთს, აბა რა იქნება! — თქვა უაპარატოდ დარჩენილმა, ჭოგრიტი მოიშორა და ძალიან ლირიკულად მოჭუტა თვალები.

— რაც უფრო მაღლა ადიხარ, მით უფრო ნაკლებად გწამს ღმერთი, ქალბატონო! — უთხრა ჯაყელმა.

— მართლა? — წარბები აქაჩა უაპარატომ.

— დიახ, ასეა, და რაც უფრო დაბლა ხარ, მით უფრო გწამს ღმერთი. აი, პარზომენკო დაბლაა და მოლასთან ერთად ლოცულობს ხოლმე. მე და შერბინას კი არა. — თქვა ჯაყელმა და შერბინას

გადახედა. შერბინამ თანხმობის ნიშნად გაუღიმა.

— როგორ, აქეთაც ლოცულობს მოლა? — იკითხა დირექტორის ცოლმა.

— რა თქმა უნდა!

— აქვს მერე უფლება? — იკითხა დირექტორმა. განცვიფრებულმა ჯაყელმა და შერბინამ შემომხედეს, მე თვალი ჩავუკარი.

— უფლება არ აქვს, მაგრამ მაინც ლოცულობს. — გაშალა ხელები ჯაყელმა.

— მერე ჩვენ რა ზომებს ვღებულობთ? — იკითხა გაჯაფრებულმა დირექტორმა. ბიჭებმა ისევ შემომხედეს. მე ისევ თვალი ჩავუკარი. ბიჭები მიხვდნენ, სრულ თავისუფლებას ეანიჭებდი და თავი აიშვეს.

— ჩვენ რა ზომები უნდა მივიღოთ? — დაიწყო შერბინამ, — ამას წინათ, ნოტა გავუგზავნეთ თურქეთის მთავრობას, ვწერდით: უთხარით თქვენს მოლას, ჩვენსკენ ნუ იხედება ლოცვის დროს, თუ მაინცდამაინც, თვალეში აუხვიეთო. თურქეთის მთავრობამ ასე გვიპასუხა: მიუხედავად საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა, თქვენს მოთხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგან მოლამ თქვა, იმისიმაღლეზე თვალახვეულს რა ამიყვანსო. რადგან ჭერჭერობით ვერ ვიშოვეთ ისეთი მოლა, რომელსაც თვალახვეული შეეძლოს მინარეთზე ასვლა, ამიტომ თქვენ თქვენი მღვდელი მიაყენეთ მაქედან და რამდენიც უნდა იყვიროსო. — დაამთავრა შერბინამ დიპლომატიური მოლაპარაკება, დირექტორმა ჭერ შერბინას შეხედა ეშვის თვალით, მერე ჯაყელს. ჯაყელს რომ არ გასცინებოდა, ჭოგრიტში დაიწყო ყურება, მე კი ზურგი შევაქციე ორთავეს და უაპარატო ქალს ვუხსნიდი რაღაცას.

— აი, იმ სახლში სოფლის მამასახლისი ცხოვრობს, იმ სახლში მასწავლებელი, ის ლამაზი გოგონა, ეზოში რომ

ნოდარ ღუმაბაძე

ნუ გვიზინა, დედა

დგას, მისი ცოლია. — ჩამოართვა სიტყვა შერბინას ჭაყელმა.

— თუ ხედავთ, აქედან როგორ ეპყრობიან ქალებს? — იკითხა ღირექტორის ცოლმა.

— ძალიან ცუდად. აი, ამ სოფლის მასწავლებელს ხარი არ ჰყავს, გაზაფხულზე შეაბამს ცოლს უღელში და მიწას ახენვეინებს, გუშინწინ ჯამაგირების დღე ჰქონდათ, მთვრალი მოვიდა და სულ სველი ბაწრით ცემა ცოლი. ამბობენ, ბავშვებს ყურებს აჭრის და ჩირად ახმობსო, სოფელი სავსეა უყურო ბავშვებით. — დაამთავრა ჭაყელმა, და თავგასიებულ ბავშვს ქალამანივით ყურზე ხელი მოუთათუნა.

— მერე პასუხს არავინ აგებინებს?

— იკითხა ბავშვის შეშინებულმა დედამ.

— რას ამბობთ, პირიქით, თითო ყურში თითო ღირას აძლევენ! — დაადო ცეცხლის ფასი ყურებს ჭაყელმა. უაპარატო ქალი მიხვდა დაგვეცინიანო და ქვევით ჩასვლა მოითხოვა. შერბინამ ხუფი ასწია. პირველი უაპარატო ქალბატონი დაიძრა ქვევით. დანარჩენებიც მიჰყვენენ.

— შერბინა, შენ და ჭაყელს ცოტა გრძელი ენები ხომ არ გაქვთ? — ვკითხე შერბინას, ექსკურსანტები რომ გავისტუმრე.

— გვაქვს, ამხანაგო ლეიტენანტო! — გამეჭიმა ის.

— მაგისტვის რომ ნაობახში სვამენ, თუ იცით?

— ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო!

— შენ თუ იცი, ჭაყელო? — ვკითხე ჭაყელს.

— როგორ არ ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგის გულისთვის უკვე ორჯერ ვიჭექით მე და შერბინა! — გამიღიმა ჭაყელმა. რაღა უნდა მეთქვა, თავი გავიქინე და ექსკურსანტებს დავედევნე.

შაობდი ერთი თვე. მაშინ მალაროელზე მძიმე პროფესია თუ არსებობდა, მეგონა. 1962 წელს, წნორელ მწყემსებს ვახლდი ლეზაის კარში, და ახიბლარას მალაროში გატარებული დღეები, სამოთხეში ღმერთის კალთის ქვეშ გატარებულ დღეებად მომეჩვენა. მესაზღვრება კი ისეთი რამ ყოფილა, ჩემო სარგის, ლეზაის კარი თვითონ მაღალი ღმერთის სავანედ მომეჩვენა. მესაზღვრეს არ სძინავს, მესაზღვრე არ სვამს, მესაზღვრეს სცივა, მესაზღვრეს სცხელა, მესაზღვრეს სტიკვა, მესაზღვრეს სწყურია. ძილი ენატრება მესაზღვრეს. ხალხში ყოფნა ენატრება, სამოქალაქო ტანსაცმელი ენატრება. ავადმყოფობას ნატრობს მესაზღვრე და არ ხდება ავად. მე და შენ, რაღაც ორ სტრიქონს დავწერთ და ქვეყანა ჩვენი გვეგონია. ჰონორარს ვითხოვთ, ტაშს, პრესას, შეხვედრებს, იუბილეს, საგზურს, დაწინაურებას, თავზე ხელის სმას, ტელევიზორს, ინტერვიუს და, ბოლოს, მთაწმინდას ვითხოვთ. მესაზღვრე არაფერს არ ითხოვს. გმირობას ჩაიდენს მესაზღვრე. თუ შეაქებენ, ხომ კარგი.

— Служу Советскому Союзу!

აგინებ, მაინც:

— Служу Советскому Союзу!

დგება, იცვამს და მიდის. გადახტომა არ შეუძლია, ხტება, კლდეზე ასვლა არ შეუძლია, აღის, ცურვა არ იცის, მიცურავს... მესაზღვრე სულ სხვა რაღაც არის, მესაზღვრეში ერთი გრძნობაა განვითარებული უკიდურესობამდე მძაფრად, გრძნობა, რომელსაც საზღვარი არ აქვს, ეს არის მამულის დაცვის, მიწის სიყვარულის, მზის სიყვარულის, მდინარის, ხევის, ზღვის, ხისა და ბალახის. ყანისა და ვენახის, ციხისა და ტაძრის, ჭვარისა და ხატის, დაცვის, იარაღით ხელში დაცვის, უსიტყვო თავდადების. მოვალეობის გრძნობა. ეს არის მესაზღვრე. ასეთი კაცია ჩხარტიშვილი.

გახსოვს, 1955 წელს, ტყვარჩელში, ახიბლარას ქვანახშირის მალაროში ვმუ-

დღეს მეუღლე ჩამოუვიდა ჩხარტიშვილს სოხუმიდან, ძალიან სანდომიანი



და ლამაზი ქალი. ფინჯან ჩაიზე მიმიპატიეხს.

ვზივარ ჩხარტიშვილის პატარა ოთახში და, ოჯახურ სითბოს დანატრული, ღუმელთან გაწოლილ ფისოსავით ვხაზავ თვალებს, ვნებივრობ და ფინჯანიდან ამოსულ ჩაის სურნელსა და ორთქლს ვსუნთქავ. ფილტვები ისე მებერება ამ სურნელითა და ორთქლით, რომ ამოსუნთქვა აღარ მინდა. ოთახის კუთხეში მდგარ ჭრელსაბანგადაფარებულ საწოლს რომ ვუქცევ, რული მეპარება. ჩხარტიშვილი ჩაფიქრებული ზის და ფინჯანში კოვზს ურევს მონოტონურად. არაფერს არ ამბობს, იგი საერთოდ არასდროს არაფერს არ ამბობს, თუ არ ჰკითხავ. მისი ცოლი ოთახის მეორე კუთხეში ზის, მუხლებზე მკლავებდასვენებული და ისიც ქმარით უხმოდ თვალყურს გვადევნებს. საოცრად ლამაზი, სევდიანი და მორჩილი თვალები აქვს.

— ქალბატონო ნინო, მობრძანდით, ჩვენთან დაჯექით! — ვთხოვ მე.

— არა უშავს, მე აქედან გიყურებთ, თქვენ მიირთვით! — მპასუხობს იგი და ქმარს თვალს არ აცილებს.

— მოდი, ნინა, დაჯექი! — ეუბნება ჩხარტიშვილი.

— ყავას მოვხარშავ და მოვალ! — ამბობს ნინო და სამზარეულოში გადის.

— ცოდვია, ძალიან მეცოდება, თხუთმეტი წელია ჩემი ცოლია, თითქოსდა კარგი ქმარი ვარ, ჯამაგირს კანკ-კანკ ვაძლევ, მე აქ რაში მჭირდება, საგზურს ვუღებ ყოველ წელს, საზღვარგარეთაც იყო სამჯერ. ბათუმში ახალი ბინა მივიღეთ, ავეჯი დეყიდე რიგის, გოგო მუსიკალურ ტექნიკუმში გვყავს, ღვინოს მე არ ვსვამ და არაყს, შარშან დაბადების დღეზე კაბა ვუყიდე, ჩამეკრო გულში და ტირილი დაიწყო. ვეკითხებო: — რა გატირებს-მეთქი. ხმას არ იღებს, მეკვრის და ტირის, ეტყობა სხვა რაღაც სჭირდება ქალებს, გარდა ჩმისა, რომ ქმარი ჰყავს და არაფერი არ აქლია. კიდეც რაღაც, დასწყევლოს ღმერთმა, სიყვარული თუ სჭირდება, თავზე უფ-

რო მიყვარს, რაღაც სჭირდება ქალს კონიაკი დევ, ეტყობა ისე ვარ მოწყობილი, რომ რაღაც მაქლია და ვერ ვხვდები, თვითონ კი არაფერს მეუბნება, არაფერი მაქლიაო, ამბობს, ბედნიერი ვარო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ არ არის ბედნიერი, ტყუილს ამბობს, მეცოდება, ძალიან მეცოდება. — ჩხარტიშვილმა კონიაკი დამისხა, თვითონაც დაისხა და მომიჯახუნა.

— რას იტყვით, ბატონო ვლადიმერ? — მკითხა მან. მე მხრები ავიჩეჩე და კონიაკი მოვსვი.

— რა გითხრა, ჩემო ალიოშა, მთელი მსოფლიოს მწერლები, კაცობრიობის გაჩენის დღიდან ამაზე სწერენ და ექვებენ, რა სჭირდება ქალს, რა აქლია ქალს, რა ჰქვია იმ რაღაცას, რაც შენ და მე გვაქლია და ვერ ვგვრძნობთ, არის თუ არა სიყვარული ის, რაც ჩვენ გვგონია და დღემდე პასუხი ვერ გაუციათ, აბა, რა ვიცი?!..

— თქვენ მაინც რა გგონიათ? — მკითხა მან. ოთახში მისი მეუღლე ნინო შემოვიდა და თითო ფინჯანი თურქული ყავა დაგვიდგა.

— მიირთვით, ჩაის არ სვამთ, იქნებ ყავა გესიამოვნოთ. — თქვა მან და ისევ კუთხეში დაჯდა.

— მოდი, ჩემთან დაჯექი! — უთხრა ჩხარტიშვილმა, ქალი მივიდა და გვერდით დაუჯდა, ჩხარტიშვილმა მხარზე ხელი მოხვია და თავისკენ მოხიდა.

— კარგი, ალიოშა, რამ გაგაგიჟა! — უთხრა ქალმა, გვერდზე გაიწია და გაწითლდა.

— აი, ხომ ხედავთ, ბატონო ვლადიმერ? — მითხრა მან და უხერხულად გაიღიმა, — რაღაც გვაქლია.

— ყველაზე მარტივი, ყველაზე უბრალო, ყველაზე პრიმიტიული ქალიც კი, ჩემო ალიოშა, მამაკაცის გონების სფეროს მიღმა დგას. ამიტომ ტყუილად ნუ მოვიკლავთ თავს, მაინც არაფერი

ნოდარ ღუმბაძე
ნუ ვაზინია, დედა

გამოვა. თქვენი სადღეგრძელოა, ქალბატონო ნინო! — ვთქვი მე და დავლიე.

— მაღლობელი ვარ! — თქვა ქალბატონმა ნინომ და კონიაკით სავსე ქმრის ჭიქა მომიჯახუნა, ვიღრე დაღვამდა, ერთი წამით დაფიქრდა, მერე უცებ გადაჰკრა და ცარიელი ჭიქა ქმრის წინ დადვა.

— მაგისტვის არ შეიძლება. — ბოლიშის მოხდით თქვა.

— ერთი ჭიქა რას უზამს? — ვკითხე მე.

— მესაზღვრე, ნაგაზივითაა, ერთი ჭიქა და ყნოსვას დაკარგავს. — გაიღიმა მან. მე ჩხარტიშვილს შევხედე.

— ერთი ჭიქა არაფერს ნიშნავს, ყნოსვაზე არ მოქმედებს, ორი ჭიქა კი ბევრია, დამისხი, ნინა, შენს სადღეგრძელოს დავლევ! — სთხოვა ჩხარტიშვილმა. ნინომ დაუსხა. ჩხარტიშვილმა ჭიქა აიღო.

ბატონო ვლადიმერ! — დაიწყო მან. — მე მინდა ჩემი ნინას სადღეგრძელო შევსვა. არ მეხერხება სადღეგრძელოების თქმა, მით უმეტეს ლამაზი სადღეგრძელოების. ნინო რომ გავიცანი, დღესასწაული იყო. შეფობა ჰქონდა ამით სკოლას ჩვენს სასწავლებელზე. უმცროსი ლეიტენანტი უნდა გავმხდარიყავი. მოვიდნენ ყავისფერკაბიანი, თეთრხალათიანი და ვარდისფერბაფთიანი გოგონები. ბევრნი იყვნენ. ყველანი ცეკვავდნენ. რაზმის ორკესტრი ვალსს უკრავდა.

მაშინ ვეცეკვე და თავბრუს დავახვიე იმდენი ვატრიალე. ერთი თვის შემდეგ მიიხრა, საფლავში ჩაგყვებო, საფლავი რაა, ისიც არ მქონდა მაშინ, მაინც წამომყვა. მამამისმა დუელში გამიწვია, როგორც მცირეწლოვანი გოგონას მაცდუნებელი. დუელზე „ვოროშილოვსკი სტრელოკის“ სამკერდე ნიშნით მოვედი. შეეშინდა და შემირიყდა. იმ დღიდან თხუთმეტი წელი გავიდა. შარშან უბედურება შეგვემთხვა. ჩვენს სოფელში, ამ რამდენიმე წლის წინ, კაცი ჩამოვიდა, დიდებული უსტა, რაც ამ სო-

ფელში ლამაზი სახლებია, სულ აშენებულია. ჩამოვიდა და სოფლისკენადაც დასაშალდა. ერთიმეორეზე ლამაზ სახლებს აშენებდა. სოფელმა გვთხოვა, კომლად ჩავვიწერეთო. დმერთს გეფიცები, არ მინდოდა, მწვანე თვალები ჰქონდა, გველის. რომ იღიმებოდა, მართო ტუჩები უღიმოდა, თვალები და სახე ისევ ისე ქვასავით გაყინული ჰქონდა. არ მინდოდა. სოფელმა მოითხოვა და მივიღეთ სოფლის წვერად, კომლად. დასასხლდა. ერთი წელი როგორც ანგელოსი, ისე დაფრინავდა, სახლის ერთი სახურავიდან მეორეზე, აშენებდა, აგებდა, ღებავდა, ღობავდა, ალამაზებდა და ამშვენებდა სოფელს. ერთხელ მოვიდა ჩემთან, მეუბნება.

— ამხანაგო მაიორო.

ვუშინ ქვრივ ფერიდეს სახლის ბალავარს რომ ვამაგრებდი, ეზოს ბოლოში შევნიშნე, სასაზღვრო ღობის ქვეშ, ღვარს მიწა გაუთხრია ისე, რომ კაცი გაეტევა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამოავსეთო! — ვუყურებ, მიღიმის, ისევ გველის მწვანე ღიმილით. რა ექნა? წავედი, ვნახე. მართალია. ამოვავსეთ ნაღვარევი. მაღლობა გამოვუცხადე ბრძანებით, წარჩინებული მესაზღვრის ნიშანზე წარვაღვინე. შემოდგომაზე, მანდარინი რომ გაყვითლდა ბაიასავით, ფერიდეს სახლი მზად ჰქონდა. სვეტების შეღვსვალა აკლდა. ფერიდესთან ავედი, ვიფიქრე, ვნახავ რა ხდება-მეთქი. ფერიდე წმინდანოვით ქალია. ჰოდა, ავედი. ვხედავ, უსტა ზის და არაყს წრუბავს, ფერიდე ხელსაქმობს.

— ამხანაგო მაიორო, დაბრძანდით! — მეუბნება, — ერთი ხელი ჭადრაკი ვითამაშოთ. — დავკეტი. არაყი დამისხა.

— ფერიდეს სახლის ჭერს გაუმარჯოს! — თქვა მან.

დავლიე. არ უნდა დამელია; მაინც დავლიე.

— ახლა, — მეუბნება, — ვითამაშოთ. თეთრები გნებავთ, თუ შავები?

— შავები! — ჭადრაკს ცუდად ვითამაშობ, ვიფიქრე შავები ჯობია, ჯერ ერთი პეტროსიანი სულ შავებით იგებს,

მერეც მეორე, რასაც თეთრები ითამაშებენ, ზუსტად იმას ვითამაშებ-მეთქი. დავიწყეთ. მეათე სვლაზე შევატყვემზავრავს. ამ ტილიანმა როგორ უნდა მომიგოს-მეთქი, ვიფიქრე და გუნებაში ღმერთს ვთხოვე: ოღონდ ახლა მომაგებინე და რაც განდა დამავალე-მეთქი. გაიკონა ღმერთმა. ათი ხელი მოვუგე ზედოზედ. ხმას არ იღებდა, ოღონდ ეს კი იყო, საათზე იცქირებოდა ხშირ-ხშირად. თორმეტს რომ ათი წუთი აკლდა, ახალი პარტია დავიწყეთ. შავებით თამაშობდა. ხუთ წუთში სვლა არ მქონდა. ექვს წუთში დედოფალი წაიღო. შვიდ წუთში ჩანგალი გამიკეთა და კუ ამართვა. რვა წუთში ჩემს მხედარს ლაგამი ამოსდო და მეათე წუთზე ისე დამაშამათა, სირცხვილისაგან რა მექნა, არ ვიცი.

— კიდევ ვითამაშოთ! — ვთხოვე მე.

— ათით ერთია, ამხანაგო მაიორო, თქვენს სასარგებლოდ. ხვალ გავაგრძელოთ, — თქვა მან და ადგა.

— ძილი ნებისა! — დავემშვიდობა მე და ფერიდეს.

— ძილი ნებისა! — დავემშვიდობე მე.

— ფერიდე, დილით ადრე მოვალ, ხელსაწყოს შენთან ვტოვებ. — უთხრა და გავიდა. მეც დავემშვიდობე ფერიდეს და გავედი. სოფლის წყაროსთან დავცილდით ერთმანეთს. საათს დავხედე. პირველის ათი წუთი იყო, განწყისის გამოცვლის დრო.

— ძილი ნებისა, ამხანაგო მაიორო! — მეუბნება.

— ძილი ნებისა, იაკობაშვილო! — ვეუბნები. ერთი გული მქაჩავს, დარჩი, არ წახვიდე, უთხარი რომ გველივით მწვანე, ცივი თვალები აქვს და არ ენდობი. მეორე გული მქაჩავს. ორასი გრამი დაღეული გაქვს, ჩხარტიშვილო, ეკვი შენი პროფესიაა, მაგრამ ნამეტანის უფლება არ გაქვს. ახლა არ მახსოვს, მგონი გამომშვიდობებისას ვაკოცე კიდევაც. საგულშაოზე დაგბრუნ-

დი, ჯგუფები განვაწესე, მერე სახლში შევედი და ნინოს ვეუბნები:

— იაკობაშვილი გველია, ათი ხელი ჭადრაკი განგებ წამიგო, ბოლოს გამაბითურა.

— დაიძინე! — მეუბნება, — წაგება და მოგება და-ძმანი არიან!

პირველად ჩემ სიცოცხლეში არ დავუჭერე. მაკაროვი გამოვიღე სეიფიდან და პირველ ხაზზე წასასვლელად მოვემზადე. — ჩხარტიშვილმა კონიაკი დამისხა. თვითონ ცივი ყავა მოსვა.

— არ გინდა, ალიოშა, — სთხოვა ცოლმა.

— მოიცა, ნინა, ხომ იცი, პირველად ვყვები, ბატონმა ვლადიმერმა უნდა იცოდეს.

— არ გინდა, ალიოშა! — შეემუდარა ცოლი.

— მინდა! — ისე სთქვა ჩხარტიშვილმა, რომ მიეხვდი, ეს ბოლო თქმა იყო.

— ფარნის ალება ვერ მოვასწარი, მორიგე მოვარდა და მომახსენა, — ამხანაგო მაიორო, სისტემა ამუშავდა ქვრივის ზონაში. — გულში დენმა გამიარა, რომ არ წაექეუთოყავი, მაგიდას დავეყრდენი ორთავე ხელით. — ნინა, მიშველე! — ვთქვი და გავვარდი. მთელი საგულშაგო ფეხზე იდგა. ფერიდეს ეზოს ბოლოში ვილაცას ჭიქურ ეცადა გასვლა:

— შუშხუნები! — ვიყვირე მე. წითელმა და თეთრმა შუშხუნებმა დღესაც ვით გაანათეს საზღვარი. პისტოლეტით ხელში გავვარდი მავთულხლართისკენ. ჩემს წინ კაცი გარბოდა. ინტუიციით მიეხვდი, რომ ის იყო. შვიდიღვე ტყვია დავწვი. იგი გარბოდა ჩემს წინ თხუთმეტითღვე მეტრში და მე ტყვია აღარ მქონდა, რომ მომეკლა. მის სიკვდილს აღარ დავეძებდი, არ მქონდა ტყვია, რომ თავი მომეკლა. სუნთქვა აღარ მყოფნი-

ნოდარ დუმბაძე
ნუ გაუიწინა, დედა



და, მიედედი და ვხედავდი, როგორ მშორდებოდა დამფრთხალი ლანდი. წუთიც და ის კაცი გაუჩინარდებოდა. მაშინ დავემხე პირქვე და მიწა შევქამე. ეს იყო ომი. მე ვტიროდი, როგორც არაკაცი, გაბითურებული და შერცხვნილი. უცებ მომესმა ავტომატის ჯერი, მოკლე ჯერი. თავი ავწიე, ლანდმა ორთავე ხელი წელზე იტაცა და შეტორტმანდა. მოკლე ჯერს გრძელი მოყვა და ლანდი გულაღმა ამოტრიალდა.

— ალიოშა, ადექი, ალიოშა, ადექი, ალიოშა, ადექი! — ჩაქუჩის დარტყმებით ჩამესმა ყურში. და მე ავდექი. მერე მახსოვს, როგორ მოვათრევედი გვამს სოფლის შარაზე, და როგორ მომყვებოდა ზურგით, უკან-უკან, ავტომატმომარჯვებული კაცი. მეტა არაფერი არ მახსოვს, — თქვა ჩხარტიშვილმა და კონიაკი დაასხა, ამჯერად თვითონ დალია. ნინო თავჩაღუნული იჯდა.

— კაცი შენ ყოფილხარ! — ვუთხარი მე და ჭიქა მივუჭახუნე.

— ის კაცი ნინა იყო! — თქვა ჩხარტიშვილმა. ნინო აღვა და ოთახიდან გავიდა.

— ვერ მოუწელებია, კაცის მკვლელი ვარო, ერთადერთ ნუგეშად ის აქვს, რომ ჩემთვის გააკეთა! — თქვა ჩხარტიშვილმა.

— მერე? — ვკითხე მე.

— რა მერე? — კითხვითვე მიპასუხა ჩხარტიშვილმა.

— რა მოხდა მერე?

— მერე, ის იაკობაშვილი, გვარგამოცვლილი, ისეთი ჯაშუში აღმოჩნდა, რომ მე და ჩემი ცოლი დაგვაჯილდოვეს. ნინას სადღეგრძელოს მოგახსენებდით, ბატონო ვლადიმერ. ცოლად რომ მომყავდა, დაეასახლებდი მეგონა, კაცის მკვლელი გავხადე. ვერ მოინელა, დღე არ არის,

არ იტიროს, დამე არ არის, არ მინატრებს ლოგინიდან. არ ვიცი, როგორ ვანუგეშო, სხვა მის ადგილზე, დაიკიდება იმ ორდენს და პროფკავშირის კრება რომ პროფკავშირის კრებაა, იმის პრეზიდიუმს არ გააცდენდა. ეს ჩემი ცოდვით სავსე კი ზის და ტირის, არ ვიცი პირდაპირ რა ვქნა. ნინა, მოდი აქ, ნინა, ბატონ ვლადიმერს სიტყვა აქვს სათქმელი! — დაუძახა ჩხარტიშვილმა.

ნინო შემოვიდა და ოთახის კუთხეში დაჯდა ისევე ჩუმად, როგორც თავიდან და საოცრად ლამაზი, მორჩილი, ცრემლით სავსე თვალები, ყურადღებით მომაპყრო.

— ქალბატონო ნინო! დავიწყე მე და ფეხზე ავდექი. — მე, ქალბატონო ნინო, მე იმ დღეს ვლოცავ, როდესაც თქვენ... ბატონო ალიოშა, თუ შეიძლება, როგორც ჩემს დას, თქვენს მეუღლეს ვაკოცო? — ვთქვი და მივხვდი, რომ ძალიან სასაცილო ვიყავი. ჩხარტიშვილმა გამიღიმა და თავი დამიქნია. მე მივედი ქალბატონ ნინოსთან, მსურვალე საფეთქლებზე ხელი მოგვიდევ და შუბლზე ვაკოცე. მერე ადგილზე დავბრუნდი და სიგარეტი გავაბოლე. ქალბატონი ნინო აღარ ტიროდა, იღიმებოდა, მაგრამ თვალები ცრემლებით ჭკონდა სავსე.

— სულ ვეუბნები, შენ კაცის მკვლელი არა ხარ, ის კაცი კაცი არ იყო-მეთქი. — მითხრა ჩხარტიშვილმა. — მე უაზროდ გავიციე და ავდექი.

— ნახვამდის! — ვთქვი.

— ძილი ნებისა! — მითხრა ჩხარტიშვილმა. — ბატონო ვლადიმერ, როგორ ბრძანეთ წიდან? ყველაზე მარტივი, ყველაზე უბრალო, ყველაზე პრიმიტიული ქალიც კი მამაკაცის გონების სფეროს მიღმა დგასო, არა?

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე

ოთახი, რომელშიც მე ვცხოვრობ, აღრე სამეურნეო ოთახი იყო. მრეცხავი ქალი ამ ოთახში ზეწრებს, ბალიშისპირებსა და საცვლებს უუთოებდა ჯარისკაცებს. ტანსაცმელს ჯარისკაცები თვითონ იუთოებენ. ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით ოთახში დიდი არაფერი ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ ერთი ძველი სავარძელი და ერთი საწოლი შემოიტანეს. მაგიდა ისევ ის დარჩა, უსაშველოდ გრძელი. გახურებული უთოს კვალით აქრელებული, საწერი ქაღალდი მე თვითონ ჩამოვიტანე, მაგრამ ჩხარტიშვილმა იმდენი დამახვედრა. მაგიდის მეორე თავში დაზვიანულს რომ ვუყურებ, ძალაუნებურად მეციხება. ჩხარტიშვილი რამდენჯერაც შემოვა ჩემთან, იმდენჯერ თვალს გააპარებს ქაღალდის ზვინისაკენ, აბა თუ მოაკლდაო. და მეც, ჩხარტიშვილის ხათრით, იძულებული ვარ ყოველდღე მოვაკლო ამ ზვინს გარკვეული რაოდენობა და ჩუმად გადავყარო. მაგრამ რამდენი? ორ თვეში ამის გადაყრას მე კი არა, მთელი მწერალთა კავშირი ვერ მოასწრებს.

ამ წერილს, სარგის, ჩხარტიშვილის ქაღალდზე გწერ, ვუზივარ გრძელ მაგიდას თავში, ყველასაგან მიტოვებულ თამადასავით და იმის დარდი მკლავს, ბოლო ყანწის არ იყოს, ამ ქაღალდს რა გამოცლის. ღამის სამი საათია. ვდგები და ფანჯარას ვაღებ. ჩემი ფანჯარა პირდაპირ ზღვას უყურებს. წყნარი ღამეა. ცა სავსეა ვარსკვლავებით, ზღვა თითქმის არ იძვრის, ისე მშვიდად სუნთქავს, ძინავს ზღვას. მარტო მოტორის მონოტონური გუგუნნი არღვევს სიწყნარეს. ეს პროექტორების მკვებავი მოტორია. მთავარი პროექტორი, უზარმა-

ზარი ციკლოპის თვალივით ანთია, აი ახლა, მისი შუქი ზღვის ნაპირზე წვეს. რამდენი კენჭია სანაპიროზე, დაითვლი. შუქი ცახცახებს, ზანტად იძვრის ნაპირიდან და უცებ ვეებერთელა თეთრი ზეწარივით ეფინება ზღვას. ამ დროს ზღვა ერთი პეშვი წყალივით ხელისგულზე ციმციმებს და რა ხდება ზედ, ყველაფერს ხედავ. მერე პირდაპირ საზღვრის გასწვრივ წვება შუქი. ახლა იგი ნაწვიმარზე ალაპლაპებულ შარას გავეს. ზღვაში შემავალ უშველებელ, დაუსრულებელ შარას და უცნაური სურვილი მებადება გავიდე, დეაღგე ამ შარას ფეხშიშველი და ვირბინო ვიდრე არ დამთავრდება. დასაწოლად ვემზადები. ვილაც კარებზე მიკაყუნებს. მიკვირს ვინ უნდა იყოს ამ შუალამეზე. კარს ვაღებ. ჩხარტიშვილი დგას კარებში.

— ბატონო ვლადიმერ, ჭოროხიდან დარეკეს, კაცის კვალია აღმოჩენილი ნაპირზე. სათვალთვალო პუნქტები უნდა გავაძლიეროთ, მე და ჩემი ლეიტენანტები კვალს გავყვებით, თქვენ თქვენს ბიჭებთან ერთად ზღვის ნაპირს გაუწევთ ინსპექციას.

— გასაგებია, ამხანაგო მაიორო!

— ბიჭები უკვე მზად არიან.

— გასაგებია!

— ფრთხილად და წყნარად, არავითარი ხმაური და პანიკა. შეუდექით სამსახურს!

— არის შევუდგე სამსახურს!

ჯაყელი, შერბინა და პარხომენკო ეზოში დამხვდნენ, მეორე ჯგუფი უკვე ეზოდან გადიოდა, ზღვის ნაპირზე გავედით, სამ მესაზღვრეს სადგომიდან მოტორიანი ნავი გამოჰქონდათ. მივეხ-

ნოღარ დუმბაძე

წუ გეზინია, დედა



მარეთ და ზღვამდე ჩავატანინეთ. სამთავე ჩასხდა, ერთმა ღვედი მოქაჩა და მოტორი ათუხთუხდა, ნავმა ცხვირი ასწია და სიბნელეში შესცურა. პროექტორებმა ზღვა სარკესავით გაანათეს, მთავარი პროექტორი ისევ სანაპიროზე გაწვა და ანთებული თვალი მიაპყრო კლდოვან ნაპირს. პროექტორის შუქს ვაყვებით, წინ პარხომენკო მიდიოდა.

— ეძებ, აკბარ, ეძებ, გენაცვალე! — ეჩურჩულებოდა პარხომენკო. ყურებდალურსული აკბარი დაძრწოდა ნაპირზე და კენჭს არ უშვებდა დაუწყოსავს. ავტომატმომარჯვებული ჯაყელი პირდაპირ ზღვის პირს მიჰყვებოდა. შერბინა — პლაჟის კლდოვან დასასრულს, მე შუაში ვიდექი, ცოტა უკან, ასე რომბისებურად მივდიოდით. კლდეს მივადექით. ამის იქით პროექტორის შუქი მკვლარი იყო, შავი, უზარმაზარი კლდე პირდაპირ ზღვაში შედიოდა, მარჯვნიდან ბილიკი გასდევდა, ბილიკი უღებურ კატაბარდებში იკარგებოდა. მივყევით ბალახს. ახლა წეროებივით ერთ მწკრივად მივდიოდით. ისე ბნელოდა, ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით. მხოლოდ ბარდების გლეჯის ხმითა და მძიმე სუნთქვით ვხვდებოდით, ვინ სად იყო. ფარნები ავანთეთ.

ეს დამე, სარგის, საშინლად ჰგავდა კუკუდამალობანას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს იყო სიკვდილისა და სიცოცხლის თამაში და არაფერი იცოდა, რომელი გაიმარჯვებდა. ამ ტყეში იმალებოდა კაცი, რომელიც სიცოცხლის ფასად უნდა გვეპოვნა, და ის კაციც, ალბათ, სიცოცხლის ფასად აპირებდა ჩვენი ხელიდან დაძრომას.

პარხომენკოს ხმა აღარ მესმოდა, იგი წინ წასულიყო.

— ჯაყელო, სად ხარ? — ფრთხილად ვეძახი.

— აქ ვარ, ამხანაგო ლეიტენანტო!

— მპასუხობს სადღაც ქვევიდან.

— პარხომენკო სად არი?

— წინ წავიდა, ძალით, თუ კვალს მიაგნო, ნიშანს მოგვეცემს.

— შერბინა?

— შერბინა სადღაც ზევით არის მცემს.

— შერბინა! — ვეძახი. ხმას არავინ მცემს. — დასწყევლოს ღმერთმა, სად წავიდა.

— ეი, შერბინა! — დაუძახა ჯაყელმა.

— ეი! — გაისმა პასუხი შორიდან.

— სად წასულა ეს უპატრონო, იმ კლდეებში რა უნდა, თხა ხომ არ არის! — თქვა ჯაყელმა, — ეი, ეი, ჩამოდი, ჩამოდი! — შეუძახა ისევ. პასუხი არავინ გასცა. ისევ დავიძარით წინ. მივბობლავ უზარმაზარ ლოდებზე, ბარდი და ეკალი ტანსაცმელს მგლეჯს, უკან მქაჩავს.

— ეი, ჯაყელო, სად ხარ?!

— აქ ვარ! — მესმის სულ ქვევიდან. რა შორს წასულა, ვფიქრობ. აბა ერთი შერბინას დავუძახო.

— შერბინა! — პასუხს არავინ მცემს. პარხომენკოს სულ ერთია, ხმას ვერ მივაწვდენ. ერთად უნდა გვეარა, მაგრამ აქ ერთად როგორ ივლი? შიშმა ამიტანა, ჯერ შემოტყუება, მერე თავს შეეუძახებ, არაფერმა მიშველა, უფრო შემეშინდა. მაკაროვი ბუდიდან ამოვიღე და ისევ დავიძახე:

— ეი, შერბინა, ჯაყელი, პარხომენკო! სად ხართ, ხმა გამეცით!

— ეჭპეჭე! — მიპასუხა ვილაცამ. უკვე ვეღარ ვარჩევდი, რომელი იყო. ამ კლდეებს და ბარდებს რომ გავალ, კოლმეურნეობის მანდარინის ბაღია, ცოტას შევიმუხლებ, გამშრალ პირსაც ვავისველებ. ბიჭები უკვე იქ იქნებიან, ლოდზე შევდექი და ფარნით ჩემს გარშემო ადგილი მოვისინჯე, წინ პატარა ბოვირი იყო, კლდიდან გადმოვარდნილ ჩანჩქერზე გადებულნი. ამას ვავალ და ბაღი იწყება, შვებით ამოვისუნთქე. უცებ ჩემს ზემოთ რაღაც ჩამოიშალა, ჩამოინგრა და გრიალით დაეშვა დაბლა. — ქვა მოწყდა, გამიელვა თავში და კლდეს ამოვეფარე. ვეებერთელა ქვამ გვერდით ჩამიქროლა და გრიალით დაეხეთქა სადღაც ქვევით, ზღვის პირას.

— ეჭეი, ვაგიყდით! — იკვილა ქვევიდან ჯაყელმა.

— ეჭვი! — გამოეხმაურა პარხომენკო და მას აკბარის ბოხი, ზარივით ხმა შეუერთდა.

— ეჭვი! — ვიყვირე მეც, და ფარანი ზევით ავიშვირე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. — შერბინა! — დავიძახე ფრთხილად. ხმა არავინ ვამცა.

— შერბინა! — დავიძახე ხმამაღლა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ბინა... ბინა... ბინა... სამჯერ მიპასუხა ეჭომ.

საშინელი წინათვრძობისაგან ყრუ-ანტელმა დამიარა.

— შერბინა! — ვიყვირე რაც შემეძლო ხმამაღლა. ისევ მხოლოდ ეჭომ მიპასუხა. პირი გამიშრა, ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

— ჯაყელი! — ვიყვირე უცებ. — ჯაყელო, ჩამოდი ჩემთან!

— ეჭე, მოვდივარ, — მიპასუხა ჯაყელმა ქვევიდან.

— მალე, მალე მოდი! — ხუთ წუთში ჯაყელი ჩემთან გაჩნდა.

— შერბინა არ არის! — ვუთხარი მე.

— როგორ თუ არ არის? — მკითხა მან.

— არ არის!

— შერბინა! — დაიძახა ჯაყელმა და ყური მიუგდო. ხმა რომ არავინ გასცა, გაკვირვებულმა შემომხედა.

— შერბინა! — ისევ დაიძახა ჯაყელმა და ისევ მიუგდო ყური, — შერბინა, შერბინა, სად ხარ, გამოდი, შერბინა, შერბინა, ნუ მაიმუნობ, გამოდი, პეტრო, პეტრო!.. — და უცებ ჯაყელი გაშრა, ავტომატი დააგდო და კლდეზე ასვლა დაიწყო, — შერბინა, შერბინა, სად ხარ! — დროდადრო იძახდა იგი.

— ჯაყელო, დაბრუნდი! — ვუბრძანე მე. მან ყურადღება არ მომაქცია. გზა განაგრძო.

— შერბინა, შერბინა! — იძახდა იგი შემშინებული ხმით. ბარდებიდან აკბარმა გამოყო თავი, მას პარხომენკო მოჰყვა.

— რა ამბავია. ამხანაგო ლეიტენანტო? — მკითხა მან, სულს ძლივს ითქვამდა.

— შერბინა დაიკარგა!

— როგორ დაიკარგა? — მკითხა მე. ზევიდან ჯაყელი ჩამოფორთხდა.

— არ არის! — თქვა მან.

— როგორ არ არის? — ჰკითხა პარხომენკომ.

— ძალღი აუშვი, ეძებოს! — უთხრა ჯაყელმა და ქვევით გაიქცა.

პარხომენკომ ძალღი აუშვა.

— ეძებე, აკბარ, შერბინა, ეძებე! — უთხრა მან. ძალღი სიბნელეში გაქრა.

— შერბინა, შერბინა, შერბინა, პეტრო, პეტრო! — ისმოდა ჯაყელის ხმა. მერე უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა, წუთს, საათს თუ ორ საათს, მე მთელ ცხოვრებად მომეჩვენა, ბოლოს სიჩუმე დაირღვა, ქვევით ზღვის პირას აკბარი ყეფდა, იგი არ ყეფდა ისე, როგორც ასწავლიან საზღვარზე, მოკლედ, გარკვევით, სამჯერ. იგი ყეფდა როგორც ნაცემი და ყოველ დაყეფებას საზარელ ყმუილს აყოლებდა.

შერბინა ორი დიდი ქვის შორის იწვა გულაღმა, ზეწარივით თეთრი, თეთრი და ქვედა ტუჩის კუთხეში სულ ცოტა სისხლი მოჟონავდა, მის წინ მუხლებზე დაჩოქილი ჯაყელი, გახსნილ მკერდზე ფრთხილად უსვამდა ხელს და ჩურჩულით ელაპარაკებოდა:

— რაო, ბიჭო პეტრო, გტკივა, პეტრო? ხმა ამოიღე, ბიჭო, პეტრო, შენი ჭირიმე, პეტრო, თქვი რამე, რა მოგივიდა, ამოიღე ხმა, გაახილე თვალი, ჩემო შერბინა, არ გრცხვენია, ლომი არა ხარ, ბიჭო? ამოიღე ხმა, შენი ჭირიმე, მითხარი რამე. შერბინა, შერბინა, შემხედე, ბიჭო, ჯაყელი ვარ, შენი ძმა. ჯაყელი, აგერ, პარხომენკოც აქ არის, პეტრო... — ჯაყელი ტიროდა, ტიროდა ბავშვივით, ზღუქუნებდა და ეხვეწებოდა, შერბინას ხმა ამოეღო და თვალები გაეხილა, შერბინა კი იწვა უსიტყვოდ, დახუჭული ქუთუთოები უთრთოდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა საფეთქლებზე.

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეზინია, დედა

— ბიჭო პეტრო, მითხარი რამე! — ეხვეწებოდა ჯაყელი და საფეთქლებზე ხელისგულით ცრემლებს უმშრალებდა. უცებ შუშხუნა გავარდა. ყველამ მალლა ავიხედეთ, შუშხუნა წამით ვარსკვლავით დაეკიდა ცაზე, მერე ტაატით დაეშვა დაბლა და ისედაც გაფითრებული სახეები თეთრად გაუნათა ბიჭებს.

— ბიჭო, გაახილე თვალი, ნახე, დაიჭირეს, თეთრი შუშხუნაა, ბიჭო პეტრო, გაახილე თვალი, დედას გაფიცებ... — ჯაყელი უკვე ხმამალლა ტიროდა, არავის აღარ ერიდებოდა. ტიროდა პარხომენკოც. მე მუხლები და ხელები მიკანკალებდა და რომ არ წავქცეულიყავი, იქვე სილაზე დავექეი.

— წითელი შუშხუნა ისროლე! — ვუბრძანე პარხომენკოს. პარხომენკომ დამბაჩა ამოიღო ბუდიდან, მალლა ასწია და გაისროლა. ერთი, მეორე, მესამე და უცებ ცა სისხლისფრად განათდა. ეს იყო განგაშის ნიშანი. პარხომენკო კი იღვა და ისროდა, ისროდა განუწყვეტლივ.

ჩვენს გარშემო ნელ-ნელა თითო-თითო, მხარზე ავტომატგადიკიდებული მესაზღვრეები იკრიბებოდნენ, არავინ არაფერს არ ამბობდა და არავინ არაფერს არ კითხულობდა.

ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ორ დიდ ქვას შორის ქუდმობილი მესაზღვრეების მჭიდრო წრეში, გაუნძრევლად იწვა ოცი წლის ბიჭი პეტრო შერბინა. მისი სხეული თანდათან გამოიყო სიბნელეში, თანდათან უფრო მკაფიო და უფრო ხილული გახდა და ბოლოს მთლიანად გამოიკვეთა, ლამაზი, შავთმიანი, გაფითრებული, ისე, თითქმის ნათელი დადგომოდეს. ცა უცებ გაბაცდა და ყველა ვარსკვლავი უცებ ჩაქრა. საზღვარზე გათენდა.

საწოლზე გაუხდელად ვიწეე. არაფერზე არ ვფიქრობდი, აბსოლუტურად არაფერზე, ჩემს წინ უზარმაზარი სიცარიელე იწვა და ამ სიცარიელეში ისე

დაცურავდი, რომ ხელის მოსაკიდებელი, ფიქრის შესაჩერებელი და მისაგები არაფერი იყო. კარი გაიღო და ჩხარტიშვილი შემოვიდა. იგი დაჯდა სავარძელში და სიგარეტი ამოიღო. ლოგინზე წამოვკეე. სიგარეტი მომაწოდა. გავაბოლეთ. ნერვიულად წევდა, არაფერს ამბობდა, ასე იჯდა მთელი ხუთი წუთი და სიგარეტს ქაჩავდა. ბოლოს წამოდგა, გაიხედა-გამოიხედა, საფერფლე რომ ვერ იპოვა, პირდაპირ მაგიდაზე დააჭყლიტა სიგარეტი და ცერით გასრისა.

— ის ნაბიჭვარი კლუბშია, ბატონო ვლადიმერ, თუ შეგიძლიათ, დაკითხეთ. მე არ შემიძლია, მეშინია არ შემომაკვდეს, — თქვა მან და ისეთი თვალეზით შემხედა, უარი ვერ ვუთხარი. ქალღიდავი ავიღე და კლუბისაკენ წავვი.

იგი იჯდა ბაიასავით ყვითელი და თვლებჩასისხლიანებული, ქერა იყო და ძალზე ახალგაზრდა. 18-19 წლის იქნებოდა. მე რომ დამინახა, ფეხზე წამოდგა და ჩამოვარდნილი შარვალი ხელით აიქაჩა. არაფერი რომ არ ვუთხარი, ისევ დაჯდა. მაგიდას მივუჭეე, კალამი ამოვიღე ჯიბიდან, წინ სიგარეზით სავსე კოლოფი დავიდე და თავი მალლა არ ამიღია, ისე ვკითხე:

— გვარი! — მითხრა.

— სახელი! — მითხრა.

— მამის სახელი! — მამის სახელიც მითხრა. ჩავიწერე და სიგარეტს მოვუკიდე.

— შეიძლება სიგარეტი? — მკითხა. ახლოს მივუწეე. ადგა, აიღო, მადლობა მითხრა, ხარბად დაარტყა ნაფაზი, წავიდა და თავის ადგილზე დაჯდა. ბევრჯერ მიმიცია შეკითხვები კაცისათვის ჩემს ცხოვრებაში, საათობით მისმენია ხალხისათვის, დაკითხვით კი არაფინ დამიკითხავს. ეს პირველი კაცი იყო, რომელსაც ვკითხავდი, და ახლა არ ვიცოდი. როგორ და რით დამეწყო... თავი ავწეე და თვალეზში მივაშტერდი. ხელები მუხლისთავებზე ეწყო და ორთა-

ვე ერთად უკანკალებდა, ყვრიმალეებზე
ბუსუსები ეყარა.

— მცივა, — თქვა მან, თითქოს
თავს იმართლებსო და უხერხულად გაი-
ლიმა. მარცხენა თვალი ჩალურჯებული
ჰქონდა.

— შიშისაგან გაკანკალებს! — ვუთ-
ხარი მე. მან თავი დახარა და არაფერი
მიპასუხა, — თვალზე რა მოგივიდა? —
ვკითხე.

თქვენმა ჯარისკაცმა დამაკერა, უნდა
ვუჩივლო — თქვა მან და შესივებულ
თვალზე ხელი მოისვა.

— ვისთან უნდა უჩივლო? — ვკით-
ხე მე.

— პროკურორთან!

— რომელ პროკურორთან?

— საბჭოთა კავშირის გენერალურ
პროკურორთან! — თქვა მან და ისევ
მოისვა ხელი შესივებულ თვალზე.

— გენერალური პროკურორი ვერა-
ფერს გიშველის, გაერთიანებული ერე-
ბის ორგანიზაციაში იჩივლე! — დავა-
რიგე მე. იგი მიხვდა, რომ დავცინოდი
და წამოხტა.

— ეს ქვეყანა ჩალით ხომ არ გგონიათ
დახურული?! — იყვირა მან.

— დავგდე, ჩალით რომ იყოს დახუ-
რულ, ვინ დაგიჭერდა! — იგი ცივად
დაჭდა.

— რამდენი წლის ხარ? — ვკითხე
ცოტა ხნის შემდეგ.

— ცხრამეტის, შეიძლება წყალი და-
ვლიო? — წყალი დავუსხი, მოვიდა.
სულმოუთქმელად დალია და ისევ თა-
ვის ადგილზე დაბრუნდა.

— მშობლები თუ გყავს?

— მყავს!

— სად არიან?

— სახლში!

— იციან სად ხარ?

— არა.

— რატომ?

— ორი წელია სახლიდან წასული
ვარ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ვეწე-
ვი.

— საიდან მოდიხარ?

— ოდესიდან.

— სასაზღვრო ზონაში როგორ შე-
მოდი?

— არ ვიცი, რუკაზე ასეა — ქოროხი
და მერე უცებ თურქეთი, ღამეს დავე-
ლოდე, ქოროხი გამოვცურე, ნაპირზე
რომ ამოვედი, მავლის ბარდებში ჩავ-
წექი. მერე ორმა მესაზღვრემ ჩამიარა,
რუსულად ლაპარაკობდნენ და მივხვ-
დი, რომ შევცდი... თურქეთი უფრო
შორს იყო.

— მერე?

— მერე ავდექი და სულ პირდაპირ
ვიარე, ერთი საათი ვიარე დაახლოებით.
უცებ წითელი შუშხუნა ავარდა. მივ-
ხვდი, რომ აღმომაჩინეს და გავიქეცი.
ვირბინე, სანამ შემექლო, მერე ძალა გა-
მომელია და დავწექი, დავწექი და თვა-
ლები დავხუჭე, ვგრძნობდი, რომ მიახ-
ლოვდებოდი.

— სად მიდიოდი?

— ამერიკაში.

— თურქეთზე გავლით?

— თურქეთზე გავლით!

— კი მაგრამ, სამშობლო? — ვკით-
ხე მე.

— რომელი სამშობლო? — მკითხა
ავგდებულად.

— შენი სამშობლო!

— დავიღალე ამ ჩემი სამშობლოთი.
— წამოხტა იგი. — სკოლაში სამშობ-
ლო, სახლში — სამშობლო, რადიოში
— სამშობლო, ტელევიზორში — სამ-
შობლო. ჩემი სამშობლო იქაა, სადაც
ბედნიერი ვიქნები!

— აქ უბედური ხარ?

— დიახ, აქ უბედური ვარ, მშობლებს
ჩემი არ ესმით. მე — მათი, ყველაფერს
მიკრძალავენ, ჩემს პირად ცხოვრება-
ში ერევიან, ჩემს სულში ხელებს აფა-
თურებენ, პირადი ცხოვრება არა მაქვს,
მუდამ ვიღაცის თვალს და ხელს

ნოღარ ღუგუაძე

ნუ გაზინია, ღუგა

ვგრძნობ, თავისუფლება მინდა მე, რაც მე მსურს, ის მინდა ვაკეთო...

— ამერიკაში, რაც გსურს იმას ვაკეთებ?

— დიახ! იქ რაც უნდათ იმას ვაკეთებენ, როგორც უნდათ ისე ცხოვრობენ.

— იქ მოკლე კაბიანი ლამაზი გოგონები, შეიკი, კონიაკი. ჯინი, კალვადოსი, ლამის კაბარები, ლიმუზინები, დოლარები... — შევაშველე მე.

— დიახ, დოლარები! — გამაჯავრამან.

— დგას ხე ბროდვეიზე, ფოთლების მავივრად დოლარები ასხია, ახვალ, მოკრეფ და შენია, არა?

— დიახ, ჩემია! — ისევ გამაჯავრამან. ისე მომინდა მივსულიყავი და ყური ამეხია, რომ ხელისგულიც კი მომეფხანა, მაგრამ თავი შევიკავე.

— რა განათლება გაქვს? — ვკითხვდა სიგარეტს მოვუყიდე.

— საშუალო!

— რამე პროფესია გაქვს?

— არა!

— მუშაობ სადმე?

— არა!

— ფული გაქვს?

— არა!

— რომელიმე უცხო ენა თუ იცი?

— არ ვიცი!

— მერე და, სად მიდიხარ, შე კრეტინო. უცხოეთში პურს ვინ მოგიტეხავს, წყალს ვინ მოგაწვდის, თუ გგონია ხელისგულზე გატარებენ! ზუსტად იმდენ დღეში ამოგხდება შიმშილით სული, რამდენ დღესაც შეუძლია ადამიანს უკმელი გაძლოს... — მან თავი ჩაღუნა, ხმას აღარ იღებდა.

ვუცქეროდი ამ გზაბნეულ, გაბრიყვებულ, გადაგვარებულ ტიპს და გული ხან ბოღით, ხან სიბრალულით მევსებოდა. იგი საოცრად მაგონებდა ერთ ახალგაზრდა მორფინისტს, რომელიც ხშირად მხედვობდა ჩემი სახლის სადარბაზოში, გაბრუებული, მივარდნილი, გაოგნებული და რომელიც და-

ხლოებით ასე მელაპარაკა, როდესაც სახლში შევიყვანე და ჰკუის დარღვევა დავეუწყე. იგი ჩიოდა, რომ მშობლებმა ვერ გაუგეს, რომ ცხოვრებას აზრი არა აქვს, რომ ყველაფერი არარაობაა და რომ ერთადერთი საშველი ამ ცხოვრებაში თავდავიწყებაა... და ახლა, როდესაც ვუცქერდი ამ ბიასავით ყვირულ ახალგაზრდას, საშინელმა ეჭვმა შემიპყრო.

— აბა სახელოები აიწიე! — ვუბრძანე.

— რატომ? — მკითხა მან და შეცბა.

— აიწიე სახელოები! — გავუმეორებრძანება.

— რა საჭიროა? — გამიძალიანდა ის.

— აიწიე სახელოები! — ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი. მან უხალისოდ დაიწყო სახელოების დაკოტავება და რომ წამოიშინებოდა მკლავები, ვენებზე ნანემსარები დავინახე.

— რა არის ეს? — ვკითხე.

— სისხლნაკლული ვარ, გლუკოზას ვიკეთებ! — თქვა მან და თვალი გამიშტერა.

— მორფინისტი ხარ! — ვუთხარი მე.

— ავადმყოფი ვარ! — თქვა მან და თვალი ამარიდა.

— ავადმყოფი კი არა, მორფინისტი ხარ, გაზულუქებული, ნაბიჭვარი, მორფინისტი. — ხმას არ იღებდა, იჭდა თავდახრილი და ღიღებს იკრავდა ათრთოლებული თითებით.

— იცი, შენი, გულისთვის როგორა ბიჭი დაგველუბა? — ვკითხე მე და ვიგრძენი, ხმა ამიკანკალდა.

— მე არაფერი არ ვიცი, მე არავინ მომიკლავს, რა გინდათ ჩემგან? გამიშვიო! — დაიწყო მან ტირილნარევი ხმით.

— მე გეკითხები, იცი თუ არა, როგორი ბიჭი მოგვიკვდა შენი გულისთვის? — გავუმეორე კითხვა.

— რას მიზამენ ახლა, დამხვრეტენ? მე ხომ არ მომიკლავს, მე არაფერი არ ვიცი, რას მიზამენ, მითხარიო!

— არ ვიცი რას გიზამენ, მე პროკურორი არ ვარ.

— მე ხომ ჯაშუში არ ვარ, მე ისე მივდიოდი და დამიჭირეს, რა გინდათ ჩემგან, გამიშვით და წავალ...

— ჩემი ნება რომ იყოს, სულ კინწის კერით გაგაგდებ, ისე გაგაგდებ, უკან ვერ მოიხედო, მაგრამ ვაი რომ ჩემი ნება არ არის! — ვუთხარი მე.

— არსადაც არ წავალ, ოღონდ გამიშვით და სახლში წავალ, ჩემს სახლში წავალ. — ატირდა იგი და თავი გაძვალტყავებულ ხელებში ჩაფლა. ვაცალე ტირილი. ცოტა რომ დამშვიდდა. სიგარეტი მივაწოდე. ხარბად გააბოლა.

— თუ გიყვარს ვინმე ან რამე ამ ქვეყანაზე? — ვკითხე მე. იგი ხმას არ იღებდა.

— მიპასუხე, თუ გიყვარს? — მან თავი დამიქნია.

— ვინ? — ვკითხე მე, იგი დიდხანს იხსენებდა ვინ და რა უყვარდა ქვეყანაზე და ვერ გაიხსენა. ან გაიხსენა და თქვა შერცხვა.

— არავინ არ გიყვარს შენ ქვეყანაზე, ეგოისტი ხარ, შენი თავის გარდა არავინ არ გიყვარს! — ვუთხარი და ავღეჭე. მან ისევ დიწყო ტირილი გარედან რაღაც ჩოჩქოლი მომესმა. უცებ ოთახში ჯარისკაცი შემოვიდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ერთი წუთით გამოდით, თუ შეიძლება! — მითხრა მან. სახე გაფითრებული და შეშინებული ჰქონდა. სასწრაფოდ გავედი გარეთ. კლუბის წინ ოცამდე ჯარისკაცი გუგუნებდა, წინ ჯაყელი იდგა. მე რომ დამინახეს, დაღუმდნენ.

— რაშია საქმე? — ვკითხე მე და მესაზღვრეებს გადავხედე. არავინ ხმას არ იღებდა.

— რაშია საქმე, ჯაყელო? — ვკითხე ჯაყელს. ჯაყელი თავდახრილი იდგა. კითხვით რომ მიემართე, თავი ასწია და ცრემლით სავსე თვალები მომანათა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, მოგვეცით პატიმარი! — თქვა მან და ნერწყვი გადაუყალბა.

— შენ ხომ არ გაგიყდი, ჯაყელო? — ვკითხე მე.

— ამხანაგო ლეიტენანტო, მოგვეცით პატიმარი! — გაიმეორა იმავე ხმით ჯაყელმა ისე, თითქოს ჩემი კითხვა არ გავგოს.

— ჩქარა ჩხარტიშვილს დაუძახე! — გადაუჩურჩულე ჩემს გვერდით მდგომ ჯარისკაცს, იგი სასწრაფოდ გაიქცა ჩხარტიშვილის ბინისაკენ.

— აბა, დაიშალებო! — ეუბრძანე მესაზღვრეებს. ადგილიდან არავინ დამრულა.

— ვის ეუბნებიან დაიშალებო, აბა, ახლავე დაიშალებო!

— ამხანაგო ლეიტენანტო, მოგვეცით პატიმარი! — გაიმეორა ჯაყელმა. და მე მივხვდი, რომ ბრძანებით ვერაფერს გავხლებოდი.

— ჯაყელო, წაიყვანე შენი ამხანაგები და წადით ყაზარმაში, ხომ იცით, რომ შეუძლებელს მთხოვთ. არ შეიძლება, წადი, ჯაყელო, წაიყვანე ბიჭები. ჯაყელი ჯიუტად იდგა და თვალს არ მაცილებდა. არ ვიცოდი რა მექნა, ვგრძნობდი, რომ კიდევ წუთი, ბიჭები შეცივდებოდნენ კლუბში და ძალით გამოათრევდნენ პატიმარს და უცებ შევებით ამოვისუნთქე. გულამოვარდნილი ჩხარტიშვილი მოვარდა და გვერდით ამომიდგა. სულს ძლივს ითქვამდა.

— რა ამბავია? — იკითხა მან და ისე გადახედა ჯარისკაცებს, შიშისაგან მე დამიარა ქრუნატელმა.

— ახლავე დაბრუნდით თქვენ-თქვენ ადგილებზე, ზურგისააქვენ! — გასცა მან ბრძანება. ჯარისკაცები აჩოჩქოდნენ და შეყოყმანდნენ.

— ზურგისააქვენ! — იღრიალა ჩხარტიშვილმა და დამუშტული მკლავები ჰაერში ამართა. ოცეული, როგორც ერთი, შეტრიალდა ზურგისაკენ.

— ყაზარმაში ნაბიჯით იარ! — ოცეული მოწყდა ადგილიდან და გაკიშული, სამწყობრო ნაბიჯით გაემართა ყაზარ-

ნოღარ ლუგბაძე
ნო გუბინია, დედა

მისაქენ. მხოლოდ თავდახრილი ჯაყელი იდგა ადგილზე გაუნძრევლად.

— ჯაყელო, ზურგისაქენ იყო ბრძანება! — თქვა მაიორმა ჩხარტიშვილმა. ჯაყელს თავი არ აუწევია, მაიორმა მე გადმოხედა, ნერვიულობისაგან ყვრიძალები უთრთოდა. იგი წელი ნაბიჯით მივიდა თავდახრილ ჯაყელთან და მისი თავი მხარზე მიისვენა, მერე ხელი მოუთათუნა ლოყაზე.

— წადი. ჯაყელო, შენს ოთახში, წადი, დაისვენე, წადი, დამიჯერე, რაც არ შეიძლება, არ შეიძლება. რომ შეიძლებაო, შენზე აღრე მე ვიზამდი მავსაქმეს. — ჩხარტიშვილი ძალიან წყნარად და მშვიდად ელაპარაკებოდა ჯაყელს. თან ლოყაზე უსვამდა ხელს. ჯაყელმა ფრთხილად გაინთავისუფლა თავი ჩხარტიშვილის მკლავებიდან, უხმოდ შეტრიალდა და წელმოწყვეტილივით წავიდა ყაზარმისაკენ.

...ახლა შუაღამეა, ისევ ყველასაგან მიტოვებულ თამადასავით ვუზივარ ჩემს უსაშველოდ გრძელ, გავარჯარებულ უთოთი ამომწვარ მაგიდას და წერილს გწერ, ჩემო სარგის, ჯერჯერობით ეს არის და ეს, მეტი რა მოგწერო, დანარჩენს, რომ ჩამოვალ, მაშინ მოგიყვები, ახლა კი ნახვამდის. პასუხს ნუ მომწერ. რადგან ერთ კვირაში სამსახურს მოვრჩები და შეიძლება ვერ ჩამომისწროს.

მომიკითხე ყველა, ვისაც ვახსოვარ, გკოცნი შენი ძმა ვლადიმერ მდინარაძე.

ოთახში ორნი ვწევართ — მე და პარხომენკო. ძნელადის ჯგუფი საგუშაგოდ არის წასული. ვწევართ და არაფერს ვამბობთ. ასეა შერბინას დაღუპვის დღიდან. არც საგუშაგოზე, არც სასადილოში, არც ყაზარმაში, არც მეცადინეობაზე, არაფერს არ ვამბობთ, თუ ვამბობთ, ფრთხილად. ძალიან ფრთხილად, ისეთ ამბებს და წინადადებებს ვარჩევთ, შერბინას რომ არ ეხებოდეს. და მაინც ყველა ამბავი, ყველა წინადადება, ძალაუნებურად შერბინათი მთავრდება,

ამიტომ დუმის ვარჩევთ. ახლაც ვწევართ და ვდუმვართ, ვიცით ორთავე, რომ ცალ-ცალკე მაინც შერბინაზე ვფიქრობთ. ახალ სიგარეტს უუკიდებ და ფანჯარაში ვიხედები. ალვის მაღალი კენწეროები ჩანან ფანჯარაში შეყვითლებული ფოთლებით, გვიანი შემოდგომაა. ვდგები და ფანჯარას ვაღებ. ოთახი სიგრილითა და ზღვის სუნით ივსება. ვიცვამ და გარეთ გავდივარ. ეზოში არავინ არ არის. მარტო წელზევით გახდილი რიაბოვი ტრიალებს ღერძზე. სამზარეულოსკენ მივდივარ. სამორიგეოს ჩავუარე. სარკმელში შევიხედე, მწერალი და მაიორი მაგიდას უსხედან და რაღაცაზე ლაპარაკობენ. ვერ შემამჩნიეს. სამზარეულოს შემოვუარე და უკანა ეზოში გავედი. ფიჭვის ქირას დაყრილ თივაზე მერაბია წევს და მისთვის შეუფერებლად მსხვილ ჯაჭვს ლოკავს. მერაბია უკვე ორი თუ სამი თვის არის, უცებ გაიზარდა, თავისუფალ დროს ჯარისკაცები დაასეირნებენ და ათამაშებენ ხოლმე, ხანდახან აბრაზებენ. მტრისას მაშინ მერაბია, ბრჭყალები და კბილები სამართებელივით აქვს. უსაშველოდ მალე იზრდება მერაბია, ლიმონათს კაცივით, ორ ფეხზე შემდგარი სვამს და კმაყოფილებისაგან კენესის. მე სხვაზე ხშირად ვარ მერაბიასთან, შაქარს ვაჭმევ ყოველთვის, მცნობს და ამიტომ ყველაზე მშვიდად ჩემთან არის. სულ ხელეგში შემომყურებს, ბურტყუნებს, გორავს, მლოკავს. რომ დამინახა, წამოდგა, უკანა თათებზე შედგა და ჩემსკენ წამოვიდა. მივედი, წინ დაუტუტუქდი და შაქარი მივეცი. ისე გემრიელად ახრამუნებს, ერთ ნატებს მეც ვიდებ პირში.

— რას შევები, მერაბია, როგორ ხარ? — ვეკითხები.

— შაქარი მომეცი! — მეუბნება. ვაძლევ.

— ამხელა ჯაჭვი არ გაწუხებს? — ვეკითხები.

— კიდევ მომეცი შაქარი! — მეუბნება. ვაძლევ.

— შერბინა რომ იყო, მაშინ მეტი შაქარი გჭონდა, ორთავე გაკმევდით. ხომ გახსოვს შერბინა? — ვეკითხები. არაფერიც არ ახსოვს.

— შაქარი მომეცი! — მეუბნება, ორ ნატებს ვაძლევ ერთად. მიწაზე გორდება, თათებს პლაკავს — მომფხანეო. ვფხან.

— სულელი ხარ შენ, მერაბია, ერთი გრამი ტვინი არ გაქვს თავში, არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს. დედა გახსოვს?

— კიდევ მომეცი შაქარი! — მოხოვს. უკანასკნელ ნატებს ვაძლევ.

— დედა არ გახსოვს? დედა, ალიონზე რომ მოგიკალით, მაშინ შერბინა ტიროდა. არ გახსოვს? — ვეუბნები.

— მეტი აღარ გაქვს შაქარი? — მეკითხება.

— სულელი ხარ, შენ, მერაბია, ნუთუ მართლა არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს, თუ გახსოვს და ვერ ამბობ? იქნებ გახსოვდა და დრო რომ გავიდა, დაგავიწყდა, ა, მერაბია?

— აღარა გაქვს შაქარი? — მეკითხება. კარგი, შერბინა არ გახსოვს, დედის დავიწყება ასე შეიძლება? — ვეკითხები.

— თუ გაქვს, მომეცი შაქარი! — შაქარი უნდა.

— თუმცა რა, უკეთესია თუ არ გახსოვს, შენთვისაც უკეთესია და ჩემთვისაც უკეთესია. შენთვის იმიტომ, რომ არ იცი დედა თუ მოგიკლეს. ჩემთვის იმიტომ, რომ არ იცი, მე რომ მოვკალი, მაგრამ მე არ მომიკლავს, მერაბია, გეფიცები, არ მომიკლავს, უბრალოდ, იქ ვიყავი და ვუყურებდი... ჰოდა, შენთვისაც კარგია და ჩემთვისაც, რომ არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს, მაგრამ მე რომ მახსოვს? დედაშენიც რომ მახსოვს? დედაჩემიც რომ მახსოვს? მამაჩემიც რომ მახსოვს? შერბინაც რომ მახსოვს? რა ვქნა, მითხარი, მერაბია, ყველაფერი რომ მახსოვს?

— არ მაძლევ შაქარს? — მეკითხება.

— აღარა მაქვს, მერაბია, და რა გიყო? სულელი ხარ შენ, სულელი, ერთი გრამი ტვინი არ გაქვს თავში. — მერაბია თავს აკანტურებს. მიწაზე ვჯდები მის გვერდით და თბილ მუცელს ვფხან. მერაბია თვალებს ნაბავს.

— სულელი ხარ შენ, მერაბია, სულელი.



წარწერა წიგნზე*

ზოგი ლექსია ნიაღვარივით,
ზოგი, ვით წვიმა გადამავალი,
ზოგია გულის ამომღარავი,
ზოგს არც აწმყო აქვს, არც მომავალი..

ზოგს დააშუქებს წმინდა ემბაზი
და ზოგი მწირი გულის წვლილია;
ზოგს ზედ ეტყობა კვალი ხელფასის;
ზოგი გულისთხრით დაწერილია;

მაგრამ წუთიერ სიცოცხლის ნება,
წამით უფლება ვარდის ფენისა,
ყველა ლექსსა აქვს, როგორც ბეპელას
და არწივს — ნება ცაში ფრენისა...



* ლექსი იბეჭდება პირველად.

ს ა თ ვ ა ლ ე

სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას

შიშისმგვრელია არა მისი გადიდებული,
ახალგაზრდობის დრთინდელი ფოტოსურათი —
სახე, ვით ბრძოლის ასპარეზი, სადაც თვალები
ეურჩებიან პირზე უშნოდ დახატულ ღიმილს...

შიშისმგვრელია არა რუხი მტერთი დაფარული
კარადები და თაროები, სადაც წიგნები
მინის გადაღმა თვლემენ, როგორც აქვარიუმში
გამომწყვდეული ოქროსფერი თევზები... არა!

ამ კაბინეტში შიშისმგვრელი ერთია მხოლოდ
მისი სათვალე — პაწაწინა კალიის მსგავსად
მაგიდაზე რომ ჩამომჯდარა სამელნის გვერდით
და უსინათლო, გადმოკარკლულ, შუშის თვალებით
მისჩერებია კარს.. რა უნდა? რაზე სწუხს, რა სურს?

ასე მგონია, გარდაცვლილი მეგობრის სული
მოელის სხეულს, ოთახიდან ცოტა ხნით გასულს.

პ ე რ ე დ ე ლ კ ი ნ ი მ

ახლა არავის აღარ აოცებს
მისი ცხოვრება...
პერედელკინოს სასაფლაოზე
სიმყუდროვეა.

მის საფლავს ახლა უხვად აყრია
წიწვი და გირჩა...
ცალკე მარხია —
ასე ისურვა ჭაღარა ბიჭმა.

N-ს

შენ მომიწოდებ სადღაც წამოგყვე
და თაყვანი ვცე ახალ სალოცავს,
მე კი არა მწამს შენი სამოთხე
და არ ვაპირებ ღმერთის გამოცვლას!

რამდენიც გინდა ხარვე სიტყვები,
ვერ გასჭრის შენი ფიცი-მტკიცება, —

მე ისევ იმ ჩემს ბილიკს მივყვები,
შარავზაზე რომ არ გაიცვლება!

მე ისევ ძველი მომწონს ხატები,
ავის და კარგის ვიცი გარჩევა.
თუ მაიძულებ, ტყვედ ჩაგბარდები,
მაგრამ რას მოგცემს ეს გამარჯვება.



ფ ი ზ ი

დაბადებამდე რომ ვერ გხედავდი, —
 ამაზე მწყდება ძალიან გული!
 სიკვდილის შემდეგ რომ ვეღარ განახავ —
 ამაზე როგორ არ დამწყდეს გული!

მე ვარ ქართველი,
 შენ — საქართველო!
 ამაზე თბილად ვერაფერს გეტყვი;
 ვარ შ ი ნ ა ა რ ს ი შენი სახელის
 და სიამაყე არ მინდა მეტი!

●

თუ ვინმე სადმე რითიმე
 დაღონებულა ისე,
 როგორც მე დავღონდი
 ერთხელ,
 როცა თვალი შევასწარი
 დედაჩემის სევდიან სახეს, —
 მაშინ... ადამიანი
 ათასჯერ უფრო უბედურია,
 ვიდრე ამბობენ...

თუ ვინმეს რამე ოდესმე
 გახარებია ისე,
 როგორც მე გამეხარდა
 ერთხელ,
 ჩვენი წისქვილის სათავეში,
 მეზობლის გოგოს დანახვა, —
 მაშინ... ადამიანი
 ათასჯერ უფრო ბედნიერია,
 ვიდრე ამბობენ...

ვ ე ღ რ ე ბ ა

არავინ უწყის და ვერც მე ვიტყვი,
 რა მაწერია შუბლზე:
 გინდა არ გინდა — იქითკენ ილტვი,
 სადაც არ არი ზეცა.

მე მაინც მინდა, — სსივები ცხელი —
უხვად მეყაროს გულზე,
ჩემი გამზრდელი ქართული მიწა
ტანზე მსუბუქად მეცვას!..

იქვე ტყე იყოს და ყურს ვუბღბღდე
ჭრელი ჩიტების ჭიკჭიკს,
მზიან საფლავზე პეპლებს დასდევდეს
გახარებული ბიჭი, —
არ მეწყინება, ნურც თქვენ დაუშლით,
არ მეტკინება გული:
ბიჭის ფეხის ხმას ქვეყნის ხმაურში
მინდა დავეგდო ყური!..

საფლავი თუნდაც გადიქცეს რიყედ, —
დრომ წამაყაროს მტვერი —
ოღონდაც იყოს, მარადი იყოს
ქართული ზეცის ფერი!.



ეს ზეცა და ეს მინდორი,
ეს დღე და მთა —
მე არც მომიტანია
და
ვერც წავიღებ თან!..

ამ დალოცვილ მიწაზე
ყველაფერი თავდება,
რამე თუ არ იწამე

უკვდავების თავდებად.
ო, რა ნელა თენდება,
ო, რა ჩქარა ღამდება!..

ვიწამე და... ტკივილი
თანდათან მიახდება...
გაიხედე, თუ ძმა ხარ,
თენდება თუ ღამდება?!

ბ რ ღ ი უ ი

მახსოვს:
სკოლიდან მოვდიოდი...
მწვანე ფერდობზე
შემომხვდა ერთი
მაღალი და გამზდარი კაცი, —
მოჩიფჩიფებდა ხელების ქნვეით
ლაპარაკობდა თავისთავთან და... მოდიოდა!..

მე გამიკვირდა.
გამეცინა.
და ახლა ვნანობ...
ეჰ, რა ვიცოდი!..
არაფერი მე არ ვიცოდი...

მე არ ვიცოდი —
რა იყო სული!
და, მით უმეტეს, —
არ ვიცოდი —
ჭირხლს თუ შეეძლო
გათანგვა მისი.

მიჩიფრიფებდა...
თავისთავთან ლაპარაკობდა!..

თუ ახლაც მიდის —
მივაძახო მინდა ხმამალა:
— ადამიანო,
ბოდიშს ვიხდი მე შენს წინაშე!..
.
.
.
მე არ ვიცოდი!..



ჩათაფლულიყო,
ჩამტკბარიყო შუადღის სივრცე —
მზიან ქუჩაში ფუტკარივით ზუოდა ხალხი.
მე მივდიოდი... და არ ვიცეი, რა მიხაროდა..

უცებ — შევხედე.
მოწყენილ კაცს
შევხედე უცებ.
და სევდა მისი
ჩემს სიხარულს გარს მოეხვია,
ვით შუადღისას მზეს ეხვევა
წვიმიტ საესე ღრუბლები მძიმე!..

მოაკლდა ერთი ღამაში სხივი, —
მაღალ მზეს — ჩემი სიხარულისას!..

ლ ე ე რ თ კ ა ს ი

არავითარი
გაყოფა
სამად:
დრო არი ერთი.
და მხოლოდ ერთი!
ო, როგორ ჰგვანან,
ერთმანეთს ჰგვანან,

ძალიან ჰგვანან —
კაცი და ღმერთი!..

აქვს უდიდესი მომავალს ძალა, —
იგი ჩვენს აწმყოს წარსულად აქცევს,
ასწია ხელი ღმერთმა და ბრძანა:
— დრო არი ერთი:
მთლიანი.

საესე.

და შენ რომ წარსულს ეძახი ეხლა —
ის იყო აწმყო —
ღღესავით თეთრი...
პირობითია ყოველი ქვეყნად,
გარდა კაცისა, —
კაცია ღმერთი!

არავეითარი

გაყოფა

სამად:

დრო არი ერთი და არა ასი!..
ვინც უყოყმანოდ იწამებს ამას —
ის უ რ თ ა ლ არი — ღმერთიც და კაციც!..



წარსულზე ფიქრი —
მართლაც სულ სხვაა:
გზები —
წამებში გადასაფრენი...
იქიდან აქეთ —
რამხელა გზაა!
აქედან იქით —
ა ლ ა რ ა ფ ე რ ი!..



მე — დრო ვარ,
ჩემი წუთები
ანთია მძაფრი ფიქრებით...
წესია:
თანდათანობით

მივწოდები და მივქრები;
დიდი თუ არა —
ღამრჩება
პატარ-პატარა წიგნები...
შენ თუ არ გემახსოვრები, —
მე მ ა ი ნ ც შენთან ვიქნები!..





თავი ორმოცდამეხუთე

ელგუჯამ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო დალის სიკვდილი. ამბის მომტანი დაწერილებით და დალაგებით ლაპარაკობდა. როდესაც ელგუჯა ამ ცნობის სისწორეში დარწმუნდა, უაზროდ იკითხა, ქმარი ცოცხალია თუ არაო.

— ბადრი დაქერილია, ციხეში ზის. — უბასუხა მიხრობელმა.

„მაშინ მე რა უნდა ვქნა? — გაიფიქრა ელგუჯამ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5

შუადღით ელგუჯას მილიციაში დაუძახეს.

— რა საერთო გქონდათ გარდაცვლილთან? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— ვიცნობდი.

— ახლოს?

— დიახ, ახლოს. — დაადასტურა ელგუჯამ, თუმცა გარკვევით შემდეგაც არაფერი უთქვამს და მაინცდამაინც არც არავინ მიძალბებია. მოეჩვენა კიდევ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი საკმაოდ სულელურ გამოცანებს იგონებდა.

ელგუჯა დაკითხეს როგორც დალის ნაცნობი, ვისაც შეიძლებოდა რაიმე

არსებითი ცოდნა და საქმისათვის ნათელი მოეფინა. იქნებ სხვა დროსაც დაგვეხმაროთ, უთხრა გამომძიებელმა ბოლოს და თავაზიანად ჩამოართვა ხელი.

შუადღით ელგუჯა ამხანაგთან ერთად მანქანაში ჩაჯდა და საავადმყოფოში წავიდა. ეზოში, პროზექტურასთან, სადაც საექიმო-საგამომძიებლო ექსპერტი ტრიალებდა, დალისა და ბადრის მეგობრები, ნაცნობები და ნათესავები იდგნენ. არავინ ხმას არ იღებდა. კაცები პაპიროსს ეწეოდნენ. ქალებს ნამტი-რალევი თვალები ჰქონდათ. იდგნენ ცალ-ცალკე, ჭგუფ-ჭგუფად, ორ-ორად, სამ-სამად; თითქოს სიმეტრიულად და პროპორციულად. ელგუჯას ეგონა, რომელიღაც კინოს მასიურ სცენას უყურობდა. ეს მიზანსცენა შორიდან შეათვალიერა და მიხვდა, რომ დალი მართლაც აღარ იყო. ერთი უცნაურობა კი, რომელიც მაშინ ვერაფრით ვერ ახსნა, იმწამსვე თვალში ეცა. ჭირისუფლები ისეთნაირად იდგნენ და იმზირებოდნენ, თითქოს ყველაფერი, რაც წინა დღით მოხდა, გაცილებით ადრე, ქალის სიკვდილამდე ჰქონდათ გაგებული და ახლა ამ საშინელი ამბის გახსენებას და თავიდან დაწვრილებით მბობას (ზოგიერთს, ახალგამოჩენილს რომ სურდა) აღარავითარი აზრი არ ჰქონდა. ელგუჯა უცხოსავე იდგა განაკიდეს. სხვები ტიროდნენ. სხვები განიცდიდნენ და ალბათ მას ამ ისტორიასთან არც არაფერი აკავშირებდა. შეიძლება არც დალი შელია არსებობდა. „...მაგრამ გუშინ ამ დროს ხომ ველაპარაკებოდი, გვიან დამემდე ერთად არ ვიყავით?“ ფიქრობდა იგი.

ელგუჯამ ცოტა ხანი კიდევ იტრიალა შორიანლო და მერე შინ წავიდა.

მაღე დაღამდა. რიგრიგობით, ერთმანეთის მიყოლებით განათდა თბილისის უბნები, ქუჩები და პროსპექტები. კინოთეატრების სალაროებთან რიგები გაიზარდა. ყველა რესტორანი გაიხსო. ახალი ამბავი მაინც მიუღ ქალაქს მოედო. რას არ ყვებოდნენ, რას

არ იგონებდნენ. უმრავლესობა ამტკიცებდა, ქმარმა ცოლი საყვარელთან საწოლში შეისწრო. ზოგი ირწმუნებოდა, ვაჟიც მოკლესო. დამემ თავისი გაიტანა და ბოლოს ყველას ჩაეძინა.

ღამის ორ საათზე ქალაქ თბილისის ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფოს რუინის ჭინკარს ვილაც ახალგაზრდა კაცი მოადგა და დაეინებით მოითხოვდა, კარი გამიღეთო. ყარაულმა კარი კი გააღო, მაგრამ თვითონვე გაეხიდა შიგ და სტუმარს მტრულად დახვდა.

მოსულმა ყარაულს ხელი ჰკრა და ეზოში ძალით შესვლა დააპირა. ყარაული აბანცალდა, მაგრამ თავი შეიკავა და მოძალადეს უფრო თამამად და ბრაზიანად შეუტია. მაშინ სტუმარმა დარაჯს ხელი ზურგს უკან გადაუტრიალა და საავადმყოფოს ეზოში თავფხილი გააქანა. ყარაული ყვიროდა და ისე გარბოდა, თითქოს საშინელი ქარი აწვებოდა.

ახალგაზრდა კაცმა დარაჯი შუა ეზოში მიატოვა, თვითონ მარჯვნივ გაუხვია. რამდენიმე ნახტომით აირბინა დაბალი კიბე. საღარბაზოს მძიმე კარს ხელი ჰკრა და მკრთალად განათებულ ვესტიბულში შევიდა.

— ვინ გნებავთ?! — იკითხა ექთანმა ქალმა, რომელიც ქვევით მოდიოდა და უცხო ადამიანის სულ არ შეშინებია. ამასობაში ყარაულმაც მოიბრინა, მაგრამ ძველი რიხი და ბრეჟი აღარ მოჰყოლია.

სტუმარი ღინჯად აღიოდა კიბეზე. ყარაული და ექთანი ფრთხილად მიყვებოდნენ უკან.

ხმაურზე მორიგე ექიმსაც გაღვიძებოდა. ნამძინარევი ახალგაზრდა კაცი გაკვირვებული იხედებოდა ქვევით. ელგუჯამ თავაზიანად ჩამოართვა ექიმს ხელი. მასპინძლად ჩათვალა და სწორადაც მოიქცა.

— თქვენთან საქმე მაქვს, თუ შეიძლება...

რამე ვიხივილი
დალი

— კი ბატონო...

— მხოლოდ აქ ვერ გეტყვით...

გაკვირვებულმა ექიმმა, რომელმაც მოგვიანებით ელგუჯა იცნო კიდევ, ყარაული და ექთანს უკან გააბრუნა და სტუმარს საორდინატოროში შეუძღვა. ელგუჯა რბილ სავარძელში ჩაეფლო და იატაკს დააჩერდა.

— როგორა ხარ ელგუჯა, რაშია საქმე, რამ შეგაწუხა? — შინაურულად იკითხა ექიმმა.

— ძალიან ცუდად ვარ...

— რას ნიშნავს, ცუდად? — გაიღიმა დაეჭვებულმა ექიმმა.

— ადამიანებს ძალით აგზავნიან მთვარეზე... უკვე დაიწყეს და ყველას მთვარეზე გაგვაგზავნიან. ჩემი ძმა უკვე გაუშვეს. ყველას ეს დღე გველის, ყველა მთვარის ბინადარი გავხდებით. მთვარეზე როგორ უნდა ვიცხოვროთ, იქ არც წყალია, არც ამტოსფერო.

მთვარეზე რომ, ისიც ძალით, არავის აგზავნიდნენ ექიმმა იცოდა, მაგრამ ძმა, რომელიც, მისი ვარაუდით, ელგუჯას არც უნდა ჰყოლოდა, რაღა შუაში იყო, ვერ გაიგო და საშინლად დაიბნა, თუმცა ამდაგვარი ლაპარაკიც არ ესმოდა პირველად.

ექიმმა წყალი დაასხა და ელგუჯას წინ დაუდგა. ელგუჯამ ერთი ჭიქა თბილი, ძველი წყალი გამოცალა და გაჩუმდა. ექიმმა ამ სიჩუმეს ვერ გაუძლო. წუთით გარეთ გავიდა, დერეფანში გაჩერდა და თავი მოიქექა. მერე რაღაც აბები და წვეთები გამოიძენა და ოთახში შემობრუნდა.

ელგუჯამ მორჩილად დალია ყველაფერი, ბოლოს ტახტზე ჩამოეძინა. ექიმმა ფეხთ ვახადა და ექთანს ბალიშები მოატანინა.

ელგუჯას დილამდე არ გაუხელით თვალი, მაგრამ მთელი ღამე წუხდა. ესინჯებოდა დედა. ცხადად გრძნობდა დედის სიახლოვეს, თანაც ახსოვდა რომ დედამისი მკვდარი იყო და უკვირდა. როგორ, რანაირად ელაპარაკებოდა მიცვალებულს. რამდენჯერმე ძილში რაღაც წამოიყვირა და გამოთენის

ხანს შეშფოთებულმა გაახილა თვალი ძლივძლივობით გაიხსენა სად იყო. უნდოდა აქ, რატომ მოვიდა, ვერ გაიგო.

ექიმსაც გაღვიძებოდა. ელგუჯამ უთხრა, წუხელ ნასვამი ვიყავიო და ბოდიში მოიხადა.

მე რა ბოდიშს მიხდით, თქვა, ელგუჯას დაწყობილი ლაპარაკით გაოცებულმა, ექიმმა, არ გაუმხელია, თორემ კარგად მიხვდა, სტუმარი რომ ნაბახუსევს არ ჰგავდა და მარტო ბორჯომი და მუავე რომ არაფერს უშველიდა. ელგუჯას გაშვებაც არ უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა; იფიქრა, მთავარი ექიმის მოსვლამდე ლაპარაკით შევიყოლიებო. სახელდახელოდ მოიფიქრა საზრიანი გეგმა, მაგრამ პირველივე ცდა მარცხით დამთავრდა.

— რა ქნეს, კაცო, ჩვენებმა? — თქვა ექიმმა.

— ვინ ჩვენებმა?

— ფეხბურთზე არ ყოფილხარ გუშინწინ?

— ფეხბურთზე არ დავდივარ...

— შეუძლებელია! — თქვა ექიმმა.

— რატომ არის შეუძლებელი?

— შეუძლებელი არ არის ცხოვრებაში...

— მე წავედი, მეჩქარება! — წამოდგა ელგუჯა.

— დარჩენილიყავით...

— არა, მაღლობთ.

— გავაცილებთ მაინც...

— ნუ წუხდებით!

— რა შეწუხებაა, შე კაი კაცო!

ელგუჯა ქვის კიბეზე დაეშვა. ექიმი, რომელიც მიხვდა, რომ კარგი ძილი მთლად სჯობდა ყველაფერს, თვალების ფშვენტით გაჰყვა უკან.

საღარბაზოს კართან ვიღაც გამხდარი, შავი ბიჭი იყო ატუხული და ელგუჯას უყურებდა. ელგუჯას ნაცნობი ეგონა, დააკვირდა, მაგრამ ბიჭმა თვალი მოარიდა.

ელგუჯა და ექიმი ეზოში გავიდნენ. ასფალტი დაცვარული იყო. მზე ამოდიოდა. მაღალი სახლების სახურავებს

და გორებს მეწამული ფერი ედო. ჯეჩერობით გრილობდა.

— აბა კარგად იყავით, გამოგვიარეთ ხანდახან — თავაზიანად თხოვა ექიმმა და ყარაულს უთხრა, კარი გააღეო.

— კარგად იყავით, მადლობთ. — ხელი ჩამოართვა ელგუჯამ და დაინახა, რომ წვერგაუპარსავე, გამხდარი ბიჭი. რომელსაც ფართო ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ახლა ღობე-ღობე მოდიოდა, თითქოს სარებს ითვლიდა, თანაც ელგუჯასკენ იხედებოდა. ყარაულმა რაჩხა-რუჩხით გააღო რკინის კარები. ელგუჯამ შეიცადა, ბიჭს ავრძნობინა, თუ რამეს თქმა გინდა, მითხარო. ბიჭი მიუახლოვდა და ორად გაეცილო რვეულის ფურცელი მიაწოდა.

— ეს წერილი აუცილებლად გადაეცი ინდიგო შანშიაშვილს!

— ინდიგო შანშიაშვილი ვინ არის? ბიჭი ცოტა ხნით გაჩუმდა, ეტყობოდა, ძალიან გაუკვირდა, ინდიგო შანშიაშვილის არ ცნობა, მერე წყნარად თქვა:

— ინდიგო შანშიაშვილი თბილისის დინამოს ფეხბურთელია, მცველი!.. — ბიჭმა გაიღიმა და ისე მორცხვად დააჩერდა მიწას, იფიქრებდი, ნათქვამი თვითონ არ სჯერათ.

ელგუჯამ წერილი ჯიბეში ჩაიღო და წავიდა. ბიჭმა რკინის ჰიმკრის რიკულებს მიაღო თავი, ელგუჯას თვალი გააყოლა: ყარაულმა საყელოში მოქაჩა და ეზოში გააპორწიალა.

ელგუჯა შინ მივიდა, ფანჯარა გააღო და ტახტზე დაჯდა. ზურგით კედელს მიაწეა, ახალგათენებულ ცას მიაჩერდა. ცაზე რამდენიმე სიფრიფანა, რძისფერი ღრუბელი იდო. ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, რომელი იყო ფეხბურთელი შანშიაშვილი. ყველას პირადად იცნობდა და მისი მიხვედრით, ასეთი გვარის კაცი თბილისის დინამოში არც უნდა ყოფილიყო. გაიხსენა, გამხდარი ბიჭის დიდი, ნაღვლიანი თვალები და შანშიაშვილს აუცილებლად მოვებნო გაიფიქრა. ჯიბიდან წერილი ამოი-

ლო. რვეულის ფურცელს გარედან სწორედ ასე ეწერა:

თბილისის დინამოს მცველს, ფეხბურთელ ინდიგო შანშიაშვილს!

ელგუჯამ ფურცელი გაშალა და ბართიცი წაიკითხა. წერილი დაწერილი იყო გარკვევით, ლამაზი, გაკრული ხელით; მხოლოდ რამდენიმე ასო იყო უცნაურად დაგრძელებული და დახეკუბებული.

ძმარ ინდიგო!!!

სრულიად უსაფუძვლოდ, без основания ვიმყოფები ქალაქ თბილისის ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში ГРУЗИНСКИЙ ССР ტელეფონის ნომერი წიგნში ნახეთ. უნდა გამიყვანოთ სასწრაფოდ. ვიცი ძალიან ჰირს დარეკვა. უნდა გავიდე თქვენი წერილობითი პასუხისმგებლობით. შენ, შოთა შავმა, ბორია მესხმა, ილო ვაკელმა უნდა დამემოწმოთ თავდებით. ყველა ფეხბურთელის სახელით უნდა მიმუამდგომლოთ. პელე, ეუსებიო, კუტინიო. განსაკუთრებით, პელე და გარინჩა სანტოსის ფლამანგოდან. თქვენ უნდა თქვათ (წერილობით) რომ ყველა ფეხბურთელის სახელით მოდიხართ. ანდა დარეკეთ. ძმები ჩარლტონები, სტაროსტინები და სხვები (ფეხბურთელებია).

...ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი ამოებათა ამოებაა. არაფერი არ იწყება, არაფერი არ მთავრდება. ყველაფერი იყო, ყველაფერი იქნება... ვარსკვლავები და გალაქტიკები მოძრაობენ შეუჩერებლად, დაუწყებლად და დაუმთავრებლად. ვერავინ ვერ გაექცევა გარდუვალი ბორბლის ტრიალს. ვერავინ ვერ გავა ამ მოძრაობიდან. ყველაფერი სასტიკი, დაუკანონებელ და დაურღვეველ კანონს ემორჩილება. არავის არ შეუძლია შეაჩეროს დრო. ეს ადამიანებია, რომლებთაც გონიათ რომ კანონებს არღვევენ. ეს არის აბსურდი, ეს არის ადამიანის კომედია. ვის შეუძლია რამეს

რეზო შანიშვილი

დალო

დარღვევა, რამეს შეცვლა. ყველა-
ნი ვემორჩილებით მოძრაობის და სიკ-
ვდილის გარდაუვალ წესს. არაფერი
არ იცვლება, არაფერი არ ჩნდება; —
არ იწყება და არ მთავრდება... ასე
იყო და ასე იქნება. ჩემი ტელეფონის
ნომერი არ უნდა გაამზილოთ. უბრა-
ლოდ, გვარი, სახელი, ОТСЕСТВО ჩემი და
ფეხბურთელების საკმარისია... დარეკეთ.

ჩემი ფეხსაცმლის ნომერია №42 იაფ-
ფასიანი, ერთი წყვილი შურუქე-
ბით. ათას ცხრაას სამოცდაათიანი
წლები. 196 წელი VII.

ელგუჯამ ამოიხზრა და წერილი მა-
გიდაზე დადო.

მალე გივი მოვიდა. გივიმ ყოველგვა-
რი შესავალისა და მიკიბ-მოკიბვის გა-
რეშე ელგუჯას უთხრა: დალი შელიას
პანაშვილებზე და გასვენებაზე არ მიხ-
ვიდე; საერთოდ, იმ სახლის ახლო-მა-
ხლო ნუ გაივლიო. რატომო. მშვიდად
ჰკითხა ელგუჯამ. აინტერესებდა, რას
ფიქრობდნენ და რა იცოდნენ მისმა
ახლობლებმა.

— უჩერხულ მდგომარეობაში შეიძ-
ლება ჩავარდე... დალის და — ქუქუხა
შენ გაბრალებს ყველაფერს. მხოლოდ,
გარკვეული მოსაზრებით, ჯერჯერობით
არაფერს ამბობს და ალბათ არც იტ-
ყვის...

— მე რა შუაში ვარ?

— მე არ ვიცი, რა შუაში ხარ, მაგ-
რამ მე მგონია, მაინც ისე უნდა მოიქ-
ცე. როგორც გითხარი... ისე, შენ იცი,
ბავშვი არა ხარ, რომ ჰკუა გასწავლო.

— ფეხბურთელი შანშიაშვილი გავი-
გონია? — ჰკითხა ელგუჯამ.

— ვინ?

— შანშიაშვილი ინდიგო, მცველი...

— ინდიგო შანშიაშვილი არ ვიცი,
არ გამიგია... — ჩაილაპარაკა გივი
და ელგუჯას საეჭვოდ გადახედა.

იმ საღამოს და მეორე დღესაც ელ-
გუჯა ისევ დაიბარეს დაკითხვაზე. ახ-
ალგაზრდა გამომძიებელთან ერთად
ელგუჯას თითქმის რამდენიმე კაცი
ერთდროულად აძლევდა შეკითხვას.
„გონიათ, დავიბნევი!“ — ფიქრობდა
ელგუჯა.

გამოძიებამ ახალი არაფერი იცო-
და, მხოლოდ ყურმოკრული კუთხის
დადასტურებას ცდილობდა. არც ბრა-
ლდებული, არც ბრალდების მოწმ-
ეები ელგუჯას არ ასახელებდნენ.
სხვათა შორის, იმ დღეს ბად-
რიმ თვითონ დარეკა მილიციაში
და შემდეგ ყველაფერი დაუფარავად
მოყვა, შეიძლება უფრო მეტიც დაიბ-
რალა, ვიდრე საჭირო იყო, მაგრამ მთა-
ვარი მაინც არ უთქვამს.

ქალის სახელს ელგუჯა სხვაზე ნაკლებად
არ უფრთხილდებოდა და ზედმეტი
არაფერი წამოცდენია, თუმცა დალი
რომ უყვარდა, არ დაუმალავს.

გასვენება მომავალ კვირას დანიშნეს.

ელგუჯა სახლში ვერ დგებოდა, ღამე
არ ეძინა. მთვარიანი ღამეები წაეწყო
ერთმანეთს. სავსე მთვარე დაღამების-
თანავე ამოცურდებოდა ცაზე და მთე-
ლი ღამე ბრდღვილებდა. მხოლოდ
გამთენიის ხანს მიილეოდა და მიიკარ-
გებოდა.

ახალი შებინდებული იყო, როცა
ელგუჯას ოთახში დიმიტრი შემოვიდა.
დიმიტრის დანახვაზე ელგუჯას რა-
ტომღაც გაეცინა. დიმიტრი დაჯდა და
საწერი მაგიდიდან პირველად ის წიგ-
ნი აიღო, რომელიც ხელში მოყვა. წიგ-
ნი გაშალა და შიგ ცხვირი ჩაყო.

ელგუჯამ ცოტა ხანი დიმილით უყუ-
რა დიმიტრის, მერე შემფოთებული
წამოხტა. დიმიტრი შეკრთა და წიგნი
დაკეტა.

— წამოდი, გავიაროთ... — თქვა ელ-
გუჯამ.

თითქოს მშვიდად ჩაილაპარაკა და
დიმიტრის შერცხვა, რამ შემაშინაო.

ელგუჯა და დიმიტრი დიდხანს დაე-
ხეტებოდნენ ვაკის პარკის გასწვრივ.
შემდეგ ბაღში ჩავიდნენ. ელგუჯას შინ
წასვლა და დაძინება არ უნდოდა. არც
შეეძლო. დიმიტრისიც ვრიდებოდა,
ყოველნაირად ცდილობდა ხელიდან
დაძრომოდა, მაგრამ დიმიტრი სათო-
ფედ მოშორებასაც არ აპირებდა.

— წადი სახლში, ჩემი ყურება რას
გარგია, მე მაინც ახლო ვცხოვრობ და
შენ დიდი გზა გაქვს...



— დიდი გზა მაქვს თუ არა, ცოლ-შვილი მიტირის მეც... ამ სიცხეში სახლში რა შემიყვანს, აქ მირჩევნია ჰაერზე...

ისინი აუზის გვერდით, უზარმაზარი ვერხვების ქვეშ სკამებზე დასხდნენ. დიმიტრი წამდაუწუმ აბოლებდა. ხანდახან ჩათვლემდა, მაგრამ წამსვე ფიზიკურად და ამხანაგს გადახედავდა ხოლმე.

— დაიძინე, ან წადი! — გაეცინა ელგუჯას.

დიმიტრი აუზთან მივიდა, გრანიტის გოლაგანს გადააწვა, ცივ, სუფთა წყალში თავი ჩაყო და იმწამსვე ზეზე წამოვარდა.

— აუჰ! — დაიძახა მან და თავი დახარა. წყალი წურწურით წამოვიდა ძირს.

— გაცივდები, შე ოხერო!

— რა წყალია! — იძახოდა დიმიტრი და სახეს და პატარა, ბავშვურ ქოჩორს ცხვირსახოციტ იმშრალებდა. იგი მართლა გამოფიზილდა, ხასიათიც გამოუკეთდა, სამაგიეროდ გამთენიის ხანს შესცივდა და უფრო მისავათდა.

— შენი ფიქრით, დიმიტრი, რას ქვია ვაჟაკობა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— რა ვიცი რას ქვია, რომელი ვაჟაკი მე მნახე, მაგას რომ მეკითხები?

— ამოილულულა დიმიტრიმ.

— შენ გგონია ვაჟაკი ისაა, ვისაც მეტი ღონე აქვს, ვინც მაგრად ჩხუბობს?

— კი, და ვინც ბევრ ღვინოს სვამს კიდევ, ჩვენთან ასეა...

— ეს ჩვენთან.

— აბა, სხვაგან მე არ ვყოფილვარ.

დიმიტრიმ თვალები დახუჭა და სმენა გაამახვილა. იფიქრა, ელგუჯა კიდევ მკითხავს რაღაცას და არაფერი გამოიმეპაროსო, მაგრამ ელგუჯა ხმას აღარ იღებდა.

დიმიტრის ჩაეძინა. მიხვდა, რომ თეთრ ცხენზე იჯდა. ცხენი ტოკავდა და თოხარიკით მიუძღოდა ჯარს. დიმიტრი პარადს იბარებდა. ცხენი ახლა განდაგან იქაჩებოდა და ჯარი დიმიტ-

რის უყურებდა. დიმიტრიმ მხოლოდ ერთი ხნიერი მეომარი იცნო, რომელიც ალგებრას ასწავლიდა სკოლაში. უცბად შვიდცხენიანმა კარეტამ გაიქროლა. ჭალაში. კარეტას ყაჩაღები დაესხნენ თავს. ატყდა სროლა და დავი-დარაბა. დიმიტრი მიხვდა, რომ კინოში იყო და ყველაფერს ეკრანზე უყურებდა. უცბად ვილაცამ სარკმელი გახსნა და საიდანღაც ცივი ქარი შემოიჭრა, დიმიტრის თავზე შესცივდა და თვალიც გაახილა. ხელში ისევ ანთებული სიგარეტი ეჭირა. მოქაჩა, გააბოლა და გაუყვირდა, რა ცოტა მძინებიაო.

თავი ორმოცდამეექვსე

გასვენების დღეს ელგუჯამ თქვა, ნაშუადღევს მოსკოვში მივდივარ, შეკრებაზე გამომიძახესო. ყველას გაუყვირდა, რაღა მაინცდამაინც დღეს მოუწინააღმდეგებოდა.

ელგუჯა არსად არ წასულა. ქურდულად ყველაზე ადრე მივიდა სასაფლაოზე. ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და იცოდა, რას სჩადიოდა. ღია სამარეს ჩაუარა. მოშორებით ქვაზე ჩამოჯდა. გვერდით მარმარილოთი კიდებმოსარკული, ჭუჭუა ყვავილებით მოჩითული საფლავი იყო. ცისფრად შეღებილი, გრძელ სკამზე შაოსანი ქალი იჯდა და საფლავს დაჰყურებდა. იქვე ორი მუშა ახლადმოსწორებული საფლავის გოლაგანს აშენებდა. თარაზოთი და თოკით ასწორებდნენ ყორეს და უხმოდ მუშაობდნენ. იმ ახლო-მახლო სულ გოლაგან და მესერ შემოყოლებული საფლავები იყო. ზოგიერთ ღირსუფალს საფლავთან ერთად გზის ნაწილიც შემოერაგვა. ერთს ორმაგი ჭიშკარი და მძსაცდელი ჰქონდა გაკეთებული. არავინ დაწესებულ ნორმას არ სჯერდებოდა, ყველა იგლიჯებოდა და ზედმეტს ისაკუთრებდა.

კიპარისებისა და ტირიფების ჩრდი-

რეზო ვეიზვილი
დალი

ლში გრილოდა. ხევიდან ნიავე უბე-
რავდა და ახალი მორწყული ყვავილე-
ბი და ნერგები შრიალეზდა. სიჩუმე
იყო. შორს ვიღაც ქვას თლიდა და საჭ-
რეთელზე ჩაქუჩის ცემის ხმა ისმოდა.

სულ ახლო ამონაყარი, ნედლი მიწის
ბორცვი იდგა. ელგუჯამ იცოდა, რომ აქ
იყო დალის საფლავი. დროდადრო იგი
საფლავს გადახედავდა გულგრილად.
ეს მიწის გროვა და თხრილი არაფერს
არ ეუბნებოდა, არაფერს არ ახსენე-
ბდა. ეს იყო ჩვეულებრივი ოდნავ მწი-
რი და ეწერი მიწა. თვითეული ხე,
თვითეული ბუჩქი, ბალახის ღერი ზედ
შეცოცებული ჭიანჭველით ამ მიწისა
იყო. მიწა, ხე, ბალახი, შაოსანი ქალი,
კალატოზები წარმოადგენდნენ ერთი
მთლიანი ჰარმონიული სიმშვიდის გა-
მას.

— ისონ, ვის მარხავენ თუ იცი, აქ?
— ჰკითხა შავებში ჩაცმულმა ქალმა
მუშას და ღია საფლავს გადახედა.

— არ ვიცი! — უგულოდ უპასუხა
მუშამ.

— ქალია თუ კაცი, ნეტავი! — ჩაი-
ლაპარაკა შაოსანმა.

— ქალია. — უთხრა მეორე მუშამ და
წელში გაიმართა.

— რა იცი, შენ?

— მარცხენა მხარეს ყოველთვის
ქალს მარხავენ... ა, აქეთ რომ ადგილია
დატოვებულნი, ის ქმრისაა.

— ჰო, ეს მართალია... დედაბერი იქ-
ნება ვილაცა... — ამოიოხრა ქალმა, —
რომ ეთხოვე რაყდენს, კარგი მეზობლე-
ბი ჩამომისახლე-თქვა, ესაა?..

მუშებს ქალისათვის ყური აღარ უთ-
ხოვებიათ. ერთი დუღაბზე ბაზალტის
უზარმაზარ ლოდს დებდა და წელში
გაწყვეტილი, ძირს იხედებოდა. ამხანა-
გი ქაფჩით ყორის ზედაპირს ამანდაყე-
ბდა. როგორც იქნა, ლოდი დადეს და
გაასწორეს.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. აღარც სა-
ჭრეთლის ხმა ისმოდა.

გზაწვრილზე ხალხი გამოჩნდა.

— მოყავთ! — თქვა ქალმა და წამო-
დგა.

კალატოზებმაც შეისვენეს. ერთმა
დიდი ცხვირსახოცი თოფლი მოიჭერა
ლა.

ელგუჯა მივიწყებული საფლავის გა-
ლავანთან დაიმალა; ღვიის ბუჩქებს და
ტოტებჩამოშვებულ ძეწნებს შეაფარა
თავი. ისე მოკალათდა, რომ თუ რაიმე
გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა,
ვერავინ შეამჩნევდა და თვითონ ყვე-
ლაფერს გარკვევით დაინახავდა. ბევრი
ლოდინიც აღარ დასჭირვებია.

პროცესია გამოჩნდა. რამდენიმე მა-
მაკაცს შავით გაწყობილი, ყვავილებით
სავსე კუბო მოჰქონდათ, გზაწვრილზე
ძლივს ეტეოდნენ და ერთმანეთს უშ-
ლიდნენ ხელს.

ვიღაც ტანსრულ ქალს სათვალისანი,
გამხდარი ბავშვი მოჰყავდა. ბავშვი სა-
მარესთან დააყენეს. დალის და მოთ-
ქვამდა, გულსაკლავად ზუზუნებდა,
ეტყობოდა, ცრემლი გაშრობოდა და
ვეღარ ტიროდა.

ბავშვი, რომელსაც აღარც დედა ჰყა-
ვდა და ფაქტიურად აღარც მამა, თით-
ქოს უღარდელად იხედებოდა აქეთ-
იქით, მხოლოდ სქელ ქალს ეკვროდა
და მაგრად უჭერდა ხელს. ხალხი ნელ-
ნელა გროვდებოდა, ბავშვი და ქალი
უკან-უკან იხევდნენ. ბავშვმა ჭერ კი-
დევ არ იცოდა, რა ჭირდა და იმ დიდი
უბედურების მთლიანად შეგარძნება
არც შეეძლო. ეს გაუთავებელი ცერე-
მონიალი, ხალხის რია-რია ძალაუნე-
ბურად მის ყურადღებას იპყრობდა და
მწუხარებას უნელეზდა.

თითქმის მთელი თბილისი მო-
სულიყო დასაფლავებაზე. კუბო მი-
წყარილთან დასვენეს. ელგუჯამ და-
ლი მხოლოდ მაშინდა დაინახა.
ქალს სანთლისფერი ეღო. თით-
ქოს შეშინებული და უკმაყოფილო გა-
მომეტყველება ჰქონდა. ელგუჯამ მიც-
ვალეზულს თვალი ვერ მოაშორა და
იგრძნო, როგორ გაუშეზდა მარცხენა
ფეხი, თითქოს მუხლს ქვემოთ სისხლი
გაეყინა.

ქალებმა დალი დაიტირეს. ვიღაცამ
თქვა, ბავშვი დედასთან მიიყვანეთო.
ამის გაგონებაზე ქალი და კაცი ერთად

ატრდა. ბავშვი მინც არ მიუშვეს კუ-
ბოსთან. სქელი ქალი გულამოსკენილი
ტიროდა და გაფითრებულ ბავშვს გუ-
ლში იხუტებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჭირისუფლები
იქაურობას გააშორეს. კუბოს სახურა-
ვი დაახურეს და თოკები გამოძებნეს..
ელგუჯამ ახლა უფრო გარკვევით დაი-
ნახა მიცვალებული. მიცვალებული და
არა დალი შელია. კუბოში ვინც იწვა,
ის სხვა იყო, დალი შელია — სულ
სხვა. ელგუჯამ მოფუსფუსე ხალხს
დააკვირდა და მოეჩვენა, რომ უგნურე-
ბი სილამაზეს მარხავდნენ. თანაც ამ
საქმეს აკეთებდნენ საშინელი მონდო-
მებითა და სერიოზულობით. როგორც
კი კუბოს სახურავზე პირველი ბელტები
არახუნდა, ელგუჯას მთქნარება აუტყდა.
იგი ამთქნარებდა და თვალები ელუ-
ლებოდა.

მესაფლავეები ელვისისწრაფით ავ-
სებდნენ საფლავს.

ახალგაზრდა ბიჭმა კალათიდან ღვი-
ნით საესე ბოთლები და პურმარბილი
ამოალავა; მეზობელი საფლავის გალა-
ვანზე გაზეთი გაშალა და ყველაფერი
ზედ დააწყო. მუშებს უთხრა, შესან-
დობარი შესვითო. მუშებმა პურმარბილს
გადახედეს და ბიჭს თავი დაუქნიეს.
წამში მოასწორეს საფლავი და ამო-
ბურცულ მიწას ყვავილები დააფარეს.

უკანასკნელი ჭირისუფალიც წავი-
და.

ელგუჯა თბილ მიწაზე წაწვა და და-
იძინა.

გვარიანი დაღამებული იყო, როცა
ერთმა ქვის მთლეღმა მძინარე ადამი-
ანი დაინახა. ახალგაზრდა ხურო მოშო-
რებით მუშაობდა, საქმეს შეყოლოდა
და შემოღამებოდა. დაკბილული სამ-
ტოხი მთვარის შუქზე ელავდა და თე-
თრი ქვის ნამსხვრევები ყოველ მხარეს
იფანტებოდა. გრილოდა, ხურო დაღ-
ლას ვერ გრძნობდა. ბოლოს ვარსკვლა-
ვებს ახედა და დაასკვნა, წასვლის
დროაო. ქვის მთლეღი სასაფლაოზე იყო
გაზრდილი, გვიანი ღამის მინც ეში-
ნოდა. გაგონილი ჰქონდა, ნაშუაღამევს

მკვდრები საფლავებიდან დგებთან
არ სჯეროდა, მაგრამ მარტო ამის ვაფიქ-
რებაზე აქრყოლებდა. ხურომ რკინის
ხელსაწყოები ჩანთაში ჩაყარა და ფა-
რდულისკენ წამოვიდა. ფარდულში ია-
რღებს ინახავდა. ბილიკს აღარ გაკყავა,
გზა დაიახლოვა და საფლავებზე გადა-
ბოტა, ელგუჯაც მაშინ დაინახა. მძინარე
ჯერ მოჩვენება და მერე რომელიღაც
გალეშილი მესაფლავე ეგონა. გულის-
ფანცქალით მოვიდა ძირს დაგდებულ ად-
ამიანს ხელი. ელგუჯამ თვალი გაახილა,
ხუროს შერცხვა, რამ შემაშინაო, თუმ-
ცა მის ადგილზე ბევრი კარგი ვაყვაცი
დაფრთხებოდა. ქვის მთლეღმა ელგუჯას
უთხრა, გაცივდები შე კაი კაცო, აქ სად
დაწოლილხარო და ჭიშკრისაკენ მიმ-
ვალი გზა აჩვენა. ელგუჯა წამოდგა და
უკანმოუხედავად წავიდა. ხურომ გაი-
ფიქრა, ნეტავი ეს სამი დღე არ მოწვი-
მდეს და არ მინდა არაფერიო.

თორმეტ საათს აღარაფერი აკლდა,
როცა ელგუჯა საღვურში გამოჩნდა.
პირველსავე მატარებლის საერთო ვა-
გონში ავიდა, სულ ზედა თაროზე,
სადაც ლიბებუსა და ბარგს აწყობენ,
აძვრა და დაიძინა.

კონდუქტორმა ელგუჯა მოგვიანებით
შენიშნა და მგზავრებს ჰკითხა, ვინ
არისო.

—რა ვიცი მე, ვინ არის?! — უხე-
შად უპასუხა ერთმა მგზავრმა, რომე-
ლსაც ეგონა რბილი ვაგონის ბილეთი
მაქვსო და აქ რომ მოხვდა, ჯავრისაგან
აღარ ვარგოდა.

—როდის შემოვიდა, ბილეთი აქვს,
არა აქვს, სად წევს, ადგილი არ უნდა...
ეს რა ხალხია, გადაირევი პირდაპირ! —
ჩაილაპარაკა კონდუქტორმა და ხალხს
გადახედა. კაცმა ხმა არ ამოიღო. მაშინ
კონდუქტორმა მძინარის ვაღვიძება
დააპირა. ჯერ ო მორიდებით უთათუნა
მხარზე ხელი, მერე ბევრიც
ეჯაჯგურა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.
ხალხმა უთხრა, დააყენე, ცოდვია, არ
გადმოვარდესო.

რაჟო ზეიზვილი
დალი

— რა დაგემართა, შე კაი დედამამიშვილო, მძინარე ადამიანი არ გინახავს?!
— უთხრა კონდუქტორს ერთმა კაცმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა კუთხეში და თვალებს ახამხამებდა.

— რა შუაშია მძინარე ადამიანი? — გამომწვევად იკითხა კონდუქტორმა.

— რა შუაშია და იმ შუაშია!

— შენ ძმაო, გეტყობა, კაი ხასიათზე ხარ და ერთი მე მკითხე?!

— ცუდ ხასიათზე იქნა და უკუღმა იარა, ვისაც ჩვენთვის გლახა უნდა!

— წადი ბიძია, საქმე ნახე!.. — ჩაილაპარაკა კონდუქტორმა და ზედა თაბაკიდან ლეიბი ჩამოიღო.

— ისე თუ რაიმე გინდა, აგერა ვარ, არაფერი შეგეშალოს, იცოდე! — თვალელები დაათვახულა მგზავრმა.

კონდუქტორი დაიღრჩია და წავიდა. ყველაზე ადრე ელგუჯას გაეღვიძა. ახალი გათენებული იყო. ფანჯრიდან მკრთალი სინათლე შემოდრიოდა. ცას კიდე გასწითლებოდა. ელგუჯა ძირს ჩამოვიდა და ფანჯარასთან დადგა. დიდხანს უყურებდა ნისლმორეულ ჩაის პლანტაციებს, კედრისა და ევკალიპტის ხეებს.

მატარებელი გაჩერდა. ელგუჯა ძირს ჩამოვიდა და ლიანდაგებთან დადგა. კონდუქტორი კიბესთან აყუდებულიყო და ელგუჯას უყურებდა. არ იცოდა, ეს მოძალადე მგზავრი უკანვე აბრუნებდა მობრუნებას თუ იქ რჩებოდა. მატარებელი დაიძრა. კონდუქტორი კიბეზე ავიდა.

— მოდიხარ, კაცო, შენ?! — უყვირა ელგუჯას.

— ა?! — შეკრთა ელგუჯა.

— ა, და, ზახრუმა! — ჩაილაპარაკა კონდუქტორმა და კიბეს ზუფი დაახურო.

ელგუჯამ მატარებელს თვალი გააყოლა და მერე იქაურობა მოათვალიერა. შორს სადგურის პატარა შენობა ჩანდა. ვაგონი წინ გაჩერებულიყო და სანამ მგზავრი სადგურამდე მივიდოდა, კარგა ხანი იხრაშუნა ლიანდაგის გასწვრივ. სადგურში მინც აღარ შესულა,

ბილიკით გადაუხვია და უკაცრიელ სწორ გზაშარას დაადგა.

ელგუჯამ სუფთა ჰაერი იყნოსა, ესამოვნა. იგი მიდიოდა სულ პირდაპირ და მარცხენა ფეხს მიათრევდა. მალე ზღვას მიადგა. წყნარი ზღვა ცისფრად მოსარკულიყო. პატარა ტალღები მსხვილ ქვიშას ლოკავდა. სანაპიროზე არავინ ჩანდა. მგზავრი თვალეგაბრწყინებული მისჩერებოდა მოლივლივე უკიდრო და უგანო წყალს. გაუნძრევლად იდგა და ამ უცნაურ სანახაობას თვალს ვერ აშორებდა.

საიდანღაც ახალგაზრდა ბიჭი გამოჩნდა. ბიჭს კავბოთური შარვალი და გულგახსნილი ხალათი ეცვა. პირში პაპიროსი ჰქონდა გაჩხერილი. იგი პირდაპირ ელგუჯასკენ წამოვიდა.

ქვიშის ჩხრიალზე ელგუჯა მოტრიალდა და უცნობს დააკვირდა, ბიჭმა გაიღიმა და სალაში თქვა.

— გაგიმარჯოს! — უთხრა ელგუჯამ.

— როდის ჩამოდი?

— ამ დილით.

— ასანთი ხომ არა გაქვთ?

— არა მაქვს.

— დამჩნა სახლში... — გაიღიმა ბიჭმა, ხელები კიბეებში ჩაიწყო და ზღვას გადახედა. ეტყობოდა, მინცაღამინც არსად ეჩქარებოდა.

— ეს არის ზღვა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— რა მკითხეთ?

— ზღვა არის ეს?

— დიახ! — გაეცინა ბიჭს.

— პირველად ვხედავ... — თქვა ელგუჯამ.

— ნამდვილად... — ღიმილით დაადასტურა ბიჭმა.

რატომღაც ელგუჯასაც გაეცინა და უცნობს მორიდებით შეხედა.

— შარშან ამ დროს ორი თვე სოხუმში არ ვარჯიშობდი! — უთხრა ბიჭმა.

— სოხუმში? — გაუკვირდა ელგუჯას.

— მე არ გახსოვარ?

— არა.

— თქვენს გვერდით ვვარჯიშობდით ჩვენც.



— სოხუმში ჯერ არ ვყოფილვარ.
 — მშვიდად განაცხადა ელგუჯამ.
 — ელგუჯა ვაშაძე არა ხარ შენ? —
 იკითხა საქციელწამხდარმა ბიჭმა.
 — ელგუჯა ვაშაძე ვარ, კი...
 — თბილისში რა ამბავია? — ხასია-

თზე მოვიდა ბიჭი.
 — თბილისში არ ვიცი, მე სოფლი-
 დან ჩამოვედი, თბილისში ბავშობაში
 ვარ ნამყოფი.

— მაშ ის ელგუჯა რა არის შენი?
 — რომელი ელგუჯა?
 — ელგუჯა ვაშაძე.
 — ელგუჯა ვაშაძე მე ვარ, მაგრამ
 შეიძლება კიდევცა ვინმე ელგუჯა ვა-
 შაძე, რას გაიგებ...

— მაშინ უკაცრავად.
 — შენ რა გვარი ხარ? — იკითხა
 ელგუჯამ.

— შანშიაშვილი, ფეხბურთელი ვარ...
 ელგუჯა ბიჭს მიაჩერდა, წარბები შე-
 კუმუნხა. ფიქრობდა, თითქოს რაღაცას
 იხსენებდა.

შანშიაშვილი სულ გადაიჩრია, ამნაი-
 რი მსგავსებაც აღარ გამოიგიათ. დასა-
 სვენებლად ჩამოსული კაცი თუ ასეთ
 ამბავს გადაეყრებოდა, არაფრით არ
 ეგონა.

საღამო ხანს, ერთ შინაურ წვეულე-
 ბაზე, სადაც შანშიაშვილიც იყო მიპა-
 ტიკებული, სუფრის გაშლამდე უცნაუ-
 რი ლაპარაკი გაიშარათ. ერთი ამტკიცე-
 ბდა, ანაკლიის ტყეში ტყაშმაფა უნახა-
 ვთო. ვადანაჭერ ხეზე იჯდა და ოქროს-
 ფერ, სველ თმას ივარცხნიდა, ეტყობო-
 და, ადრე ზღვაში საბანაოდ ჩასული-
 ყოო. ბრწოულელი კაცი, რომელიც იხ-
 ვებზე სანადიროდ დაბოტებდა საფა-
 ნტით ვატენილი თოფით, გადაწყდომო-
 და ამ სურათს. მონადირე ხელცარიე-
 ლი დაბრუნებულიყო შინ და იმავე
 დღეს ხურვება დამართოდა. ახლა ხე-
 ლები უკანკალებს და ღვინიანი ჭიჭის
 პირთან მიტანა აღარ შეუძლიათ.

— მართალი იქნება ვითომ ეს? —
 იკითხა ერთმა.

— რა იცი, ყველაფერი ხდება, ყვე-
 ლაფერი მოსალოდნელია... — ჩაილა-
 პარაკა ინდიგო შანშიაშვილმა.

შანშიაშვილი დიდი ურწმუნო ადამი-
 ანი იყო საზოგადოდ; ყველაფერს ეჭ-
 ვის თვალთ უმზერდა. ტყის ქალის
 არსებობა კი არა, დედამიწის ტრიალი
 არ სჯეროდა და მოსაუბრემ გაოცება
 ვერ დამალა.

თავი ორმოცდამეხუთე

პირველი ღამე ელგუჯამ ზღვის
 ნაპირას, პირდაპირ ქვიშაზე გაათია.
 მშვიდად და უღრტინველად ეძინა. დი-
 ლით ძაღლმა გააღვიძა. ყურებჩამო-
 ყრილი, უზარმაზარი ნაგავი ზედ ცხვი-
 რზე სუნავდა. ელგუჯამ ძაღლს შეხედა-
 ნაგავმა ცხვირი ასწია და გაოცებული
 თვალეები ახალგაღვიძებულ კაცს მია-
 პყრო. ელგუჯამ მიფერება დაუპირა.
 ხელი გაანძრია თუ არა, ძაღლი ფეთი-
 ნივით გავარდა. ელგუჯა წამოჯდა. ბე-
 ვრი ეძახა და უწრუბუნა ნაგავს, მაგ-
 რამ არაფერი გამოვიდა. ძაღლი შორი-
 დან იხედებოდა, ხანდახან კუღს თუ
 გააქიციებდა, ან ცალ ყურს ასწევდა,
 მაგრამ ახლოს არ მოდიოდა. ბოლოს
 სულ გადაიკარგა.

ელგუჯა წამოდგა. ქვიშა ჩამოიფერ-
 თხა და ნელ-ნელა გაუყვა სანაპიროს.
 მალე მავთულით შემოღობილ ალაგს
 მიადგა. იმ ადგილზე რაღაც დაწესებუ-
 ლება უნდა ყოფილიყო, რადგან გადა-
 ლობილში ორი ბეტონსადღეები მანქანა
 იდგა და ეზოს კუთხეში დაწყობილი
 საამშენებლო ბლოკები ჩანდა. ჭიშკარ-
 თან ახლო ხის ხულასავით ფარდული
 იყო.

მუშები თითო-თითოდ, ზღაზვნით და
 მთქნარებით გროვდებოდნენ.

შემოღობილ ადგილში პატარ-პატარა,
 ორი აგურის ტოლ ბლოკებს ამზადებ-
 დნენ. ახლო-მახლო რაიონები სულ ამ
 „ქარხნის“ მასალით იყო აშენებული.

ელგუჯას ეგონა, ჭიშკარში არ შემში-
 ვებენო, მაგრამ სამნებს გასცდა და კა-
 ციშვილს არაფერი უკითხავს. არც

რაზო ზვიზვილი
 დალი

ელგუჯას გაუდვია თავბატიყი, ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ფეხათრევიტ გაპყვა ეკლიანი მავთულის ლობეს. იქაურობა კარგად მიათვალ-მოათვალიერა და როცა უკან ბრუნდებოდა, ერთმა კაცმა, როგორც მერე გამოირკვა, წარმოების ხელმძღვანელმა, რუსულად ჰკითხა, რა გინდაო.

— მუშაობა მინდა! — ქართულად უბასუხა ელგუჯამ.

— რისი მოხელე ხარ? — მეგრული აქცენტით იკითხა წითურმა კაცმა.

— არაფრის.

— აბა, აქ რა უნდა გამიკეთო?

წითურ კაცს საგულდაგულოდ დავარცხნილი, დატალღული, მოწითალო თმა ჰქონდა, თეთრი, სუფთა პერანგი კოხტად ჩაეტნია შარვალში. ზომიერი, მრგვალი ღიბი ყორღანვიტ ადგა.

— ყველაფერს გავაკეთებ! — მოგვიანებით უთხრა ელგუჯამ.

— მაინც?

— რაც იქნება.

— განათლება?

— საშუალო...

— იფ!

წითური კაცი ისე იქცეოდა, თითქოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მშტატი ჰქონდა დასაკომპლექტებელი.

— საიდანა ხარ, ბიჭო, შენ?

— სოფლიდან ჩამოვედი.

— რომელი სოფლიდან?

— მანდიკორიდან.

— აჸ... სადაა ბიჭო, მანდიკორი?

— იქითაა, ჩვენსკენ...

— იქით თუა, აქეთ რა გინდოდა?

— უნდა ვიმუშაო, ცოტა სტაჸს დავგროვებ და უნივერსიტეტში მოვეწყობი.

— რომელ უნივერსიტეტში, ოქსფორდის?

— თბილისის უნივერსიტეტში.

— მაგი კაია, რამდენი წლის ხარ, შენ?

— ცხრამეტის.

წითური კაცი ელგუჯას საეჭვოდ

მიაჩერდა, ცოტა ხანი გამომცდელად უყურა.

— მეტის არა ხარ, ბიჭო, შენ?

— მეტის არა ვარ.

— ნამდვილად?

— ნამდვილად...

— წამოდი შენ მაშინ ჩემთან და იქ გავიგებ მაგასთან მაგის ამბავს...

წითური ნელა წავიდა, ელგუჯა უხმოდ გაპყვა და ორთავენი ფიცრულში აღმოჩნდნენ. ფიცრულში ერთი გრძელი ხის მაგიდა, სკამლოგინი და რამოდენიმე ტაბურეტი იდგა. კედელზე საანგარიშო ჩოთქი და დავთარი იყო ჩამოკიდებული.

უცნობს არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა, წითურ კაცს, რომელსაც, რა დასამალია, რაქდენი ერქვა, მუშახელი სჭირდებოდა და არ იცოდა, რა ექნა. თანაც ბიჭი ისეთი საწყალი თვალეებით იხედებოდა, რომ რაქდენს გული დაეთუქვა. დარწმუნებული იყო, მოსული აბლაუბდას როშავს და რაღაცას მალავსო, მაგრამ გული არ მოსდიოდა, პირიქით, ეცინებოდა და ელგუჯას უცნაურად მისჩერებოდა.

— მართლა გინდა მუშაობა, შენ?

— მართლა მინდა...

— საიდან ჩამოვედიო, რა თქვი, კარპატებიდან?

— მანდიკორიდან.

ელგუჯა არ ტყუოდა, არც არაფერს მალავდა. უბრალოდ, არ ახსოვდა, რომ თბილისში ცხოვრობდა, ჰიდაობდა, სწავლობდა, უყვარდა. მენსიერებიდან მისი ხანმოკლე ცხოვრების მთელი ერთი მონაკვეთი ამოვარდა. წლები საღაც უკვალოდ, უაზროდ დაიკარგა. ყველაფერი კარგი, ცუდი, სათქმელი და მოსაგონარი დავიწყებაში ჩაიძირა.

ელგუჯა ვაშაქემ ბლოკების ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

პატარა საწარმოს მეოცე საუკუნის ტექნიკის ბევრი არაფერი ეცხო. მუშაობდნენ მშვიდად, პირველყოფილი სისადავით. ბეტონსაღლეები მანქანებიდან ხსნარი კალაპოტში გროვდებოდა და ქვავდებოდა. ნედლ ბლოკებს მზის

გულზე გასაშრობად ალაგებდნენ; მერე, ვიდრე მანქანებზე გადატვირთავდნენ, კაკალ-კაკალ თვლიდნენ და ჭიშკართან აწყობდნენ.

ელგუჯა და ერთი სომეხი კაცი ერთად მუშაობდნენ. გამომშრალი ბლოკები ხის საკაცით ჭიშკრამდე გადაჰქონდათ. საშუალო რომ არ გქონოდა დამთავრებული, ამ საქმეს ვერ განდობდიო, უთხრა ერთხელ რაქდენმა.

ტვირთს საკაცეზე თითქმის სულ ელგუჯა ალაგებდა, სომეხი მუშა ბოლოს ბლოკებს თვლიდა და რადგანაც როგორც წესი, სულ ზედმეტი იყო, ერთს უკანვე აბრუნებდა. ტვირთი ელგუჯას ბუმბულივით მიჰქონდა, სომეხი ვერ უძლებდა და ურჩევდა, ნელა ვიართო. რაქდენს უკვირდა, საიდან აქვს ამოდენი ძალა და ასეთი ტანი ამ საცოდავ ბიჭს, აქ რაღაც სხვა ამბავიაო.

სამუშაოთა მწარმოებელი რაქდენი დინჯი, მშვიდი კაცი იყო. ამ პატარა ქალაქს ცეცხლი რომ წაქიდებოდა, ფეხს არ აუჩქარებდა. ხანდახან უგულოდ და უადგილოდ ყვიროდა ხოლმე, მაგრამ სულ არ ნერვიულობდა. თამბაქოს ეწეოდა, მისი ნაყიდი პაპიროსი კი ჯერ არავის ენახა. არ ვარ მწვეველიო, ამბობდა და ყოველ ათ წუთში სიგარეტს თხოულობდა. ვიღაცა ცეცხლსაც წაუქიდებდა და რაქდენი დინჯად ამოვლებდა. ზოგიერთი მუშა დილით მთელ კოლოფს სიგარეტს მოუტანდა ხოლმე. რაქდენი მადლობასაც არ იტყოდა, უყურადღებოდ გახსნიდა შეკვრას, ერთ ღერს ამოიღებდა და კოლოფს აუცილებლად სადღაც მიაგლებდა. მერე მთელი სამი დღე კითხულობდა, ჩემი სიგარეტი, ახლა ამ წუთას ხელში რომ მეჭირა. რომელმა აიღეთო.

„ბლოკების ქარხანაში“ მუშა-ხელის ნაკლებობა არ იგრძნობოდა, თუმცა არც ისე ბევრნი იყვნენ, საქმე რომ შემოლოვდათ. სამაგიეროდ, რა ეროვნების კაცს არ ნახავდი აქ, დაახლოებით ათ ენაზე გაიგონებდი ლაპარაკს. კაცი იფიქრებდა, ბაბილონის გოდოლს აშენებნო.

რაქდენი გვარიანად ცუდად, მაგრამ მუშაობის დროს სულ რუსულად ლაპარაკობდა. ერთი სიტყვით, დაწესებულებას რუსულად მართავდა. შინაურებში და კერძო საუბრებში მეგრულ-ქართულს იყენებდა. ელგუჯა დაიახლოვა, ფარდულში ბინა გაუჩინა, ძველი პიჯაკი აჩუქა და რამდენჯერმე ლუღზე და არაყზე დააბატია. ბიჭმა ლიბონათის მეტი არაფერი არ დალია.

რაქდენმა ვერა და ვერ გაარკვია ახალი თანამშრომლის ასავალ-დასავალი. ვერ გაიგო, ელგუჯა თავს ისულელებდა, თუ მართლა არ იყო მთლად დაწყობილი და დალაგებული.

ერთხელ რაქდენმა სხვათა შორის ჰკითხა, ფეხები სად იტყინეო.

—...სოფელში ყველას ვერეოდი, ეს ვერ აიტანეს და ერთხელ უცხო კაცი გამომიყვანეს... შევხედე, კაცია, მაგრამ იმწამსვე მივხვდი, რომ სასწაული იყო. უკან არ დავიხიე, შევები და გამაფუჭა.

— ვინ გააფუჭა, ბიჭო? — იკითხა რაქდენმა, რომელსაც ვაკვირვებისაგან თვალები კინალამ გადმოუტრიალდა.

— სასწაულმა, ისე კაცი იყო, ჩვეულებრივი...

— კაი ამბავია მაგი... — ჩაილაპარაკა ენაჩავარდნილმა რაქდენმა.

ამის შემდეგ რაქდენმა ელგუჯას ეს ამბავი კიდევ რამდენჯერმე მოაყოლა. ბიჭი მშვიდად და დალაგებულად იმეორებდა ერთსა და იგივეს. რაქდენი ისე იბნეოდა, რომ სიტყვა სასწაულის მნიშვნელობა აღარ ესმოდა. ელგუჯა დაახლოებით თვითონაც ხვდებოდა, ტყუილს რომ ლაპარაკობდა, მაგრამ თავს ვეღარ იკავებდა, ეგონა, ასეა საჭიროო.

მუშები შუადღით ჩრდილში ისვენებდნენ. ბეტონსადღებები მანქანები დაღუმებულიყვნენ და ხახა ზევით აეშვირათ. შუადღის თაკარა მზე პირდაპირ აჭერდა. ტელეგრაფის ბეტონის სვეტები და ცემენტის ფარდულის ხის კე-

დღების ჩრდილი სადღაც მიკარგულიყო.

მუშები ფარდულის ძირას მიყრილიყვნენ. ჩრდილში მხოლოდ თავ-კისერი დაემალათ. უმრავლესობა წელზევით იყო მოშიშვლებული. ზოგი კედელს მიწოლოდა ზურგით, ზოგი ცარიელ ყუთებში და ფიცრებში იყო ჩახერგილი, რამდენიმეს ეძინა.

რაყდენი ქვაზე იჯდა. თეთრი პერანგი ქამრამდე ჰქონდა ჩახსნილი. სიგარეტს აბოლებდა, კვამლს ფილტვებისაკენ არ უშვებდა და ისე ზერელედ აფუტებდა. სიცხისაგან შეწუხებული დროდადრო ამოიხრებდა ხოლმე.

ირგვლივ საშინელი სიჩუმე იყო. ეამიდან-ეამზე ქვიშაზე უბატრონო ძაღლი გაირბენდა. შორს ზღვა და პლაჟი ლაპლაპებდა. ქვიშას და წყალს ერთი ფერი ედო.

ერთი ახალგაზრდა მუშა დაბეჯითებით ამტკიცებდა, გაის ამ დროს შეიძლება არც ერთი ცოცხალი არ ვიქნეთო, რადგანო დედამიწას მეტეორიტი (სახელი არ ახსოვდა) დაეჯახება და ეს იქნება დედამიწის რიგით მეოთხე კატასტროფაო. რატომ მაინცდამაინც მეოთხე და არა მეხუთე ან მეორე, არავინ იცოდა. მთხრობელიც არაფერს ამბობდა.

რაყდენი უხმოდ ისმენდა ამ ლაპარაკს, არც მეტეორიტების ეშინოდა, არც კატასტროფების და წარღვნის. მხოლოდ ეს უკვირდა, საიდან იცოდა ეს ზღაპრები ამ ცისფერთვალემა, ლამაზმა რუსმა.

— თუ გაჩენის დღიდან არაფერი დაგვტაკებია (მეოთხე კატასტროფა რომ იყო დავიწყდა), ეს ცოდვილი მიწა რაღა ახლა დაიკარგება, დადგა ჩვენი განკითხვის დღე თუ რაშია საქმე?! — იკითხა ერთმა ხნიერმა კაცმა.

— ნუ გეშინია, ლავრენტი, ქართველი არა ხარ! — გამახსენვა რაყდენმა.

— მე რისი მეშინია, — ჩაილაპარაკა ლავრენტიმ, თეთრი ქვა აიღო და პლაჟისკენ გადააგდო.

ლავრენტი სამოც წელს გადაცილე-

ბული, გამხდარი, ჯანიანი და ენეკიანი ლი მუშა იყო, შრომაში ჯერჯერობით ტოლს არავის დაუდებდა, მაგრამ რატომღაც ცხენის ქურდობაზე იღებდა თავს. ყვებოდა, როგორ იპარავდა ახალგაზრდობაში ფეხებზე ნაბადაკრულ ბედაურებს..

— კაცი რომ ქურდობას იბრალებდა, ამის მეტი არ მინახავს არავინ! — უკვირდა რაყდენს.

ლავრენტის სწყინდა, ბავშვივით იბუტებოდა, როცა არაფერს არ უჯერებდნენ.

— ეს ამბავი სასწაულია! — თქვა მოულოდნელად ელგუჯამ.

— რა არი, ბიჭო, სასწაული? — იკითხა რაყდენმა, იგი ვიღაცის პაპიროსზე ახალ სიგარეტს ადვივებდა და კვამლი კინდამ სასულეში გადასცდა.

— ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემო და ჩვენს გარეშე ხდება სასწაულია.

— ყველაფერი სასწაული როგორ არის, კაცო?! — გამოცოცხლდა რაყდენი. ელგუჯა გაჩუმდა და შემდეგ ხმა აღარ გაუღია.

— ელგუჯა, შე ძველო, სასწაულია, აბა?! — გაეცინა რაყდენს. მერე დაფიქრდა და სერიოზულად დაუმატა. — თუმცა, მართალი ხარ, სასწაულია, აბა რა არის!

რაყდენმა სიგარეტი მოქაჩა გაყურნდა. ვერასგზით ვერ ვახსენა, რას ნიშნავდა სიტყვა „სასწაული“ ყოველგვარი მნიშვნელობით. ეს სიტყვა ხან ესმოდა, ხან არ ესმოდა. უტბად სიცილი აუტყდა, ამის შემხედვარე სხვებიც გამზიარულდნენ, თუმცა ნახევარზე მეტს არაფერი გაუგია. რაყდენი აბოლებდა, მერე სიგარეტს გულდაგულ ფერფლავდა, ახველებდა და მაინც იცინოდა.

ელგუჯას იმ დღიდან სასწაული შეაჩქევს.

ერთ დღეს, შესვენებაზე მუშებმა პირდაპირ ქვიშაზე, ფარდულის გვერდით ისამხრეს. პურსა და მარილიან ყველს. ლიმონათი დააყოლეს და იქვე სილასა და ხრეშში დასასვენებლად მიეყარნენ.

ეზოში რაყდენი შემოვიდა. რაყდენი

მეზობლად, ლუდის ჯიხურში სადილობდა ხოლმე და ნაშუადღევსაც იქ შეიარა.. ნაცნობებს გადაეყარა და სანამ სამი ჰიქა ღვინო არ უთაქა, თავი ვერ დაიძვრინა. რაედენი კბილებს იჩიქინდა და ნელა მოდიოდა. გრძელ, ბრტყელ ქვას სული გაუბერა, გაუთოვებელი შარვალი მუხლებზე გადაიწია და ფრთხილად დაჯდა.

— ელგუჯა, ბიჭო! — რაედენმა ჯიბიდან ასანთი ამოიღო.

— ბატონო?

— შენ ძველი მოჭიდავე ხარ და მოდი ერთი არტემას ეჭიდავე, რაც იქნება, იქნეს!

— ეს რა მოჭიდავეა? — იკითხა ლავრენტიმ.

— შენ ერთი სიგარეტის მომეცი და გეტყვი რალაცა მოჭიდავეა...

ლავრენტიმ რაედენს სიგარეტის კოლოფი გადაუგდო.

— სოფელში ყველას ერეოდა თურმე, მაგრამ მერე სასწაულს გაუფუჭებია, ვაიგე რაში ყოფილა საქმე? — ჩაილაპარაკა რაედენმა და სიგარეტის ღერი ამოარჩია.

— აუ! — თქვა ლავრენტიმ.

— ეჭიდავეები, ბიჭო? — გახედა რაედენმა ისევ ელგუჯას.

— მეჭიდავოს მერე, თუ უნდა! — თქვა ელგუჯამ და მოშვებულ ონკანს პირი შეუშვია.

სქელკისერა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი არტემა ბუღასავით ისვენებდა ღობესთან. ამ ბიჭის ყველას ეშინოდა. „ბლოკების ქარხნის“ მუშები დასაწყლული ჰყავდა.

— გახვალ? — ჰკითხა რაედენმა.

— რატომ არა! — დაიბღვირა არტემა.

— მიდი მერე!

— ახლა?

— არა, ვაისად...

ფერდაკარგული არტემა ზღაზღენით წამოდგა და შარვლიდან სილა ჩამოიფერთხა.

— ლავრენტი, კაი ამბავი მოხდება აქ, რომ იცოდე შენ! — თქვა კმაყოფილმა რაედენმა.

მოჭიდავეები პირისპირ გაჩერდნენ. ელგუჯა მშვიდად იდგა, მაგრამ არტემას თვალს არ აშორებდა. არტემა მოზვერვივით გაექანა. ყველას ეგონა, ელგუჯას გადათელავსო, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ელგუჯა ოდნავ აბანცალდა, ისიც იმიტომ, რომ გაჩქება არც უცდია. არტემას მარცხენა მკლავი წამსვე მარჯვენათი ამოიღლიავა, თავი დახარა და გვერდულად დადგა. არტემამ მარჯვენა კისერში წაუჭირა. ელგუჯამ არტემას მარცხენა ხელს დაქაჩა, შემობრუნდა, თქო და წელი ამოჰკრა, მორგვევით კაცი ნაფოტივით მოისროლა და სამიოდე მეტრის იქით პირდაპირ ზურავით დააგდო სილაში. გაციებისაგან თითქმის ყველამ ერთდროულად წამოიყვირა. წაქცეული ძლივს წამოაყენეს. პირველად რაედენს ელგუჯას ოსტატობაზე მეტად არტემას გამძლეობა მოეწონა. არტემა თავს იფხანდა და ამტკიცებდა, არაფერი არ მტკენიაო. „დათვია თუ ადამიანი?“ — ფიქრობდა გამხიარულებული რაედენი.

ამის შემდეგ რამდენიმე კაცმა, ვერაფრით რომ ვერ გაიგო, რა ეშმაკმა მოისროლა არტემა იმ სიმორეს, თავისი ძალის გამოცდა დააპირა. ელგუჯამ კატის კნუტებივით მიყარ-მოყარა სუყველა. ბოლოს ერთად, ჭილყვავებივით მიესივნ. ელგუჯამ რამდენიმე ამოიღო ფეხქვეშ, მაგრამ თვითონაც დაწვა და ზედახორა გაიმართა. რაედენს შეეშინდა, ბიჭი არ დაახრჩონო და ერთ კაცს სიგარეტის კოლოფი ლეწა თავში. ლავრენტი, რომელიც ასპარეზობაში მონაწილეობას არ იღებდა, დაფანტულ სიგარეტებს გამოენთო.

ბოლოს ყველანი წამოდგნენ. ელგუჯა მისავათებული ეგდო სილაში.

რაედენი მთელი დღე ამ ამბავზე ლაპარაკობდა და ნაცნობ-მეგობრებს უყვებოდა, რაც მოხდა. მართლა სასწაული არ ყოფილაო, ფიქრობდა იგი დინების წინ.

რეზო ვაიშვილი
დალი

იმ დღეს სამუშაოს დამთავრების შემდეგ რაუდენმა მოჭიდავეებს საჩუქრად საზაფხულო თეატრის ბილეთები დაურიგა, თუმცა ფული მერე ყველას ჯამაგირიდან დაუქვითა.

საზაფხულო თეატრში დანიშნული იყო ლექცია „არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?“. საზოგადოებამ, რომელიც ამ საქმეს თაობდა, ყველაფერზე დროულად იზრუნა და ბილეთები ძალით დაასაღა- მერე გამოირკვა, რომ სხვა პლანეტების ცხოვრება ბევრს აინტერესებდა და ხალხი გარეთაც კი დარჩა.

საესე დარბაზს ახალგაზრდა ლექტორი წარუდგინეს. ახალგაზრდას პირწმინდად გაცვენოდა თმა. მელოტი თავი დარბაზისკურ იერს ანიჭებდა და როცა ციტატების კითხვისას სათვალევ გაიკეთა, ხალხს ბრძენი ეგონა.

ლექტორმა ბევრი ილაპარაკა სამყაროს წარმოშობაზე და აგებულებაზე. იგი ასახელებდა რაღაც ფანტასტიკურ ციფრებს, მანძილებს, სიდიდეებს. აუდიტორია ფიქრობდა, ეს ვინ ყოფილაო.

— არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე და ვარსკვლავებზე? — იკითხა ბოლოს ლექტორმა.

ხალხი გაინაბა. ყველა ელოდა, იტყვის არისო, მაგრამ ორატორმა ამოიოხრა და თქვა: ამის დანამდვილებით დამტკიცება, მით უმეტეს უარყოფა, ჯერჯერობით შეუძლებელიაო. ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა ცთომილება და ვარსკვლავებზე სიცოცხლის არსებობის, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, წარმოდგენილი, დამადასტურებელი, უტყუარი საბუთი, მაგრამ გვჯერა და გვწამს, რომ სამყაროში ჩვენი დედამიწა არ წარმოადგენს გამონაკლისსო.

— ...შეიძლება უახლოეს წლებში, შეიძლება დღეს ან ხვალ მივიღოთ სიგნალები შორეული სამყაროდან. ამისათვის არსებობს სპეციალური დაწესებულება, ხელსაწყოები. გამოყოფილია ადამიანები, რომლებიც აპარატთან ზიან და დღე-ღამეში ექვსი საათი ელოდებიან

უცნობი სამყაროდან მომავალ სიგნალებს.

— რა აქვს ხელფასი იმ კაცს? — წამოცდა ვიღაცას.

ლექტორმა ლაპარაკი განაგრძო, ვითომ არაფერი გაუგონია, სინამდვილეში ეს შეკითხვა დაიმახსოვრა და გადაწყვიტა, თბილისში, ერთ მოზრდილ წვეულებაზე, თვითონაც დააბატყებულ რომ იყო, და სადაც იუმორის დიდი გასაგალი ჰქონდა, ეს ამბავი საჯაროდ მოეყოლა. ხალხი მაინც შეწუხდა და უტაქტო მსმენელი, რომელიც დიდი ხუმარა ეგონათ, იქვე მიაჩუმეს.

— ...გამოანგარიშებამ გვიჩვენა... — ლაპარაკობდა ლექტორი. — სამყაროში ძალიან გავრცელებულია 21, 1 სმ. სიგრძის ტალღები. თუ კი სადმე შორეულ ვარსკვლავებზე კიდევ არსებობენ ადამიანის მსგავსი გონიერი არსებანი, მაშინ ასტროფიზიკოსების აზრით, სწორედ ისინი მიაქცევენ ყურადღებას ამ ტალღას, რომელიც არსებითად განსხვავდება გალაქტიკებისა და ვარსკვლავების უწყვეტი სპექტრებისა და კოსმოსური წყალბადის გამოსხივებისაგან. გამოირცხული არ არის, რომ სწორედ ახლა სადაც ტაუ კიტონ ან ალფა ცენტავრის ახლო მობრიალე პლანეტაზე ზის ვიღაც და ამ ტალღებს ელოდება. რამდენიმე წლის წინ 21,1 სმ. სიგრძის რადიოტალღები ერთმანეთზე მიყოლებით და მათემატიკური თანმიმდევრობით სამყაროსაკენ გავზავნეს. ახლახან, თქვენ ალბათ იცით, რომ ბევრმა ობსერვატორიამ აღმოაჩინა მოკლე სიხშირის სიგნალები და დაადასტურა შორეულ სამყაროში დაახლოებითი სიზუსტით განსაზღვრული პულსარების არსებობა, მაგრამ ამას ხსენებულ სიგნალებთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს. მამ როდის შეიძლება ვიქონიოთ პასუხის იმედო? შემიძლია ვითხოვთ დაახლოებით. თუ უახლოესი ვარსკვლავიდან ჩვენამდე სინათლის სხივის მოსვლას ოთხი სრული წელიწადი დასჭირდება, მაშინ, ცხადია, ოთხი ორზე უნდა გავამრავლოთ და პასუხს ალბათ

შვიდებთ რვა წლის შემდეგ; თუ კი სიგნალები გაგზავნილია შვიდი წლის წინ პასუხს ალბათ ერთი წელი კიდევ დააკვირდება. ეს ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში და, თუ არა და, შეიძლება კიდევ კარგა ხანი მოგვიწიოს ლოდინი და ჩვენ თქვენთან ერთად ვიმედოვნებთ, რომ ეს ვარაუდი ჰქმნარიტად აღსრულდება.

ლექტორმა ლექცია დაამთავრა და წყალი დალია.

თავმჯდომარემ თქვა:

— სანამ პატივცემულ გარსევანს მადლობას გადაუხდიდით, ჩვენი თხოვნა იქნება, მოგვაწოდოთ შეკითხვები, გინდაც წერილობით, გინდაც და უმოკლესიცაა, სიტყვიერად.

პირველად ხმა ვერაფერ ამოიღო. ბოლოს ერთი კაცი წამოდგა და ხმამაღლა იკითხა:

— თუ შეიძლება გვითხარით, არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?

ლექტორს ოფლმა დაასხა. ცხვირსახოცი ამოიღო და თავზე მოისვა. ორი საათია ამაზე ვლაპარაკობ და ეს რას შეუზნებო, ფიქრობდა იგი. ბოლოს ჩაახველა და აღრინდელი ნათქვამი მოთმინებით გაიმეორა. დანამდვილებით თქმა ძნელია, მაგრამ არ შეიძლება სიცოცხლე, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, სხვა პლანეტებზეც არ აღმოჩნდეს.

ბოლოსდაბოლოს ისევ ვერ გაიგეს, იყო თუ არა სიცოცხლე სხვაგანაც.

შემდეგ ვიღაცამ დაიძახა, მზე ჩაქრება თუ არა, თუ კაცი ხარ გვითხარით.

— კი! — ცოტა ფიქრის შემდეგ მიახალა ლექტორმა უმადურ აუდიტორიას.

ხალხი ახმაურდა, აწრიალდა; ზოგმა ფერი დაკარგა.

— ...მხოლოდ ეს მოხდება ალბათ რამდენიმე მილიარდი წლის შემდეგ...

— დინჯად და სვენებ-სვენებით დაამთავრა ლექტორმა.

მსმენლებმა უცბად გამოიანგარიშეს და მიჩვენენ, რომ მათ სიცოცხლეში მზეს არაფერი ელოდა, დამშვიდ-

ნენ და დიდად ნასიამოვნები დაიშალნენ.

თეატრიდან ელგუჯა პირდაპირ ქარხნის ეზოში დაბრუნდა. ფარდულში, სადაც იგი ღამეს ათევდა ხოლმე, აღარ შესულა. ზღვის ნაპირას დადგა.

ზღვა არ იძროდა. ნიავი არ უბერავდა. თბილოდა, მაგრამ მაინც შემოდგომის სუნი ტრიალებდა. ლავრენტიმ თქვა, ამ დღეებში ზღვიდან მესეფები ამოვლენ და წვიმებიც დაიწყებაო.

შუალამე რომ გადავიდა, ერთი პირი ძილი წყალსაც რომ მოერევა, წითელთმიანი, ფეხშიშველი ქალები ღანდებივით გაჰყვებიან მთვარით განათებულ მშრალ ქვიშას. ქვიშის ჩუმი ჩხრიალი მიწყდება თუ არა, თეთრი კაბები ტყის ჩრდილებში აირევა და სიბნელეში ჩაიხრთქმება. იმ ერთ კვირაში მესეფები ტყის ნადირს გაანაწილებენ, თავის წილს და ხვედრს არგუნებენ ღირსეულ მონადირეთ, მერე გადაიკარგებიან და გაუთავებელი წვიმებიც დაიწყებაო.

არსიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. სადღაც ზღვა სუნთქავდა და მეტი არაფერი. მთვარე არ ანათებდა. არც მესეფები ჩანდნენ. მხოლოდ ვარსკვლავები ბრწყინვალეობდა აქა-იქ.

მზე ჩაქრება მილიარდი წლების შემდეგო, იხსენებდა ელგუჯა.

„ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს... ავიფარებ სახეზე ხელებს და ველარაფერს დავინახავ. თუ სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს, მზეც სამუდამოდ ჩაესვენება უკუნიითი და უკუნიისამდე!“

თავი ორმოცდამეხუთე

ბადრიმ მხოლოდ ციხეში შეიტყო ელგუჯა ვაშაძისა და მისი ცოლის სიყვარულის ისტორია. დაწვრილებით და დანამდვილებით იქაც არაფერი იცოდნენ, მაგრამ რაც გაიგო, იმაზეც გული ჩაწყდა. თითქოს უდარდელად იჯდა კუთხეში მთელი დღე. ხან ღიღინებდა,

რაზო ბერიშვილი
დალი



ხან ხმადაბლა სტვენდა. პატიმრების ლაპარაკს უგდებდა ყურს, თვითონ დუმდა. ძველმა ნაცნობებმა მოიკითხეს. სხვადასხვა კამერებიდან შეკითხვები და ცნობები გამოუგზავნეს. ბადრის არაფერი არ აინტერესებდა, აღარაფერში არ ერეოდა, თუმცა ეზოში სეირნობის დროს, თუ კი ამის საშუალება იყო, ხალისიანად, ხელისაწვევით ესალმებოდა ნაცნობებს. საღამოს ნარზე წამოძვარი დაჟინებით მისჩერებოდა ცის ნაჭერს, ჩამავალი მზის სხივებით რომ იყო შეფერადებული.

„ხომ მოვისვენე, ახლა ხომ აღარ ენერვიულობ... დალი შავ მიწას დარჩა და მიწაზე ხომ არ ვიეჭვიანებ?“ — ფიქრობდა იგი.

ბადრის აინტერესებდა, ვინ მოიტანა მის ოჯახში უბედურება. საიდან, როგორ დაიწყო ყველაფერი. ვინ იყო დამნაშავე, არავინ და ყველა ერთად. ვინ იყო ელგუჯა ვაშაძე. ამ ვერის და სახელის გაგონებაც არ უნდოდა. არც თვლიდა კონკრეტულ მტრად. შურისგებას არ აპირებდა, გონებაშიც კი არ ერჩოდა იმ კაცს. თითქოს ელგუჯა გამოგონილი პიროვნება იყო და სინამდვილეში მსგავსი არაფერი არსებობდა.

ვერ იტყოდით, რომ ბადრი სადღაც კმაყოფილი არ იყო თავისი მოქმედებით. შეიძლება ეამაყებოდა კიდევ, ასე კაცურად რომ დაიცვა ღირსება და ქვეყნის სასაცილო არ გახდა, მაგრამ ამჟამად გრძნობდა დანაშაულს.

ერთხელ დაესიზმრა, თითქოს დასახვრეტად გაიყვანეს. სადღაც ბნელ გვირაბში მიაბიჯებდა. უკან ვიღაც მოჰყვებოდა. „ქვიშაში დამაჩოქებენ და ტყვიას მესვრიან“ — ფიქრობდა და თან იცოდა, რომ ვერაფერსაც ვერ უზამდნენ. უეცრად ყველაფერი ვანათდა. ბადრის სინათლემ თვალი მოჭრა. ცოტა ხნის მერე დაინახა, რომ ციხის ეზოს აუზთან დალი იდგა. დალის შავი კაბა ეცვა. ეს კაბა ბადრის სულ რამდენჯერმე ენახა ცოლის ტანზე. შავი ფერი ქალს ამშვიდებდა და ალამაზებდა, მა-

გრამ სიხალისეს უკარგავდა და ბადრის იგი ამ დროს ყოველთვის ებრალებოდა. დალი ბადრის სანახავად ჩამოსულიყო ციხის კარებზე. ბადრის გაედვიდა. ეწყინა, მეუღლეს რომ ციხის კარებზე ატარებდა და აწუხებდა. ეს ქალი ამისთვის არაა გაჩენილი, ამის ღირსი არ არისო, ვაიფიქრა და უტბად გაახსენდა, რომ დალი მკვდარი იყო. საწოლში გაშემდა, სახეზე ოფლმა დაასხა. რაღაც გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო. უტბად მოუწდა გაეგო, რა იყო სიკვდილი, — ეს გარდაუვალი მოსახდენი, რომელიც ყველას და ყველაფერს ერთნაირად ასწორებდა. „სად შეიძლება იყოს ახლა დალი, მხოლოდ დამხოლოდ მიწაში და სხვაგან არსად?“ — გაიფიქრა მან. ვერა და ვერ წარმოიდგინა დალი მიწის ქვეშ. მთელი დამეიფოთა და ველარ დაიძინა. იმ დამის მერე ყოველთვის ცუდად ეძინა. სულ ფიქრობდა, ვერაფრით ვერ აეხსნა ადამიანის სულმოკლეობის, ეგოიზმის თავი და ბოლო. კამერაში წვრილმან მტრობაზე, ჯიბრზე და ჯინზე ჩადენილი დანაშაულისათვის ისხდნენ. ბადრის ვერ გაეგო, რატომ აღრე ვერ ხედებოდა, ანდა ახლა სხვებს რატომ არ ესმოდათ, რომ წუთისოფელი ხანმოკლეა და სოფელი მტრობად, ძარცვად, გლეჯად და შურისძიებად არ ღირდა. რა უნდა მოგვეხევა, რა უნდა გეშოვნა, ვისზედ რა უფლებით უნდა გებატონა, როცა ყველაფერი ყველასათვის საბოლოოდ და სამუდამოდ სრულდებოდა.

არც ერთ დაკითხვაზე ბადრის ელგუჯას სახელი არ უხსენებია. მართალია, თითქოს ყველაფერს დაწერილებით ყვებოდა, მაგრამ მთავარი არ უთქვამს. გამოდიოდა, რომ მურჯინი ჩაის ხსენებას შეეწირა ქალი. ოჯახურ, წვრილმან ლაპარაკს შევყვით და მერე თავი ველარ შევიკავეო, იმეორებდა დაჟინებით. დამცველს აუკრძალა დალი შელიას დალატის დამამტკიცებელი ალიბის ამოქექვა. შეიძლება იურიდიულადაც სწორად იქცეოდა, რადგან



შურისძიების გამო ჩადენილი დანაშაული შემთხვევითობას უფრო გამორიცხავდა, ვიდრე სხვა რამე. ბუნებრივი ნიჭი და თუნდაც გამოცდილება ვეჭილზე უკეთეს საქმეს აკეთებდა.

ბრალდების მოწმეები თავგამოდებით ამტკიცებდნენ დალის უცოდველობას (ისინი ამაში დარწმუნებულნი იყვნენ) და ყველაფერში ბადრი კილაძეს ადანაშაულებდნენ. სასამართლო ამასაც ითვალისწინებდა.

სასამართლოში გაჭაღარავებულ ვეჭილს ვერაფრით ვერ აეხსნა ბრალდებულის სიჯიუტე. ვეჭილის აზრით, ჯერ უნდა დადასტურებულიყო, რომ ქალი საკუთარ მეუღლეს საქვეყნოდ ადგამდა რქებს, ქმარი ეკვიანობდა და, როგორც მერე გამოირკვა, არც თუ უსაფუძვლოდ. ერთ საღამოს ბადრი კილაძემ ცოლი ახალგაზრდა, ლამაზ ბიჭთან შეისწრო. შეისწრო, მართალია, ქუჩაში, მაგრამ საკმაოდ შეუფერებელ დროს და ადგილას. ამის ვაგონებზე ბადრის ნერვები ეშლებოდა. იგი თვლიდა, რომ არაფერი ამის მსგავსი არ იყო მომხდარი. დამცველმა ერთ დღეს ბადრის ცოლი უდიერად მოიხსენია. პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ქალი კახხად მონათლა. ბადრი გაბოროტდა და ვეჭილს უთხრა: ძალიან გთხოვთ, როცა ჩემ ცოლზეა ლაპარაკი, სიტყვები შეარჩიეთ, თორემ თუ ცოცხალი დავრჩი, მოგკლავთო. ამ თავაზიან დაპირებაზე ვეჭილმა ფერი დაკარგა, მაგრამ ყასიდად აყვირდა, თუ ასეა, ბატონო, გამოძებნეთ ახალი ადვოკატი და თქვენს საქმეს იმას გადავაბარებო. როგორც გინდაო, უთხრა ბადრიმ. ვეჭილი თითქოს მუქარის ასრულებას აპირებდა, მაგრამ ამ განხაურებულ საქმის მიგდება სულაც არ უფიქრია. ბადრის ნათქვამი კი, ვითომ იმის დასადასტურებლად, როგორ უყვარდა ქმარს მეუღლე, სასამართლოზე სიტყვასიტყვით გაიმეორა და საქმე კინაღამ გააფუჭა.

ბადრისათვის აბსოლუტურად სულ ერთი იყო, ვინ დაცავდა მის საქმეს. გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოლის სახელი-

სათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა და დანაშაული, ფიზიკური და მორალური, თვითონ ეხლო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. თითქოს ჯიჯივით დებდა თავს, მაგრამ კარგად იცოდა, ამისათვის არავინ გაწირავდა. მართალია, მეორე ცოლს არ უთხოვდნენ, მაგრამ სასამართლოდან პირდაპირ სახლშიც არავინ გაუშვებდა, როგორც ზოგიერთები და ვეჭილი ფიქრობდა.

პროცესის დროს დამცველი ენერგიულად შეეცადა საქმის შემობრუნებას. ბრალდებულს რამოდენიმეჯერ დაუსვა ერთი და იგივე კითხვა. ეკვიანობდით თუ არა ცოლზე და გქონდათ თუ არა საამისო საბაბიო. ბადრიმ ყველა შეკითხვას უარით უპასუხა და დაუმატა: ცოლი მიყვარდა, პატივს ვცემდი, არავითარი ბრალი იმას არ ჰქონიაო. იგი მშვენიერად ასაბუთებდა, რომ ეკვისა და უკმაყოფილების გარეშეც მშვენიერად შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ. ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, თითქოს ამ ქეშმარიტებაში დაეჭვებაც უსაფუძვლო იყო, მაგრამ რა გამოდიოდა? ნორმალურმა კაცმა არაფრისათვის შეიწირა უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე?

ბადრი გამხდარიყო, ფერი დაკარგოდა. ლაპარაკობდა წყნარად, გარკვევით და აუღელვებლად. ბოლოსდაბოლოს დამსწრეთა პატივისცემაც კი მოიპოვა.

ბოლო დღეს ახალგაზრდა პროკურორმა ილაპარაკა. სასამართლო პროცესის, ბრალდებულისა და მოწმეების ჩვენების საფუძველზე დაასკვნა, რომ ბადრი კილაძე დამნაშავე იყო. როგორც ექსპერტმა დამტკიცა, ქალი გარდაიცვალა მიოკარდის ინფარქტით, მაგრამ გარდაიცვალა ქმრის წყალობით და უშუალო „დახმარებით“. პროკურორმა ბრალდებულს მკვლეელი უწოდა და ათი წლის პატიმრობა მოითხოვა.

ხალხი უცბად ახრიალდა. ბადრის სახეზე ოფლი გადაასკდა. დარბაზი ბად-

რაზო ზეიზვილი
დალი

რის მისჩერებოდა. ბადრი ხალხის მზერას გრძნობდა, და რცხვენოდა; თითოთ საჩვენებელი და შესაბრალონი რომ გახდა, ვერ აეტანა, დარბაზისაკენ აღარ იხედებოდა, თვალგაშტერებული მისჩერებოდა სასამართლოს წევრებს, თუმცა, გარკვევით იქაც ვერაფერს უყურებდა. ვეჭილმა ხელმეორედ აიღო სიტყვა, გაპილპილდა და პროკურორის თავს დაესხა. იგი პატიმრის განთავისუფლებას მოითხოვდა და საქმე თუ აქამდე მივიდოდა, არც უფიქრია. მისი სურვილით თუ იმსჯელებდნენ, ბადრი უკვე დროზე მეტი იჯდა ციხეში და დანაშაულს გადაჭარბებულადაც კი ინანიებდა. ვეჭილი რაღაც ფრაზას გამოეკიდა და მდივანს სამჯერ მიმართა, ჩაწერეთო.

— იწერება, ნუ გეშინია! — ჩაილაპარაკა მოსამართლემ.

მოსამართლე ვეჭილის უსაფუძვლო, მიღებულ-მიღებულმა ლაპარაკმა გააბრაზა. იგი ფიქრობდა, რომ ზედმეტი ლაპარაკი საქმეს თუ გააუარესებდა თუ არა, არაფერს სასიკეთოს არ მოუტანდა.

— ბრალდებულ კილაძე, გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ? — იკითხა მოსამართლემ, როცა პროკურორ-ვეჭილის დავა დასრულდა.

ბადრი ფეხზე წამოდგა.

მოსამართლემ კითხვა გაიმეორა.

— ვგრძნობ! — თქვა ბადრის. დარბაზისაკენ არ გაუხედავს, მაგრამ ხმაურზე მიხვდა, რომ ეს სიტყვა ყველამ გაიგონა.

მოსამართლემ დარბაზი დააწყნარა და დამნაშავეს სიტყვა მისცა.

— გვითხარით. რას თხოვთ სასამართლოს?

— ჯერ მინდა, — ყრუდ დაიწყო ბადრის. — ყველამ იცოდეს, რომ ცოლი მოკვდა სრულიად შემთხვევით, თუმცა, ჩემს დანაშაულს არ უარვყოფ... სასამართლო ჩემი თხოვნის ვარეშეც სამართლიან განაჩენს გამოიტანს, მაგრამ მინდა, რომ ყველამ, განსაკუთრებით ჩემმა ერთადერთმა შვილმა იცოდეს, რომ მე მისი დედის მკვლელი არა ვარ.

— სასამართლო მიდის განაჩენის გა-

მოსატანად! — გულგრილად თქვა მოსამართლემ.

ყველანი წამოიშალნენ. დარბაზი დაიწალა.

ბადრის თავისუფლად ამოიხუნთქა, თავი ჩაღუნა და შუბლი მოაჯირის გაცრეცილ ფიცარს დაადო. დაფიქრდა, რა ხდებოდა, რა ელოდა. საბოლოო სიტყვა სულ ტყუილად რომ თქვა, ბავშვი უმისამართოდ ასხენა, ცხადია, თავი დაიმცირა, მაგრამ ბადრის ახლა აღარაფრის რცხვენოდა. მთავარი იყო, თავი გადაერჩინა და ის თავისუფლება, რომელიც არც მოსამართლეს, არც არც ერთს იქ დამსწრეთაგანს მისთვის არ უჩქუქებია, როგორმე შეენარჩუნებინა. ყველაფერს აჯობებდა, თუ ახლავე გაუშვებდნენ შინ. ბადრის თავი ასწია და გასწორდა. ხის კედელს ზურგით მიაწვა, ცარიელი დარბაზი შეათვალიერა.

ბადრის ძმაცკები დროდადრო როგორღაც დარბაზის კარის გაღებას ახერხებდნენ და ბადრის ცერით ანიშნებდნენ, საქმე კარგად მიდისო. ბადრის ელიმებოდა, ხვდებოდა, არც ერთმა რომ არაფერი იცოდა, მაგრამ პატიმრისათვის ნუგეშის დიდი შეღავათი იყო.

სასამართლო დაგვიანებით შემოვიდა. ხალხმა სწრაფად დაიკავა ადგილები. უმრავლესობა ფეხზე დარჩა. ზოგს დაჯდომაც არ უცდია.

მოსამართლე განაჩენს კითხულობდა. ბადრი წახდა. უკვე იგრძნო, რომ საქმე ცუდად იყო. ყოველთვის უბედურს დღეს რა უშველიდა. გამწირეს და ეს არის, ფიქრობდა იგი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მკვლელობა (ეს სიტყვა განაჩენში ბრჭყალებში იყო ჩასმული. მოსამართლე ცდილობდა შესაბამისი ინტონაცია დაეცვა და კითხვის დროს რიგრიგობით სწევდა წარბებს ზემოთ) ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და წინასწარი განზრახვით არ იყო ჩადენილი, მაგრამ დანაშაული, რომელიც დადასტურებული და დასაბუთებული იყო, შესწორებას აღარ საჭიროებდა. ბრალდებულ ბადრის კილაძეს ათი წლის პატიმრობა მიესაჯა.



ბადრის მოეჩვენა, რომ ძალიან უღმერთოდ მოექცნენ. ასეთ სასჯელს ნამდვილად არ ელოდა. რატომღაც გაეცინა, გალავანივით შემორკალული კბილები გამოაჩინა და უცბად გაჩერდა. კმაყოფილი თვალებით გაიხედა გვერდზე. პირველად მაშინ გაუსწორა ხალხს თვალი. დარბაზში რამდენიმე უცხო ადამიანი შეამჩნია, რომელიც აქამდე არასოდეს შეუხიზნავს.

კამერაში ბადრის ცნობისმოყვარე პატიმრები დაესივნენ. ბევრი ასეთ განაჩენს ვარაუდობდა, მაგრამ მაინც ყველა შეწუხდა. ცოტა ხანი იყაყანეს და მალე ბადრი ყველას გადაავიწყდა.

მარტოდ დარჩენილმა ბადრიმ საშინელი დაღლილობა იგრძნო. კედელს ზურგით მიეყრდნო და გაიფიქრა:

„ნეტავი ისე დამეძინებოდეს, რომ მხოლოდ ათი წლის მერე გავახელდე თვალებს!“

მეორე დღეს ბადრი კილაძემ უარი თქვა საკასაციო სარჩელზე და ვეჭილის დაწერილ განცხადებას ხელი არ მოაწერა.

პატარა ბიჭს არაფრით გამოუხატავს, მაგრამ მაინც გაეხარდა, მამა რომ ცოცხალი დაუტოვეს. მიუხედავად სიძულვილისა, მამის მიმართ რომ ჩაუნერგეს, ბავშვს უნდოდა, ერთი მშობელი მაინც დარჩენოდა (აქამდე ეგონა მამასაც მოკლავდნენ). ვერასგზით ვერ წარმოიდგინა, როდის გავიდოდა ათი წელი, მაგრამ მიხვდა, რომ ამ დროისათვის უკვე დიდი იქნებოდა და დედის სიკვდილისათვის შურს იძიებდა. რა იყო ეს შურისძიება, თვითონაც არ იცოდა. მთავარი იყო ისე გაზრდილიყო, როგორც დედას სურდა და არაფრით მამას არ დამსგავსებოდა.

ბავშვი უღედობას, როგორც შეეძლო, ისე ვანიციდდა. ხანდახან დედა სულაც აღარ ახსოვდა. დროს თავისი მიჰქონდა. ერთ დღილით ძალიან კარგ ხასიათზე გაიღვიძა. ღამით ძალიან სასაცილო სიზმარი ნახა და იფიქრა, სიზმარს დედას მოვუყვებო, წამოიწია და დედის საწოლში გადასვლა დააპირა. დედის სა-

წოლი ცარიელი და ცივი იყო. ბავშვი მიხვდა, რომ დედა აღარ იყო არსად. სრულიად არსად; ვეღარასოდეს იგი აწი დედას ვეღარ ნახავდა. ბიჭი დაღონდა და ატირდა.

თავი ორმოცდამეხუთე

სამუშაოს დამთავრების მერე „ბლოკების ქარხნის“ მუშები მიიფანტ-მიიფანტებოდნენ ხოლმე. ელგუჯა მარტო რჩებოდა. ისამზრებდა და ზღვის ნაპირას იჯდა დაღამებამდე. მზე ჩადიოდა და წითელი ზოლი ზუსტად მასთან მიდიოდა. რაედენმა ყარაულის ადგილიც შეუთავსა. მოსაპარავად არავინ მოდიოდა. ქურდებისა და ყაჩაღების ნაცვლად ელგუჯას შუალამით აღელვებული ზღვის ღრიალი აღვიძებდა.

შემოდგომაც მიიღია. აგრილდა. უკანასკნელი დამსვენებელიც დაემშვიდობა იქაურობას. პლაჟზე ხანდახან ქარი ხმელ ფოთოლს შემოათარფატებდა საიდანაც.

შაბათ-კვირას ელგუჯას უსაქმობა კლავდა. სად წასულიყო არ იცოდა. ქალაქში არავის იცნობდა, არავისთან ამხანაგობდა. ხანდახან მარტოდმარტო დაეხეტებოდა ქუჩაში; მარცხენა ფეხს მიათრევდა და კოჭლობდა. პაპანაქება სიცხეში, დარსა და ავდარში რაედენის ნაჩუქარი პიჯაკით დადიოდა. პიჯაკი მოკლე იყო, ნიდაყვებს ძლივს უფარავდა, მაგრამ ტანზე მაინც სრულად ადგა. იყო თავისთვის, არავის აწუხებდა, არავის არაფერს არ სთხოვდა. თუ რამეს შეეკითხებოდი, დაწვრილებით, დაუზარებლად გიპასუხებდა.

ქალაქგარეთ რამდენიმე დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი იყო, მაგრამ ელგუჯა იქით არასოდეს გასულა. არ დადიოდა არც საერთო პლაჟზე და ცხადია, არც ცეკვებზე, სადაც ქალაქის ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი იყრიდა თავს. რამდენიმე კაცმა თითქოს

რეზო ხაიზვილი
დალი



მინც იცნო, ვილაცამ ვილაცას მიამგვანა, მაგრამ ვერავინ დაიჭერა, რომ ეს კოჭლი, წვერგაუშპარსავი, ჩამოხეული ადამიანი ელგუჯა ვაშაძე იყო.

ხანდახან ელგუჯას სოფელი მოენატრებოდა და უკან დაბრუნებასაც აპირებდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. როგორც სიხშიარში ხდება ხოლმე — გაქცევა რომ გინდა და ვერ გარბიხარ, — ისე ემართებოდა. ზოგჯერ დაფიქრდებოდა, ანგარიშობდა და არკვევდა, რა უნდა აქ, ამ უცხო და უთვისტომო ქალაქში.

კვირა დღეს ალიონზე თქემში წვიმა წამოვიდა. მთელი ქალაქი დალბა. რამდენჯერმე გამოიღარა და გაავდარდა. თორმეტი საათისათვის ცა მოკრიალდა. ღრუბლის დიდ-დიდი ნაგლეჯები ჩრდილოეთისაკენ გადაიკარგა.

ელგუჯამ საზაფხულო კინოს საღაროში იაფფასიანი ბილეთი იყიდა, ცარიელ დარბაზში შევიდა და სულ წინ დაჯდა. ცისფრად შეღებილი გრძელი სკამები სველი იყო. საღებავი წყალს არ იკარებდა და წვეთები ვერცხლის წყალივით იდო ფიცარზე.

— ერთი კაცია მარტო კინოში! — უთხრა კონტროლიორმა კინომექანიკოს შოთას.

ახალგაზრდა კინომექანიკოსი მოლარე ქალს ეხუმრებოდა და იცინოდა. კონტროლიორის ნათქვამი თითქოს არც გაუგონია, მაგრამ საათს დახედა და ისევ სიცილი დაიწყო.

კინო-დარბაზში მოგვიანებით სამი ბიჭი შემოვიდა. ერთი მაღალი და ხმელი იყო. ისეთი ცეცხლისფერი თმა ჰქონდა, რომ ათას კაცში გამოარჩევდი. ხელში მსხვილი ტუკი ეჭირა, ფეხი სტიკოდა თუ ამოდენა ჯოხს შნოსთვის დაათრევდა, ძნელი სათქმელი იყო. წითელთმიანს ორი ბიჭი ახლდა. სამთავენი ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და სკამებსა და სკამებზეა გვერდულად მოჩოჩავდნენ. ასე იარეს ბოლომდე და ლოყის ქვემოთ კედელთან დასხდნენ. გაჩუმდნენ, მერე ისევ ხმამაღლა აყაყანდნენ. კაცი ვერ გაიგებდა, ჩხუბობდნენ თუ ჩვევა ჰქონდათ ასეთი. ბოლოს გაი-

ტრუნენ, თითქოს სათქმელი დაელოდა. მოულოდნელად წითელთმიანი წამოდგა. ჯოხიანი ხელი ასწია და იღრიალა:

— სასწაული, სასწაული!
ელგუჯამ მოიხედა.
— მოდი, აქ მოდი! — ჯოხი დაუქნია მაღალმა.

ელგუჯა მორჩილად წამოდგა და ბიჭებისაკენ წამოვიდა. წითელთმიანი წელში გადატყდა და ელგუჯას ხელი შორიდან ჩამოართვა. მერე წინა რიგში დასვა.

— სად ხარ, კაცო, როგორ დაგვივიწყე, ასე უნდა? — უსაყვედურა მაღალმა.
— საქმე არ მიშვებს.

— საქმე თუ არ უშვებს, ვერაფერს ვერ ეტყვი! — შენიშნა ერთმა ბიჭმა.
— ამან ძმო, სასწაული წააქცია! — მიუბრუნდა მაღალი ამხანაგებს.

— ვიცი, კაცო, შენ მე ვინ გგონივარ?! — ეწყინა ხუტუქთმიანს, მრგვალთვალემა ბიჭს.

— მინც რა უნდოდა სასწაულს, რალა შენ მოგადგა? — იკითხა მესამე ბიჭმა.

— მომიგზავნეს! — თქვა ელგუჯამ.
— ხალხია მაგენი ამის შემდეგ! — ეწყინა ხუტუქთმიანს.

— მე არ ვიცოდი, სასწაული თუ იყო! — თქვა ელგუჯამ.

— არ გეცოდინებოდა! — დაუმოწმა ბიჭმა.

— მათხოვე ეს კომბალი! — თქვა ხუტუქთმიანმა და მაღალს მსხვილი ჯოხი გამოართვა. — ახლავე გაეარკვევ ყველაფერს.

ხუტუქთმიანმა ჯოხის ერთი ბოლო ელგუჯას დაადო თავზე, მერე ბოლო — მესამე ამხანაგს.

— კარგი ხარ, კარგი! — უთხრა ამხანაგმა.

— მოითმინეთ!.. — თქვა ხუტუქთმიანმა და სიცილი აუტყდა.

ელგუჯამაც გაიღიმა და ჯოხი ფრთხილად მოიშორა.

— თუ არ მაცალეთ, არ გამოვა არაფერი და იყავით მასე!.. — თქვა ბიჭმა და გულმოსული შეტრიალდა გვერდზე. ამასობაში კინოც დაიწყო. სინათლე



ჩაქრა თუ არა, ერთი ათიოდე კაცი ერთ-
დროულად შემოვიდა დარბაზში. მერე
სხვებიც გამოჩნდნენ და ყურნალის
დამთავრებამდე, ერთმანეთის მიყოლე-
ბით, სათითაოდ შემოდოდნენ დაგვი-
ნებული მაცურებლები.

დარბაზში სინათლემ მოიმატა. კუთხ-
ეში მომხდარი ბიჭები ახლა გარკვევით
უყურებდნენ ერთმანეთს.

წითელთმიანმა კედლიდან ელექტ-
რონის მავთული მოხსნა.

კედელზე, ეტყობოდა, ადრევე შტეფ-
სელი ყოფილიყო, შემდეგ, რისთვის
ვინ იცის, შტეფსელი მოეხსნათ და მავ-
თულის ორი შიშველი ღერი ზევით აე-
კეცათ, რათა შემთხვევით არავინ გადე-
ბოდა. წითელთმიანმა მავთულები და-
შორიშორა. ამ საქმეს კარგა ხანს მოუნ-
და.

— რას შვრები? — ჰკითხა ამხანაგმა.

— მიყურე და ნახავ!

— გაწიე იქით!

წითელთმიანმა მავთულის ბოლოები
მართლა წინ გაწია და თქვა:

— ახლა გაჩვენებთ სასწაულს!

მალაღმა მავთულის ცალი წვერი ელ-
გუჯას ყურს დაუმიზნა. ელგუჯა ეკრანს
მისჩერებოდა და ვერაფერს ხედებოდა.
წითელთმიანის მეგობრები კი კარგისა
და სამხიარულოს მოლოდინში სიცი-
ლით იგუდებოდნენ. მალაღმა მავთუ-
ლის ცალი წვერი ელგუჯას ყურზე მია-
დო, მაგრამ მეორე წვერი საფეთქელ-
საც მოხვდა და სველ სკამზე მჭდარი
ელგუჯა ქვასავით დავარდა ძირს.

მალაღმა, რომელიც ასეთ შედეგს სულ
არ ელოდა, დაფეთებული წამოვარდა
და გაიქცა. ამხანაგებიც მიხვდნენ, რაც
მოხდა და მალაღს დაედევნენ. სამთავე-
ნი ხრიგინ-ხრიგინით, ხელების ქნევითა
და ყაყანით გაცვივდნენ კინოდან.

ამ ხმაურზე კინომექანიკოსმა საპრო-
ექციო მიატოვა, ლოჯიაში გამოვიდა და
პარტერს ზემოდან დახედა. სანამ სკა-
მებში ჩახერგილი კაცი არ დაინახა, მა-
ნამდე ვერ გაიგო, რატომ გარბოდნენ
ასე ფხაკაფუხკით ბიჭები. კარებთან
„რეჟა“ გოგია იცნო და დანარჩენი ორ-

იც ეცნაურა. გულმა რაღაც უაზრა, იმ-
წამსვე აპარატი გამორთო, სინათლე აან-
თო და კატასავით ჩაირბინა ქვევით.

კინომექანიკოსს ელექტროტექნიკუმი
ჰქონდა დამთავრებული. სამი წელიწადი
ჯარში გაეტარებინა, მხოლოდ წინა წე-
ლიწადს დაბრუნებულიყო არმიიდან.

— რა იყო, შოთა? — დაიძახა ვილა-
ცამ.

შოთას ხმა არ გაუღია. სკამები მიყარ-
მოყარა და ელგუჯას თავს დაადგა. სხვე-
ბიც მოცვივდნენ. ყველას ეგონა, წაქ-
ცეულს თავში რაღაცა ჩაარტყესო. მხო-
ლოდ შოთა მიხვდა ყველაფერს და თქვა
კიდევ, რაც მომხდარიყო.

ელგუჯა აღარ სუნთქავდა, სიცოცხ-
ლის ნიშანწყალი დაკარგოდა.

— მიწაში უნდა ჩავფლათ! — ავტო-
რიტეტულად განაცხადა ვილაცამ.

— მიწაში ეყოფა, როცა ჩაფლავენ!

— შენიშნა მეორემ.

— მომეხმარეთ, სიმშრალეში გამატა-
ნიეთ! — დაიძახა წელში გაწყვეტილმა
შოთამ.

რამდენიმე კაცის დახმარებით ელგუ-
ჯა შოთამ მოსაცდელ დარბაზში გაიყვა-
ნა და საბილეთო სალაროს გვერდზე,
სკამლოგინზე დააწვინა. გულმკერდი გა-
უღელდა, სველი პიჯაკი და ფეხსაცმელები
გახადა.

— ეს მკვდარია! — თქვა ერთმა კაც-
მა.

შოთამ არამკითხეს გადახედა და კონ-
ტროლიორს უთხრა: მშრალი ნაქერი
იშოვე და ფეხები დაუხეხეო. თვითონ
ელგუჯას მკლავები ხელში დაიჭირა და
მთელი ძალით აამოძრავა.

მოლარემ კინოს კარი გადაკეტა და
ხალხს სთხოვა, დარბაზში გადითო. რამ-
დენიმე კაცი, რომელიც რაღაცის გაკე-
თებას აპირებდა, მაინც იქ დარჩა, თუმ-
ცა დარწმუნებული იყვნენ, რომ ყვე-
ლაფერი ამაო იყო.

ოცი წუთის შემდეგ სასწრაფო დახ-
მარება მოვიდა. შოთა შეუსვენებლივ

რაზი მერიფილი
დალი

ამოდრავებდა ელგუჯას ხელებს და ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ექიმი პირველად ხედავდა დენდაკრულ ადამიანს. გულს მოუსმინა, ვერაფერი გაარკვია, პულსიც ვერ იპოვნა და თავი უიმედოდ გააქნა, თუმცა უანგბადის ბალიშები მაინც შემოატანინა.

— ტყულა წვალობს ეს საწყალი ბიჭი, რა არიან ერთმანეთის? — იკითხა შეწუხებულმა ექთანმა.

— არაფერი! — გამომწვევად უთხრა მოლარემ.

— სხვა დროს თუ ქონია ასეთი შეტევები? — იკითხა ექიმმა.

— შეტევები კი არა, დენმა დაკრა, რა შეტევები! — ჩაილაპარაკა გასავათებულმა შოთამ.

— რა უნდოდა მერე ამ დენთან, დენი არ უნახავს, თუ რაშია საქმე! — ხვნეშით ჩაილაპარაკა სქელმა ექიმმა ქალმა.

შოთა ოფლად გაიხვითქა. შეუსვენებელივ, რიტმულად ამოდრავებდა ხელებს. გამხდარ, ძარღვიან ბიჭს სუფთა სახის კანი და მომცინარი, თაფლისფერი თვალები ჰქონდა. სახეც სულ უცინოდა, თუმცა, ახლა შეწუხებული და აწითლებული იყო. რამდენჯერმე უთხრეს, შეგნაცვლებითო, მაგრამ შოთას სხვისი იმედი არ ჰქონდა და შესვენებას ვერ ბედავდა, რათა ყველაფერი წყალში არ გადაყრილიყო.

ამასობაში ზოგიერთი მაცურებელი გარეთ გამოვიდა და კატეგორიულად მოითხოვა ან კინო დაიწყეთ, ან ფული დაგვიბრუნეთო. შოთას გაცინა და მოლარეს უთხრა, პიჯაკის ჯიბეში ფული მაქვს და ამ კაცს მიეცი თუ არა, არ წავაო. მოლარე სალაროში შევიდა, პირსახოცი გამოიტანა და შოთას ოფლი მოწმინდა.

დარბაზში უცხო კაცი შემოვიდა. კაცი ცოტა უცნაურად იყო ჩაცმულ-დახურული. ერთი შეხედვით, გადამთიელი გეგონებოდა. მოსულმა ქართულად თქვა: დღეს კინო არ შედგება, ამასაც აღარაფერი ეშველება და ყველას უმოჩინოებსად გთხოვთ, მეზობელ დუქანში

თითო ჭიქა ღვინოს წავუქციოთ თავიო. მეტი პატიუც არავის დაჰქირვებო, თითაოდ, ფეხაკრეფით გაყვინ ერთმანეთს. უცხო კაცმა შავი ფარდები ჩამოუშვა, ელგუჯას გულზე ხელები დაუკრიფა, წავიდა, სიბნელე და სამარის სიჩუმე დატოვა. შემოვიდნენ დალები, გაიშალეს თმები და ოთახიც განათდა. დალები ელგუჯას თავით და ფეხით დასხდნენ.

ისხდნენ დალები და ხმას არ იღებდნენ. შიშველ მკერდზე და ყელზე ჩამოშლოდათ მზისფერი დალალები. მომღიმარი, მომტირალი თვალებით იცქირებოდნენ უმისამართოდ.

ყრუდ, სადღაც დასაკარგავში ჩამორეკა ზარმა ცალფად. მოზარეებმა თქვეს, ახლა ხმამაღლა უნდა დავიტიროთო და ამ დროს ერთმა დაღმა ამოიკენესა. უცხო ეგონათ, დაფრთხნენ და გადაიკარგნენ.

ექიმმა ელგუჯას საფეთქელთან სუსტი პულსი უპოვნა. ყველანი დაფაცურდნენ. შოთამ ავადმყოფი ექიმს გადააბარა და თვითონ სკამზე მიეგდო. ავადმყოფს თანდათან მოსდიოდა ფერი.

—...საამქვეყნიო პირი უჩანს... — თქვა შავებში ჩაცმულმა ქალმა, რომელიც სულ შემთხვევით, გარედან შემოვიდა და არაფრით მოსაცდელი არ დატოვა. — ეს თუ გადარჩა, შენით იქნება, შვილო... — უთხრა შოთას. — იჯამრთელე, ვისიცა ხარ, წმინდა გიორგიმ წაღმა გატაროს, შვილთაშვილი გყოლებოდეს, მრავალ გაზაფხულს შესწრებოდე!..

შოთას ქალის ლოცვაზე ეღიმებოდა. ელგუჯამ უაზროდ გაახილა თვალი და წყალი მოითხოვა. წყალდ არ მისცეს. საკაცზე დაწვინეს და მანქანაში გადაიყვანეს.

ელგუჯა საავადმყოფოში მიჰყავდათ, მაგრამ შოთამ თქვა, ჩემ სახლში მოვასვენებ, მაინც ჩემი სტუმარიო, იცრუა. აწი სამშვიდობოსაა და მოსვენების მეტი არაფერი უნდაო. სხვებმაც იფიქრეს, ასე უკეთესიაო.

ელგუჯა შოთასთან მიიყვანეს. ექიმმა წამლი და რჩევა-დაროგება დატოვა. რაც მთავარია, გული კარგად აქვსო, მაგრამ თუ რაიმე ვართუღდა ან გაუთვალისწინებელი მოხდა, ისევ დავგიძახებო, თქვა და წავიდა.

შოთას ზედ ზღვის პირას მშვენიერი, აივანიანი სახლი ჰქონდა. ეზოში მანდარინის ბაღი იყო და ღობის გაყოლებით ფეხბოიას ხეები იდგა.

ელგუჯა საწოლში დაწვა და იმწამსვე დაეძინა. შოთა და შოთას დედა ფეხაკრფით გავიდნენ ოთახიდან.

ავადმყოფმა მხოლოდ მეორე დღეს, შუადღით მოიხედა. დიდხანს უყურა ცისფერ კედლებს და ღია ფანჯრებზე ჩამოშვებულ მსუბუქ, გამჭვირვალე ფარდებს. საიდანღაც ზღვის ტალღების შორეული ხმა მოდიოდა. ოთახი იყო ნათელი და სუფთა. რაღაც აუწყრელი სიწყინარე სუფევდა. ელგუჯამ ნეტარება იგრძნო, მხოლოდ ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად იყო და — ვისთან. საიდანღაც, თითქოს სიზმრიდან, მამლების სუსტი ყვირილი ისმოდა, ფანჯარასთან, ფარდის იქით, წითელი ხურმით დახუნძლული, შიშველი ტოტი ჩანდა.

...და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის... — გაახსენდა ელგუჯას.

ოთახში ბიჭი და ქალი შემოვიდნენ. ქალს ცხელი ჩაი მოჰქონდა. ჭიქას ორთქლი ასდიოდა. ბიჭი სკამზე დაჯდა. იგი იღიმებოდა და ელგუჯას უყურებდა.

„ღმერთო, გამახსენე ვინ არის, რა ნაცნობი სახე აქვს?“ — ფიქრობდა ელგუჯა. რაღაცის თქმა დააპირა და უცბად მოეჩვენა, რომ წელში იყო გადაჭრილი. შეკრთა და წელზე ხელი მოისვა.

— ნუ გეშინია, გენაცვალე, ახლა კარგად ხარ! — უთხრა ქალმა.

ქალს სუფთა, სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

— მაგარი ჩაი დალიე, მოგიხდება, მოფხიზლდება! — უთხრა ბიჭმა.

ბიჭი ისევ იღიმებოდა და თეთრი,

ლამაზი კბილები მოუჩანდა. ქალმა წოლთან სკამი მიდგა, სკამზე ლამბაქი და ჩაის ჭიქა დადო. ელგუჯა გვერდზე გადაიხარა და ჩაი მოსვა, იმწამსვე ოფლი დაედინა. ჭიქას ხელი უშვა, ბალიში გაისწორა და ისევ დედა-შვილს მიაჩერდა.

— შენ ამ სახლში პირველად ხარ. — უთხრა ბიჭმა. — შეიძლება მე კი მიცნობ, საზაფხულო კინოში ვმუშაობ. თუმცა შენ აქაური არ უნდა იყო.

— ეს რა ქალაქია? — იკითხა ელგუჯამ.

ბიჭმა უთხრა, რა ქალაქიც იყო. ცოტა შეიცადა და როცა მიხვდა, რომ ელგუჯამ მაინც ვერაფერი გაიხსენა, განაგრძო:

— ...მე შოთა მქვია, გვარად ვარ აჩბა... ეს დედა ჩემი, ქვლივიძის ქალია... მამა არ მახსოვს, ომში დაღუპულა... აი, ისაა მამაჩემი.

ელგუჯამ კედელზე ჩამოკიდებულ ახალგაზრდა, ხალისიანი კაცის სურათს შეხედა, შოთას დააკვირდა, თუ ჰგავსო. მერე სუსტი ხმით იკითხა:

— აქ რატომა ვარ?

შოთამ უთხრა, კინოში დენმა დაგარტყა, შიშველ მავთულს გაედეო. სამე ბიჭის კაი კაცობა დამალა.

ელგუჯამ ვერაფერი ვერ გაიხსენა. რა უნდოდა, როდის, რატომ ჩამოვიდა ამ ზღვისპირა ქალაქში? სულ უკანასკნელად დალი შელიას დასაფლავებას დაესწრო ქურდულად. ეს მოხდა თითქოს გუშინ საღამოს. შემდეგ დაწვა და ახლა გაედვიძა, მაგრამ კალენდრის მიხედვით დააზუსტა, რომ კარგა დიდხანს სძინებოდა. ელგუჯა ისე იყო დასუსტებული, თავს მეტი ძალაც ვერ დაატანა. ფიქრიც გაუჭირდა. დედა და შვილი მიხვდნენ, რომ ავადმყოფი ისევ ცუდად იყო და დამინება და მოსვენება ურჩიეს. თვითონ გარეთ გავიდნენ. ელგუჯას მართლა მალე ჩაეძინა.

საღამოს რაყდენი მოვიდა.

ელგუჯამ ის-ის იყო გაიღვიძა. ახლა,

რაჟო ზეიზვილი
დალი

უკვე მოლონიერებულოყო და საწოლზე წამოჯდომაც შეეძლო. ის კი არა, ადგომასაც აპირებდა. უცხო ხალხს ვაწუხებო, ჯავრობდა.

მწუხრის უამი იყო. მზე ეტყობოდა ზღვაში ეშვებოდა და ოთახის ცისფერ კედლებს და ფარდებს მეწამული ფერი გადაჰკრავდა. ხურმის ტოტი კიდევ უფრო გაწითლებულიყო. უფოთლო ხე ელგუჯას ნაღვლიან ჟუნებაზე აყენებდა. მეორე ოთახიდან უცნობი ადამიანის ხმა ისმოდა.

- გამარჯობა, შოთა?
- სალაში.
- გამარჯობა, ქალბატონო ელენე.
- გამარჯობა, ვენაცვალე...
- როგორაა თქვენსკენ საქმე? —

ფრთხილად კითხულობდა ვიდაც.
— კარგად! — ხალისიანად უპასუხა შოთამ.

რაჟდენი მალე ოთახში შემოვიდა. ჭილის შლაპა მოიხადა, სკამი საწოლთან მიწია და ნელა დაჯდა.

- რა დაგემართა, ბიჭო, შენ? — ჰკითხა ელგუჯას.
- კინოში შიშველ მავთულს გავედევნი და დენმა დამკრა, მე არაფერი არ მახსოვს...

— რა გინდოდა, ბიჭო, იმ დილაადრიანად კინოში? — გაიღიმა რაჟდენმა. ელგუჯამ მხრები აიჩიხა.

— შენ, ძმაო, ხალხი წააქციე, დენი თუ რამეს გიზამდა, ვის ეგონა... პატარა მავთულმა დაგაგდო ძირს?

- კი.
- უყურე შენ მაგას! — გაცინა რაჟდენს.

ელგუჯას რაჟდენი უზნის ექიმი ეგონა, და გაუკვირდა, ასე არასერიოზულად რატომ იქცევიაო. ოთახში დედა და შვილიც შემოვიდნენ. ქალი მაგიდასთან გაჩერდა, შოთა რაჟდენის გვერდით დაჯდა.

- ბიჭებმა მოკითხვა დამბარეს, ხვალ გნახვენ შენ! — თქვა რაჟდენმა.
- რომელმა ბიჭებმა?
- ჩვენმა ბიჭებმა. სიგარეტი არ გაქვს, შოთა?

— არა მაქვს, აღარ ვეწევი. — უთხრა შოთამ.

- დანებე თავი?
- ორი კვირაა.
- თლა კაი!..

რაჟდენმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფრთხილად ამოიღო დაკეცილი ხუთმანეთიანები. ფულები გაშალა, დათვალა; მერე ისევ გადაკეცა და ელგუჯას საწოლზე დადო.

- ესეც ჯამაგირი, მოგიტანე...
- რისი ჯამაგირი?
- თხუთმეტამდეა გამოწერილი, კიდევ გერგება...

რაჟდენი ვერაფერს ხვდებოდა, ვერ ატყობდა, რომ ელგუჯამ იქაურობის აღარაფერი იცოდა.

— ასეა ეს საქმე! — თავისთვის თქვა რაჟდენმა, საწოლზე დადებული ფული ისევ აიღო და სკამზე დადო.

— დენმა როგორ გაგაფუჭა, შენ? საკვირველია პირდაპირ...

— ნაწვიმარ მიწაზე იდგა, თანაც მავთული საფეთქელზე შეეხო თუ არა, ისე შეიძლება არც არაფერი მომხდარიყო. მე, მაგალითად, მხოლოდ როცა მშრალზე ვდგავარ, ორივე წვერს ერთად ვკიდებ ხელს! — თქვა შოთამ.

- ააა?! — გაუკვირდა რაჟდენს.
- ნამდვილად.

— მე ერთხელ რადიოს ვშლიდი, რადიოს გავედევნი და რომ დამაზანზარა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა... დამანებე თუ კაცი ხარ, თავი!..

— ოჯახში ხომ კარგად, რაჟდენ, ძაღუ რას შვება? — ჰკითხა ქალმა.

— ეჰ, რას იზამს, არის გაჭირვებულად, ქალბატონო ელენე, ცუცავ ავად არის, არც სხვა არის დალხინებულად. ოჯახში რომ შევდივარ, ჩემო ქალბატონო, გოსპიტალი მგონია... — თქვა რაჟდენმა და წასასვლელად მოემზადა.

- აბა კარგად იყავით!
- რა გეჩქარება? — უთხრა შოთამ.
- დარჩი, რაჟდენ, თუ გიყვარდე! — სთხოვა ქალმა.
- წავალ, ჩემო ქალბატონო, მივხე-

დავ ჩემ გაჭირვებულ საქმეს. ელგუჯა, აბა შენ იცი, მაგრად იყავი... ხვალ კი აღგები და კიდო უკეთესი. ერთი არტემასთან უნდა გაჭიდავო ხელახლა... რა ქნა, კაცო, იმ დღეს, არ დამიფინა მუშახელი? — გაეცინა რაედენს.

რაედენი მალე წავიდა.

— ვინ იყო ეს კაცი? — იკითხა ელგუჯამ.

— შენი წარმოების უფროსია, სადაც შენ მუშაობდი. იქ მუშაობს, ვერ იცანი? რაედენი ქვია... — უთხრა შოთამ.

ელგუჯამ ოფლი მოიწმინდა. შერცხვა, რა მჭირსო. „შეიძლება სიზმარში ვარ და ვერ ვხვდები?“ — გაიფიქრა მან.

შოთამ ელგუჯას გულმედიწყობა ავადმყოფობას დააბრალა. ხვალ დილით ყველაფერი გაუვლისო, დაასკვნა და სტუმარს სიმშვიდე ურჩია.

ელგუჯამ ვერც მეორე დღეს, ვერც მესამე დღეს და საერთოდ, ვერც ვერასოდეს ველარ გაიხსენა, როდის, ან რატომ ჩამოვიდა ამ ქალაქში და რა საქმეს ეწეოდა ამ ხნის მანძილზე. ეს დრო სადღაც დაკარგულიყო.

ელგუჯა მეორე დღესვე ადგა. მარცხენა ფეხი აღარ სტკიოდა. აღარც ეტყობოდა, თუ ოდესმე ფეხს მოწყვეტილივით დაათრევდა. დაიბანა, წვერი გაიპარსა. შოთამ ახალი პერანგები გამოუტანა, მაგრამ ელგუჯას არც ერთი არ მოერგო. ისევ ძველ ტანსაცმელს დასჯერდა. ტანსაცმელი გარეცხილი და გაუთოებული იდო სკამზე. ელგუჯა სარკეში იხედებოდა და დიდხანს უყურებდა მზემოკიდებულ სახეს. საფეთქელთან ორი შავი წერტილი აჩნდა.

ელგუჯა იმ დღითვე აპირებდა თბილისში გამგზავრებას, მაგრამ მასპინძლებმა არ გაუშვეს, ჯერ ისევ სუსტად ხარო.

შოთა ცას ეწია სიხარულით, როცა გაიგო, რომ მისი სტუმარი ის ცნობილი მოჭიდავე იყო, ვისი სურათიც ერთხელ სავანგებოდ ამოჭრა სპორტული ჟურნალის გარეკანიდან. სურათი შოთამ კიდევ გამოძებნა. ხან ელგუჯას უყურებდა, ხან ფერად სურათს და

იმახდა, ეს რა საოცარი ამბავიაო. ბიჭები მალე დამეგობრდნენ.

ელგუჯა საგონებელს მისცემოდა. არ ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე რითიმე, ამ კაცის პატივისცემას გადაიხდიდა. შოთამ ისიც უთხრა, თუ როგორ და რანაირად მოხდა ყველაფერი. თუ გინდა, სამთავეს გაჩვენებო, მაგრამ ელგუჯა ამ ამბით აღარ დაინტერესებულა. შოთამაც თქვა, ისე რაც მართალია, სიკვდილით არც იმით გაუწირიხართო. მე მგონი, ყველაფერი შემთხვევით მოხდა, თორემ სამთავე ლეთის გლახაკია, ამდენს როგორ გაბედავდნენო.

მესამე საღამოს ელგუჯამ დედა და შვილს თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოუთხრო თავისი თავგადასავალი.

გრილი დამე იყო. ცაზე ყველა ვარსკვლავი ჩანდა. ზღვიდან წყნარი ნიავი უბერავდა და ღია ფანჯრებზე ჩამოფარებულ ცისფერ სიფრიფანა ფარდებს არხევდა. სამთავენი პატარა, მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ და ჩაის სვამდნენ. ელგუჯა ლაპარაკობდა. ქალი და ბიჭი სულგანაბული ისმენდნენ.

...როცა ქმარმა ცოლი სცემა, ქალს ტუჩები აუცახცახდა და თვალებზე ცრემლი მოადგა. ბიჭმა დედას შეხედა და გაიღიმა. როცა გაიგო, დალი შელია მოკვდაო, თვითონაც ატირდა. დედა და შვილი ქვითინებდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ.

ელგუჯას ძალიან გაუჭირდა ამ უცნაურ აღამიანებთან გამოთხოვება, მაგრამ თავს ძალა დაატანა, შაბათ საღამოს მატარებელში ჩაჯდა და დილით უკვე თბილისში იყო.

თავი ორმოცდამათი

თბილისში დეკემბერი ნახევრდებოდა. ცა ყოველდღე ლურჯად კრიალებდა და შეყვითლებული მზე ანათებდა. ფოთლებმემხმარი ჭადრები მოჰყვიყვივებულურებით და შიშვით იყო დახუნ-

რაზო ზვირილი
დალი

ძლული. უცხოელებს უკვირდათ, ამდენი ჩიტი აქ საიდან მოფრენილა, რა უნდათ, რა დარჩენიათ.

მზიარული და მზემოკიდებული ელგუჯა, ზღვაზე დასასვენებლად ვიყავი წასულიო რომ ამტკიცებდა, ისევ გამოჩნდა თბილისის ქუჩებში. ზოგს უკვირდა მისი დანახვა, ზოგიერთს ერთი ორი დღის წასული ეგონა. ბევრმა ყურმოკვრით, ბევრმა დაახლოებით, მაგრამ მაინც თითქმის მთელმა თბილისმა იცოდა, რა როლი შეასრულა ელგუჯამ იმ სამწუხარო ისტორიაში, რომელმაც თავის დროზე საზოგადოების ყურადღებაც კი მიიპყრო.

ელგუჯას დანახვაზე ქალები ქუჩაში ჩერდებოდნენ და ჩურჩულებდნენ. ზოგიერთი უნახავივით აჩერდებოდა. ელგუჯა ყველაფერს გრძნობდა, მაგრამ ჯავრი არ ჰქონია. არავის ყურადღებას არ აქცევდა. იმ დღეებში ძვირფასი კოსტუმები შეაკერინა ცნობილ თბილისელ მკერავს, რომელთანაც თვეობით იღვნენ ხოლმე რიგში. მკერავმა ორ დღეში მორაგო ტანზე ახალი ტანსაცმელი.

მხოლოდ მესამე დღეს ააქითხა დეიდას. გახარებულმა ქალმა ქმარს დაურეკა, ჩქარა წამოიღო, ელგუჯა ჩამოვიდაო; ჩვენ რომ შეჯიბრებაზე წასული გვეგონა, თურმე ზღვაზე ისვენებდაო.

სამუშაო დღე ახალი დამთავრებული იყო. მთავარ მაგისტრალზე მანქანების ნიაღვარი მოედინებოდა. ვადასასვლელთან არც მილიცია იდგა, არც შუქნიშანი ეკიდა. ხალხი დროდადრო თვითნებურად კეტავდა გზას და მანქანებს აჩერებდა. ზოგიერთი თავზეხელაღებული ინდივიდუალურად გარბოდა და მანქანებში მასრასავით მიძვრებოდა. შალვას მარტო ამის დანახვაზე მისდიოდა ფერი.

„...სად გაგონილა, ვის უნახავს ასეთი უწესრიგობა და თვითნებობა... ეს რა ქალაქია, ეს რა მოედანია!“ — ფიქრობდა შალვა და შეშინებული აცეცებდა თვალებს. სახლში იჩქაროდა, თუმცა კარგად არ იცოდა ცოლი რისთვის ურეკავდა. ელგუჯა ჩამოვიდაო. „სად იყო

წასული, რომ ჩამოვიდა?“ — ფიქრობდა იგი და დარწმუნებული იყო, რომ რაღაც კარგი ამბავი არ იყო მომხდარი.

უყურებდა მოედანს და არ იცოდა, როგორ, რა გზით გასულიყო გაღმა. მანქანები მოდიოდნენ გაუჩერებლად. ნიაღვარი არ წყდებოდა, არ თავდებოდა.

უზარმაზარი მოედნის განაკედეს იდგა გამხდარი, დაღუული კაცი, რომელსაც ქუდი ყურებამდე, მუზარადივით ჰქონდა ჩამოწეული და შეშინებული თვალებით ამაოების მოედანს გაჰყურებდა.

ჩამოსვლის დღიდან ელგუჯა ვერის ცნობილ ბაღში არ შესულა; მარტო ფეხბურთის გახსენებაზე ეყრებოდა გულს. მხოლოდ ერთხელ შეიარა შიგ და კაცი ნაცნობი ვერ ნახა. გულშემატკივრები მთლიანად, უკომპრომისოდ გადაბარგებულყვეს ოპერის ბაღში. შერმაღინმა ამ პროცესს ხალხთა დიდი გადასახლება უწოდა.

იმ საღამოს ელგუჯამ ოპერის ბაღში შეუხვია. გვიანი ღამე იყო, მაგრამ ხეთა ჩრდილებში ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილი ხალხი ჩანდა. ელგუჯამ ამ კრებებს შორიახლო ჩაუარა, განაპირდა და მოულოდნელად სრულიად უკაცრიელ ადგილას გურამ ყვავაძეს გადააწყდა. გურამი მარტოდმარტო იჯდა გრძელ სკამზე და ცაში იყურებოდა. ელგუჯამ ხელი ჩამოართვა და იქვე დაჯდა.

ელგუჯა გურამს შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ შეხვდებოდა, მაგრამ ამ კაცს დიდ პატივს სცემდა. უფრო განათლებულ და ნიჭიერ ადამიანს იგი არ იცნობდა.

გურამი კორექტორად მუშაობდა ერთ-ერთ გამომცემლობაში. ამ პატარა თანამდებობას თვითონ არ თაკილობდა და სხვებს მის მაგივრად არ რეცხვენოდათ. ამბობდნენ, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ თავიდან ბოლომდე ლექსად, პირდაპირ იტალიურიდან თარგმნაო. პოემის გამოქვეყნებას ჯერჯერობით ვერ ახერხებდა თუ არ აპირებდა, არავინ იცოდა. გურამი სხვა ენებიდანაც

თარგმნიდა. მხოლოდ შელის რამდენიმე ლექსი და მილტონის ნაკლებად ცნობილი პოემა დაბეჭდა. სპეციალისტების დიდი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ ფართო ლიტერატურულ საზოგადოებაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. გურამი ევრერიგად არაფერს დარღობდა. დარწმუნებული იყო, რომ თანამედროვე ქართული ინტელიგენცია ძირითადად საშუალო ნიჭის ადამიანებისაგან შედგებოდა. საშუალო ნიჭი და გემოვნება ბატონობდა ყველაფერზე. საშუალო ნიჭის ხალხი აგინებდა და აღმერთებდა ერთმანეთს. ამ ერთფეროვან ხალხს უფრო დიდი ადამიანის ატანა და შეფასება არ შეეძლო და ამ საქმეს (ალბათ არაცნობიერად) ისტორიას უტოვებდა.

ელგუჯას ვერ გაეგო, რატომ იყო ეს კაცი ჩრდილში, როცა მისი ტოლები უკვე დაფნებს ეპოტინებოდნენ. „ჭიდაობა მაინც სხვაა. ორი კაცი ერთმანეთის პირისპირ დადგება და ყველა შეხედავს ვინ — ვის; თუმცა, იქაც რამდენს დაუმსახურებლად შეხვედრია დიდების გვირგვინი და რამდენი ნიჭი უდროოდ გადასულა ხალიჩიდან?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

გურამ ყვავაძეს ბევრი უცნაურ ადამიანად თვლიდა. ზოგს ეგონა, რომ იგი რელიგიით იყო შეპყრობილი. ეტყობოდა, ელგუჯასაც არ მიაჩნდა ეს აზრი სისულელედ, რადგან სულ მალე გურამს პირდაპირ ჰკითხა:

— შენ ღმერთი გწამს?
— არა.

ელგუჯა გაჩუმდა და ძირს დაიხედა. ცოტა სირხუმის შემდეგ გურამმა განაგრძო:

— ...ახლა რომ ღმერთი გწამდეს, უნდა იყო ან ძალიან შეგნებულო, ან ძალიან შეუგნებელი. მე, როგორც ჩანს, არც ერთი ვარ და არც მეორე... ყოველგვარი რელიგია და ფილოსოფია, რომელიც ღმერთამდე მიდის, შექმნილია სიკვდილის შიშით. ადამიანი ვერაფრით ვერ შეგუბობია სიკვდილს. არ უნდა დაიჯეროს, რომ გაქრება და ყვე-

ლაფერი მასთან ერთად დასრულდება. გაზაფხულზე ამწვანდება ხე, დილით მზე ამოვა, ღამით მთვარე და ვარსკვლავები გაანათებენ და ის არ იქნება არსად და არაფერში. ჯერჯერობით, შეიძლება იმიტომ, რომ სიკვდილს არ ვაპირებ, ამის მე არ მეშინია, რადგან უკვდავების ძსედაც მჯერა. ადამიანი უკვდავია. იგი არსებობდა, იარსებებს მუდამ. თუ შენ ნაწილი ხარ ამ ადამიანობის, შენც უკვდავი ხარ, რადგან შენი ფესვი და მოდგმა არასოდეს არ მოკვდება... ცხოვრება ერთი გაბმული, გაუწყვეტელი სიცოცხლეა. მან არ იცის სად, ვინ (პეტრე და ივანე) კვდება; მან იცის, რომ არ კვდება ადამიანი. მე რამდენჯერმე წავიკითხე ბიბლია — ძველი აღთქმა. ამ წიგნს მორალურ, ლიტერატურულ და თუ გინდა სხვა ღირსებას ვინ დაუქარავს ძალიანაც რომ უნდოდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ბოლოსდაბოლოს ეს წიგნი არის ულოგიკობის და აბდაუბდის გროვა. სწორედ ბიბლია და სახარების დოგმები და აწვა ადამიანის გონებას და საუკუნეები გააწვალა. ამ წიგნებმა შეაფერხეს აზროვნება, მათემატიკა, ხელოვნება; მთელი ცხრამეტი, ოცი საუკუნე ადამიანი ვერ გაცდა ბერძნულ, ეგვიპტურ, რომაულ, ბაბილონურ აზროვნებას. ვერ გადაახტა იმდროინდელ მედიცინას, ქანდაკებას, არქიტექტურას. მხოლოდ დიდი ადამიანები, რომლებიც არღვევდნენ რელიგიის დოგმებს და სადღაც უპირისპირდებოდნენ კიდევ მას, კმნიდნენ შედეგებს და ის საუკუნეები მათ ხარკზე იწმენდა სინდისს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დედამიწა მაინც ბრუნავდა, ისინი აკეთებდნენ ჭოგრიტებს და ვარსკვლავებს უყურებდნენ. მთვარე არ არის გლუვი და გამაღამინებელი... წერდა გალილეო გალილეი. იგი უსწორმასწორო და ხორკლიანი არისო, როგორც დედამიწაზე, ისე იქაც მთები, ღრმულები და ზეგნე-

რეზო ზაიზვილი
დალი



ბია. გალილეო გალილეიზე ადრე მთვარეს მათემატიკოსმა ტომას ხარიოტმა გახედა და მანვე შეადგინა მთვარის ზედაპირის პირველი რუკა. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ტომას ხარიოტის ტელესკოპი არ იყო თეორიული განგარიშებით აწყობილი და ოპტიკურად სრულყოფილი, მაგრამ ყოველგვარი ვარაუდის წყალში გადასაყრელად ეს რუკა საოცრად ჰგავს სულ ახლახან გადაღებულ მთვარის ფოტოსურათებს. ბერძენმა სწავლულმა არისტარხმა, რომელმაც ცხრამეტი საუკუნით კოპერნიკზე ადრე მზის სისტემის ჰელიოცენტრულობა დაადგინა, გამოიანგარიშა, რომ მანძილი მთვარემდე ორმოცდაცხრამეტჯერ აღემატებოდა დედამიწის რადიუსს. გიპარხმა კიდევ უფრო დააზუსტა ეს მანძილი და მთვარის კუთხის დიამეტრი 31 გრადუსით, თითქმის თანამედროვე ტელესკოპის სიზუსტით განსაზღვრა. პტოლემემ მთვარის ორბიტის პარამეტრები დაადგინა, ისე რომ, ორიათასი წლის წინ, კიდევ უფრო ადრე, სწავლულებმა და ფილოსოფოსებმა იცოდნენ, რომ მთვარე იყო ბურთისებური პლანეტა, ისე როგორც მიწა, დაფარული იყო მთებით, ტაფობებით და უფსკრულებით; ბრუნავდა დედამიწის გარშემო და მზის სხივებით განათებული, როგორც იმედი და სასოება, სამარადისოდ ჩანდა ცაზე. თოთხმეტი საუკუნის სიჩუმის შემდეგ სამმა ადამიანმა კეპლერმა, გალილეიმ და ნიუტონმა ისევ შეარყიეს ბიბლიის სიმძიმის ქვეშ მიძინებული გონება. კეპლერს ღრმად სწამდა. თუკი კაცობრიობა ოდესმე ისწავლის ფრენას, მაშინ გამოჩნდებიან მოახალშენეები ადამის მოდგმიდან. მიეცი მათ ხომალდი, გაუშალე აფრა ცისკენ და ისინი არ შეუშინდებიან მარადიულ უსასრულობას... სწორედ არისტარხმა, გიპარხმა, პტოლემემ, და შემდეგ, ნიუტონმა, გალილეიმ და სხვებმა თქვეს რომ მთვარე უფრო ჰგავს დედამიწას, ვიდრე სხვა რამეს; განამტკიცეს ცისა და მიწის, სამყაროს ერთიანობის იდეა. ბიბლიის მიხედვით კი,

მთვარე მხოლოდ იმიტომ არსებობს რომ დედამიწა გაანათოს.

— შეიძლება ასეც არის? — გაელშიმა ელგუჯას.

— ასე სულაც არ არის. სამყაროში არსებული ყოველგვარი ორი ნაწილაკი ერთმანეთს იზიდავს, მხოლოდ მათი ძალა მათი მასის ტოლფასია. შენ ალბათ გაგიგონია ზღვის მიქცევა და მოქცევა.

— მინახავს კიდეცაც.

— ...მიქცევა ზღება დღეში ორჯერ. მიქცევისა და მოქცევის დროს მთვარე გადის მერიდიანზე და საერთოდ, მთვარის ზემოქმედება დედამიწაზე დადასტურებულია. სულ ახლახან გაირკვა, რომ მთვარეს და დედამიწას ერთი სუნთქვა, ერთი პულსაცია აქვთ. სხვათაშორის, არა მარტო — მთვარეს და დედამიწას. არავითარი სოციალური, პოლიტიკური ძვრა, თუ გინდა, სტიქიური უბედურება დამოუკიდებლად არ ზღება. ყველაფერი სადღაც სამყაროში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. ციური სხეულები, განსაკუთრებით მთვარე და მზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და რაც უფრო საცნაურია. ფსიქიკაზეც ახდენს გავლენას. მთვარის დაპყრობა ადამიანის აზროვნებასაც დააჩენს კვალს.

— საჭირო იყო მერე, როგორც შენ ამბობ, ეს მთვარის დაპყრობა?

— კ.

— რატომ? თუ კაცის გაჩენიდან დღემდე მთვარე ადამიანის ოცნებად და სასოებად ანათებდა, ახლა რაღა დარჩა? თუ სილამაზეზე ფეხი დადგი, რა გამოვიდა. ჩვენ ხომ ფაქტიურად მთვარის სიკვდილს მოვესწარიით?..

— გარდაცვალებას... — შეუსწორა გურამმა და გაეცინა. ეგონა, ძალიან არაბუნებრივად ვლავარაკობო. როცა ნახა, რომ ელგუჯას სასაცილოდ არაფერი მოჩვენებია, განაგრძო:

— ...როდესაც ადამიანი, მიწას, ესე იგი თავის თავს, მთვარიდან ხედავს, დიდი ამბავია. ეს იგივეა, შენი თავი რომ სარკიდან დაინახო, სარკეში კი



არა, სარკიდან. ყველაფერს აღარ ჩამოვთვლი, სხვას რომ თავი დავანებოთ, მთვარეზე ასვლით ადამიანი პირველად გავიდა საკუთარი თავიდან და გზა გაიხსნა ვარსკვლავებისაკენ...

ელგუჯამ მოიწყინა, მოეჩვენა, რომ გურამი მართალი იყო.

— მაინც რამოდენაა ეს სამყარო? მარტო ჩვენი გალაქტიკა ასი მილიარდი მზის ტოლი ვარსკვლავისაგან შედგება. ასეთი გალაქტიკები კიდევ მილიარდობითაა მიმოფანტული. თუ სამყაროს დასასრული აქვს, მაშინ ალბათ კიდევ არსებობს სხვა სამყარო. ხომ არ შეიძლება, რაღაცის იქით იყოს არაფერი. დუბლერის მეთოდმა, — წითელი ფერის სპექტრში ციალმა, დაამტკიცა, რომ გალაქტიკები სინათლის სისწრაფით მიქრიან და შორდებიან ერთმანეთს. სამყარო საშინელი სისწრაფით იზრდება და კიდევ უფრო ფართოვდება. მთვარეზე ასვლა კი ბავშვი რომ ფეხს აიდგამს და კედლიდან კედლამდე მივა იმას უდრის. როდის გაიზრდება ეს ბავშვი? სადამდე ივლის? ეყოფა კი ერთი სიცოცხლე, ერთი ცივილიზაცია? რა უნდა იყოს უსასრულობაში ჩაკარგულ ადამიანზე საცოდავი და სასაცილო? როდის, როგორ უნდა შეიცნოს სამყარო? რომელი ულტრათანამედროვე ტელესკოპებით უნდა დაეწიოს ძველ გალაქტიკებს? — წყნარად, ნელ-ნელა და ლაბარაკობდა ელგუჯა.

მოშორებით ლამიონის რკინის სვეტთან ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ყაყანებდა. მარტორქა უფრო ღონიერია, ბეჭემოთი თუ გორილაო, დაობდნენ.

— ადამიანი არ არის უსუსური და სასაცილო, — თქვა გურამმა. — პირიქით, ცოდნითა და სიამაყით შან საკუთარი თავი კინაღამ ჩიხში მოამწყვდია. ყოველშემთხვევაში, იგი ახლა მრავალი დილემისა და პრობლემის წინაშე დადგა. მისივე შექმნილი იარაღით, ტექნიკით საფრთხე შეუქმნა სიცოცხლეს. გაქუჩყაინებული ჰაერი, ენგბადის გაიშვიათების საფრთხე, ყინულების დნობა, მოსახლეობის კატასტროფული

ზრდა და სხვა სოციალურ-პოლიტიკური საკითხები მალე საშინლად დააფრთხილებს, მაგრამ ბუნებას იგი, საბედნიეროდ უგუნურებისათვის არ გაუჩენია. ადამიანის გონება ისეთივე უსასრულოა, როგორც სამყარო. ადრე თუ გვიან იგი იზეიმებს საბოლოო გამარჯვებას. მართლაც ძალიან საოცარია ვარსკვლავთსიშორე და გალაქტიკების მილიარდობა, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველის არის, რომ ადამიანის ტვინში თოთხმეტ-თხუთმეტი მილიარდი სანერვე უჭრედა. ახალშობილის ორგანიზმში კი ორას მილიონამდე უჭრედა და ყველას თავისი ფუნქცია აქვს... აი, რა არის საკვირველი! — თქვა ყვავაძემ.

— ალბათ ასეა, მაგრამ ამის ცოდნა, ან შეგნება, რასაც შენ ამბობ, ადამიანს რა სიხარულს მოუტანს?

— სიხარული შეიძლება კოპეკობის მაღაზიაში ნაშოვნმა ორმანეთიანმა სულგუნმა უფრო მოგანიჭოს, მაგრამ ამაში არაა საქმე. უმნიშვნელო, წარმავალი სურვილების ასრულებით ბედნიერებას ვერ იბოვნი; სხვისი წაბაძვით, ჯიბრით და შურით ვერაფერს მოიპოვებ. აყვავებული ხის დანახვა უნდა შეძლო, სოფლის ხმელ მიწაზე ისხარი წვიმით დამდგარი მიწის სუნე უნდა გცემდეს, ღელის ხმა და ზღვის ხმაური უნდა ვამშვიდებდეს და მიხვდები, რომ მთავარი ეს არის და არა ფული, თანამდებობა და მეცნიერული ხარისხები. თუ ამას იგრძნობ, იმასაც გაიგებ, რომ ბუნების, მშვენიერების ნაწილი ხარ და ყველაფერი კარგის შეგრძნება შეგიძლია, თუმცა ესეცაა, მაშინ სიცოცხლით ვერ გაძლები და სიკვდილის აუცილებლობას ვერ ირწმუნებ...

ელგუჯამ იგრძნო, რომ გურამმა ყველაფერს თავი საბოლოოდ მანც ვერ მოუყარა და წინააღმდეგობაშიც კი ჩავარდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მოსაუბრე ახლა ფაქტებით და მაგალითებით ასაბუთებდა ადრე ნათქვამს;

რეზო პეივილი
დალი

ადამიანის არსებობას კი მაინც ვერ ამართლებდა. ბოლოს ისევ კანტის სიტყვები მოიშველია. ადამიანს შეუძლია შეიციოს სიცოცხლის სხვადასხვანაირი მოვლენა, მისი კანონები, მაგრამ თვით სიცოცხლის პრინციპი ჩვენი შემეცნების ფარგლებს სცილდებაო და ელგუჯა საბოლოოდ დააბნია.

მეორე დღეს ელგუჯამ შემნახველ სალაროს მიაკითხა. სალაროში თავისუფლება, სიგრილე და სიწყნარე იყო. სუფთად შეავსო პატარა ქალაქი და ბარიერს დაეყრდნო. მის წინ თავაულებლად მუშაობდნენ ახალგაზრდა ქალები. ელგუჯას მუდამ აოცებდა ამ ადამიანების მუყაითობა და გარჯილობა. უკვირდა, ამდენი ფულის მაყურებლები მცირედითაც კმაყოფილნი რომ ისხდნენ. ყოველთვის განაკიდეს, პირმრგვალ, ლამაზ ქალთან ავსებდა წიგნაკს. ქალი შეუჩერებლად, თავაუწევლად აკეთებდა ყველაფერს და ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაარკვია, ცნობდა თუ არა ეს ადამიანი. მისალმება ახლაც ვერ გაბედა. ქალმა სწრაფად გადააწყო გვერდზე ქალაქდები და მშვიდად თქვა: — ელგუჯა, მომეცი წიგნაკი!

ბიჭმა წიგნაკი გადააწოდა. ქალმა გაშალა. გაასწორა. დაიხარა და კატალოგადან მუყაოს ფურცელი ამოიღო.

— სულ მიგაქვს? — იკითხა გაკვირვებულმა.

— სულ! — უთხრა ელგუჯამ.

ელგუჯა უკვე მეოთხე წელი იყო მანქანის ფულს აგროვებდა. ფიზკულტურის კომიტეტი „ეოლგას“ იყო შეპირებული. ცოტას ცოტას უმატებდა, თავში გადიოდა და გახარებული იყო.

— ცოტა მაინც დატოვე! — ქალმა.

- არაფერს არ ვტოვებ.
- მაშინ წიგნაკი უნდა დაიხუროს...
- დაიხუროს.

ქალმა თავი დახარა და წერა დაიწყო.

ღილით ელგუჯამ იყიდა ყველა ყვავილი, რომელიც იმ ღილით ბაზრებში გამოიტანეს. მიხაკებით, თეთრი და წითელი საშემოდგომო ვარდებით გაივსო გივის მანქანა. ყვავილები სასაფლაოზე აიტანეს. თბილისი კი იმ დღეს უყვავილოდ დარჩა.

მესაფლავენი, ქვით ხურონი, კალატოზები და ზოგიერთი ქირისუფალი მოწმენი იყვნენ უცნაური სანახაობის. ერთი საფლავი სულ ყვავილებით დაიფარა. ახალი ყვავილები ეყარა მუხლამდე. ჯერ არავის ამდენი ყვავილი ერთად არ ენახა.

დღე იყო თბილი, უქარო. სასაფლაოზე სიჩუმე იყო. საღდაც ხმელი ფოთოლი გაიშრიალებდა. საიდანღაც ქვაზე სამტოხის ცემის შორეული ხმა ისმოდა. საფლავთან ორი ბიჭი იდგა. ერთი, სქელი, მოშორებით გაჩერებულიყო; მეზობელი საფლავის გალავანს მიყრდნობოდა; მეორე, მალალი, ფერმკრთალი ქერა ბიჭი ძირს იხედებოდა და დალის საფლავს უყურებდა. ბიჭები მალე წაივდნენ. მებაღე ქალები დაღამებამდე ასხურობდნენ ყვავილებს წყალს.

დაღამებულს ელგუჯა ვაშაძე თბილისიდან გაემგზავრა.

მატარებელი ნელა დაიძრა. უკან დარჩა თბილისი — უიმედობისა და იმედების, სევდისა და სიხარულის ქალაქი.

პილოზი

სიკვდილის პირას ოდეს ვიქნები,
მე ჩემს დემონებს
ვთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები,
სადაც არა ერთს გაეხსენებ ნანგრევ
შენობას.

მათ მხოლოდ ერთი ასწიონ ფარდა
მზის დამფარავი,
სადაც შენს იქით, სადაც შენს გარდა,
არ ჩანს არავინ...

გალაკტიონ ტაბიძე

ელგუჯა სამუდამოდ დასახლდა თავის სოფელ მანდიკორში. იგი სიხარულით მიიღო სოფელმა. ელგუჯა სოფელ მანდიკორის საშუალო სკოლის მასწავ-

ლებლად გაამწესეს. ასწავლიდა ქართულ ენას და ლიტერატურას და ფიზიკულტურას. ახალგაზრდა მასწავლებელმა მალე შეიყვარა თვინიერი, დამჯერე და მუყაითი ბავშვები.

ელგუჯამ სკოლაშივე მოჭიდავეთა დიდი სექცია ჩამოაყალიბა. სექციაზე უამრავი ბავშვი ვარჯიშობდა ერთდროულად. ზოგიერთი მეზობელი სოფლიდანაც დადიოდა. მანდიკორის კოლმეურნეობამ და სადაბო საბჭომ სოფლად დიდი საჭიდაო დარბაზის აშენება გადაწყვიტეს. ხარჯი დაამტკიცეს, შეირჩა ადგილი და სადაც იყო მუშაობასაც დაიწყებდნენ. ეს დარბაზი ყველაზე ღირსახსოვარ შენობად უნდა აღმართულიყო იმ რაიონში.

ელგუჯა კმაყოფილი იყო მუშაობით. ძალასა და დროს არ ზოგავდა. გრძნობდა, რომ საქმეს აკეთებდა; იცოდა, რაღაცას მიაღწევდა და უხაროდა.

ელგუჯა მწვრთნელს ძალიან მოსწონდა ორი ძმა მაწიკელაძეები. გამხდარ კერკეტა ბიჭებს ელგუჯა განცვიფრებაში მოყავდათ. ჭიდაობის დროს ძმები კატებივით ებორწილებოდნენ ერთმანეთს. ტანი რეზინივით ეჭიმებოდათ და ყველა ნეკნი მოუჩანდათ.

ერთხელ ბიჭების მამა გამხდარი, მაღალი გლეხი, რომელზეც ამბობდნენ, ბულა ხარს წევდაო, ელგუჯასთან მოვიდა და ურწმუნო ღიმილით იკითხა:

— გამოვა ვითომ რამე ამ ღვთის გლახებიდან, ბატონო?

— თუ დამაცლით და ბიჭებიც დამიჯერებენ, რამდენიმე წელიწადში ორთავეს მსოფლიო ჩემპიონებს გავხდი. მარტო ერთს კი არა, — ორთავეს! — დარწმუნებით თქვა ელგუჯამ.

თავისუფალი დრო ელგუჯას ცოტა რჩებოდა. თუ შინ იყო, კითხულობდა, ან მამას ეზოსა და ფუტკრის მოვლაში ეხმარებოდა. მამა და შვილი ცოტას ლაპარაკობდნენ. ორთავეს თავისი დარი და საფიქრალი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ერთმანეთი არ ავიწყლებოდათ. უფრო მამა წუხდა. უხაროდა შვილის შინ ყოფნა, მაგრამ არ იცოდა,

ვაჟი რას აპირებდა და საგონებელს მისცემოდა. ამ მოწყენილ ხალხს და ეზო-ყურეს რძალი თუ გამოაცოცლებდა. ელგუჯა არაფერს ამბობდა, მამაც არაფერს ეკითხებოდა. მეზობლები და მოკეთეები ფიქრობდნენ, რომ აღრე იქნებოდა თუ მალე ელგუჯა დედამისივით მშვიდ და ლამაზ ქალს შემოიყვანდა ოჯახში.

თომა აივანს მოძველებულ ბირკვილს უცვლიდა. ალიონზე ამოდიოდა ლაშვილელი დურგალი სოგრატი. ნელა, დინჯად აიკრავდა ფეშტემალს, გამართავდა შალაშინს, ბეწვა ხერხს და მუშაობას დაიწყებდა. ეზოში წაბლის ხის ბურბუმელის სუნი იდგა. სოგრატი ამტკიცებდა, ახალგაზრდობაში წიფლი-გვერდის ტყეში ცხენზე ალი შემომიჭდაო. ბეჭებზე მართლაც აჩნდა ალის ფრჩხილების ნაკვალევი, რომელიც ვარეული კატის ბრჭყალების ანაბეჭდებსაც ჩამოგავდა.

— ცოტა ნასმი ვიყავი, ბატონო, ნათლიდედასთან შევგვიანდი. ცხენდაცხენ მოვშლივინობდი გზაწვრილზე, მთვარე ხან გამოჩნდებოდა ხეებში, ხან დაიკარგებოდა. ნიგვზარას მთა გავლანდე თუ არა, ვივარძენი, რომ ზურგში რაღაც მეცა. იმწუთას მივხვდი, ალი რომ იყო. ვყარი ცხენს ქუსლი. ჩემი შეფურცხუნება რად უნდოდა, საწყალი ცხენი სულ გადაირია ისედაც. მომიჭირა და მომიჭირა ტყის ქალმა ბეჭებზე ხელები.

— მერე რა ქნა? — კითხულობდა ელგუჯა.

— გავცდი ტყეს და თავი დამანება.

— იქნებ არც იყო ალი, თუ არ დავინახავს — რა იცი? *

— ქალს დანახვა რად უნდა, ბატონო, ქალს სუნზე იცნობ... უკან რომ მომეხედა, დაღუპული ვიყავი.

— რატომ?

— ისეთი ლამაზია ის წყვეული, თუ შეხედე, ვეღარ დაივიწყებ...

— კიდევ კარგი, რომ არ მოიხედე!

რეზო ზეინვილი
დალი



— ნეტავი მომხედლა! — ოხრავდა სოგრათი. — დედუღეთის ბიძა ყვარობდა თურმე აღს. დამეს სახლში არ ათევდა და უკვირდათ, სად იკარგებო. ბოლოს ყველაფერი გაარკვიეს. ბებიაჩემი, ფხეიძის ქალი იყო, დიდი მარჯვე და საზრიანი ადამიანი ყოფილა. ერთ დამეს, სულ შემთხვევით, ამდგარა, ეზოში გასულა და განათებული ნალია დაუნახავს. მთვარე სერზე ყოფილა გადასული და ასე რა ბღღვიალებდა, ვერ გაუგია. თურმე აღს ეძინა ბიძაჩემთან ნალიაში. ბებია მთხის რძით ჩუმად აღის თმა გაბანა. ის დღე და ის დღე, ბიძაჩემი აღთან არ უნახავთ. მას უკან ქალიც შერთეს, მაგრამ შვილი არ ეყოლათ და მათ ბარობაზე არც არაფერს გაუხარია.

— ახლა თუ არიან ალები?

— ნაკლებად, მაგრამ არიან... ელექტრონის სინათლემ, მანქანების ხმამ დააფეთათ, ტყეც ვაიჩეხა, მაგრამ წიფლივევრდას დობილო ტყეში, ნიგვზარას მთასთან, მთვარიან ღამით ახლაც გაიგონებ ალების ტირილს.

— რა ატირებთ?

— უიღბლო, გაუხარელ სიყვარულს დატირიან...

ბადრი კილაძე მოთმინებით ითვლიდა დღეებს. იგი შრომა-გასწორების კოლონიის კლუბის გამგედ დანიშნეს. ბადრი იმედოვნებდა, რომ წესიერი ქცევითა და ერთგული მუშაობით ვადაზე ადრე გავიდოდა გარეთ.

ბადრის ბიჭი იზრდებოდა, სწავლობდა. დადიოდა სკოლაში და მუსიკალურ სასწავლებელშიც. იგი უფრო ცელქი და მხიარული აღმოჩნდა, ვიდრე მისი გარეგნობისა და მდგომარეობის ბავშვი-საგან იყო მოსალოდნელი.

ბავშვი ხატვით იყო გატაცებული. ფერადი ფანქრების გროვა ეწყო მუდამ მაგიდაზე. უფროსებს აოცებდათ ბავშვის ნამუშევარი. ყველა ამტკიცებდა, მამის ნიჭი და უნარი გამოყვაო. ყუყუნა ბრაზობდა, ბიჭი კი ნელ-ნელა აშკარად და თვალნათლივ შესახედავადაც მამას ემსგავსებოდა.

ბავშვი ხანდახან მწუხარებით იხსე-

ნებდა დედას, იმ ბედუღელმართ ხვევას; დარდობდა, მაგრამ თამაშობდა და დიდხანს მალე ეძინებოდა და ძილში მხიარულ სიზმრებს ხედავდა; იხსენებდა კლასის ამბებს და მიინარეს ტუჩზე ღიმილი აჩნდა.

ყუყუნა დილა-უთენია გადიოდა შინიდან და დაღის საფლავზე ყვავილები აჰქონდა.

ღამე დღეს ცვლიდა, ზამთარი — ზაფხულს. თბილისში ნელა, შეუმჩნევლად იპარებოდა გაზაფხული. გორები და ფერდობები ნელ-ნელა მწვანდებოდა. ვერცხლისწყალი ზევით და ზევით მიიწვედა. ქალაქგარეთ შემთხვევით მოხვედრილ მოქალაქეს უკვირდა, როგორ აყვავებულიყო ხეები და გამწვანებულიყო ბალახი. დილის ექვს საათზე რადიო აცხადებდა:

...თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ უნალექო, ნაშუადღევს ყუყუნა წვიმა ელქექისა და მებხის თანსლებით.

ნასადილევს სოგრათი მუშაობას უმატებდა. მშუოდა უზარმაზარი შალაშინი და დაზვის ქვემოთ თეთრი, სიფრიფანა ბურბუშელა ცვიოდა. სკოლიდან დაბრუნებული ელგუჯა თელის ჩრდილში იხვეწებდა და ფუტკართა ქალაქის ბინადართ აკვირდებოდა. ნაზამთრალი ფუტკარი დაუზოგავად ეზიდებოდა ღალას მინდვრიდან. „ამათი ბედნიერება შრომაშია... — ფიქრობდა ელგუჯა. — ადამიანიც ასეა, მაგრამ ჩვენ კიდევ მარადიული სიყვარული შეგვიძლია და ვარსკვლავებზე ხელახლა გავიძებნის იმედი გვაქვს“.

ფუტკარი ბზუოდა. მოწითალო გორები იელის აყვავილებული ბუჩქებით იყო გადაყვითლებული. საღამოვდებოდა. არემარეს ბინდი ეპარებოდა. საქონელი სარეკალას რაკუნით ბრუნდებოდა ორდობეში. ხის სახლების საკვამურებიდან გამჭვირვალე ბოლი იწყებდა დენას. დამდებოდა. ცაზე ვარსკვლავები ჩნდებოდა. მთვარე ამოდიოდა. ტყეში დალები ტიროდნენ, თორემ სხვა მხრივ არაფერი არღვევდა სოფლის მყურდობას.

ჩემო ზრთოსნებო...

თქვენ გაგიმარჯოთ,
 ჩემო ფრთოსნებო,
 რომ ამშვენებდით ჩემს სიყმაწვილეს...
 მადლობა თქვენდა,
 ჩემო ფრთოსნებო,
 ჩემი დარდი რომ გაინაწილეთ.
 მე თქვენ გიყურებთ,
 როგორც ახლობლებს,
 იქნება ახლაც არ მიმატოვოთ...
 და მინდა: —
 ჩემთან ახლო სახლობდეთ,
 სიკვდილის მერვც
 რომ მიბატრონოთ.
 ისე, როგორც თქვენ,
 ჩემთვის ვოცნებობ
 და ზოგჯერ სული კბილით მიჭირავს...
 თქვენი ჭირიმიე,
 ჩემო ფრთოსნებო,
 რომ დამასვენა თქვენმა ჭიკჭიკმა.

მე თქვენ გეკუთვნით,
 სულით-ხორციან
 და რატომ უნდა გერქვათ ჩიტები,
 ისე...
 საფლავის ერთი ბორცვი ვარ,
 მაგრამ მანამდე მაინც მჭირდებით.
 თქვენს სტვენაშია ჯადო-თილისმა
 და თუნდაც ვიყო სიკვდილმისჯილი...
 იმ გზას დაწყვედილს,
 გზას სიკვდილისას,
 — გამიიოლებს თქვენი ჭიკჭიკი.
 ...თქვენ გაგიმარჯოთ,
 თქვენ გენაცვალეთ,
 რომ ამშვენებდით ჩემს სიყმაწვილეს,
 ჯერ კიდევ...
 ცოტა დარდი მაცალეთ,
 და მერე...
 ისიც გაინაწილეთ.

სოფლის იდილია...

თვით მეც არ ვიცი,
 საქმე რაშია,
 გამომიკეთდა ისე გუნება...
 ახლა ჩემს ფიქრებს
 და ჩემს ხვაშიადს
 ნემოს შრიალი ესალბუნება.
 გადამიქროლეს თავზე ფრთოსნებმა
 და დამყურებენ ხენი დიდრონი...
 აქვე, მდინარე მიიტყორცნება,
 მოფარდაგული მოჩანს მინდორი.
 აი, ეს არის თავის აშვება,
 დაწყვეტილი მაქვს აპურები...
 ჭრელი პეპელა მეთამაშება
 და მიიმღერის გზაზე ურემი.
 სულში ამტყდარა ქართა მარულა,
 მათბობს ეს შვება დაუფარავი.
 ახლა აქა ვარ სხვისგან მალულად
 და არ მჭირდება ახლა არავინ.
 კვლავ მიბრუნდება ძველი სისხარტე,
 მაგრამ უთუოდ დავიტანჯები,

— მდინარის პირას
 გრძელი ნისკარტი
 თუ არ გამოჩნდნენ ჩემი ყანჩები.
 შემოვიძარცვო უნდა სამოსი,
 თორემ მომწყინდა ასე ლოდინი...
 დავარღვევ ყოფას
 ამ საღამოს
 და უნდა გავყვე წყალს ნაფოტივით.
 უნდა დავლაშქრო წყალი დგაფუნით
 და გამარჯვების ჩემის სიმბოლოდ
 უნდა ვიპოვო განძი დაფლული,
 უნდა თეთრ ქვათა
 განძი ვიპოვო.
 ...მერე მეძებონ
 შინ და გარეთაც,
 თუმცა მეძებნელი ახლა ვინ არი...
 მაგრამ თუ ვინმე
 მაინც გაბედავს,
 — მე დამიფარავს სული მდინარის.


გამახსენდება...

ზურაბ ლეჟაშელს

გამახსენდება თითო-ოროლა
კაცი და...
უცებ გულზე მეშვება,
აწკრიალდება სულში ტოროლა,
მიდამო ვარდად გადამეშლება.
გულზე მეცხება შვების მალამო,
სულში მეყრება მათი ყვავილი...
და მიდის მშვიდად
დილა-სალამო,
ღვთიური მადლით გამოყვანილი.
იციან,
გული სალოცავია
და უხარიათ
და მოგელიან...
და სულ ერთია, სადაც არიან,
ან რა გვარია, ან რომელია.
იციან,
კაცის სული თოთთა
და უცებ გრძნობენ
სულის მოტირილს...
იციან,
თუკი სულში მოთოვა.
იგი გახმება ატმის ტოტივით.
და ამიტომაც,
და ამიტომაც,
ასიათასჯერ იმათ მადლობა...
და ამიტომაც,
და ამიტომაც,
მე შემოიძლია მათზე დანდობა.
და ამიტომაც,
და ამიტომაც,
მათი თვალეზი სულის სხივია...
და ამიტომაც,
და ამიტომაც,
მათი მიზანი დალოცვილია.
...გამახსენდება თითო-ოროლა
კაცი და...
უცებ გულზე მეშვება...
აწკრიალდება სულში ტოროლა
და ქვეყნად ყოფნა მენუგეშება.

შოთა ჩანტლაძის

ეს ტყე როდესაც გაიფოთლება,
როცა მოაღწევს
დრო გაგაფხვლის...
შენი სიცილი ამიორთქლდება,
ტყის მწვანე ფონზე გამოსახული.
ეს ტყე როდესაც აღაღანდება
თავის სიმწვანით,
წვიმის ხმაურით...
სულში უშენოდ თითქოს ღამდება
და მიმწარდება ტყის სიხარული.
ეს ტყე როდესაც აბრიალდება
შინდით, კუნელით,
ბზით და მოცხარით,
მოსვლა შენ ისე გაგვიანდება
და ვგრძნობ:
რას ნიშნავს იყო ცოცხალი.
ისევ მეფსება ცრემლით თვალები
და გაშმაგება ისევ მეწყება...
თითქოს მახეში ჩემით გავები,
ცა იმსხვრევა და...
ტყე ილეწება.
ისევ მოვიწვევ სასაფლაოზე
და ფეხაკრეფით გიახლოვდები...
და ვიცი,
თუმცა ვერ გაგაოცებ,
— მომიტანია ამ ტყის ფოთლები.
სხვას ვერ ვპოულობ სანუგეშებელს,
იქნებ ცოტათი მაინც გაგათბოს...
იქნებ გჭირდება
ჩრდილი ნეშოსი
და როგორ უნდა დაგაღალატო.
ეს ტყე როდესაც კვირტს გამოისხამს,
ფიქრში არა და აღარ მშორდები...
დადგება ბინდი საღამოისა
და მყუდროება შემაშფოთები.
...როცა მოაღწევს
დრო გაგაფხვლის,
შარიშურობენ როცა ფოთლები,
— ტყის მწვანე ფონზე გამოსახული
დგახარ და...
უცებ ამიორთქლდები.



ერთი ჭიატა ხორბლის მარცვალი,
ჩემს ხელისგულზე სიმკვრივეს იცვლის
და... უკვე ვხვდები:
იგი რაც არის,
რაიც გახდება
მე ისიც ვიცი.
უთვლელი წარდგნა,
ზვავი თუ ქარი,
ყინულის სალტე,
მძვინვარე ცეცხლი —
რადგან სიცოცხლის ნაწილი არის,
მას ვერა მოსპობს,
ვერარა შესცვლის,
და ადამის ძის
ძალა და ფარი,
გაუკვდავდება ყანაში ფესვით,
და ილორძინებს,
და ილორძინებს,
და ილორძინებს
სამყაროს ხმებში, —
ის ასე ივლის,
ის ასე ივლის
ხელიდან ხელში,
ხელიდან ხელში.

ლ ა რ ჭ ე მ ი *

სხივად იღვრება ჩემი ლარჭემი,
კანკალებს მწიფე ჰანგთა ხეხილი
და ჩემი მიწის ზეცის ნაჭერი,
მუსიკის მკერდზე არის შეხლილი.
თვითეულ ბგერას მოედო ფერი,
მიეცა სიღბო,
სითბო თუ გემო
უხსოვარ ხნიდან
შენც ასე მღერი.
შენც ლარჭემი ხარ,
მამულო ჩემო.

* კოლხური მუსიკალური საკრავი.

●
 დუმს ტელეფონი და
 გახელებით
 სერაგენ ქუჩებს ავტობუსები...
 ეს მაშინ, როცა შენი ბგერებით
 გუშინ მუსიკის სუნთქვას ვუსმენდი.
 დუმს ტელეფონი...
 რა ხდება მაინც,
 კვლავ აყირავდა სევდა და ჯვარცმა?
 ასე იქნება დღესაც და გაისს, —
 თუმც რა იქნება,
 რა იცის კაცმა.

●
 ცეცხლწაკიდებულ ღრუბლის ფაფარზე, —
 შორს,
 დასავლეთის ზღუდეს მიფენილს —
 ეხატე, ჩემო ყრმობის ზღაპარო,
 და მაცდურ ხელებს ისე მიქნევედი,
 თითქოსდა მართლა მქონოდა ფრთები.

●
 აქ,
 წელიწადის ყოველი თვე
 ღელვით გვივლია:
 ამ მდინარისპირ,
 ამ ჭანჭყობთან,
 ამ მკვრივ მუხებთან, —
 გამოხდა ჟამი...
 ნაკვალევაც კი წაშლილია, —
 რად გაქრა ნეტა,
 ყოფილიყო,
 ვის აწუსებდა?!

●
 წამით მინავლდა მდნარის ჩქამი,
 მხოლოდდა წაბლის შრიალი ისმის, —
 ათქვირულია ძვირფასი ტანი,
 ღამისფერ თმების მაბრუებს ისლი.
 ეს საოცარი მიწის ნაყოფი,
 ვაზის წვენია,
 წმიდა ფიცია,
 ამ ჟრჟოლვით, ღმერთო,
 დიდხანს მამყოფე —
 მიწა ჯერ ასე არ განმიცდია.

ბავშვობა, ავადყოფობა

გოლუაფირო,
ჩონგური კვენესის
და ღამის ფსკერზე ჯარგვალი ყვინთავს,
წარსულის აბედს ჩამოვკარ კვესი,
სსოვნაში ისევ აცმუკდა ჭინკა.
ჭუჭრუტანიდან თეთრი კბილებით
კვლავ მომეახლა ზამთრის იერი, —
გოლუაფირო,

ბალღი ვილევი,
გაყვითლებული, როგორც იელი.
ახლა მიშველის ზღაპრის ფორები,
სათავე თრთოლვის,
პირველ ოცნების;
თუ არ მიმღერე ვეღარ მოვრჩები,
გამიწყრებიან ანგელოსები.

გოლუაფირო,
მეზმანა წუხელ
ცხრათავიანი დევების როკვა, —
თურმე მახრჩობდა ცრემლები მწუთხე
და დასიცხული მეწვოდა ლოყა.
შუბლს მრავალძარღვა მეფინა გრილი,
შენ აკენესებდი ჩონგურის ლარებს,
ისე ფაფუკი და ისე ღბილი
ხელში გეჭირა ყვითელი მთვარე —
რომ დღესაც ძგი სისხლივით მახლავს,
თუმც დაცლილია ბავშვობის სურა! —
იცოდე, ავად გავხდები ახლაც,
თუ დაბრუნდება ის ჟამი სრულად!



და გაწყდა ნერვი...

არ ვიცი რატომ, არ ვიცი როდის
 ან როგორ დათმეთ ის არემარე,
 სადაც წინაპრის საფლავის ლოდი
 ხავსმორეული სევდით მდუმარებს.
 ქართულ მიწაში ნაკურთხი ფესვით
 გადაიხვეწეთ, გაგეშორდით, წადით,
 ნამდვილი ღვინო მერე ვერ შესვით,
 ვერ გამოაცხვეთ ნამდვილი მჭადი.

და ნაღვლობთ ამას ზოგჯერ, ხანდახან,
 როცა შეხვდებით შემთხვევით თვისტომს...
 გამოთიშული მამულს რატომ ხართ,
 არ გინაღვლიათ ამაზე ვითომ?

მე კი მგონია, სულ უნდა ხრავდეს
 ეს დარდი ვაზის ფესვიან კაცებს...
 მე სული მიმდის სანამ გნახავდეთ
 უცხო ქვეყნებში ჩაფანტულ მარცვლებს.

უთქვენოდ ჩემსას აკლია სუფრას
 სადღეგრძელებელ წვერთა ამაღა,
 ნაკვერცხალს უჭირს ბუხარში სუნთქვა
 და სულის ბერვამ გული დაღალა.

თქვენ ხართ ნაყოფი ქართული მიწის.
 ნათესავეები ჩემი ლტოლვილი...
 ცუდი მეზაღე, ადრე, ვინ იცის,
 არ მოგეკიდათ ტოლებს ტოლივით?
 და გაწყდა ნერვი,
 რომელიც მეწვის
 მხრებზე მოსხევილ მკლავების შიგნით!
 გამომინელეთ ტკივილის ცეცხლი,
 ძველი ჭრილობის ტკივილი მძიძგნის.

რა ვუყოთ მერე

ლეხაინდრაო რუკაზე არ ჩანს —
 ოდიშის კუთხე, მცხოვრები მშვიდად,
 მშვიდი ქალთა ბედარული ქვაჩაც,
 მუხლმოდრეკილი ნაომარ შვილთან.

გაჯიბრებული ცისკრის ასულთან,
ახლა წახრილა დასჯილის ქედით,
ქვაჩასთვის ომი ჯერ არ დასრულდა,
მჯილებს უპყრიათ მოხუცის მკერდი.

შვილს, იმ მუხთალი ომით დაკორტნილს,
აკვანს თავიდან ღიღინით ურწევს,
გადახმა მისი შვეების წალკოტი
და ოჯახს მაინც უმაგრებს ფუძეს.

ბედისწერასთან რაღა იდავოს,
ისევ სოფელზე მზრუნველი დარჩა...
რა ვუყოთ მერე —
ლექსაინდრაო
თუკი მსოფლიოს რუკაზე არ ჩანს!



წითელი ღონი

შენ სიტყვას იღებ —
 წკრიალებს ზარი...
 სვეტებიანი დარბაზი
 სუნთქავს...
 აქ გაუშლია ფრთა
 ალტაცებას —
 ყვავილნარიდან
 აფრენილ ფუტკარს...
 შენ ამბობ სიტყვას
 და საყვირების
 თითქოს წკრიალებს
 ისევ ბგერები
 რიგში დგებიან,
 გესალმებიან
 კომკავშირლები,
 პიონერები...
 შენ ხედავ ოლებს!
 ხედავ ზოიას!
 შენ მათთან ერთად
 მტარვალს შეები.
 აწმყოს გმირობით გაუზომია
 მათი სიცოცხლის
 დიდი დღეები!
 შენ ამბობ სიტყვას —
 დელავს დარბაზი...
 დროშებს ჩამოსდით
 დროჟამის ფერფლი...
 ნაომარ დროშებს
 ქარი ანაზებს
 და ალამაზებს
 დიადი მსხვერპლი!
 და მერე რისხვა
 წალეკავს სიკვდილს!
 ფეხზე აყენებს
 წითელ დონელებს!
 და კვლავ მღერიან
 მზის საყვირები,
 და გრუხუნებენ
 დიდი დოლები!

აკაკი ბანაკლია

მუხა და მისი ფესვები

გიორგი ლეონიძე ქართული პეიზაჟით იყო მოჯადოებული და მის ლირიკასა და პროზაში ის ბებერი მუხა ჩანს, რომელიც ალაზნის ველზე გამხმარი დაინახა ილიამ. ეს ტრადიციული სახე ქართული ფლორის მშვენიერებისა ისევ გაეცოცხლა მასთან და ამგვარი პოეტური დასესხების მიზეზი არც თუ გაუგებარია: აკი მუხას ღრმად აქვს გადგმული თავისი ძლიერი ფესვები მიწაში. მართლაც—და: ვისაც ოდესმე გრიგალისაგან მოთხრილი ამ ხის ვეება ფესვებისათვის შოუკრავს თვალი, იგი მიხვდებოდა, თუ როგორი სიღრმიდან იწოვენ ისინი იმ სინედლეს, რაც მუხას ბუნების გოლიათად აქცევს.

შესავალშივე ყოველივე ამის აღნიშვნა იმიტომ გვინდა, რომ წაქცეული მუხის ასოციაცია ისევ აღდგება ჩვენი მოკლე ჩანაწერების ბოლო სტრიქონში.

უახლეს ქართულ პოეზიაში გიორგი ლეონიძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს ადგილი მან დაიმკვიდრა თავისი უჩვეულო ფანტაზიითა და მდიდარი მხატვრული მეტყველებით. გიორგი ლეონიძე მთლიანად ქართული ენის სტიქიაშია მოქცეული, რის გამოც მისი ემოციური სამყაროც უწინარესად ხალხურია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ქართულია მისი ლირიკის რეპერტუარი, პოეტური ასოციაციები, გამსჭვალული ჭეშმარიტი ისტორიზმითა და ყოველივე ახლისა და დიადის შეგნებით. ცნობილია მოსაზრება, რომ გიორგი ლეონიძე ქართული ბუნების მხატვარი იყო, არა იმპრესიონისტული სტილისა, არამედ ვაჟას ხაზის თავისებური გამგრძელებელი. იგი ზედმეტად უხვია ბედნიერად მიგნებული გამოთქმებით, სახეცვლილი იდიომებით, ძველ-ქართული მწერლობიდან აღებული ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ნიმუშებით. და... არსად სტილიზაცია!

მართალია, პოეტი თვითონ უნდა ფლობდეს ენას და არა პირიქით (ე. ი. ინსტინქტურად არ უნდა მიჰყვებოდეს ენის სტიქიას). მაგრამ ამ მხრივ გ. ლეონიძის პოეზიის ღირსება სწორედ იმაშია, რომ ქართულ ენობრივ ქსოვილთა სამყაროში მან შეინარჩუნა პოეტური მეტყველების საკუთარი იერი, ინტონირების უშუალობა და მოულოდნელობა, რის გამოც მისი საუკეთესო ლექსები არც ერთი სხვა, აღრინდელი თუ თანამედროვე, პოეტის ლექსებს არა ჰგავს.

„ზოგჯერ ღვთაებრივ ჰომეროსსაც სძინავს!“ — დიდი რომაელი ლირიკოსის ეს სიტყვები „ილიადას“ შემოქმედზე ორი ათასი წლის შემდეგაც ახსოვთ.

თანაბარი ღირებულების ლექსები არც გოეთეს აქვს. თვით რუსთაველიც „ჩასთვლემს ხანდახან“.

ყველა დიდ პოეტზე შეიძლება იგივე ითქვას.

უახლესი პოეზიის შესანიშნავი წარმომადგენლებიც არ არიან: დაზღვეული ანალოგიური თვისებისაგან.

პოეტს მხოლოდ მისი საუკეთესო მიღწევები ახასიათებენ. გალაკტიონ ტაბიძეც მხოლოდ მის შედეგებში ჩანს.

ასევე — არასოდეს დაავიწყდებათ „ნინოწმინდის ღამე“, „ყვიჩაღის პაემანი“, „ნინო ჭავჭავაძეს“, „ოლე“ და თანამედროვე ქართული პოეზიის არაერთი მიღწევა, რომელიც გ. ლეონიძის კალმიდან გამოსულა.

სიმბოლიზმთან გიორგი ლეონიძის პოეტიკა არაფრით არ იყო დაკავშირებული, არც თემატურად, არც სიტყვისადმი დამოკიდებულების ხასიათით. სიმბოლიზმი ემყარება სიტყვის ძირითადი (სავნობრივი თუ კაუზალური) მნიშვნელობის მოხსნას, განზრახ გაბუნდოვანებას. ყოველი ლექსიკური ერთეულის ადგილი სალექსო კონტექსტში განისაზღვრება მომიჯნე სიტყვისადმი (ან სიტყვებისადმი) შინაარსობრივად ანტაგონისტურ მიმართებაში, რის გამო სიტყვები თავიანთ პირდაპირ შინაარსს ჰკარგავენ. გ. ლეონიძის ლექსში წარმოდგენილია ასეთი კონტექსტები: „უდაბნო ლურჯად ნახვერდები“ (გ. ტაბიძე) ან „მაღალ სარკვეზე შემოჭდება თეთრი ყორანი“ (გ. გაფრინდაშვილი). „ლურჯი უდაბნო“ და „თეთრი ყორანი“ ოქსიუმორონის ფორმებია, რასაც სიმბოლისტები ხშირად მიმართავენ. ამგვარ მეთოდს აპართლებს მათი ცდა მხატვრული აბსტრაქციის შექმნისა და იგი გარკვეულ მხატვრულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.

გიორგი ლეონიძის პოეტური მეტყველება კი თქმის რეალიზმს ემყარება და მას არასოდეს დაუსახავს მიზნად ირრეალური სამყაროს ბუნდოვანი ასოციაციებით გადმოცემა.

არც ლირიკული ფორმების შერჩევის მხრივ გაჰყოლია იგი სიმბოლიზმის გზას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ჰაბტუობის პერიოდს, ზოგიერთ ცდებს, გ. ლეონიძე მიმდევარია გაბმული მეტყველებისა პოეზიაში, ხოლო მის ოთხტაბედეებს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში აქვთ სათავე და უაღრესად ხალხურია. დამახასიათებელია, რომ სრულყოფილი სონეტი გ. ლეონიძეს არ დაუწერია. მკაცრი ლირიკული კომპოზიციები მისთვის უცხო რამ იყო.

რაც შეეხება გ. ლეონიძის თემატურ მასალას, პოეტის ჯანმრთელ სულს არასოდეს არ აღუქვამს სინამდვილე, როგორც დაშლისა და დემატერიალიზაციის პროცესი.

ქართველი სიმბოლისტების კორპორაციაში მას თავისი, განსხვავებული ადგილი ეჭირა.

სრულიად უსაფუძვლოა გ. ლეონიძის ლირიკის დაკავშირება თბილისის პერიფერიული უბნების ქალაქურ ფოლკლორთან (მხედველობაში გვაქვს მუხამბაზური სიმღერების ტრადიცია.) გ. ლეონიძის შემოქმედების მთავარ ხაზს იგი არ ეხება. ანალოგიისათვის გრ. ორბელიანის პოეტური შემკვიდრებაც გამოდგება: უკანასკნელის ლირიკას განსაზღვრავენ ლექსები „საღამო გამოსალმებისა“, „ჩემს დას ეფემიას“, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და მისთანანი და არა „ლოპიანას მონოლოგი“ და სხვ. ასევე, გ. ლეონიძის ლირიკის ხასიათსა და შინაარსს განსაზღვრავენ არა „საათნავა“ და სხვა ანალოგიური ხასიათის ლირიკული პიესები (მათი რიცხვი ძალიან მცირეა), არამედ ლექსების ციკლი „ქართლის ცხოვრებაზე“, „თამარს“, „ყვიჩაღური ღამე“, „ვაჟა ფშაველა“, „სვეტიცხოველი“, „ღამე ივერიისა“, „ნ. ბარათაშვილის ნეშტს“. „ნინოწმინდის ღამე“, „აკაკის“ და სხვ.



საზოგადოდ, ყოველი ნიჭიერი შემოქმედის პოეტური აბრისის შესახებ მსჯელობენ უმთავრესად მისი ძირითადი თემატიკის მიხედვით.

ლიტერატურაში ერთგვარი პოეტური გართობის შემთხვევები არც თუ იშვიათია. ასე ერთობოდა დინასტიური არისტოკრატი გრ. ორბელიანი თავისი პოეტური დემოკრატიზმით. ერთობოდა ბევრი სხვაც, ჩვენშიაც და სხვაგანაც. ამგვარი გართობის უფლება გ. ლეონიძესაც ჰქონდა.

გიორგი ლეონიძეს შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი ძველი ქართული მწერლობა, განსაკუთრებით XVIII საუკუნის საქართველოს ისტორია, მისი კულტურა და პოეზია. პოეტის სამოცი წლის თავზე, 1959 წელს, ეს ფაქტი საგანგებოდ აღნიშნა კორნელი კეკელიძემ გაზეთ „კომუნისტში“.

სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, რომელნიც XVIII საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს აერთებენ, გ. ლეონიძის მეცნიერული შესწავლის და ლირიკული მიმართებების ობიექტები იყვნენ.

არც ერთი დასახელებული მწერლის შემოქმედების შესწავლა არ შეიძლება ძველი ქართული ლიტერატურისა და ბიბლიის ცოდნის გარეშე. გ. ლეონიძემ ჩინებულად გაართვა თავი ამ რთულ საქმეს.

რასაკვირველია, თვითონ გ. ლეონიძე შორს იყო რელიგიური კვიეტიზმისგან, მაგრამ ფსალმუნთ თითქმის ზეპირად იცოდა. ბევრი რამ ამ წიგნიდან მას ალბათ სიყრმიდანვე ჩაჩნა მეხსიერებაში და ეს მომენტი „ნატვრის ხეშიაც“ აირეკლა.

მშფოთვარე, დაუდგრომელი და ცხოვრების კაცი — იმავე დროს ფრიად განსწავლული მწიგნობარიც იყო.

სრულიად ახალგაზრდამ დაწერა სულხან-საბას ბიოგრაფია. ეს წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია ჩვენი დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და დიპლომატი-მოგზაურის შესახებ.

ამ მონოგრაფიაში საბას როლს ავტორი კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას ადარებს. რაგინდ სადავო არ იყოს ასეთი შედარება (რიშელიე ჰქვიანო და თანაც გაიძვერა სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ, დიდი საბა კი — ბრძენი და სათნო ადამიანი!) — იგი ერთ-ერთი მოხდენილი დახასიათებაა „მთელი საქართველოს მამის“ დაუვიწყარი ღვაწლისა.

რუსული პოეზიიდან გიორგი ლეონიძის საყვარელი სახელები იყო: პუშკინი და ტიუტჩევი, ბლოკი და გუმილიოვი, მანდელშტამი და ბორის პასტერნაკი (რომელთანაც მას პირადი მეგობრობაც აკავშირებდა)... ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე სახელი ჩამოვთვალეთ.

ლიტერატურის მუზეუმში, დირექტორობისას, მას მუდამ მაგიდაზე ედო ტიუტჩევის ლექსების კრებული, გამოცემული გ. ჩულკოვის რედაქციით.

გიორგი ლეონიძეს უყვარდა გამოჩენილი ლირიკოსის გენიალური ლექსის „ციცერონის“ კითხვა:

Оратор римский говорил,
Средь бурь гражданских и тревоги:
«Я поздно встал и на дороге
Застигнут ночью Рима был!»

და ა. შ.

მთელ ამ ლირიკულ მონოლოგს იგი წარმოსთქვამდა ზავისი ბოხი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით. და ნაწარმოების იმ შინაგანი წვდომითა და გზადაგზა ისტორიული კომენტირებით, რაც ციცერონის ბიოგრაფიისა და საერთოდ ძველი რომის ისტორიის ცოდნით იყო გაპირობებული.

მუზეუმის დირექტორი ფართო განათლების ადამიანი იყო.

თუ მოიკითხავდით და შეეკითხებოდით — როგორ ბრძანდებოდა, ზოგჯერ მოკლედ და ლიმილით გიპასუხებდათ:

— Как Марк Аврелий среди варваров!

და გულისხმობდა სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხებითა თუ წოდებებით აღჭურვილ იმ ლიტერატორებს, რომლებსაც არაფერი სჯეროდა.

რამდენიმე სიტყვა მასზე, როგორც საქართველოს ბუნების მხატვარზე:

როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები, —

წერდა იგი ქართლის სანახებზე.
თბილისს კი ასე მიმართავდა:

შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აფურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას, — ამ ვარდებს ვისაც არგუნებ.

ერთ ლექსში პოეტი ამბობს, რომ ქარებს სძინავთ კოჯრის გადღმამო.

გ. ლეონიძე სამუდამოდ დარჩება საქართველოს ლანდშაფტების ჩინებულ მხატვრად.

ავტობიოგრაფიული, უკეთ-ყრმობის პერიოდის შთაბეჭდილებათა წიგნი „ნატურის ხე“ ქართული პროზის მარგალიტია. ამ უნარის ანალოგიური რაი უახლეს ქართულ მწერლობაში მე არ მეგულება.

იგი სენ პიერის „პარიზის სურათების“ ბადალია.

არენა — პოეტის მშობლიური სოფელი პატარძელია, თემა კი — უბრალო ადამიანების ვენებები. მათზე ავტორი ბარაქიანი ქართულით ჰყვება.

ფუფალა, ჩორეხი და ღვიწჯუა (სხვებზე არაფერს ვამბობ) დაუვიწყარი არიან, განსაკუთრებით ფუფალა, რის გამო არაერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აღტაცება ავტორთან.

„ფუფალა“ მწერლის ალტრუიზმისა და მხატვრული არტისტიზმის შეხამებაა. ჩვენ არ გვიკვირს, რომ გ. ლეონიძის წიგნმა ასეთი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა რუს და უცხოელ მკითხველებზე.

ღრმად ეროვნული შემოქმედება იმავე დროს ზოგადი მნიშვნელობის მქონეცაა.

„ნატურის ხეში“ ქართული ენის ლექსიკა ზეიმობს. მასში სიტყვების ნამდვილი რთველია დამდგარი. ბარაქიანი კახური რთველი!

„ნატურის ხე“ თითქმის რაბლეს სუფრიდან აღებული კერძია.

გიორგი ლეონიძის ლირიკა აღსავსეა ლიტერატურული რემინისცენცაებით, როგორც ბლოკის ლირიკა — ვლადიმერ სფლოვიოვის ან აპოლონ გრიგორიევის ტაეპებით.

მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ მისი მუდმივი შთაგონების წყარო იყო. გაიხსენეთ ადგილები ლექსისა „ყივჩალის პაემანი“:

ხოხბობას განახე, მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა!

...
მოდი! გეძახი ათას წლის მერმე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!...

ლიტერატურული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება ნაცნობი ასოციაციების უცნობ ობიექტზე გადატანაში მდგომარეობს. მიმბაძველობის-აგან თავის დაღწევის გარანტია მხოლოდ ამაშია.

გიორგი ლეონიძეს არასოდეს დაუმალია თავისთავისათვის სხვისი ნიჭი-ერება. ტალანტს მოკლებულნი კი ეკავებოდა.

ზოგიერთი სუბიექტური მომენტის გამოც...

არავინ იმდენს არ ცრუობს, რამდენსაც მემუარისტი, — ეს სიტყვები მგონი ტურგენევის ეკუთვნის. ჩვენ მემუარებს არ ვწერთ, მაგრამ ზოგი რამ უნდა გავიხსენოთ:

„ოლე“ დაიწერა ჩემს თვალწინ, ლეონიძეების ძველს ბინაში (მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში) და პირველი „ცენზორიც“ ლექსისა მე გახლდით. არაორდინარული ამაში არაფერია და არც თვითორეკლამის მიზნით გაგვხსენებია იგი. დიდი პატივისცემით ვიგონებ გიორგის უფროს ძმას ლევან ლეონიძეს, ავტორს შესანიშნავი წიგნისა „მესაქონლეობის ლექსიკონი“, ახლავან ქართულს და ერუდიტს...

გიორგი ლეონიძე ბობოქრულად ებრძოდა უკურნებელ სენს.

იმ ზაფხულს წყნეთში, თავისი სახლის აივანზე იწვა იგი. იქ ვინახულე. როცა მზის შუქი მიაღდა ავადმყოფი პოეტის საწოლს, მისმა სიძემ და მე შევეუცვალეთ ადგილი. ორივეს გაგვიჭირდა მღვეის ადგილიდან დაძვრა.

სასთუმლის ახლოს, პატარა მაგიდაზე რკინის (თუ ვერცხლის) თასი ედგა და თვითონ აავსო იგი ღვინით.

— ამ თასით სვამდა ღვინჯუა. შესვი! — წარმოსთქვა მან.

სახეზე სრულიად არ ეტყობოდა შიში გარდუვალის მოახლოვებისა. საშინელი სენი, რომელიც ჩვეულებრივად დიდად ამახინჯებს ადამიანს, გიორგი ლეონიძესთან ბრძოლაში უძლეური აღმოჩნდა: მან ვერც გოლიათური შესახედლობა წაართვა პოეტს, ვერც სულიერი მხნეობა.

ეზოში გრილოდა. ავადმყოფი კი დიდ სიციხეს უჩიოდა.

— კოჯორში ალბათ გრილა!.. — ქშენით აღმოთქვა და დაუმატა: — იცი თუ არა, რომ თამარ მეფე კოჯორში გარდაიცვალა?!

ახლაც არ ვიცი, რას ემყარებოდა მისი ვარაუდი. აშკარა იყო ოღონდ: უკანასკნელ დღეებშიაც ისტორიული მოვონებანი არ ასვენებდნენ.

წამდაუწუმ ბორგავდა, როგორც სიცოცხლეზე დახარბებული ადამიანი, რომელიც მთელი თავისი არსებით მშობლიური ქვეყნის ნიადაგზე იდგა და მასთან გამოთხოვება ეძნელებოდა.

და ავადმყოფის შფოთვა მიაგავდა გრივალის უხემ ძალადობას ძლიერ მუხაზე, რომელსაც ეს-ესაა მიწიდან მოთხრას უპირებენ.


და როცა ეს მუხა ბოლოს მაინც წაიქცა, აშკარად გამოჩნდა, თუ როგორ ღრმად ჰქონია მას გადგმული ფესვები ღედა-მიწაში.

და ეს ფესვები მუდამ შეინარჩუნებენ თავიანთ სინედლეს ქართულ პოეზიაში.



პილჩვი შატბერაშვილი

60



უბის ღიბნიდან

ის კაცი არ არის, ვისაც პატიება და მონანიება არ შეუძლია.

დროჟამს უზარმაზარი ლოდი ულესავს, უხეხია და კენჭად უქცევია. კენჭი გალეული ლოდია. ლოდის ძალა, სიმძიმე და სიმტკიცე კენჭშია მოგროვილი.

ისეთი წალდი იყო, მარჯვენა ხელი მარცხენას არ მისცემდა.

ადამიანები ერთმანეთის სინდისს სდარაჯობენ, თავისი კი აშვეებული აქვთ. სხვის ცუდს კვიინას დასცემენ, მალულად ან თავისდაშეუმჩნევლად თვითონაც სცოდავენ და ეს ცოდვად არ მიაჩნიათ.

რამდენი ვიცოცხლე, რა დიდი დრო გასულა. ვისაც არაფერი უნახავს, მხოლოდ ის იტყვის ცხოვრება ერთი წუთითაო(წუთისოფელიაო). ცხოვრების მანძი-



ლი ნახულით და განცდილით, მისი მოგონებით იზომება. ვისაც არაფერი უნა-
სავს მისთვის განვლილი ცარიელი სივრცეა, სადაც ცხოვრებამ სწრაფად გაიქ-
როლა, გზაში არაფერი შეხვედრია...

ბავშობაში მომავალი შორს, შორს, ძალიან შორს მეჩვენებოდა. ახლა წარ-
სული, ჩემი ბავშვობა — შორს, შორს ძალიან შორს მეჩვენება. მაშასადამე დი-
დი დრო გასულა. ბევრი მიცოცხლია, ბევრი მიცხოვრია ამ ქვეყანაზე.

ნეტარ არიან, რომლებიც ცხოვრების მიწურულს უკან მოიხედავენ და კმა-
ყოფილებით მოიგონებენ განვლილ გზას.

ადამიანები ერთმანეთს თვალს არიდებენ... თვით ახლობელი ადამიანებიც:
კი: მეგობრები, ძმები... შეილიც კი არიდებს თვალს მშობელს...

რატომ არიდებენ? თვალს შეუძლია უნებურად გასცეს ადამიანის ფიქრი,
გრძნობა, განზრახვა.

ამიტომ არიდებენ ადამიანები თვალს ერთმანეთს.

მხოლოდ ბავშვები და მტრები არ არიდებენ ერთმანეთს თვალს.

ბავშვები გულუბრყვილობის გამო.. მათ ჯერ შეგნებული არა აქვთ ის
გრძნობა, რომ თვალს მათი გაცემა შეუძლია...

რაც შეეხება მტრებს — ისინი თვალს ერთმანეთს მაშინ უსწორებენ, რო-
ცა მათი მტრობა საბოლოოდ გაშიშვლდება და ისინი ერთმანეთის პირისპირ
დგანან.

სიკეთე მინახავს... სიკეთისათვის სიკეთე — იშვიათად.

ბოროტს კეთილი თვალეები ბოროტად ეჩვენება, რადგან სიკეთე ბოროტი-
სათვის ბოროტებაა!

ჩემთვის ჯერაც გაუტყვეველია, რომელი ადამიანი უფრო სრულყოფილი
და სანიშნუა. ვისაც დიდი სიყვარულისა და სიძულვილის უნარი გააჩნია თუ
ვისაც ეს გრძნობა ზომიერად აქვს მომადლებული.

შეიძლება უფრო მეორე?.. ვგონებ ასე უნდა იყოს. არის რაღაცა არაადა-
მიანური დიდ სიყვარულშიც და დიდ სიძულვილშიც!..

ზოგი შვილისთვის იბადება, ზოგი სამშობლოსათვის. ე. ი. ზოგი შვილს
ზრდის, უბრალო რიგითი ადამიანია, ზოგი უფრო დიდ ზრუნვით არის დატვირ-
თული.

ძლიერია, ძლიერი ის ადამიანი, ვისაც ცხოვრება ვერ გააბოროტებს, ვისაც
ცხოვრება გულს ვერ გაუტეხავს და ვერ გაუტყვის.

ძალიან ძნელი კია — იყო ასეთი ადამიანი. მშვიდი მტერთა უძლური ბიწიე-
რების მიმართ. გულცივი მტერთა მიმართ. გულთბილი — ამ ცხოვრების მი-
მართ...

მოსავალი რომ შემოვა, სანამ მკას დავიწყებდეთ, ბევრი ჭიანჭველას მი-
იქვს...

გათავდა დღე და არა ფათერაკი...

მართლაც მზე უკვე ჩადიოდა. მზე ჩადიოდა, მოდიოდა ბინდი, სადღაც უფ-
რო შორს ღამე იყო. ღამდებოდა. მას ეგონა გადავჩიო და ისე ჩქარა აღარ მი-
დიოდა, დაღლილ ფეხებს უღონოდ მიათრევდა.

მაგრამ მან არ იცოდა, რომ გათავდა დღე და არა ფათერაკი.

„მე არ ვიცოდი მისი სახელი. გვიან გავიგე. რომ ერქვა თამარ. და ვგრძნობდი, ვგრძნობდი, რომ მან იცოდა, იცოდა რისთვის დაარქვეს თამარ“.

დავიღვია ბევრი, ძალიან ბევრი არაყი. უზომოდ ბევრი, როცა არაყი სიმწარეს კარგავს და თითქოს ტკბება... ველარ გრძნობ მის გემოს, შეგიძლია ბევრი სვა და არ დაითრო, რადგან სიმწარე აღარ აქვს. აღარ არის არაყი. არის რაღაც სხვა... წყალი.

ასევეა სიტყვაც: როცა ძალიან, ძალიან დაიტანჯები. სიტყვასაც ეკარგება ფერი და გემო. შეგიძლია ბევრი თქვა, ბევრი წერო, მაგრამ ნათქვამ სიტყვას ფერი და გემო აღარა აქვს, აღარ გათრობს მის სურვილი. ასეთი სიტყვა ველარც სხვას დაათრობს.

„ეს პატარა დღე გულზე მაწვეს ვით საუკუნე — ღამე გრძელია და მე მკვდარი ვწევარ გულაღმა“.

ღმერთისკენ სწრაფვა შეუძლებელის მიღწევას ნიშნავს. შეუძლებელი კი შეუძლებელია. ამიტომ იღუპება ამ გზაზე დამდგარი ადამიანი. ის ვერ უძლებს დიდ გამოცდას, დიდ ტკივილებს, რაც არაადამიანურ მოთმინებას და გამძლეობას მოითხოვს.

არ მეძინებოდა. არ მეძინებოდა. ძილი არ მოდიოდა. თვალები მაინც დახუჭული მქონდა. მეხუჭა, მაგრამ მაინც ვხედავდი. რაღაც ლურჯად თუ მოლურჯო-მორწითალო რგოლებად მორიალე ფერებს ვხედავდი. ვიტანჯებოდი და ვიმეორებდი: „არ მეძინება, ვერ ვიძინებ, ამაღამ ვერ დავიძინებ“.

დრო ნელა გადიოდა და მართლაც ვერ ვიძინებდი...

მაგრამ როცა თვალი გავახილე, დავრწმუნდი, რომ იმ მტანჯავ წუთებში, როცა წამებული ვიმეორებდი „ვერ დავიძინებ, ვერ დავიძინებო“, უკვე მეძინა, მეძინა მძიმე, შფოთიანი ძილით და ამ სიტყვებს ძილში ვჭურჩულებდი.

დაკვირვებული ადამიანი დაახლოებით მაინც გრძნობს, როდის მოკვდება.

ცოცხლები ნახევრად მკვდრები არიან, მკვდრები კი — ნახევრად ცოცხლები.

ღმერთს დღე და ღამე რომ არ გაეჩინა, ცხოვრება მართლაც წუთისოფელივით, ერთ დღესავით შეუმჩნევლად გაირბენდა...

ხომ არის... რომ დინახავ ზოგ ადამიანს — თვალების გარდა ვერაფერს ხედავ. არის თვალები რაღაც ძლიერი, გიბყრობს და გავიწყებენ, რომ მათ პატრონს სხვა ნაკვთებიც აქვთ!

სილამაზე და მშვენიერება შიშს იწვევს... როგორც ღვთაება... როგორც ხატი...

მხოლოდ გაკვირების, განსაცდელის ჟამს გვახსენებს იგი და სასოწარკვეთილნი ვყვირით: „ღეღა, ღეღა, მიშველე, ღეღა!“

ესეც ალბათ ინსტინქტია... პატარა ბავშვის ინსტინქტი...



ამ წუთებში ალბათ ჩვენ კი არა, ის პატარა, მშინარა ბავშვი ყვირის, მელსაც სწამს, რომ დედას შეუძლია მისი შველა და გადარჩენა.

სიცილი და ცრემლი სულს ახალვათებს. სიცილი წამიერად... ცრემლი უფრო სიღრმიდან მოდის, ხანგრძლივად ამსუბუქებს სულის იარებს.

სიპართლე? რატომ უნდა ვამჯობინოთ დუმილი, იმიტომ რომ დუმილი ძვირად შეგვიფასონ?

ჩაიხედე შენს გულში, შეუწონე საკუთარი ცოდვა და მაღლი ჩემსას და მერე დამძრახე.

რაც უფრო შევდივარ ხანში, მით უფრო ვუახლოვდები წარსულს... თითქოს ხელით ვეხები. უფრო აშკარად ვხვდები იმასა, რაც ცუდი იყო და რაც კარგი იყო ჩემში. და იღვიძებს დიდი სურვილი დაეწერო, უსათუოდ მოვასწრო და დაეწერო ჩემი დიდი ხნის ნაფიქრი წიგნი. ჩემი დროის შესახებ და ჩემს შესახებ — ეს უნდა იყოს არც რომანი, არც მემუარები — რაღაც საშუალო.

მიყვარდა ისტორია და დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ძველი წიგნების კითხვა. ვკითხულობდი და ვერ ვძღებოდი „ქართლის ცხოვრების“, „კალმასობის“ კითხვით... მუდმივი ჩხირკედელაობა ამა თუ იმ სიტყვის ამოწერა და ახსნა ყოველდღიურ მოთხოვნილებად მქონდა გადაქცეული. ეს უფრო მეტ სიამოვნებას მგვრიდა, ვიდრე საკუთარი შემოქმედებისათვის ახლის შემატება.

განა თარიღები გააცოცლებენ მწერლის ბიოგრაფიას? დავიბადე 1910 წელს, 14 აპრილს, ქალაქ თბილისში სათავად-აზნაურო საკრებულოს ბიბლიოთეკარ-არქივარიუსის ივანე რომანოზის ძე შატბერაშვილის ოჯახში. დედამ — თამარ გოგიბერაშვილმა სკოლაში შესვლამდე შემასწავლა ანბანი.

სხვა არის ქალის, დიასახლისის ენა, სხვა არის მამაკაცის, მამასახლისის ენა. დედა ოჯახის, ოთახის, ეზო-ყურეს ენით გელაპარაკება. მამას ქალაქის, მინდვრის ენა შემოაქვს. საღლაც ეს ორი ერთიანდება და მე დამატული ვუსმენ და ვაერთიანებ. ლურჯყდიან რვეულებში ვაგროვებ მათ ნათქვამს ბავშვობიდან.

ოთხნი ვიყავით: სამ ძმას ერთი და გვყავდა. ჩვენ ვიცოდით დის სიყვარული, რადგან და გვყავდა. მან მხოლოდ ძმების სიყვარული იცოდა. კარგია, როცა ოჯახში ბევრი გოგო-ბიჭია, მაშინ სიყვარულიც ბევრია და მრავალფეროვანი.

ზამთრობით თბილისში ვცხოვრობდით. მამა მსახურობდა. ბებია და პაპა მუდმივად სოფელში ცხოვრობდნენ, მე ისინი თბილისში ჩამოსული არ მახსოვს. სოფელში ზამთრობითაც მივიღოდით დღესასწაულებში და არდადეგებზე, როცა უკვე მოსწავლეები გავხდით. კარგია ზამთრობით სოფელი. უთოვლო ზამთარი არ მახსოვს. იქნებ იყო კიდევ, მაგრამ მუდამ თოვლიანი მესახება ჩემი თვალადი. მარხილით ტყეში წასვლა შეშაზე, ცივაობა, სარკესავით კრიალა ყინულზე სრიალი კავთურის ხეობაში, საღამოობით თბილ ბოსელში ბუხართან ჯდომა, შაირობა, ზღაპრები. მეზობლის ბიჭებთან ძმებზე ვიზრდებოდით. ადრე, ამ ბუხართან ვაგონილი ზღაპრები და ხალხური ლექსები ახლაც ცოცხლობენ გულში. სხვა — შემდეგ წიგნში წაკითხული, დრომ წაიღო.

დღეს დედამ მიხოვა, შენი „ქაშნიკი“ რომ გამოვა, მომეციო. თუ აქ არ ვიქნები, სოფელში უსათუოდ გამომიგზავნეო... მერე დაუმატა: როცა მოკვდები — შენი წიგნები გულზე დამაწყეო, მამაშენს უნდა წავუღოო.

მე გამეცინა და ვუთხარი: ჯერ ადრეა, დედაჩემო, ეგეც არ იყოს, ნეტავ
კარგი გამაყეთებინა, უშენოდაც მიუვა-მეთქი.

დედამაც გაიცინა და მაკოცა.
სხვათაშორის, ჩვენ იშვიათად ვკოცნით ერთმანეთს — შეხვედრა-განშორე-
ბისას. ეს ჩემი ბრალია, თორემ დედას ალერსი უყვარს: შურით ვუყურებ —
ჩემი ძმა და ის როცა ერთმანეთს ეალერსებიან.

მე მეშინია დედაჩემის სიკვდილის...
არა მარტო იმიტომ, რომ ის ჩემი დედაა, ჩემი გამზრდელი და ჩემთვის თავ-
შეწირული ადამიანი!

არა!.. მე მეშინია მისი სიკვდილის იმიტომაც, რომ მისი სიკვდილის შემდეგ,
მე არ მეყოლება ჩემი „სიტყვის დედა“... ის არის ამოუღვეელი, ამოუცლელი
ქვევრი, საიდანაც მე ყოველდღე ვსვამ ზედაშეს ქართულისას, ნაკურთხს, თავ-
ანკარს, ნამდვილს.

დღეს მან თქვა ერთი სიტყვა — სიწლო.. („აი, ხედავთ რა სიწლო ნიკაპი-
აქვს, იმ სიწლო არ არი...“)

მე ჩაეწვიე. შეიძლება თქვენ იცოდეთ, მე არ ვიცოდი. „სიწლო“ მე აქა-
მდე არ გამეგონა. რა არის: სიგანე? სიმსხო?.. რალაც ზოგადი უნდა იყოს. ჩავი-
ხედავ ლექსიკონში.

ღმერთო, აცოცხლე დედა!
მე ძალიან ცოტა მეგულება საქართველოში ისეთი კაცი, ვინც ასე ბუნებ-
რივად მეტყველებდეს ქართულად... ხანდახან მისი ნათქვამი მოგონილი მგონია!

თვალსაც თავისი თვალი აქვს, ისე როგორც გულს — თავისი გული. თვა-
ლის თვალი შენზე ადრე ხედავს. გულის გული შენზე ადრე გრძნობს.

პირად ცხოვრებაში უბედურია ის, ვისაც მოვალეობის გრძნობა ფაქიზად-
აქვს ბავშვობიდან განვითარებული. რა გრძნობაა ეს? ნუთუ მონური მორჩილე-
ბის ნათესავია...

ქართული მოვალეობა კარგად გამოხატავს ამ გრძნობას, მაგრამ ყველა მო-
ვალე ერთნაირია?

უსათაურო ლექსები მოუნათლავ ლექსებს გვანან. ისინი დაუკმაყოფილებ-
ლობის გრძნობას იწვევენ ჩემში. თითქოს დაუმთავრებელნი და უძლეურნი
არიან, სადღაც დიდი აკლიათ.

ამას ლექსებიც გრძნობენ თითქოს.

რათა კვდებიან კაცები დედაკაცებზე ადრე? რათა ხდებიან ქმრები ცოლე-
ზის დასატირებლები? შენგან არ მიკვირს? აბა, შედი წისქვილში, რას გეტყვის
მეწისქვილი! რომელი უფრო მალე ცვდება, წისქვილის ქვედა ქვა თუ ზედა (დო-
ლაბი), რომელს სჭირდება მოკოდვა და გამოცვლა, ზემოს თუ ქვემოს? ასეა კა-
ციც... ბრუნავს, შრომობს, იქანცება, ცვდება.

გრძელი, მოსაწყენი რომანების წერით თავს ნუ იწუხებთ... დარწმუნებუ-
ლნი იყავით. მათ არავინ კითხულობს. სანაძლეოს დავდებ, დიდ სანაძლეოს, გა-
მოქვეყნების შემდეგ თქვენც კი არ წაგიკითხავთ თავიდან ბოლომდე... მართა-
ლია თუ არა? გულში ჩაიხედეთ და გამოტყდით. ანდა, თუ გრძლოდ წერა გადა-
წყვიტეთ, საინტერესოდ მაინც თქვით სათქმელი.

ეს ჩემი ავადმყოფობაა თუ საზოგადოდ მწერლებსაც სჭირთ, არ ვიცი —

რასაც ვწერ, რაც აღრე მიყვარდა და მოუთმენლად ველოდი წერის დაწყებას — შეგავრება. ისე მეჩვენება თითქოს ჩახირული იყოს ჩემსა და ჩემს მომავალ გეგმებსა და ოცნებებს შუა... მიყვარს და მიზიდავს ახალი, რაც ოცნებაში მე-
ხატება.

შესაძლოა, ეს ზიზღის მაგვარი გრძნობა კარგიც იყოს: ცივი გონებით და კრიტიკული თვალით იწერება ის, რაც წინ მიდევს.

მინდა უკან მივიხედო და არ ვიხედები, მეშინია, უკან არავინ იდგეს. არ მივიხედო და იმისი მეშინია, რომ არ ვიხედები. იქნებ ვინმე დგას... თუ დგას ზომ უნდა ვიცოდე, რომ...

საოცარია ადამიანის დამოკიდებულება ფაქტებისა, საგნებისა, თუნდაც ბგე-
რების, საერთოდ ყველაფრის მიმართ, რაც მის ირგვლივ არის თუ ხდება. თუნდა
ნაცვალსახელის მიმართაც კი. ცვალებადია.

რამდენიმე წლის წინათ რატომღაც მოვიძულე ნაცვალსახელი „ის“. ვერ
დამაწერინებდი. ვწერდი „ივის“. ახლა „იგი“ შემძულდა. რატომ?

კარგი სიკვდილი პოეტისთვის უკანასკნელი კარგი ლექსია.

სიჩუმე ფიქრის დედაა. ფიქრი ადამიანს არ ჰგავს. ადამიანს ხმაური აღვი-
ძებს, ფიქრებს — სიჩუმე. მოვა თუ არა სიჩუმე, ფიქრები იღვიძებენ და ადა-
მიანის ირგვლივ იწყებენ სიარულს.

მოუწვეველი პაპიროსი ნატურაა. მოწვეული — იმედის გაცრუება.

გიორგი ლეონიძემ მითხრა: ხაში შემოდგომით, სანამ რთვილს არ დადებს,
არ იქმევა. გაზაფხულამდე იქმევა, სანამ ბალახი ისე არ გაიზრდება, რომ ჭიანჭ-
ველა დაიმალოსო.

მწერლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მშობლიური ენის ჭეშმარიტ ბუნებას-
თან მიახლოება უნდა იყოს.

რომ ამ ცეცხლში არ გამოველო სულს, არ გადასხმოდა მისი მდულარე
ზორცს — და გული არ გაციებულყო ფოლადივით, არ გამომწვარიყო, რა მექ-
ნებოდა სათქმელი შვილებისათვის?

ჩემო უთქმელო კარგო ლექსებო, თქვენთვის ვერ მოვიცალე...

პირველი მიცვალებული, რომელიც კუბოში მწოლიარე ვნახე, იყო აკაკი
წერეთელი. მანამდის არც პოეტი მენახა და არც მიცვალებული. შესაძლოა მა-
ნამდის პოეტიც მინახავს (ვინმე) და მიცვალებულიც, მაგრამ ჩემს ხსოვნაში ამ
ხილვამ ყველაფერი წაშალა. მაშინ მე ექვსი წლისა ვიყავი და ჩემს ოჯახს ჯერ
სიკვდილი არ ენახა.

მას შემდეგ მიცვალებული ჩემი პაპების — მამაჩემის მამის — რომანოზის
და მამაჩემის ბიძის — ზაქარიას კუბოებიც კი მახსოვს, თუმცა მათი სიკვდილი,
განსაკუთრებით ზაქარიას მკვლელობა ჩემს თვალწინ მოხდა და ჩემი ოჯახის
შუარე და საინტერესო თავგადასავლის სათავედ იქცა, მაინც მათი კუბოები არ
მახსოვს, არ მახსოვს როგორ იწვნენ ეს საყვარელი ბერიკაცები, როგორ დაე-
ტიროდით, როგორ გავაცილეთ სასაფლაოზე.

აკაკის კუბო კი დღესაც თვალწინ მიდგას.

ლევან გომეა

თეორი ტეხნიკი

ორი მწერლის ერთად მოგზაურობა თავისებურ თანავეტორობას უდრის. ერთბაშად ილესება ორთა ხილვა და კალამი, საკალამითი ახალ სიღრმეებსა და არეარებს აჩენს. ირგვლივ უამრავი დაწერილი და დაუწერიელი ფურცლები პური... გინდ თვალს გააქრევიან და გინდა კალამს!

მეც მახსოვს, ასეთი „თანავეტორული მოგზაურობა“ გიორგი მუხრანელის-მწერლის, კაცურ კაცთან, გულფიქრიან მწერალთან... უკეთილეს მოქართულესთან, ჩვენი ბუნებისა და ისტორიის ხალასად მგრძნობთან.

ჩვენ, სამშობლოს სიყვარულის გარდა, მწერლობა და მოგზაურობა გვაახლოვებდა.

სოფელში ვიყავი მასთან. თვალად მართლაც „თვალადი და ტანადი“ სოფელია, ძღვეის ქედის მყუდროში. უხვი ბაღ-ვენახებითა და მწვანით შემანიღილებული.

აქ ედგა გიორგის მამა-პაპური სახლი. აქედან ავეყვით გზასა და კავთურას... დინჯად, დაგემრიელებით ვიდოდი. წარბშეკრულ ხეობით ვნუქბარობდით...

ჩქერის ხმა, ტყის შრიალი, მრავალი სხვა მშობლიური ჩქამი ერთობლივი გუნდური გალობით ირგვლივ გვადგა. სამყაროს დიდ-პატარა კარიბჭეების გახსნას მკაფიოდ ვგრძნობდით... მაგრამ ჩვენც გვექონდა ჩვენ ჩვენი კილო და ადგილსაყუდი! იდგა ეამი შინაგან განცვიფრებისა. ეს შემოქმედების პირველი საფეხურია. ჩვენც მივდიოდით, ირგვლივ კი ერთი ვეება დინება მიმობრუნავდა!

მოვერცხლილი საზანდარა ღელე ქვიდან ქვაზე ხტომით გადავვლეთ. ჩვენი ჩაჩეხილი ანარეკლები ჯერ შეერთდნენ, მერე თითქოს წყალსა თუ ბუნებაში გაითქვიფნენ... გიორგიმ თვალს გააყოლა, ჩურჩულით წამოიძახა...

— ახლა ჩვენ შიშვლები ვართ!..

— გულშიშვლები!

— ჩვენი კაცის სიკეთილე ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს!

— სიკეთე და სიკეთილე!

— ...ხანდახან არც სიმკაცრე აკლია ბუნებას... მაგრამ პირუთენელია!

— სტიქიურად პირუთენელი...

— ახლა კი მომიბრუნდა და დასტურთანად შემეკითხა...

— შეგნებულ მოქვენობასა და მიკერძობას ხომ სჯობია?

— ჰაჰაი!.. დიხატი!.. ჰოდე!..

მცირე აღმართზე ავედით. ხის ჩრდილები ფიქრებივით იწვნენ. მაღლობებს შუბლის კუმტულები შეეკრათ.

— აღამიანი მარტო „სადღეისოთი“ არასოდეს არ უნდა იფარგლებოდეს, მუღმივ „სამთავანას“ უნდა გრძნობდეს, თავისი „წარსულითა“ და „მომავლითა“...

მხოლოდ აქ შევამჩნიე, გიორგიმ იცოდა „სიტყვატვიფრული“, „წინწყლებიანი“ ლაპარაკი და „დასტურიანი შეკითხვა“.

წარსული ცხოვრების გზა არც ერთს არა გეჭონდა ია-ვარდით მოფენილი... მომავლის საზრუნავ-საფიქრალშიც ერთად ვიყავით, ამ ხეობაშიაც და სხვაგანაც...

...იგი კი განაგრძობდა დაოკებულ სიღინჯით სვლასა და სიტყვების მარცხ-ლას... ასეთი იყო საერთოდ — დაოკებულად დინჯი.

— აღამიანსა და ბუნებას შორის არაფერია და არაფერი არ უნდა ჩადგეს!

— არაფერია და არაფერი! — დავეთანხმე და ჩავაზუსტე, — არც ბუნების მეკობრე, არც მტაცებლური ტექნიკა!

გიორგიმ ხელი და თავი ერთად დამიქნია, გზისპირა შავრცხილას დიდი ლოკოკინა გააცალა, ბალახოვანზე ჩამოსვა... შემოფეთებულ ჭიამიას მლოცველივით ხელი აღუპყრო, გაფრენას დაელოდა, ერთი ლექსის მანძილზე თვალიც გააყოლა...

— ლევან! ჩვენი ბუნება არა მარტო მრავალსახოვანი სულიერია, არამედ „მრავალსიტყვიერიც!“

ვიგრძენ, გიორგი „სიტყვიერს“ — „მეტყველის“ მნიშვნელობით არ გულისხმობდა. წინწყლები ველარ გავხსენი...

— მაგალითად?

— მაგალითად... ახლა ქვათახევიში მივალთ... ჰა, ტაძარიც!

მართლაც, ტყეში ჩახატულივით გამოჩნდა დიდებული ხუროთმოძღვრული ძეგლი. — ქვათახევი — ქვათა ხეობასაც ნიშნავს, ხევი — მცირე მდინარეც არის... მაგრამ ეს სიტყვაც რომ ახალ კანში ამოვიყვანოთ — ხე გვაქვს ფუძედ!.. საბოლოოდ — ქვა და ხე გვრჩება! — შემოქმედურ ფიქრს ზამბარასავით შლიდა და კუმშავდა სიტყვის ოსტატი... ათას ფხას უსინჯავდა სიტყვებს!

— ჭაშნიკობა?

— რატომაც... უჭაშნიკო მწერალი — უმარილო მწერალია! — მაგრამ ეს ფხავაკრული სტრიქონი იყო, ფიქრის დვრიტას კი ჯერ უჩინმაჩინის ქული ეხურა...

— ჰოდა, ესეც მითხარ, ნურც გაიცივრებ — ქვა უფრო გიყვარს თუ ხე? ასეთ აბრუნდს არ მოველოდი...

— მითითრის ძიებაში ხარ? დაისაკლისე?.. მწერალი ამის გარეშე იმ მეპურეს ჰგავს, რომელსაც ცომიც აქვს, ცხელი თორნეც, მაგრამ საფუარი არ გააჩნია და კუტი პურებს ამრავლებს!

...მაგრამ ეს პასუხი არ იყო... ის კი ელოდა... თეთრი ცეცხლით იწოდა და ელოდა...

— კუტი პურებს ბევრი ამრავლებს ჩვენში... ვარდა ამისა?..

— ვარდა ამისა — ჩვენი ქვისა და ხის განუყრელობა, ისევე სწამს ჩვენს ერის ყოველ ეამის თაობას, როგორც ჩვენი მიწა-წყლისა!.. სადაც ვაიყარა ან ერთი, ან მეორე „მთლიანობა“, იქ აღარ დარჩა ქართველი ტომის კაცი!

— ეგ ხომ ეგრეა! მაგრამ... მე ახლა — ქვა მალელებს!

— მე — ხე!.. უფრო სწორად — ტყე!

როგორღაც „დაქვირითებულად“ ვსაუბრობდით, ოგურად ვიდოდით... გვლივ სახეებისა თუ წარმოსახვების ხილული და უხილავი კორიანტელი იდგა-ზედახორა ძველი და ახალი თქმებისა, მარაგიან სიტყვათა და შორსნაზომ აზრ-თა ცრა და აქნა... გიორგიმ ლექსების ოდიგარიც დააყენა... თითქოს ახალგაღე-წილ კალოს ხევაში ხელებს ვურევდით და იყო „ქვათახევური“ ზეიმი სულისა!

საქართველოში ყოველ ხეობას თავისი წილსამყარო აქვს. ამიტომ არის, რომ ხეობებმა ასეთი კვალი დასდეს ქართულ ხასიათს... ჰოდა, გიორგი კავთუ-რას ხეობის ღვიძლი შვილი იყო. გულიც ხომ თავკავთის ციხისა ჰქონდა. აქ შეიცნო მან „ხეობა ცხოვრებისა“, აქვე აიღო მოწოდებრივი კალამი შემოქმე-დისა და ყველა ქართულ ხეობების თვალსაწიერს გადაატარა!

ჩვენი სვლაცა და საუბარიც უფრო ცხოველდებოდა. ვლესავდით და ვავ-სებდით ურთიერთს. ის მე მაღინჯებდა, მე მას ვავიცხებდი... შიგნით და გა-რეთ კი შემოქმედების თეთრი ცეცხლი ენთო და ორლესულად ბორიალობდა.

კავთურას ხეობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ, ორი თხზულება „იწერებოდა“, მწიფდე-ბოდა, იხვეწებოდა... ურთიერთშეუტნობ შეწამებით მდიდრდებოდა. დიახ-მწერლურ საგაისოში ვიყავით, არც ერთმა არ ვიცოდით, რა დაერქმეოდა „ჯერ დაუბადებელ აბრამს“. მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გაირკვა, ჩვენთვისაც ნათელი გახდა... მისი — „საჯილდაო ქვა“ იყო, ჩემი — „ნისლი ნახატარის ტყეში“.

...მაგრამ გიორგის „ქვის სიყვარულს“ ერთი სხვა „საბუთიც“ აღმოაჩნდა-ეს კი, აქვე — ქვათახევურში გაირკვა. ტაძრიდან უკვალოდ დაკარგულიყო, იქ და-ცული ქვაძუძუ. ქალის მკერდის ზომისა და მოყვანილობის ქვა, რომელსაც ალ-ბათ წარმართულ დროიდან ქალთა „შვილიერების“ აღდგენის ძალას აწერდნენ.

— ქვის დედათა დედის ნაწილი იყო! სიმბოლოდ მესახებოდა!... ჩვენ კი ახლა ყველაზე უფრო, ბევრი, ნიჭიერი, ჩანალი შვილთა სიმრავლე გვჭირდება! როგორც შემეძლო ვანუგეშე...

— არ დაიკარგება... ხალხში გავიდოდა ქვის დედათა დედა! ქალები თავის კალთას შეაფარებდნენ! ჩვენი „შვილიერების ღვთაება“ ჯერ სახალხოა, არა სა-მუზეუმო!

ვაღიმა, ორივე თვალი მიმხვდურად მომიჭუტა, მოხდენილ უღვაშზე ხელო გადაისვა და ახლა სხვაგან გააქრევინა სიტყვას...

— ჩვენში წიგნიც სახალხო უნდა იყოს! „ქართულ-სახალხო!“ — შენ კომ-პოზიტები გიყვარს!

...და მართლაც, გიორგი მუდამ სახალხო წიგნებს წერდა, ყოფის სიბრძნით შეჯერებულებს. მან, ალლომდიდარმა კალმოსანმა, თავიდანვე „მოავნო, კეთილ-ქართული ენის რბილ ჟღერადობასა და ოქროს ბილიკს. თავის ლექსებშიაც, დრამებშიაც, თხრობაშიაც უფრო გაათბო ერის ენა და ქართული ხასიათების ცოდნით მოგვებილა.

ტაძრის კარიბჭესთან დიდხანს ვიდექით. ოლილი და წყობილი ქვა, თით-ქოს ლექსად გალობდა. მაგრამ „ქვის ლექსს“ სათაური აკლდა.

ქვათახევის დიდებული ძეგლი მეცხრამეტე საუკუნეში შეაკეთეს და ქარ-ოულ ყარყარა გუმბათს სულ სხვა ხასიათის, თავმოკვერცხილი სახურავი და-ადგეს და შეამახინჯეს.

„ნეტავ, კვლავ თუ ეღირსება ამ ტაძარს ქართული გუმბათი?“ — ხმაოდ-ლა ფიქრობდა და ოცნებობდა ორი მწერალი... მაინც, ქვათახევისა და კავთუ-რას სამყაროს ღვიძლი შვილი — გიორგი.

ახლა მე მოწმე და მომსწრე ვარ, შენ კი ჩემი გიორგი, ველარ მოესწარე... ქვათახევის ტაძარს ისევ ქართული გუმბათი აღუმართეს და მისი თავდაპირველი მშენებნა სრულად აღდგენილია!.. მე ეს ჩამოვხახე, ქართველ მოღვაწეთა სავანეში, იქ სადაც შენ დიდი ქვა გაწევს მკერდზე და მიანიც, როგორც კეთილად ნამოღვაწარს, გემსუბუქება!

ასე ყოფილა წუთისოფელი — ოცნებას — მოთმინებაც უნდა ახლდეს! შენ ეს ჩემზე არანაკლებად იცოდი... პო, პო... ჯერ კიდევ რამდენი ოცნება და მოთმინება ჰპართებს მოგზაურსა და მწერალს!

ტყე ზევით და ზევით უფრო შეხშირდა; მწვანემანდილიან ღებდად გადმოსდგომოდა ხეობას. ღობეებსა და ტყის შორის ჩაძვრწილა სოფელი შუბათი... მომადლო გორის მყუდრო კალთაზე — თავკავთა. შორს, ხეობის თავში, უხაგორასთან, დიდგორის კალთაზე, თავკავთის ძველთა-ძველი ციხე... აქედან იწყება დავით აღმაშენებლისა და საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ დიდგორა!

ჩვენი ფიქრების თვალსაწიერი უფრო გაფართოვდა და მეტი სიღრმეც მოიკა.

...ირგვლივ ყველაფერი გამჭვირვალეა... ქვა, ხე, ქედი და ფერდი... ვგონებ ჩვენც! ურთიერთისათვის კი უეჭველად... სულიერ განცვიფრების შემდეგ. თურმე გამჭვირვალეა იწყება... დროთა, ნივთთა და მოვლენათა. გიორგის ქაშნიკით რომ ვთქვათ — განჭვრეტა!

...მაგრამ ჩვენს განცვიფრებას სულ დაეკარგა საზღვარი, როდესაც ზედ დამთხვევით კავთურასა და გზის პირზე, დიდი, ხავსმოდებული, ვგონებ სამიჯნე ქვა ვნახეთ, ზედ აღბეჭდილი ხელი გავარჩიეთ და თან წარწერა, ძველმხედრული... მთელი წარწერის ამოკითხვა ველარ შევძელით, მაგრამ სიტყვა — რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ფრიალ მკაფიოდ გავარჩიეთ. ჩვენს მეცნიერებაში ეს წარწერა ჯერაც არ არის ცნობილი. რა თქმა უნდა, მას ამოკითხვა, ამოხსნა და გამოცემა ესაჭიროება. შეიძლება მას არც არაფერი ჰქონდეს საერთო ჩვენ სულიერ უპირველესთან — შოთასთან, მაგრამ ჩვენ მაშინ, ქვაზე ნატვიფრი ხელი და სახელი — ქართულ მიწა-წყლის ჰვირნიშნად მოგვემეცნა და ფრთები შეგვასხა.

უეცრად თვალი რომ გადავაგვლეთ, მეხსიერებაში აღბეჭდილ, მთაგრები-ლებითა და ხევებით დასერილ საქართველოს, ესეც ვინიშნეთ, რომ თითქმის ყოველი ხეობა ასე „თავკავთურად“ არის შენივთული და შეჯერებული ბუნების მადლითა და ჩვენი ერის შემოქმედურ მარილით!

უკან უფრო გულმომთბარ ქართველებად და ვგონებ მომწიფებულ მწერლებადაც ვბრუნდებოდით. ტყეში უკვე ციციანათელების ნაბერწკლები ელავდნენ. ხეობა მუქ ყდაში ჩასმულ ვეება წიგნს ჰვავდა... „დაწერილ და დაუწერელ“ ფურცლების შრიალი მკაფიოდ ისმოდა...

— ბუნება ხომ მარადია და მარადია... მაგრამ სიკვდილს თუ გამოსტაცებს ვინმე რეჟანს?! — სულ სხვა ხმით მკითხა „ხეობის თანამგზავრმა“.

— გამოსტაცებს... შემოქმედება!

მე ახლაც ხშირად ავყვები ხოლმე მშობლიურ ხეობებს... ვეგულისხმები ბუნებასა და წარსულის ძეგლებს, მაგრამ თანამგზავრად აღარა მყავს თავკავთისა და დიდგორის წილ სამყაროს „თვალადი და ტანადი“ მწერალი. მას მაშინ უმუხთლა ცხოვრებამ და ჯანმა, როდესაც განსაკუთრებით მოუმწიფდა გული და მარჯვენა... მოუმრავლდა თეთრი ცეცხლი ჯერ უკალმოდ „დაწერილ“ წიგნებისა!..

ვაგლახ, ამათ კი რაღა ეშველებათ... აღარ უწერიათ ხორცის შესხმა და საუროდ ამეტყველება, მაგრამ განხორციელებული, მაღალი შემოქმედება — სიკვდილის რეჟანშია და აქ „შავეთმა“ ველარ სძლია „საჯილდაო ქვის“ ავტორს.



როსა გენეზე კილია

ამ ორიოდ წლის წინათ დისკუსია დაენიშნათ მწერალთა კავშირში. მწერლები ჩვეულებისამებრ მოგვიანებით იყრიდნენ თავსა... დანიშნულ დროისათვის ერთი მოსულიყო, სახელს არ გეტყვით, იმას მაინც მოგახსენებთ, რომ ერთ დროს ისეთ ადგილას მოქცეულიყო, ჭკუას ასწავლიდა მწერლებსა და კარგა გულმოდგინედ, კარგა მკაცრადაც ასწავლიდა, ჰო, დანიშნულ დროისათვის მხოლოდ ის მოსულიყო, იჭდა დარბაზში, კარისაკენ ეჭირა თვალი, მაღიმაღ წამოიჭრებოდა, ეგებებოდა ყოველ ახალმოსულსა, ხელს ჩამოართმევდა, შესციცინებდა, მოიკითხავდა ალერსითა და ეს ცოტა მოდაბლო თუ მოსაშვალოე, ეს ცოტა შეთხლებული, ცოტა ვაცრეცილი, დაზაფრული კაცი, კამათის დროს ცმუკავდა, ვერ ისვენებდა. ერთ ადგილზედა, მერე სიტყვაც მოითხოვა, თამამად მოერგო ტრიბუნასა, თამამი სიტყვაც წარმოსთქვა, თუმცა ბევრი არაფერი მოუწონეს, შეუძახეს ადგილებიდანა, გაუქილიკეს ნათქვამი, გაუბიაბურეს შემდგომ გამოსულმა ორატორებმაცა. ის თავისას იცავდა, შეხტებოდა და შეპროწი-ალდებოდა თავისი სკამის გარშემო, ეგრე არ მითქვამსო, ვერ გამიგეთო, სხვასა ვგულისხმობდიო, ეგება სწორე ვერ გამოვთქვიო, ასეო, ისეო, თავს იცავდა და ბოდიშობდა, სულ ერთია, უფრო ნანობდა, რა მრჯიდა, რად გამოვედი ტრიბუნაზეო.

ეს იყო ამ ორიოდ წლის წინათა-მეთქი.

ამ ოციოდ წლის წინათ საგანგებო კრება თუ პლენუმი დაენიშნათ მწერალთა კავშირში. მწერლები ჩვეულებისამებრ მოგვიანებით იყრიდნენ თავსა, მოდიოდნენ გაბრუებულნი თუ გაოგნებულნი, მოდიოდნენ და ტორტმანებდნენ ვილაციისა თუ რილაციის მოლოდინში. ისიც მოვიდა, მოვიდა კარგა შეგვიანებითა, აი ისა, დანიშნულ დროისათვის მოსულიყო-მეთქი, რომ მოგახსენეთ, ელოდნენ და მოვიდა რიხიანი, ზვიადი, მუქარიანი, თითქოს მომალლოცა, თითქოს დაეღაჟაცა, მოვიდა ქართია და სუსხითა, შემოვიდა და შემოიბრუნა იგივე ქარი, იგივე სუსხი, რისხვა და მუქარა, მუქარით შეიმართა ტრიბუნაზედა, ვითარცა დიდი ბრალმდებელი გამოძევებულ შეთქმულთა წინაშე, შეიმართა და დაიწყო: ასეო, ისეო... ანა ახმატოვაო, მიხეილ ზოშჩენკოო... მაშინ ეს დიდი ღვთის რისხვა იყო, ასეო, ისეო... ანა ახმატოვაო და მიხეილ ზოშჩენკოო. ასეო, ისეო... და გიორგი შატბერაშვილიო... ვილაცამ თითქოს შვებით ამოისუნთქა, ვილაცამ შეძახება სცადა, მაგრამ ხმა აღარ ეყო, ისა გუგუნებდა; იმისი რიხი იდგა დარბაზში. იდგა რიხი უცნაური, გაისმოდა ბარალელები თუ შედარებანი უცნაურზე უცნაური. და მართლაც უცნაური ჭკუა-გონებისა უნდა ყოფილიყავი, ან უცნაური ლიტერატურული განათლება უნდა მიგელო, ასეთი შედარება-მსგავსებანი რომ მოგსვლოდა თავში, მაგრამ ვინ დასძრავდა კრინტს?! იჭდა გიორგი გაოგნებული და თუ აიხედავდა, გულშემატკივარს დაეძებდა იმ თავჩაქინდრულსა და გატვრენილ დარბაზში.

ეს იყო ამ ოციოდ წლის წინათა-მეთქი.

კაცი წვეთწვეთ დაიცალაო, იტყვიან ხოლმე, ზოგჯერ ერთი წვეთიდა შერჩენია და ისლა იმაგრებს, ბეწვისოდენანა იმაგრებს, ბეწვზე ჰკილია და მაინც არას იმჩნევს, გულოვნობს მაინცა, მაინცა ვეჯაკობს, იმ წვეთშიც ძალაა, ღონე,



ოგვე, რაც სავსე გულში, ხოლო თუ ისიც ჩამოვინდებდა, უცბად დაეცემა ადამიანი. ასე დაემართა გიორგისა, ასე წაიქცა, უცებ წაიქცა და გააოცა მეგობარი თუ მახლობელი, რა მოუვიდაო, რა კარგად იყოო...

მართლაც რა ძაღოვანად მოსჩანდა!...
ეს იყო ამ ხუთი წლის წინათა...

მელაე კახიძე

ყველას გვიყვარდა

„ცისკრის“ რედაქციიდან ხშირად ერთად გამოვიდოდით მე და გიორგი შატბერაშვილი, რუსთაველის გამზირს ფეხით გავიმანძილებდით ხოლმე.

ერთხელ ქაშუეთის ეკლესიის წინ რაღაც აყალმაყალი ატყდა. ხალხი სერიის საყურებლად მოხროვდა. ვიღაც სათვალის ბიჭს მილიციონერი მკლავში ჩადრწენდა და თავისკენ ეზიდებოდა. გიორგი აჩოჩქოლდა. ორივემ შეთქმულებივით მივირბინეთ.

ბიჭი ტროლეიბუსის უკანა კარიდან ჩამოსულიყო, იქვე მილიციონერი შეფეთებოდა და ხელი ეტაცნა.

ბიჭი ეტყობოდა ფულზე ქესატად იყო და მილიციაში მიჰყავდა.

მთლად მწვანე ჭილი იყო, უღვაშებზე ღინღლიც არა ჰქონდა ამოსული. სირცხვილისაგან გაჭარხლებული, უხერხულად ცდილობდა მკლავებიდან დასხლტომოდა. როცა ვერაფერი გააწყო, მილიციონერს ხელი აუქნია.

— უყურე, გარტყმა მომინდომა.

მაშინ კი გიორგის გულმა აღარ მოუთმინა და შუაკაცად ჩავარდა.

— არ გაართყა!

მკლავში ხელი ჩაავლო მილიციონერს და უთხრა: — გაუშვი!

შე კაი კაცო, ვერა ხედავ, ტუჩებზე რძე არ შემრობია, ამდენ ხალხში რად არცხვენ, ასეთი უბრალო რამის გულისთვის.

— არ გავუშვებ! — გაჯიქდა მილიციონერი.

— ეს კაცი მწერალია, გიორგი შატბერაშვილი, — ხმადებლა ჩავულაპარაკე მილიციონერს. მილიციონერმა გიორგი თვალით აზომ-ჩაზომა, მერე ერთბაშად მოლბა და ბიჭს ხელი გაუშვა.

— განა მე კი არა მაქვს თავმოყვარეობა, ამდენ ხალხში რომ გარტყმას შემუქრება.

გიორგი ბიჭს მიუბრუნდა და განზრახ მკაცრად უთხრა:

— რაღას უდგახარ, ხომ ხედავ, გაპატია, მადლობა გადაუხადე და წადი... და ბიჭი ლამის ძალით შეაგდო ჩამომდგარ ტროლეიბუსში.

მერე მილიციონერს მიუბრუნდა:

— მადლობელი ვარ, ვაქაკი კაცი ყოფილხარ!

მეორე დღეს მითხრა, წუნელ სალსალამათი ძილით მეძინა, იმ ბიჭს ჩვენ რომ არ გამოვქომაგებოდით, მილიციონერს გარტყამდა და ხეირი არ დაეყრებოდაო. ერთი კაცის გამოსარჩლება, ერთი კარგი ლექსის დაწერას უდრისო.

გიორგი ყველას ვეყვარდა, რომ არ მყვარებოდა არც მისი მზიას მთა-



თუშეთში წაყვანას ვინდობდი. როცა გიორგის ვიხსენებ, რატომღაც მათთუ-
შეთი მაგონდება, მაშინ კიუხზე ნიაბორების ჯოგს გადავწყდით. ჩვენმა მეგობარმა
ზურმა ჩახმახი ფეხზე შეაყენა და ნიაბორი სამიზნეში ამოიღო. ნიაბორებმა
დხაპი ქნეს და კიუხს გადაეცლნენ. მხოლოდ ერთი შედგა, ლამაზი და ყელ-
პოლერებული, ქანდაკებას ჰგავდა, ისეთი ამაყი იყო, მისი სიამაყე სამი სოფ-
ლის ხალხს გასწვდებოდა. ტყვიის არ ეშინოდა, ალბათ თავისი გულადობის
იმედი ჰქონდა. სიმფრთხაღეს ალბათ სიკვდილი უჯობდა.

როდესაც გიორგის ვიხსენებ, რატომღაც ის ნიაბორი მიდგება თვალწინ.
ერთხელ კახეთში, ჩვენსას, სუფრაზე ჩემმა სიძემ ნიაბორის ყანწი შეაგება,
გიორგიმ ყანწი ასწია და დაილოცა:

— მოდი ამ ნიაბორს გაუმარჯოს, თავისთვის ჩუმად, ამაყად და ლამაზად
რომ ცხოვრობდა მშობლიურ ტყეში, მერე მონადირის ხელით ამაყად მოკვდა
და სახსოვრად ეს რქები დაგიტოვაო.

მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთს ვუთხარით: თავის სადღეგრძელო
დალიაო!

გიორგი კარგი ვაჟკაცი იყო და არც სხვისი ვაჟკაცობა ეხარბებოდა.
როცა ჩემი მეუღლე პირველად შეევახვედრე, ისეთი გახარებული იყო, სახეზე
მზე გადასდიოდა.

გიორგის ოცნება იყო ყოველ წელიწადს კახეთში, ჩვენს მარანში დაეყე-
ნებინა ისეთივე წმინდა და თავანკარა ღვინო, როგორიც თავად გიორგი იყო.
გიორგის არ დასცალდა ჩემს მარანში რქაწითელის დაწურვა და ეს ოცნებაც
ოცნებად დარჩა.

მაგრამ ყოველ შემოდგომაზე მისი მეუღლე ნათელა გიორგის ბაღლად
ჩამოდის ჩვენთან და რქაწითელს სწურავს, რომ გიორგობა დღეს მასავით
უზადო ღვინით მისი შესანდობარი ვთქვათ.

მუხრან მატაპარიანი

ქართული სიტყვის ღირსეული მოუკაპი

შენ მახსენდება, გიორგი!

შენი მშვიდი სახე მიდგას თვალწინ!

ყოველგვარი პირადი შუღლით, საბოლოო ჯამში, ერთობილი საქართვე-
ლო რომ ზიანდება, კარგად იცოდი შენ!

მიწყვიე სასტიკი წინააღმდეგი იყავ წვრილმანი ლიტერატურული კრებისა-
ცი ამიტომ.

„ცისკარში“ რომ ვმუშაობდით, არა ერთი „კარგი“ ლექსი, — იმის გამო,
რომ ნასხვისარი იყო, — უკან გაგიტანებია, არამცთუ დამწყები, ბარგორი სა-
ხელგანთქმული მწერლისათვის.

შენ მახსენდება, გიორგი!

შენი მშვიდი სახე მიღვას თვალიწინ!

როგორი დაიაზებით ეპყრობოდი ყოველ სიტყვას!

როგორ ელოლიაებოდი! —

ხან კი როგორი თავგამოდებით შეებმოდ.

ქართულ სიტყვას, დასტურ, დიდი მოურავი მოაკლდა შენი ნაადრევი სიკე-
დილით, ძმალ!

— კეისარისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა! — იყო შატბერაშვილის
ცხოვრების დევიზი.

ტაშად და ღიმილად ეგებებოდა ყოველ ნიჭიერ სიახლეს იგი.

ჰქონდა სხვისი ღირსების არა მარტო ხილვის, — აღიარების უნარიც.

მასხოვს, — რა ალტაცებით ლაპარაკობდა ანა კალანდაძის შემოქმედებაზე.

როგორ ზრუნვას იჩენდა ნიჭად გაელვებულ გურამ რჩეულიშვილის მიმართ.

პირადად მე, — ალბათ ჯერ კიდევ არაფერი მექნება გამოქვეყნებული. —

გიორგი რომ არა.
გიორგი იყო ჩემი ლექსების პირველი შემტყუებარი.
დამწყები მწერლები, რომლებიც ეს-ესაა შემოდიან ლიტერატურაში, —
ვერც კი წარმოიდგენენ, თუ რაოდენ პირუთვნელი მსაჯული აღარ დახვდათ მათ.
დიღუბის მიწაში განისვენებს ახლა იგი.

მეც კაცი ვარ ხორციელია,

სულ ხომ ცას არ შავებრდებიო! — წარმოიტყოდა ხოლმე ხანდახან.

რა ხნისაც ახლა მე ვარ, ამ ხნისა იყო მაშინ.

ოცი წლის ჭაბუკი მეგობრად მივაჩნდი...

ახლალა ვხვდები, — რა ძნელია შენზე ბევრად უმცროსთან საერთოს გა-
მონახვა, რამხელა სულიერ სიუხვეს საჭიროებს ეს!

მე არც წარსულის,

არც მომავლის

არ მეშინიაო! — გაიძახოდა გალაკტიონი.

არადა, ყოველი კაცი წარსულსა და მომავალს შეეშინება სწორედ!

შენზე უმცროსთან და უფროსთან პოვნა საერთოსი, მათ შორის თავის ღი-
რსეულად დაჭერა. განსაზღვრავს სწორედ პიროვნებას შენსას.

გარდასულისა და მომავლის შემსგავსების უნარი ათასში ერთს თუ შეს-
წევს მედინი სოფლის მდგმურთაგან.

სწორედ ამ იშვიათი უნარით გახლდათ დაჯილდოებული ჩემი საყვარელი
ქმა და მეგობარი, ჰეშმარიტი მწერალი და კაცად კაცი გიორგი შატბერაშვილი.
ნათელში ამყოფოს ღმერთმა სული და სახელი მისი!

ნოდარ ლეშაძე

ნიჭი სიყვარულისა

იმ მთას, რომელზედაც თქვენ საჯილდაო ქვა აგქონდათ, ბატონო გიორგი,
ვასასრული არ ჰქონდა, ეს თქვენ იცოდით და მაინც მიგქონდათ უკან მოუხედა-
ვად. ალბათ ერთხელ მოიხედეთ უკან, მხოლოდ ერთხელ და შეგზარათ, როდე-
საც დაინახეთ, როგორ უახლოვდებოდა სასაფლაო სოფელს. ეს იყო და ეს. ის

საჯილდაო ქვა, თქვენ რომ აგქონდათ, ბატონო გიორგი, დაუსრულებელ აღმართზე, იყო ქვა სიკეთით, სათნოებით, კეთილშობილებით, ვეჟაკობით, ნიჭიერებით, სიყვარულით, სილამაზით, ძლიერებითა და სითბოთი უზომოდ დამძიმებულ ვეებერთელა ქვა.

ადრე ხომ არ შებინდდა, ბატონო გიორგი? ადრე ხომ არ აკრიფა სხვიო მკვდრის მზემ? ადრე, ძალიან ადრე, ბატონო გიორგი, მაგრამ ღმერთმა ჰქნას ასე ადრე ამხელა მანძილზე, ამ სიმაღლეზე აეტანოს ყველა ჩვენთაგანს ის საჯილდაო ქვა, თქვენ რომ აზიდეთ.

მე ახლა თქვენს ოდნავ გაღიმებულ, ოდნავ გაკვირვებულ და ყურადღებით ასევს თვალებს ვხედავ.

მეკითხებით:

— რატომ თვითონ არ წამოვიდა?

— წამოვიდა კი არა, ბატონო გიორგი, ეს სამი მოთხრობა ძლივს წავართვი. მერე რამდენჯერ მინახავს გურამ რჩეულიშვილი თქვენს მაგიდასთან მჯდარი. მეგობარი წამართვით, ბატონო გიორგი. ერთი თუ ორი? ყველა ნიჭიერი მეგობარი წამართვით, გადაიბირეთ, რადგან ღვთისაგან გქონდათ მომადლებული ყველაზე დიდი ნიჭი ქვეყანაზე, ნიჭი სიყვარულისა.

კავთისხევეს მივდივართ.

თქვენი ოდა, თქვენი ვაზი, თქვენი ხეხილი, თქვენი ნაოფლარი და ნახელავი. ვათვლიერებ თქვენს ხეზე ნამუშევრებს, ნაძერწს, საოცარს და ლამაზს. მიკვირს.

გეკითხებით:

— ბატონო გიორგი, ამას თავისუფალ დროს აკეთებთ?

გეცინებათ.

— თავისუფალი დრო არ არსებობს, ჩემო ნოდარ, ამას თავისი დრო აქვს. მერე ეზოში გავდივართ, ბავშვებით გიხარიათ, ყველაფერი რომ მომწონს. აბიზინებულ ბალახზე ვსხდებით.

უცებ მეუბნებით:

— მოდი აქ დასახლდი ჩემს გვერდით, თავმჯდომარე კარგი კაცია, მე ვეტყვი, შენს ბაღს მე მოუველი, ვაზს დაგირგავ. თუმცა რა, სოფლის მეურნეობის ეკონომისტი არა ხარ? შენ თვითონ მოუარე. ხომ დასახლები?

უარს გეუბნებით და გიკვირთ. იმიტომ კი არ გეუბნებით უარს, ბატონო გიორგი, რომ უმადური ვარ, არა, რა სჯობია თქვენს გვერდით ცხოვრებას, ცხოვრება კი არა და, ერთი საათია თქვენს გვერდით ვზივარ დაცვარულ მოღზე და იმითაც უზომოდ ბედნიერი ვარ. მაგრამ ვაითუ ვერ გაგიწიეთ ძმობა, ვაითუ თქვენს მხარში დგომას ვერ გავუძელი! მეშინია, ბატონო გიორგი, მეშინია და უარს გეუბნებით.

ერთხელაც დავბრუნდი თბილისში და აღარ დამხვდით. თქვენ უკვე დიდუბეში ბრძანდებოდით.

მე ახლა თქვენი მკვდრის მზე მიდევს მაგიდაზე და იმ საჯილდაო ქვასაც ვხედავ. რა მაღლა აგიზიდათ, ბატონო გიორგი, რა მაღლა აგიზიდათ, რამდენი უნდა იაროს კაცმა, რომ ჯერ მარტო იმ ქვასთან მივიდეს, მერე შეუდგეს და თქვენი გზა განაგრძოს? მე ახლა ვუცქერი იმ ქვას, უზომოდ მძიმეს. ვუცქერ და ვნატრობ, მეც გადმომხედოს ზენამ და მომანიჭოს ყველაზე დიდი ნიჭი ქვეყანაზე, ნიჭი სიყვარულისა, რომელმაც ის საჯილდაო ქვა აგატანიხათ იმ სიმაღლეზე.

უ რ ლ ვ ე ე ე ი ზ ი ც ი

თვითუღმა ჩვენთაგანმა, ვინც გიორგი შატბერაშვილს ახლოს ვიცნობდით, ყველა შეხვედრა და საუბარი რომ გავიხსენოთ და ქალაღღზე გადავიტანოთ, ალბათ მოზრდილი წიგნები გამოვიდოდა და ერთი პატარა ბიბლიოთეკა გაჩნდებოდა. მაგრამ იმ საინტერესო წიგნების შექმნაში ჩვენი დამსახურება მხოლოდ კარგი მეხსიერება თუ იქნებოდა, მეტი არაფერი, რადგან პირადად რაც მე დამამახსოვრდა — ყოველი შეხვედრის, საუბრისა თუ ეპიზოდის გმირი, მუდამ ბატონი გიორგი იყო: მხოლოდ მისი კეთილშობილური საქციელის, უეცრად გამოთქმული ორიგინალური აზრისა, თუ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მულოდნელად წამოსროლილი შენიშვნის გამო მახსოვს ყველაფერი. ჩემს თავს ვერ ვხედავ ამ მოგონებებში, არ ვჩანვარ, თვალწინ მხოლოდ ბატონი გიორგი მიდგას... აი, დიდი გულმოდგინებით ემზადება პაპიროსის მოსაწევად, თითქოს რაღაც წმინდა რიტუალს ასრულებდეს... მაგიდას დაყრდნობია ორივე ხელით და ხელნაწერს ჩაჰკირკიტებს... იღიმება, ლაპარაკს იწყებს და ცოცხლდება მისი სქელი უღვაშები. აი, ამ წუთში, როგორც ახლა თვალწინ მიდგას მოლაპარაკე. არ ვიცი რას ამბობს, ალბათ ყველაფერს, რაც მე მისგან ოდესმე მომისმენია, ყველა მისი გამონათქვამი მოერგებოდა ამ გამოვეტყველებას.

1951 წელს განახლდა დიდი ხნით შეწყვეტილი ჟურნალ „დროშის“ გამოცემა. ჟურნალის მამინდელმა რედაქტორმა, გრიგოლ აბაშიძემ, გეზი თავიდანვე ახალგაზრდა ლიტერატორებზე აიღო. „დროშაში“ გამოჩნდა პირველად ოტია იოსელიანისა და მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობები. აქ დაიბეჭდა რევას ინანიშვილის ერთ-ერთი პირველი მოთხრობათაგანი, მუსრან მაჭავარიანის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსები. და ვინ უნდა მოეწვია „დროშის“ ლიტერატურული ნაწილის მეურვედ, ახალგაზრდა მწერლების გულშემატყვირად და დამრიგებლად, თუ არა გიორგი შატბერაშვილი. და თითქოს ბატონმა გიორგიმ შეჰფიცა თავის თავს, და ეს იყო გაუტყველი ფიცი, რომ ბოლომდე გაჰყოლოდა თავის მოწაფეებს. როცა ისინი მოღონიერდნენ და ახალდაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ დაიწყეს ბეჭედა, გიორგი შატბერაშვილიც „ცისკარში“ გადავიდა სამუშაოდ და მხარში ამოუდგა მის პირველ რედაქტორს ვახტანგ ჭელიძეს. როცა ისინი დაეაყვაცდნენ და ხშირ-ხშირად დაიწყეს „მნათობის“ კარის შეღება, ბატონმა გიორგიმაც ამ ჟურნალში გაიჩინა სამოღვაწეო ასპარეზი.

რედაქციაში სხვებიც დადიოდნენ ბატონ გიორგისთან: ენათმეცნიერები, ფოლკლორისტები, რაიონული გაზეთების მუშაკები და ლიტერატურის მოყვარულნი, მოჰქონდათ სიტყვები, ამა თუ იმ კუთხის ხალხური გამოთქმები. გიორგი შატბერაშვილი მაშინ თავის საინტერესო „თვალაღურ ლექსიკონზე“ მუშაობდა... საქართველოს ყოველი მხრიდან მოჰქონდათ ძვირფასი ქართული სიტყვები, ვით სახელმწიფო სეიფში ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ძეგლები.

ერთხელ შინ ვესტუმრე. თავის სამუშაო კაბინეტში იჯდა, დანა მოემარჯვებინა და ხის მაგარი, წითელი კორძიდან საფერფლეს თლიდა. უეცრად შე-

ვამჩნევ, რომ ყველგან — მაგიდაზე, სკამზე, ფანჯრის რაფაზე, ხის ლამაზი, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის საფერფლები იყო. ამდენი რად გინდათ, ალბათ უნდა გააჩუქოთ-მეთქი, ვკითხე. „ყველა მჭირდებაო“, მითხრა და გაიღიმა. აი, ეს თუ გამომივიდა, გაჩუქებო. ბატონ გიორგის იმდენ ხანს აღარ უცოცხლია, რომ ყველა საფერფლე „გაეცვიოთ“, უმრავლესი მათგანი თუთუნის ფერფლს არ შეუთთვრებია, მაგრამ იქნებ სხვა რამ იფერფლებოდა იქ, მისი ფიქრები იფერფლებოდა, მისი განუხორციელებელი ნაწარმოებები, დაუთავრებელი მოთხრობები, შორეული წარსულიდან სამუშაო მაგიდაზე მოფრეხილი ფერფლი აბო წამებულისა, და უჩინარი, ჰაეროვანი ფერფლი სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრისა.

ერთხელ ოჯახში ნება დამრთეს ვიორგი შატბერაშვილის არქივში ჩამეხედა. ნაცნობი, შავი მელანი, მისი ნაცნობი ხელწერა... თითქოს ამ წუთში გარბის კალამი ქაღალდზე და ასო ასოს ებმის... უეცრად შეუვსებელ ფურცელზე ცალკე, კუთხეში, თვალი მოვკარი განმარტოებულ სტრიქონს — „ცხენის ზურგი“, და სიხარულისაგან და კიდეც რალაც შეუტენობი განცდისაგან ცრემლი მოწერია...

„მკვდრის მზე“ სასიამოლო ლექსის სისწრაფით გავრცელდა საქართველოში, კითხულობდა ყველა, გადმოსცემდნენ რადიოში, თარგმნიდნენ, დგამდნენ თეატრები. ერთხელ „მკვდრის მზიდან“ დასაფლავების სცენა და მოთხრობაში აღწერილი სასაფლაო გავახსენე ბატონ გიორგის და ვუთხარი, ჩემ სოფელშიც ზუსტად ასეთი სასაფლაოა-მეთქი, ასეთივე აღმართი უძღვის წინ, ძალიან დამრეცი აღმართია და ხალხი „ცხენის ზურგს“ უწოდებს-მეთქი.

— რას უწოდებს? — სწრაფად შემომხედა.

— „ცხენის ზურგს“

— კარგია... — გვერდზე გაიხედა, ერთ წერტილს მიაპყრო თვალები, მე ალბათ მაშინვე დავეიწყდი.

იმ მარტის დღიას გაწუწულები მოვედი რედაქციაში. მაგრამ ორი საათის შემდეგ მზემ გამოიხედა და დაგვცხა კიდეც, საღამოს კი, როცა რედაქციიდან გამოვედი, ქუჩაში თოვლ-ჰყაპი იდგა. ვიორგი გრძელი ნაბიჯებით გაუყვა ფილაქანს. ცას აპყურებდა, გაიღიმა და ნაბიჯი შეანელა, შემომხედა:

— ეს მარტი — წელიწადის სარჩევია, ჩახედავ და გაიგებ ყველა თბილი თუ ცივი ლექსის სათაურს.

მე კი დღეს მაგონდება, როგორ უყვარდა გაზაფხულის მოსვლა ბატონ გიორგის. ის სწორედ გაზაფხულზე წავიდა ჩვენგან, წელიწადის იმ დროს, რომლის მოახლოვებას ყველა ჩვენთაგანზე აღრე გრძნობდა და თუ შემთხვევა მიეცემოდა, ყველაზე პირველი აღდგომილებდა ხოლმე. ალბათ წინაპრის სისხლი იღვიძებდა მის არსებაში, იმ წინაპრებისა, უხსოვარ დროს რომ მუდამ დიდი დღესასწაულით ხვდებოდნენ გაზაფხულის წყალდიდობას, ბუნების აღორძინებისა და თესვის დაწყების ალოს და ვიორგი შატბერაშვილიც გაზაფხულის იმ მშვენიერ დღეს გულში სიცოცხლეგანაბული თესლივით მიაბარა ქართველმა ხალხმა მიწას, რომ მომავალში ახალ მწერლად და ახალ ლიტერატურად აღმოცენდეს.

...ხოლო სახელი მისი კვიას

გიორგი შატერაშვილი სიმწიფის ასაკში მყოფი წავედა ჩვენგან, ახალგაზრდული შემართებითა და სიტყვესთან ბრძოლის სურვილით ანთებული. მისი უკანასკნელი წიგნიც, რომელსაც მან მორიდებული სათაური „ჭაშნიკი“ შეარქვა, ქართული სიტყვის სათავეების კვლევა-ძიების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენდა. მის მეცნიერულ გამოკვლევებსა თუ ისტორიული ხასიათის ნარკვევებს მრავალმხრივ ინტერესებთან ერთად ამშვენებს ის უეჭველი ღირსებები, რაც გიორგი შატერაშვილის მხატვრული შემოქმედების უპირველესი თვისებაა — ეს არის თბრობის შესაშური ოსტატობა. ეს ნარკვევები, თუნდაც იგი ვიწრო სპეციალურ საკითხებსაც კი ეხებოდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილი მეცნიერული მოთხრობებია. მათ ჰყავთ თავისი გმირი, რომელიც ქართული სიტყვის „მჩხრეკელი“ და მოყვარულია. ავტორი მკითხველს აწვდის არა მხოლოდ ძიებით მოპოვებულ შედეგებს, არამედ ოსტატურად მოუთხრობს ძიების გზაზე აღმართულ სხვადასხვა დაბრკოლებათა გამოც. მკითხველიც უნებურად თითქოს ამ კვლევა-ძიების მონაწილე ხდება და სიამოვნებით მიჰყვება ავტორს ძნელად სავალ ბილიკზე.

მშვენიერმა მოთხრობებმა და ხალხურ კილოზე ასმიანებულმა ლექსებმა გიორგი შატერაშვილს იმთავითვე მოუპოვეს კარგი მოქართულის სახელი. ჩვენ სახელოვან მთარგმნელსა და ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონის შემდგენელს, თედო სახოკიას ხშირად უყვარდა იმის თქმა, რომ ახალ მწერალთა შორის პოხიერი ქართულით გიორგი შატერაშვილი გამოირჩევა და ხატოვან თქმათა ლექსიკონშიც რამდენიმე ნიმუში სწორედ მისი მოთხრობებიდან მაქვს ამოღებული.

ამაში მე კიდევ უფრო დავრწმუნდი, როცა გიორგი პირადად გავიცანი. იგი ქართული სიტყვის დიდი დამფასებელი და უბადლო მცოდნე იყო. რაღაც არაჩვეულებრივი ვატაცებით სწავლობდა ჩვენი ხალხის ამ უძვირფასეს საუნჯეს, განსაკუთრებით კი ცოცხალ, სასაუბრო, ხალხურ მეტყველებას აკვირდებოდა, რომლის უნიკალური ნიმუშები მას თავისივე მშობლიურ სოფლებში კავთისხევსა და შუბათში ჰქონდა დადასტურებული. ვრცელი ლექსიკონის შედგენასაც აპირებდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოქვეყნებაც მოასწრო ზემოთნახსენებ მის უკანასკნელ წიგნში...

გიორგი პირადი თვისებებითაც გამორჩეული პიროვნება იყო. წყნარი, თავაზიანი, რაინდული სულის მქონე, მეგობრობის გრძნობით უხვად იყო დაჯილდოებული. ასეთივე სიყვარულით იყო იგი დაკავშირებული მის უმცროს კოლეგებთანაც, რომლებთან არა მარტო პროფესია, არამედ უბერებელი ჭაბუკური ვატაცება აახლოვებდა.

გიორგი შატერაშვილი ჩვენი ახალგაზრდული ქურონალის „ცისკრის“

ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და პირველი თანამშრომელი იყო. გულთ ახარებდა იმ ხანებში სასპარეზოდ გამოსული ახალგაზრდა მწერლების წარმატებები. სანიმუშოდ კმარა მისი მამობრივი მზრუნველობა ისეთი ბრწყინვალე ტალანტის მქონე მწერალზე, როგორც იყო გურამ რჩეულიშვილი, რომლის პირველი მოთხრობების მკითხველი და მრჩეველი სწორედ გიორგი შატბერაშვილი იყო. გურამის უდროოდ დაღუპვის შემდეგ გამოცემულ წიგნსაც ხომ გიორგი შატბერაშვილის დიდი გულისტკივილით დაწერილი პატარა შესავალი მიუძღვის...

მაგრამ ყველაზე სასიხარულო მაინც ის ფაქტი იყო, რომ ეს ახალგაზრდული შემართება, დიდი სიახლის გრძობა მისი შემოქმედებითი სულის თვისება იყო და მძლავრად აღიბეჭდა კიდევ მის უკანასკნელ ქმნილებებში. „ზაფხულის ღამის ქრონიკისა“ და „მკვდრის მზის“ ავტორს თითქმის ახალი სუნთქვა გაეხსნა და კიდევ უფრო მაღალი მწვერვალების წვდომას ლამობდა...

ადამიანისათვის მინიჭებული ისედაც მცირე სიცოცხლის უამის ბოლომდე გასრულება არ დასცალდა, სწორედ შუადღის მზემ უმტყუნა მწერალს და მე შინდა, ეს პატარა მოსაგონარი ერთი ძველი ქართული ნათქვამით დავამთავრო, რომელსაც ხშირად იმეორებდა თვითონ გიორგი: „ხელი მწერლისა ლპების, ხოლო სახელი მისი ჰვიეს საუკუნოდ“.

გიორგი შატბერაშვილის სახელი ქართული სიტყვის ამ დაუფიწყარ მოამაგეტა შორის უნდა ვიგულვოთ.

ზაურ ბოლქვაძე

გიორგი შატბერაშვილს

დღეს სამოცი წლის იქნებოდი... წელი სამოცი,
ო, რაღა შენთვის დაენანა გამჩენს დალოცვილს!

შენ წაგაქცია წუთისოფლის საჯილდაო ქვამ
და არ მიგიშვა სიბერესთან საჭიდაოდა...

...კაცი იყავი, ვით შეჭფერის კაცსა კაცობა...
სიმაღლე შენი გვამაღლებდა და ცას გვაცნობდა.

და სული შენი — სავარსკვლაფოდ ასული ცაში —
სიტყვებს უმატებს „თვალადური ქართულის ჭაშნიკს“,

გვეაღერსება მშობლიური ანკარა შუქით
და გზებს მიიკვრევს საქართველოს პატარა რუკით!

X I უ ბ ი მ თ ი ბ ა ე ე ი

„და ხმა იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო — გიყავ“. გიორგი სხვა კაცი იყო, იგი ჯიუტი მთიბავი გახლდათ, ღვარძლასა და სარეველას დროითა და ღინჯად აშორებდა მისი შემოქმედების მამულს. არც სხვას ეპუებოდა, თავისას მიდიოდა, არ იშლიდა, ხარებს შეაბამდა და აღზევანს გასწევდა.

წაველ და წაველ, არ დავიშალე
წინ გაიშალა გზა სიწმარით,
მიშალეს მაგრამ, არ დავიშალე,
რადგან სიმღერას აკლდა მარილი.

შემდეგ ოქროყანისა და სამადლოს მიწას მისტიროდა, ყვაველების მიწას, უბრალოს კი არა.

აფსუს, ოქროყანისა და სამადლოს მიწით აღარ ფერავენ ყვეთელ სამოვრებსო.

საფლავს რა უნდა ყვაველის მეტიო, მისტიროდა ლექსებს, რომლებმაც გულს სარქველი ვერ ახადეს, ყველაფერი გულთან მიჰქონდა და დადიოდა ასითასი ლხინითა და ტკივილით დატვირთული, ახოვანი, ძარღვებდაბერილი, ხარისქედა, მარცხენა-წარბაწეული, დაბრძენებული, ჯიუტი მთიბავი — გიორგი შატბერაშვილი.

იგი მის თაობას მეგობრობისა და სიყვარულის გამო ეკუთვნოდა, თორემ ისე ახალგაზრდებს ეჯიბრებოდა — რაშიც გინდა; ლექსში, მოთხრობაში, ბიჭობაში. სიმღერებიც კი თავისი ჰქონდა; მზიანი ქართლის გზებს რომ დავუყვებოდით, მთხოვდა ხოლმე, აბა ჩემო ჯანსუღ, ისევ შევუბეროთ — „მივდივარ, მივდივარ, კავთისხევს მივდივარ, დედას გაფიცებ არ ჩამამწარო“. ვმღეროდით, ვარსკვლავების ქვეშ ვმღეროდით და მიწას ასდიოდა თვალადური ქართულის სურნელი.

იგი იშვიათი კაცი გახლდათ, კაცზე ცუდი არ დასცდენია, მისი დევიზი იყო: „ვისაც პატიების უნარი არა აქვს, პატარა კაცია“. გიორგი შატბერაშვილი კადიდი კაცი იყო ამ სიტყვის ქეშმარიტი გაგებით.

გიორგიმ სიკვდილიც ცოტა უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე იგი მობრძანდებოდა და დაეუფლებოდა, — როგორ ფიქრობთ, ესეც ხომ ბრძენი კაცის წინათგრძნობაა?

მე კვლავ მახსენდება მისი შესანიშნავი ლექსი „მამაპაპათა საფლავეზე“, იგი ასე იწყება:

გამარჯვებული მოვდივარ...
პაპებს ჩასძახებო.

გიორგი შატბერაშვილი გამარჯვებული წავიდა, გამარჯვებული ჯიუტი მთიბავი.

სიკეთის ტობი

რად შეირხევა სული, როცა კავთისხევს ახსენებენ, ან ქვათახევს, ან თვალადს? ბგერების რა შეთანხმებაა ასე ჯადოსნური, ასე იდუმალი, ასე ძლევაშილი?.. რად შეირხევა სული, როცა ძველებურ ორსართულიან სადგურთან ივლებს კავთისხევის თეთრი ხიდი და აღმართს შუადგებიან მტკრიანი ავტობუსები?..

რა არის იგი, ამ სტრიქონების ქაღალდზე გადატანას რომ მაიძულებს? სულის იარა, რომელსაც პირი დღემდე არ შეუკრავს, თუ მასთან ერთხელ უეცრად შეწყვეტილი საუბრის განახლების სურვილი? რა არის იგი, რაც ახლა არის? ხსოვნა კაცისა თუ ცოცხალი ადამიანი, რომელიც კარგა ხანია, არ შემხვედრია. ან იქნებ მინდა მივხვდე, სიცოცხლის შემდეგ რა სიცოცხლეა?

იქნებ ის, რაც მესხიერებას შემორჩა, არ არის ნიშანდობლივი და მთავარი და ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რაც დრომ გაცრიცა? ან იქნებ რასაც ნაცარი წააყარა, იმაში მუდამ ღვივის ნაპერწკალი, რომ შევუბერო და გავაჩალო?

საით იღება კარი, აქეთ თუ იქით?

იქნებ არაფრის გახსენება არ არის საჭირო? ოთახიდან მცირე ხნით გასული ისევ მალე შემობრუნდება და მასთან გულახდილ საუბარს აზრი მიეცემა. მე მუდამ დაბნეული და თავდახრილი არ ვმჯდარავარ მის მაგიდასთან. ასე იყო ნხოლოდ თავდაპირველად, როცა ჩემი თვალები კედლებს აწყდებოდა და მზე-რას ოთახიდან გასხლტომა სურდა.

მერე მივეჩვიე მის გამომცდელ შემოხედვას. იგი მუდამ ისე მიყურებდა, რომ ასე მეგონა, რასაც ვეუბნებოდი, თითებით ეხებოდა და რაც ეჭაზნიკებოდა, იმას მაგიდის ერთ მხარეს აწყობდა. მე მივეჩვიე იმის საუბარს და იმის დუმლის.

ვიორგი შატბერაშვილი ორი საათისათვის მოდიოდა რედაქციაში. შემოალებდა კარს. დაჯდომამდე სკამს ხელით მოსინჯავდა, მორყეულს გვერდზე გადადგამდა. სხვას მოიტანდა.

მწვანემაუდგადაფარებულ მაგიდასთან დაჯდებოდა. კართან. პაპიროსს ყვითელ ბამბას გაუკეთებდა. გაღიმებული და გახარებული შესცქეროდა ახალგაზრდა კაცს, თუ ნაწერი მოეწონებოდა. ლაპარაკობდა დაწყებული რომანის თავებზე, დედაზე, ქართულად როცა ვერ ვმართავ წინადადებას, დედაჩემი დამიდგება თვალწინ. აბა, ის ამას როგორ იტყოდაო და მაშინვე მშველისო.

მიხაროდა, თუ ჩემი აზრი აინტერესებდა, მეკითხებოდა, მენდობოდა. მიხაროდა, როცა ზოგჯერ ისე მექცეოდა, თითქოს ჩემი ტოლი იყო, თითქოს ლექსის წერას ახლა იწყებდა, მიგნებული რითმა ისე ჰაბუკივით უხაროდა. მაგრამ მაინც მისი ასაკისა თუ ჩემი მორიდებულობის გამო ბევრჯერ ვერ ვუბედავდი იმის თქმას, რომ არ ვეთანხმებოდი. იგი იყო უაღრესად ფრთხილი და მგრძობიარე. ტყუილ-უბრალოდ არ გაწყენინებდა და დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ უეცრად რაიმე არა სწყენოდა. გულწრფელი და პატიოსანი რწმენას არასოდეს დალატობდა. ჰქონდა მიმზიდველობა და დამაჯერებლობა. ხან მშვიდი, ხან აღელვებული ლაპარაკობდა, კამათობდა... განა შეიძლებოდა არ მოხიბლულიყო ვიორგი შატბერაშვილის მტკიცე ხასიათით ახალგაზრდა კაცი, როცა მისი აღგზნებული გონება მაგალითს ეძებდა...

იგი ქართლელი კაცი იყო. მისი მზერა, მისი სიტყვა, მისი სიღინჯე და დაპირობა ყოველ დღე, ყოველ შეხვედრაზე ჩემი ბავშვობის უწმინდესა და უნაზეს მოგონებებს აღვიძებდა...

ფარდაგებზე ცვიოდა თუთა. გარინდებულ მინდორს აფხიზლებდა მწყერის ქვითქვითი. ორღობეში ყვიადა ფშატი. ქვებზე ხარხართ მირბოდა რიყე და თავმონგრეული კოშკის კედლებზე ქანაობდა ნაცარქათამას გამხმარი ლერო...

ეს სურათი მეორდებოდა მერეც, როცა ის აღარ იყო და მის საწერ მაგიდას ვუჯექი. მე ვეხებოდი ქაღალდებს, მაგრამ სულ არ მგონებია, რომ ამ ქვეყნიდან წასული კაცის ქაღალდებს ვეხებოდი. მერიდებოდა, ასე მეგონა, შემომისწრებდა, შუბლს შეჭმუნხიდა, რომ მის ქაღალდებში ვიქექებოდი და იმას ვკითხულობდი, რაც მხოლოდ მისთვის იყო ჩანიშნული.

ჩემს ხელში თრთოდა დაუმთავრებელი რომანის ფრაგმენტები, ქაღალდის ნაგლეგებზე ჩანიშნული ფიქრი და აღსარება... მას ჰქონდა დაუღალავი შრომისა და სრულქმნის წყურვილი და დიდი მოთმინება. დიდი მოთმინება და გატაცება უნდა ლექსიკონის შედგენასაც და ხელჯოხის გათლასაც. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება გვიან მისულიყო ბოლო წერტილამდე და დიდხანს გაგრძელებულიყო შემოქმედის ლტოლვა. შემოქმედის ლტოლვა ჰორიზონტისაკენ ლტოლვას ჰგავს და განვლილი მანძილი ერთი ნაბიჯითაც არ აახლოვებს ჰორიზონტთან. მხოლოდ სიკვდილს შეუძლია დაუსვას წერტილი მის ლტოლვას...

მან იგრძნო სიკვდილის მოახლოება. ჩქარობდა. სურდა, რაც შეიძლება მეტი გამოეგლიჯა დუმილისათვის. იგი კვდებოდა, როგორც თავგანწირული მღვდელი თევდორე. შემოქმედის ძიებამ უცნობი გზებით ატარა, შეებრძოლა და გზა აურია სიკვდილს და ახლა სიკვდილი სამაგიეროს უხდიდა...

იგი წავიდა, მაგრამ მე დამრჩა, მე მეკუთვნის ჩემი მოგონება, რასაც ვერავის ვერ გავუყოფ და მხოლოდ მე მეკუთვნის. მე მეკუთვნის მოგონების წამი გაქრობამდე უეცრად გაელვებული. მე მეკუთვნის ღიმილი, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნოდა, სიტყვა, რომლის ეჭოც ჩემს სულში მეორდება. იგი დგას ჩამავალი მზის სინათლეში და ისევ მეხება ერთხელ დარწმუნული სიკეთის ტოტი. მე დამრჩა, მე მეკუთვნის ჩემი მოგონება და განა ეს სტრიქონებიც იმ ძვირფასი დღეების გახანგრძლივების ცდა არ არის?



გენისი უილიამსი

მინის სამხეცე

პიესა

არავის, წვიმასაც კი არ აქვს ასეთი წვრილი ხელები.

ე. ე. კამინგს

მოკმედი პირნი:

- ამანდა უინგფილდ — დედა
- ლაურა უინგფილდ — ქალიშვილი
- ტომ უინგფილდ — ვაჟი
- ჯიმ ო'კონორი — სტუმარი
- მოქმედების ადგილი — ქუჩა სანტ-ლუისში
- ნაწილი I — სამზადისი სტუმრის მისაღებად
- ნაწილი II — სტუმარი მოდის
- მოქმედების დრო — ახლა და წარსულში

სურათი პირველი

უინგფილდების ბინა უზარმაზარი სახლის უკანა მხარეს, ეზოსკენ არის მოთავსებული. თვითონ ეს სახლი მრავალუჯრედიან სკასა ჰგავს და დამახასიათებელია დიდი, მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისათვის. ასეთ რაიონებში ღარიბი, საშუალო კლასის ხალხი ცხოვრობს ხოლმე.

ბინა გადაჭყურებს ქუჩას, შემოდინ ე. წ. სახანძრო (სათადარიგო) კიბიდან. თვით სახელწოდებაც კი ამ კიბისა უნებურად სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან ამ უშველებელ შენობებს მართლაც რომ გამუდმებით უკიდია ადამიანური განწირულების ნელი, ჩაუქრობელი ცეცხლი. ეს სახანძრო კიბე და პატარა მოედანი კიბის თავში დეკორაციის ნაწილს წარმოადგენს.

პიესა მოგონებას წარმოადგენს და ამდენად არარეალურია. მოგონებებს ხომ პოეტური თავისუფლება ახასიათებს; ზოგი დეტალი გამორჩება ხოლმე, სამაგიეროდ, სხვა დეტალებია გაზვიადებული, იმ ემოციური განწყობილებისდა მიხედვით, რასაც იმ



წუთში აღძრავს მოგონება. მოგონება ხომ უმთავრესად გულიდან გამოდის. ამიტომაც ინტერიერი პოეტურ ბურჟუაზია ხოლმე გახვეული.

ფარდის ახდისას მაყურებლის თვალწინ აღიმართება ბნელი, პირქუში უკანა კედელი. აქა ცხოვრობენ უინგფილდები. შენობა რამპის პარალელურად არის განლაგებული და ორივე მხარეს პატარა ქუჩა აკრავს — ბნელი, ვიწრო ქუჩები. ქუჩები ღრმად მიდიან, შორს იკარგებიან; სიღრმეში მოჩანს ერთმანეთში გადახლართული თოკები (სარეცხის გასაფენად), სანაგვე ყუთები და ლარტყულებით საცოდავად გადახვრილი ასეთივე სახანძრო კიბეები. მოქმედი პირები სწორედ ამ ქუჩებიდან შემოდის და გადიან. ტომის შესავალი მონოლოგის დასასრულს ბნელი, პირქუში კედელი, ტრანსპარანტის საშუალებით თანდათანობით ქრება და უინგფილდების ბინის ინტერიერი ჩნდება პირველ სართულზე. მაყურებელი ხედავს საერთო ოთახს, რომელიც ამავე დროს ლაურას საწოლ ოთახსაც წარმოადგენს. საგარძელს გადასნის ხოლმე და იმაზე იძინებს. სცენის სიღრმეში, შუაში — სასადილო ოთახი, რომელიც დიდი თალით (ან მეორე პროსცენიუმით) არის გამოყოფილი; ფარდები — გამჭვირვალე, გამოსუნებული. ძველებურ ეტაჟერზე, საერთო ოთახში, ბლომად მინის სათამაშო მხეცებია დალაგებული. აქვე, კედელზე, თალის მარცხნივ მამის დიდი სურათი ჰკიდია — მაყურებელს შესცქერის. სანდომიანი ახალგაზრდა კაცი ჩანს. პირველი მსოფლიო ომის ქვეითი პოლკის ჯარისკაცის ქუდი ხურავს. მომხიბლავად იღიმება, თითქოს ამბობს — სულ ასე გაღიმებული ვიქნებიო.

პირველი სურათი სასადილო ოთახში მიმდინარეობს. მაყურებელი მას ხედავს და ისმენს შენობის გამჭვირვალე მეოთხე კედლისა და თალიდან ჩამოშვებულ გაზის პორტიერებს იქიდან. სწორედ ამ პირველი სურათის დროს მეოთხე კედელი ნელ-ნელა ქრება. და მხოლოდ პიესის დასასრულს, ტომის ბოლო მონოლოგის დროს დაეშვება.

მთხრობელი — პირობითად არის გათვალისწინებული პიესაში. ყოველგვარი თავისუფლება აქვს მინიჭებული, რასაც კი საჭიროდ მიიჩნევს.

ტომი მარცხენა ქუჩიდან შემოდის, სავაჭრო გემის მეზღვაურის ფორმა აცვია. მძიმედ ამოივლის კიბეს, და ავანსცენაზე გამოვა. შეჩერდება, სიგარეტს მოუკიდებს. მიმართავს მაყურებელს.

ტომი. დიახ, ნამდვილად. ჯიბე და სახელოები ფოკუსებით მაქვს გამოტენილი. მაგრამ ცირკის ჯამბაზი არ გეგონოთ — პირიქით. ცირკის ჯამბაზი სიმართლის სამოსელში გახვეულ ილუზიას გთავაზობს. მე კი ჭეშმარიტება უნდა გადმოგიშალოთ, ილუზიის საამურ საბურველში გახვეული. დავიწყეთ იმითი, რომ დროს უკან გადავწევ. ოცდაათიან წლებში უნდა გადავიყვანოთ, იმ უცნაურ ხანაში, როცა ამერიკის უზარმაზარი საშუალო კლასი უსინათლოთა სკოლაში მიიბარეს. მართლა თვალემა უღალატეს, თუ თვითონ დაჰკარგეს საკუთარი თვალების რწმენა, ამას ვერ გეტყვით. ეს კია, რომ თითს გაფაცვიცხვით აყოლებდნენ ბრემბის დაჩვრეტით ანბანს, რაც ეკონომიკის დაქვეითების გრაფიკს გამოხატავდა. ესპანეთში რევოლუციამ იფეთქა, ჩვენში მხოლოდდა ღრიალი და არეულობა! ესპანეთში გერნიკა გიზგიზებდა. ჩვენში მუშათა მღელვარება, ზოგჯერ გამძაფრებელიც, ისეთ ქალაქებშიაც კი, როგორცაა ჩიკაგო, კლივლენდი, სანტ-ლუისი... პიესის ფონიც ეს გახლავთ. (მუსიკა).

ეს პიესა მოგონებებს წარმოადგენს და ამდენად თხელი ბურჟუა აკრავს, სენტიმენტალურია, სიმართლეს არა ჰკავს. მოგონებებში თითქოს ყველაფერს მუსიკა გასდევს. ამიტომაც გესმით კულისებიდან ვიოლინოს ხმა. მე მთხრობელი ვარ პიესაში... და მოქმედი პირიც. მოქმედი პირები არიან აგრეთვე დედაჩემი ამანდა, ჩემი და ლაურა და ერთი სტუმარი, რომელიც ბოლო სურათებში გამოჩნდება. ეს ყველაზე უფრო რეალისტური ხასიათია მთელ პიესაში, რადგან რეალური სამყაროდან მოდის, ჩვენ კი რადიკალიზირად დაშორებული ვართ რეალურ სამყაროს. პოეტებისა არ იყოს, მეც სიმბოლოებზე ვარ დახარბებული და ამიტომ ეს ხასიათიც სიმბოლური გამოიყვანა, ისეთი

რადაციის სიმბოლო, რასაც მთელი ჩვენი დღე და მოსწრება გულგადაღებული ველოდებოთ, რისთვისაც ვსულდგმულობთ, მაგრამ რასაც ვერასოდეს ვერ ვედირებთ. მეხუთე პერსონაჟი სულაც არ გამოჩნდება სცენაზე — იგი ბუხრის ზემოდან დაგვექერის, ეგერ, იმ უშველებელი სურათიდან. მამაჩემი გახლავთ, დიდი ხნის წინათ წავიდა შინიდან. ტელეფონისტი იყო და დიდი სივრცეები უყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს მიატოვა სატელეფონო კომპანია და ქალაქიდან გაიქცა... უკანასკნელად მაზატლანიდან მივიღეთ მისი ბარათი, მექსიკის ერთ-ერთი ნავსადგურიდან. და სულ ორი სიტყვა: „გამარჯობათ... მშვიდობით“. მისამართი არ ეწერა. დანარჩენს, იმედი მაქვს პიესიდან გაიგებთ... (პორტიერს მიღმა ამანდას ხმა. ეკრანზე წარწერა „Où sont les neiges“!... ტომი პორტიერს გადასწევს და სცენის სიღრმეში შვევა. ამანდა და ლაურა გასაშლელ მაგიდას უსხედან. ჭამენ, ოღონდ ამას ჩვენ უესტებთა ვგრძნობთ — არც საჭმელია მაგიდაზე და არც ჭურჭლეული. ამანდა პირით მაცურებლისკენ არის, ტომი და ლაურა პროფილში სხედან.)

ინტერიერი მკრთალი შუქით განათდება. ამანდა და ლაურა იქვე სხედან, მაგიდასთან. ტომი არა სჩანს.)

ამანდა. (ეძახის). ტომ!

ტომი. აქა ვარ, დედა.

ამანდა. ლოცვა ვეღარ წარმოგიტევათ, მანამ არ მოხვალ.

ტომი. მოვიდვარ, დედა. (ოდნავ დახრის თავს და გადის. მალე ისევ გამოჩნდება, თავის ადგილს დაიჭერს მაგიდასთან.)

ამანდა. (თავის ვაჟს). თითებთ ნუ დაძვრები თეფშებზე, გენაცვალე. გადაღება თუ გინდა, პურის ქერქით გადაიღე და დაღეჭე, კარგად დაღეჭე! ცხოველებს საგანგებო უჯრედი აქვთ კუჭში, იქ ჩასდით საჭმელი და მერე იცოხნიან. რასაც უნდა, მოინელეპენ. ადამიანმა ჯერ კარგად უნდა დაღეჭოს და მერე გადაყლაპოს. წყნარად უნდა ჭამო, შვილო, გემო უნდა ჩაატანო. კარგად შეკმაზულ კერძს ათასნაირი არომატი აქვს, ლუკმა უნდა გააჩერო პირში, გემო და არომატი შეიგრძნო. დაღეჭე, დააცადე, სანერწყვე ჯირყვლებმა სითხე გამოჰყონ.

ტომი. (მშვიდად დასდებს მოჩვენებით ჩანგალს და სკამს უკან გასწევს). შენმა გაუთავებელმა დარიგებებმა მაღაც დამიკარგა და პირის გემოც. წყნარად რაღა შემაჭმევს, ქორივით მიბრიალებ თვალებს, ერთი ხელის განძრევა არ გამოგეპარება! ლუკმა ვერ ამიღია, შენ არ დაინახო! რაღა მაღა უნდა მქონდეს, ან რომელ პირის გემოზე ლაპარაკობ, სულ იმას ვცდილობ, მალე მოვრჩე და გავიქცე-მეთქი... მომკლა ამდენმა „სანერწყვე ჯირყვლებმა“... „ცოხნამ“... და რა ვიცი!

ამანდა. (წყნარად). შეხედე, როგორ გამიცხარდა! ასე გეგონება, მეტროპოლიტენ-ოპერის ვარსკვლავი მყავდეს! (ტომი წამოდგება, ავანსცენაზე გამოვა). ჯერ ერთი, სუფრიდან ადგომის ნება ვინ მოგცა?!

ტომი. სიგარეტი უნდა ავიღო.

ამანდა. ძალიან ბევრსა სწევ.

ლაურა. (წამოდგება). ტკბილეულს მოვიტან.

(მომდევნო დიალოგის დროს ტომი პორტიერთან დგას და სიგარეტსა სწევს.)

ამანდა. (წამოდგება). შენ არა, დაიკო, შენ არა... დღეს ქალბატონი იყავი, მოახლე ზანგი მე ვიქნები.

ლაურა. ავდექი უკვე.

ამანდა. დაჯექი, დაჯექი, დაიკო... მინდა, დასვენებული სახე გქონდეს... ყმაწვილი კაცები რომ გვესტუმრებიან, ლამაზი გამოჩნდე!

ლაურა. მე სტუმრებს არ ველოდები.

1 „ო, სად არის თოვლი“ (ვიიონის ბალადიდან).

ამანდა. (პაწაწინა სამზარეულოსკენ მიდის. უზრუნველი ტონით). ხდება ხოლმე, როცა არ ელოდები, სწორედ მაშინ მოვლენ! ერთხელ ბლუ მაუნტეინში ვიყავით, მახსოვს, კვირა დღე იყო, საღამო ხანი...

ტომი. ზეპირად ვიცი, რასაც იტყვის.

ლაურა. დაცადე, თქვას.

ტომი. მერამდენედ?

ლაურა. უყვარს ამ ამბის მოყოლა.

ამანდა. (მობრუნდება, დესერტის ვაზა მოაქვს. ჰოდა, ბლუ მაუნტეინში რომ ვიყავით, ერთ მშვენიერ კვირა საღამოს, ერთბაშად ჩვიდმეტი ყმაწვილი კაცი ესტუმრა დედათქვენს!.. რა ბრძანებაა — ზოგჯერ სკამებიც კი აღარ გვეყოფინდა. ხელად ვაფრენდით ხოლმე ზანგს მრევლის საბჭოში და იქიდან მოგვექონდა დასაკეცი სკამები.

ტომი. (ისევ პორტიერთან დვას). რით იტყვევდი ხოლმე იმ შენს კეთილშობილ სტუმრებს?

ამანდა. ფიქრი ნუ გაქვს, დარბაისლური ლაპარაკის ხელოვნება კარგად მქონდა შეთვისებული.

ტომი. ლაპარაკში, იცოცხლე, კარგად იქნებოდი დახელოვნებული.

ამანდა. აბა რა გგონია, ჩვენს დროში გოგონებს მშვენივრად შეეძლოთ საუბრის გაბმა.

ტომი. მართლა?

(ეკრანზე: ამანდა ახალგაზრდობაში; სტუმრებს ეგებება).

ამანდა. თავიანთი სტუმრების შექცევაც კარგად იცოდნენ. ჩვენს დროში მართლამაზის სახე და კოხტა ტანი კი არ იყო საკმარისი — თუმცა ჩემთვის ღმერთს არც ერთი-დაუკლია და არც მეორე... ჭკვიანიც უნდა ყოფილიყავი, ენამახვილი.

ტომი. მაინც, რაზე ლაპარაკობდით?

ამანდა. დიდ-დიდ საკითხებზე, რაც კი იმ დროს ქვეყნად ხდებოდა. არავითარი სიტლანქე და ვულგარობა, არც ყოველდღიური წვრილმანები, (ტომს მიმართავს, თითქოს იქვე ეჯდეს, მავიდასთან, თუმცა სკამი თავისუფალია და ტომი ძველებურადვე პორტიერთან დვას. ისე მიჰყავს მას ეს სურათი, თითქოს წიგნი ეჭიროს ხელში და ფურცლავდეს). სტუმრებაც სულ რჩეული ხალხი მომდიოდა, კეთილშობილები... უკლებლივ! პლანტატორები, პლანტატორების შვილები... ეს მისისიპის დელტის პლანტატორიო, ეს ისაო... (ტომი ნიშანს მისცემს და კულისებში მუსიკა დაუკრავს. შუქი ამანდას ეცემა — თვალები უელავს, სახეზე წამოენთება, ხმა უფრო გულში ჩამწვდომი და სვედიანი გაუხდება. ეკრანზე წარწერა აინთება: „Où sont les neiges“...)

ერთი ახალგაზრდა კაცი იყო, ჩემპ ლაფლინი, მერე დელტის პლანტატორთა ბანკის ვიცეპრეზიდენტი გახდა... ჰედლი სტივენსონი იყო ერთი, ბოლოს მთვარის ტბაში დაიხრჩო, ასორმოცდაათი ათასი დაუტოვა თავის ქვრივს. ახლა კარტირები!... ძმები იყვნენ — უესლი და ბეიტსი. სწორედ ეგ ბეიტსი კარგავდა ჭკუას ჩემზე! ბოლოს ერთ დამთხვეულ ბიჭს წაენიშნა, უეინრაიტს. მთვარის ტბაზე ჰქონდათ დუელი, კაზინოში. მუცელში მოხვდა ბეიტსს ტყვია და მაშინვე მემფისში გააქანეს, მაგრამ ვეღარ მიიღწია, სასწრაფოს მანქანაშივე მოკვდა. მის ქვრივსაც დიდი, სიმდიდრე დარჩა — მთელი რვა თუ ათი ათასი აკრი მიწა... ესუმრები!... ძალათი შევარტვევინა იმ ქალმა თავი... განა ბეიტსს უყვარდა! ის კი არადა, როცა მოკვდა, ჯიბეში ჩემი სურათი უპოვნეს! ახლა ის გრინ-კაუნტელი ბიჭი — ფიცპიუ — კალმით იყო პირდაპირ დახატული, მთელი დელტის გოგონები იმაზე კარგავდნენ ჭკუას!

ტომი. იმან რადა დაუტოვა თავის ქვრივს?

ამანდა. ცოლი არც შეურთავს! ღმერთო დიდებულო, შენ რომ გკითხოს კაცმა, ყველა ჩემი თაყვანისმცემელი საიქიოში გამგზავრებულა!

ტომი. შენი ლაპარაკიდან ასე გამოდის — ერთადერთი ეს კაცი არ მომკვ-
დარა.

ამან და. ეს ფიცკიუ ჩრდილოეთში გაემგზავრა და დიდი ქონების პატრონი
გახდა — უოლ სტრიტის მგელი შეარქვეს მერე. მიდასივით იყო — რასაც კი შეახებ-
და ხელს, ოქროდ იქცეოდა ხოლმე!.. ეჰ, რომ მომენდომებია, მისის დუნკან ფიცკიუ
ვიქნებოდი ახლა!.. მაგრამ მამაშენი ვარჩიე..

ლაურა. (წამოდგება). დედა, ავალაგებ სუფრას.

ამან და. არა, გენაცვალე, შენ წადი და საბეჭდ მანქანაზე ივარჯიშე, ან სტე-
ნოგრამაში გაიწაფე ხელი. ოღონდ ნუ დაიღლები. ხალისიანი იყავი, ლამაზი!.. ისეთი
დროა, რომ სწორედ ახლა უნდა დაიწყო სტუმრებმა დენა (სამზარეულოსკენ წაცუნ-
დრუკდება, პატარა გოგოსავით). შენ როგორ გგონია, დღეს ბევრი სტუმარი მოგვივა?
(ტომი გაზეთს დააგდებს და ამოიოხრებს, შესტება).

ლაურა. (სასადილო ოთახში ახლა მხოლოდ ის არის). არა მგონია, ვინმე მო-
ვიდეს.

ამან და. (სამზარეულოდან გამოვა. პათეტურად). რაო? არა მგონიაო? არაო?
შენ ალბათ ხუმრობ!

(ლაურა ნერვიული სიცილით გამოეხმაურება. მერე ისეთი ნაბიჯით გასწევს პორ-
ტიერისაკენ, თითქოს მიიპარებაო, გაძვრება ნახევრად გადაწეულ ფარდებში და ნაზად
გადმოსწევს ფარდებს. სინათლე ეცემა და გახუნებული ფარდის ფონზე ლაურას სახე
გამოიკვეთება. ოდნავ გასაგონად ისმის მუსიკა „მინის სამხეცის“ თემაზე). არა მგო-
ნიაო?! რა მოხდა? გრიგალი დატრიალდა? წყალი მოვარდა და ყველაფერი წალკა?

ლაურა. არც წყალი მოვარდნილა და არც გრიგალი დატრიალებულა, დედა,
რა ვუყო — შენ ყველას მოსწონდი ბლიუ-მაუნტინში, მე არავის მოვწონვარ... (ტომი
კიდევ ამოიოხრებს. ლაურა დარცხვენილი ღიმილით, თითქოს მოზოდიშებით შეხედავს
მას. ხმა აუთრთოლდება). დედას ეშინია, შინ არ შემოვაბერდეს.

(სცენა თანდათან ბნელდება, კვლავ ისმის მუსიკა: „მინის სამხეცე“).

სურათი მეორე

(„ლაურა, ნუთუ შენს დღეში არავინ მოგწონებია?“ უცებ ეს წარწერა გაიელ-
ვებს ეკრანზე, იგი შემკულია ცისფერი ვარდებით. სცენა ამ დროს ჩაბნელებულია. თან-
დათანობით ლაურას ფიგურა გამოიკვეთება და ამასთან ერთად ეკრანი ქრება. მუსიკა
წყდება).

ლაურა პალმის ხის კოსტა სკამზე ზის, პატარა მაგიდას მისჯდომია, რომელსაც
თათისებური ფეხები აქვს. იისფერი თხელი კიმონო აცვია, თმა შუბლიდან გადაუწვია
და ბაფთით აქვს შეკრული. წინ მინის ფიგურების კოლექცია უწყვია — რეცხავს და
ამშრალებს.

სახანძრო კიბეზე ამანდა გამოჩნდება. ფეხის ხმას რომ გაიგონებს, ლაურა სუნ-
თქვას შეიკრავს, მინის ფიგურებიან ჯამს გვერდზე გადასდებს და საბეჭდი მანქანის
კლავიატურის სქემას მიაშტერდება კედელზე, მონუსხულივით შეპყურებს. ამანდას,
ეტყობა, რაღაც მოუვიდა — სახეზე აწერია ეს: ქუში, უმწეო და ერთგვარი სულელური
გამომეტყველება აქვს. ხავერდის იაფფასიანი, მსუბუქი პალტო აცვია, ხელოვნური ბეჭ-
ვის საყელო უკეთია. დაძველებული ქუდი ახურავს, ხუთი-ექვსი წლისა — რაღაც სა-
ფრთხობელა ქუდია, ზარის მოყვანილობისა, ამისთანა ქუდებს ოციან წლებში იხურავ-
დნენ; ხელში უშველებელი რვეული უჭირავს, რომელსაც შავი ტყავის ყდა და ნიკელის
საკეტები აქვს, ზედ ინიციალებია ამოტვიფრული. ეს არის მისი საგარეო მორთულობა,
მუდამ ასე გამოწყობილი დადის ხოლმე „ამერიკის რევოლუციის ქალიშვილებთან“. მა-

ნამ შემოვიდოდეს, ჯერ კარებში შემოიხედავს. ტურებს მოპრუწავს, თვლებს დააჭყტნ და მალლა აღაპყრობს, თავს ვადააკანტურებს. მერე მძიმედ შემოდის კარებში. დედის გამომეტყველებას რომ დაინახავს, ლაურა დაფეთებული მიიტანს ხელს ტურებთან).

ლაურა. გამარჯობა, დედა. სწორედ ახლა... (სქემაზე მიუთითებს ნერვიულად).

ამანდა. (მისურულ კარებს მიეყრდნობა და წამებული ადამიანის თვლებს მიაპყრობს ლაურას). ტყუილები! სულ ტყუილები! (დინჯად წაიძრობს ხელთათმანებს, ქუდს მოიხდის, კვლავ ის გაწამებული გამომეტყველება აქვს. ცოტა არ იყოს, თეატრალური მანერით დააგდებს იატაკზე ქუდსა და ხელთათმანებს).

ლაურა. (ყოყმანით). როგორ ჩაიარა კრებამ? (ამანდა ნელა გახსნის ხელჩანთას. ქათქათა ცხვირსახოცს ამოიღებს, კოხტად დააქნევს, გაშლის და ასევე კოხტად მიიღებს ტურებსა და ნესტოებზე). რვეილუციის ქალიშვილების კრებაზე არ იყავი, დედა?

ამანდა. (მიკნავებული ხმით, ძლივს გასაგონად). არა... არ ვყოფილვარ.

(ცოტათი აუწევს ხმას). ძალა არ მეყო... კრებაზე წასასვლელად. ის კი არადა, ვაჟკაცობა არ მეყო! მერჩივნა, მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავვარდნილიყავი! (ნელა მივა კედელთან და საბეჭდი მანქანის სქემას ჩამოხსნის; ხელში უჭირავს სქემას, ნაღვლიანად დახედავს, მერე ტურებს მოიკვნენს და შუაზე გაფხრეწს სქემას).

ლაურა. (წყნარად). რათა შვრები მაგას, დედა? (ამანდა ახლა გრევის ალფაბეტს გახვევს იმგვარადვე). რატომ...

ამანდა. რატომ? რატომ? რამდენი წლისა ხარ, ლაურა?

ლაურა. რად მიკითხები, შენც ხომ იცი, დედა.

ამანდა. მე შენ უკვე სრულწლოვანი მეგონე, ეტყობა შევცდი. (ნელი ნაბიჯით მივა სავარძელთან, ჩაჯდება და ლაურას ჩააშტერდება სახეში).

ლაურა. ასე ნუ ჩამაშტერდი, რა დედა!

ამანდა. (თვლებს დახუჭავს და თავს ჩაღუნავს. დიდი პაუზა). რა უნდა ვქნათ! რა გვეშველება! რა მოგვეღის?! (ისეთივე დიდი პაუზა — ათის დათვლამდე).

ლაურა. მოხდა რამე, დედა?

(ამანდა მწარედ ამოიგმინებს და კვლავ ცხვირსახოცს ამოიღებს, თვლებზე მიიღებს).

მოხდა რამე, დედა?

ამანდა. არაფერია, ახლავე გამივილის. თავბრუ დამესხა... (პაუზა — ხუთის დათვლამდე)... სიცოცხლეს...

ლაურა. დედა, მითხარი, რა მოხდა!

ამანდა. შენც ხომ იცი, რომ დღეს „ქალიშვილების“ ორგანიზაციაში უნდა დამეწყო მუშაობა.

(ვერანზე: მემანქანე ქალების მოფუსფუსე გუნდი).

გზად რუბიკემის სავაჭრო კოლეჯში შევიარე, შენი მასწავლებლები მინდოდა მენახა, გაცეხებულია-მეთქი, გამეფრთხილებინა, თან, როგორ სწავლობს, იმასაც გავიგებ-მეთქი, ვფიქრობდი.

ლაურა. ოჰ...

ამანდა. ბეჭდვის მასწავლებელი ვნახე და გავეცანი — უინფილდის დედა ვარ-მეთქი. ვერ მოგიგონა. უინფილდისო?... ამისთანა სტუდენტი არა გყავასო, მითხრა. აღარ მოვეშვი, არ შეიძლება არ გახსოვდეთ, იანვრიდან მოკიდებული, ერთი დღეც არ გაუცდენია-მეთქი. „ერთი პატარა გოგო გყავდა, საშინლად მორცხვი და მობუზული, ნეტა იმ გოგოს ხომ არ ამბობთო, რამდენიმე გაკვეთილის მერე თვალით აღარ გვინახავსო“. „აჰ, არა-მეთქი, მე ვუთხარი, ჩემს ლაურას, აგერ ექვსი კვირა თავდება, ერთი დღეც არ გაუცდენია-მეთქი!“ „ერთი წუთით მადროვეთ“, მითხრა და ჟურნალი გადმოიღო. გადაშალა, შენი სახელი და გვარი მაჩვენა, შეუმცდარად დაწერილი. მოჰყოლიან და ჩაუწიკწიკებიათ „არები“, მანამ არ გადაწყვიტეს, სულ გაანება სკოლას თა-

ვიო. „რალაც შეცდომა უნდა იყოს-მეთქი“, ველარ მოვისვენე, „შეცდომით, სხვისი გაცდენილი დღეები ამისთვის მიუწერიათ-მეთქი“. „რასა ბრძანებთო“, მითხრა, „ასე უკვე ყველაფერი გამახსენდაო. ისე უკანკალებდა ხელები, რომ თითს საჭირო კლავიშზე ვერასოდეს ვერ ახვედრებდაო. ხოლო როცა პირველი სიჩქარის გაკვეთილი ჩავატარე, სულ მოიშალაო, გული ავრია და სააბაზანოში გასაყვანი გაგვიხდაო! მას შემდეგ აღარც გამოჩნდილაო. რამდენჯერ ვცადეთ შინ დარეკვა, მაგრამ კაციშვილმა არ გვიპასუხაო“... იმ დღეებში ხომ სწორედ „ფემუსთან და ბართან“ ვმუშაობდი, იმ ოხრობას... ო, დმერთო ჩემო! ისე მომისაუთდა ერთბაშად, რომ ფეხზე ველარ გაგჩერდი, იქვე ჩავიკეცე, წყალი მომირბენინეს და ცოტა მომასულიერეს!... ორმოცდაათი დოლარი სწავლის ფული, ჩვენი დაწყობილი გეგმები, ჩემი ოცნება და იმედი — რამე საქმეს მოვიკიდებამეთქი, ერთბაშად დაიშრება... დაიშრება, როგორც გინახავს! (ლაურა ამოიხვნეშებს და უხერხულად წამოდგება. გრამოფონთან მივა და დაქოქავს).

რას აკეთებ?

ლაურა. ეჰ! (გრამოფონის ტარს ხელს გაუშვებს და თავის ადგილზე დაბრუნდება).

ამანდა. მითხარი მინც, სად დადიოდი, მე რომ კოლეჯში მეგონე?

ლაურა. დავსეირნობდი.

ამანდა. ტყუილია!

ლაურა. მართალს გეუბნები. დავსეირნობდი.

ამანდა. დასეირნობდი? როგორ თუ დასეირნობდი? ზამთარში, ქალო, იმ თხელი პალტოთი? ფილტვების ანთება გინდოდა აგეკადე?! სად დასეირნობდი?

ლაურა. ყველგან, საცა მომიხვდებოდა. უმეტესად პარკში.

ამანდა. სურდო რომ შეგეყარა, მაშინაც?

ლაურა. რა მექნა — ორი უბედურებიდან ერთი ავირჩიე, დედა, უფრო ნაკლები უბედურება.

(გერანზე — პარკი, ზამთრის პეიზაჟი).

კოლეჯში რაღა დამაბრუნებდა... პირდაპირ იტაკზე... წამაღებინა!

ამანდა. მაშ, პარკში დაყიალობდი მთელი დღეები, დილის რვის ნახევრიდან ხუთამდე?! ჩემთვის გინდოდა აგეგვია თვალები, თითქოს რუბიკემის სავატრო კოლეჯში დადიოდი?!

ლაურა. არც ისეთი საშინელება ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. ზოგჯერ შენობებშიაც შევიდოდი ხოლმე გასათობად.

ამანდა. რა შენობებში?

ლაურა. ხან ხელოვნების მუზეუმში, ხან ზოოპარკში — ფრინველების განყოფილებაში. პინგვინებს მუდამ დღე მოვინახულებდი ხოლმე! ზოგჯერ საუზმეს დავთმობდი და კინოში შევიდოდი. ბოლოს „მარგალიტში“ მოუხშირე სიარულს — აი, დიდი მინის სახლი რომ არის, ტროპიკული ყვავილები რომ გამოჰყავთ...

ამანდა. თვალის ასახვევად აკეთებდი ამას ყველაფერს? ჩემს მოსატყუებლად?

(ლაურა თავს ჩაქინდრავს)

რატომ მერე?

ლაურა. დედა, შენ რომ რამეზე გული დაგწყდება, ისეთი ტანჯული სახე გაგიხდება, მაცხოვრის დედას რომ აქვს სურათზე, მუზეუმში.

ამანდა. გაჩუმდი?

ლაურა. და ველარ გითხარი.

(პაუზა. ვიოლინოს ოდნავ გასაგონი ხმა)

(გერანზე წარწერა: „სამოწყალო ლუკმა“)

ამანდა. (უმწოდ, სასოწარკვეთილებით ატრიალებს ხელში უშველებულ რვე-

ულს). რა ვქნათ აბა, რა გააკეთოთ? შინ გამოვჯდეთ და ფანჯრიდან ვუყუროთ სამხედრო პარადს? მინის სამხვეითი შევიქცითოთ თავი, ჩემო ძვირფასო? ეს გაცვეთილი ფირფიტები ვუკრათ გაუთავებლად, მამაშენმა რომ დავგიტოვა თავისი თავის მწარე მოსაგონებლად?... ყოველგვარ საქმეზე უარი ვთქვათ... საქმე რა საკადრისია — ნერვიულობა იცის, კუჭს აგვიშლის! (უხალისოდ და უსიცოცხლოდ გაიცინებს) რაღა დავგრჩენია — მთელი ჩვენი სიცოცხლე სხვისი ხელში შემეყურე უნდა ვიყოთ! ეგ ხომ მაინც ვიცი, რა მოელის გაუთხოვარ ქალს, რომელიც თავის დროზე არ იზრუნებს, სამსახურისთვის მოემზადოს. რამდენი ამისთანა გაუბედურებული ქალი მინახავს სამხრეთში — გატანჯული შინაბერები. სამოწყალოდ თუ მიუგდებს ლუკმა პურს სიძე ან რძალი!.. შევადგებენ სადმე სათაგურისხელა ოთახში და ნუგეშად ისღა დარჩენიათ. ზოგჯერ ერთმანეთს თუ მოინახულებენ, ერთნაირად გაუბედურებული ნათესავეები... ჩიტვით უმწეო ქალები — საკუთარი ბუდე არ გააჩნიათ და მთელი თავიანთი დღე და მოსწრება სამოწყალოდ ვადაგდებული ლუკმა უნდა ჭამონ! ნუთუ ჩვენც ასეთი მომავალი გავიმზადდეთ?! ეს გზაღა დავგრჩენია, გეფიცები, სხვა გამოსავალს მე ვერა ვხედავ! ვერაფერი შვილი გზაა, არა? ზოგს გაუმართლებს, რაღა თქმა უნდა, გათხოვდებიან, (ლაურა ნერვიულად იმტვრევს თითებს). ნუთუ შენს დღეში არავინ მოგწონებია?

ლ ა უ რ ა. მომწონდა. ერთი ბიჭი მომწონდა (წამოდგება).

აქ იყო სადღაც მისი სურათი.

ა მ ა ნ დ ა. (დაინტერესდება). სურათი გისახსოვრა?

ლ ა უ რ ა. არა, ყოველწლიურ კრებულში იყო.

ა მ ა ნ დ ა. (იმედი გაუცრუდება). აჰ... საშუალო სკოლა დამთავრებულია? (ვერანზე ჯიმი გამოჩნდება, როგორც სკოლის გმირს, ხელში ვერცხლის თასი უჭირავს).

ლ ა უ რ ა. ჰო... ჯიმი ერქვა (მაგიდიდან დიდ ყოველწლიურ კრებულს აიღებს).

აქ არის, „პენსანის მეგობრებში“.

ა მ ა ნ დ ა. რაო?

ლ ა უ რ ა. ოპერეტა იყო ასეთი. უფროსკლასელებმა დადგეს. დიდებული ხმა ჰქონდა... ჩემს მეზობლად იჯდა კლასში... ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. აგერ ვერცხლის თასი უჭირავს, დისკუსიაში გამარჯვების ნიშანი! ნახე, როგორ იცინის!

ა მ ა ნ დ ა. (უგულისყუროდ). მხიარული ბიჭი ჩანს.

ლ ა უ რ ა. ცისფერ ვარდს მეძახდა ხოლმე. (ვერანზე — ცისფერი ვარდები).

ა მ ა ნ დ ა. უცნაური სახელია! საიდან მოიგონა?

ლ ა უ რ ა. გახსოვს, მიოკარდის ინფარქტი რომ მქონდა... სკოლაში რომ დავბრუნდი, რა მოგივიდაო მკითხა. მიოკარდი მქონდა მეოქი. იმას ვარდი მოეყურა, და მას შემდეგ სულ ცისფერ ვარდს მეძახდა ხოლმე.¹ დამინახავდა თუ არა, მაშინვე მომძახებდა: „ცისფერ ვარდს გაუმარჯოს!“ ერთი გოგო მოსწონდა, ემილი მეიზენაახი... მე სულ არ მომდიოდა თვალში... მთელს სოლდანში ყველაზე კარგად ის გოგო იცვამდა. უჭკუო გოგო იყო... დაინიშნენო, ქრონიკაში წავიკითხე. თუმცა, ეს ექვსი წლის წინათ იყო. აქამდე დაქორწინდებოდნენ.

ა მ ა ნ დ ა. დაკვირვებული ვარ — საქმეს და კარიერას, რომ ვერ გაჰყვება ქალი, ის საბოლოოდ კარგ ბედს ეწევა ხოლმე (წამოდგება, აგზნებულია). ასე რომ, შენც კარგ ბედს ეწევი, ჩემო დაიკო!

¹ დედანში სიტყვის თამაშია: pleurisy — პლევრიტის ნიშნავს, იმ ყმაწვილს კი ფონეტიკური მსგავსებით blue rose — ცისფერი ვარდი მოეყურა. და ამიტომაც შეარქვა „ცისფერი ვარდი“. ქართულად ზუსტად თარგმნა არ მოხერხდა. ამიტომ ვამჯობინე „მიოკარდი“ და ფონეტიკურად მისი მსგავსი „ვარდი“. (მთარგმნელის შენიშვნა).



ლაურა. (დაეჭვებით, ნერვიულად გაიცინებს და მაშინვე მინის პატარა მხეცად გადაწვდება). მე ხომ...

ამანდა. ჰა? (ქმრის სურათს მიუახლოვდება).

ლაურა. (შიშით თითქოს თავს იმართლებს). მე ხომ... ხეიბარი ვარ, დედა!

ამანდა. ნუ სულელობ! ლაურა, რამდენჯერ უნდა გითხრა, ეს სიტყვა აღარ გაიმეორე, აღარ წამოგცდეს. სადაური ხეიბარი შენა ხარ, პატარა დეფექტი გაქვს, საგანგებოდ თუ არ დაგაკვირდა კაცი, ვერც კი შეამჩნევს. ამისთანა პატარა ნაკლი როცა აქვს ხალხს, ცდილობენ სხვა რამეთი შეივსონ... მომხიბვლელობა! მეტი არაფერი არა გჭირდება შენ (ისევ სურათს მიუბრუნდება). ეჰ, რა გამოუღვევლი მომხიბვლელობა ჰქონდა მამაშენს!

(ტომი ნიშანს აძლევს, ვიოლინო დაუკრან. მუსიკა. სცენა თანდათანობით ბნელდება).

სურათი მესამე

(წარწერა ეკრანზე: „მარცხის შემდეგ...“... ტომი სახანძრო კიბის თავში დგას).

ტომი. რუბიკემის სავაჭრო კოლეჯში განცდილი მარცხის შემდეგ დედაჩემს ახალი აზრი გაუჩნდა — ვინმე ყმაწვილი კაცი გამოსჩენოდა ლაურას. აეკვიტა ეს აზრი და ვეღარ იშორებდა. ჩვენს პატარა ბინაში ახალგაზრდა კაცის გაურკვეველმა გამოსახულებამ დაისადგურა.

(ეკრანზე — ახალგაზრდა კაცი კარებთან, ხელში ყვავილები უჭირავს). იშვიათად მასსოვს ისეთი საღამო ჩვენს სახლში, რომ ამ გამოსახულებაზე, ამ მოჩვენებაზე, ამ იმედზე არ თქმულიყოს რამე... კიდევ რომ არ ეხსენებინოთ, მისი იქ ყოფნა მაინც მუდამ იგრძნობოდა დედის შეწუხებულ სახეზე, ჩემი დის აწურულ მიხვრა-მოხვრაში, თითქოს რაღაც დაუშავებია და ინანიებსო; როგორც მძიმე სასჯელი, ისე ეკიდა ეს უინგფილდების თავზე! დედაჩემს ტყუილებრალთ ლაპარაკი არ უყვარდა — რაკი ამისთანა რამე ამოიჭრა გულში, საქმეც არ დააყოვნა. იცოდა, რომ ბუდის მოწყობას, ბარტყის შებუმბლვას დამატებითი ფული დასჭირდებოდა — ამიტომ მთელი იმ ზამთრის მიწურული და გაზაფხულის პირველი ნახევარი ენერგიულ კამპანიას აწარმოებდა ტელეფონით: ჟურნალ „დიასახლისის თანამგზავრის“ ხელისმომწერელთა გამოჭერას შეუდგა. ეს გახლავთ დარბაისელი მანდილოსნების ჟურნალი, რომელშიაც ლიტერატორი, ქალების სუბლიმაციური ხასიათის წერილები იბეჭდება. ამ ქალებს სულ ასეთი გამოთქმებით აკერიათ ხოლმე პირზე: კოსტა, ფინჯნებივით ამობურცული მკერდი; წვრილი, სახთელავით ჩამოქნილი წელი; ფაფუკი, ფუნჩულა თეძოები; შემოდგომის კოცონივით მოელვარე თვალები; ნაზი, მუსიკასავით ალერსიანი თითები; ეტრუსკულ ქანდაკებასავით ჩამოსხმული სხეული.

(ეკრანზე — ჟურნალის პრიალა გარეკანი).

(შემოდის ამანდა, ხელში გრძელ ზონარზე გამობმული ტელეფონის აპარატი უჭირავს. სცენა ჩაბნელებულია, მხოლოდ ამანდას ანათებს პროჟექტორი).

ამანდა. იღა სკოტი ხარ? ამანდა უინგფილდი გელაპარაკება. ყველას თვალში გვაკლდი გასულ ორშაბათს „ქალიშვილების“ კრებაზე. ალბათ ის ოხერი მარგული აწუხებს-მეთქი, მე ვიფიქრე! რას გიმერება ეგ მარგული? რას მეუბნები? ღმერთმა მოთმინება ნუ გამოგვიღობს! წამებული ხარ, ნამდვილი წამებული!.. ჰო, მართლა, აგერ შემთხვევით შევნიშნე, რომ „თანამგზავრის“ გამოწერის ვადა გაგდის!.. ჰო, ჩემო კარგო, მორიგ ნომერა ვეღარ მიიღებ... არა და, სწორედ ახლა დაიწყება გაგრძელებებით ბესი ჰოპერის შესანიშნავი რომანის ბეჭდვა... რასა ბრძანებ, გენაცვალე, მაგისი გამოტოვება როგორ იქნება! არ გახსოვს მაინც, „ქართი წაღებულებზე“ რა ამბავი იყო, როგორ და-



აცხრა ხალხი! შინიდან არ გამოგესვლებოდა, წაკითხული რომ არ გქონოდა. ყველა სკარლექტ ო' ჰარა ევერა პირზე. ამ წიგნსაც „ქართი წაღებულებს“ ადარებენ კრიტიკოსები. ერთი სიტყვით, ესეც „ქართი წაღებულებია“, ოღონდ ომის შემდეგ დროინდელი თაობა! რაო? დაიწვაო?... აჰ, მიდი, მიხედვე, გენაცვალე, მე ტელეფონთან დაგიცდი... ღმერთო ჩემო, მგონი დამიკიდა მილი!

(სცენა ბნელდება).

(ვერანზე წარწერა: „ხომ არ გგონია „კონტინენტალურ ფესხსაცმელზე“ ვკარგავდე ჭკუას?!“ სიბნელეში ტომი და ამანდა რალაცაზე ჩხუბობენ. მათ წინ ლაურა დგას, ხელებს იმტვრევს, სახეზე შემოფოთება აღბეჭდვია. მთელი ამ სცენის განმავლობაში სინათლის შუქი მას ეცემა).

ტომი. მე რა ვიცი, სად ჯანდაბიდან უნდა ვიციოდე...

ამანდა. ნუ იგინები!..

ტომი. აბა რა ვქნა?

ამანდა. წესიერად ილაპარაკე! როგორ, ჩემთან...

ტომი. ო-ოჰ!

ამანდა. ...ჩემს გასაგონად! ხომ არ გაგიჟდი?

ტომი. შენ ვის არ გააგიჟებ!

ამანდა. რა მოგივიდა მაინც, რა ამბავში ხარ, შე იდიოტო!

ტომი. რატომ არ გესმის, რომ ცხოვრებაში არაფერი, აღარაფერი მე არ...

ამანდა. ხმას დაუწიე, თუ შეიძლებოდას.

ტომი. აღარაფერი არ შემომჩრა საკუთარი. ყველაფერი...

ამანდა. ნუ ღრიალებ!

ტომი. გუშინ წიგნები გააქანა!.. ნეტა, რა გულმა მოგცა...

ამანდა. დიას, ავიღე და ის ბინძური რომანი ბიბლიოთეკას დაგუბრუნე. იმ შენი ჭკუნადრძობი ლოურენსის წიგნს სახლში არ გავაჩერებ! (ტომი გიჟივით იცინის). სამწუხაროდ, ყველა გიჟსა და ჭკუნადრძობს მე ვერ ავუკრძალავ წერას, მაგისი ძალა არა მაქვს (ტომი კიდევ უფრო ნერვიულად იცინის). მაგრამ ეს იცოდე, რომ ჩემს საკუთარ სახლში მაგისთანა ბინძურ წიგნებს აღარ გავაჭაჭანებ! არა და არა! ერთხელ და საბოლოოდ გაიფონე!

ტომი. სახლი! სახლი!.. ვინ იხდის ამ სახლის ქირას?!.. ვინ არის მონასავით თავწახრილი, რომ...

ამანდა. (იკივლებს). როგორ ბედავ!..

ტომი. ასეა, ხმის ამოღებასაც არ მანებებენ! მარტო იმისთვის ვარ გაჩენილი, რომ...

ამანდა. იცი, რა უნდა გითხრა...

ტომი. აღარაფრის მოსმენა არა მსურს! (ხელს გაიქნევს და ფარდას გადასწევს. სცენის სიღრმე მოწითალო, ბუნდოვანი შუქით არის განათებული. ამანდას თმაზე ლითონის პაპილოტები აქვს, აცვია ძველისძველი. მისი ჩამომხმარი სხეულისათვის მეტი-მეტად ფაშფაშა ხალათი: ერთადერთი ნივთი, რაც მოლალატე ქმრისგან შემორჩენია. გასაშლელ მაგიდაზე — საბეჭდი მანქანა და უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ხელნაწერები. ჩხუბი, ეტყობა, იმით დაიწყო, რომ ამანდამ ხელი შეუშალა ტომს შემოქმედებით მუშაობაში. იატაკზე აყირავებული სკამი გდია. ჭერზე წითელი შუქია მინათებული და ჩრდილებად ეცემა დედაშვილის ხელების მძაფრი მოძრაობა).

ამანდა. არა, მომისმენ!.. შენ...

ტომი. არ მოგისმენ. მე მივდივარ!

ამანდა. არსადაც არ წახვალ!

ტომი. წავალ, წავალ! იმიტომ, რომ...

ამან და. ტომ უინგფილდ, ახლავე შემობრუნდი! მე ჯერ არ დამიმთავრებია შენთან ლაპარაკი.

ტომი. წადი, ერთი...

ლაურა. (განწირულებით). ტომ!..

ამან და. უკმეს ლაპარაკს თავი გაანებე და მომისმინე... თორემ მოთმინება აღარ მეყოფა!

ტომი. (მობრუნდება და დედას მიუახლოვდება). მე კი რკინის ნერვები მაქვს. მეც აღარ მეყოფა მოთმინება, დედა! ვიცი, ყველაფერი ვიცი, შენ სულაც არ გაინტერესებს, მე რას ვაკეთებ... რის გაკეთებას ვფიქრობ მომავალში... ეს ერთი და იგივე ხომ არ გგონია?! შენ სულაც არ...

ამან და. მე ის გგონია, რომ შენ საკუთარი თავის შემარცხვენელ საქმეს აკეთებ. იმიტომაც გახდი ასეთი უხეში. რაღაც არა მჯერა, რომ ყოველ ღამე კინოში დდიოდე. სად გაგონილა ამდენი კინოში სიარული. რომელი ჭკუათამყოფელი დადის ყოველ ღამე კინოში?! ორ კვირაში ერთხელ რომ წაივდეს კაცი, ისიც კი მეტია. მერე რომელი კინო თავდება დამის ორ საათზე? მოდიხარ ბარბაცით, რაღაცას მთვარეულივით ბუტბუტებ შენთვის! სამ საათს წაიძინებ და გათენდება კიდეც, სამსახურში მიდიხარ. წარმომიდგენია, როგორი იქნება შენი მუშაობა — მოლასლასებული, მოლაცლაცებული... რა ძალა უნდა შეგრჩეს.

ტომი. (გაცოფებით). მართალი ხარ, მართლაც აღარა მაქვს ძალა!

ამან და. მერე ვინ მოგცა მაგისი უფლება, ასე აგდებულად რომ გვიდები სამუშაოს, საალაბედოდ ისდი საქმეს! რაღას გვიპირებ? რაღამ გვაცხოვროს, ასე თუ...

ტომი. ერთი მეც მომისმინე. შენ როგორ ფიქრობ — მაღაზიაში მუშაობა ძალიან გულით მინდა?! — (გაცოფებით გადაიზნეიქება ჩამომხმარი დედისკენ). მართლა ხომ არ გგონია, „კონტინენტალურ ფებსაცმელზე“ ვკარგავდე ჭკუას?! მართლა ხომ არ გგონია, ძალიან მეხალისებოდეს მთელი 55 წელიწადი იმ სელოტექსის დარბაზებში გავატარო!.. ზოგჯერ ისე მომინდება ხოლმე, აიღოს ვინმემ რკინის კეტი და თავში ჩამცხოს. ყოველ ცისმარე მაღაზიაში თრევას ეს მიჩრევნია! მაინც დავეთრევი! შემოდისხარ ყოველ დილით და სულ იმ ოხერ სიტყვებს დამჩხავი: „აბა, ადექი, შუბლი გახსენი!“ „ადექი, შუბლი გახსენი!“ გუნებაში ვიტყვი ხოლმე — „რა ბედნიერები არიან მკვდრები!“ მაინც წამოვდგები... და მივდივარ! ყოველთვიური სამოცდახუთი დოლარის გამო ყველაფერზე უარი ვთქვი, რაც გულით მეწადა, რაზედაც ბავშვობიდანვე მიოცნებია. შენ კი მაინც დაგიუინია: „თავკერძა ხარ“, „საკუთარი თავის მეტი არავინ გახსოვს!“.. რატომ არ გესმის — მართლა რომ თავკერძა ვიყო, იცი, ახლა სად ვიქნებოდი?! იქ ვიქნებოდი, საცა ის კაცია (მამის პორტრეტისკენ გაიშვერს ხელს). ჯანდაბაში! (გვერდზე ჩაუვლის. ამანდა ხელს წაავლებს). ხელი გამიშვი, დედა!

ამან და. სად მიდიხარ?

ტომი. კინოში.

ამან და. ტყუი, ვერ დაგჯერებ.

ტომი. (მრისხანედ დაიძრება მოკუნტული დედისაკენ. ამანდა ხელის ცეცებით იხევს უკან). ვტყუი, პო. გარყენილების ბუნაგში მივდივარ, საცა ოპიუმსა სწევენ, საცა მხოლოდ გაფუჭებული და ბოროტმოქმედი ხალხი იყრის თავს. ჰოგანის ბანდაში ჩავეწერე, დაქირავებული მკვლელი გახდი, დედა! ვიოლინოს ფუტლიარით დავატარებ ავტომატს! ქალაქგარეთ რამდენიმე საროსკიპო სახლი მაქვს გახსნილი! მკვლელს მეძახიან ნოჭარი ვარ, ღამით — უფსკრულის მრისხანე მეფე! კაზინოებსაც ხშირად ვესტუმრები ხოლმე, მთელს საცხოვრებელს საალაბედოდ ვხდი! ცალი თვალი შავი ნაჭტუმრები ხოლმე, მთელს საცხოვრებელს საალაბედოდ ვხდი! ცალი თვალი შავი ნაჭტურითა მაქვს ახვეული, უღვაშებსაც ვიწებებ, ზოგჯერ მწვანე ქილვამებსაც ვიკეთებ! მაშინ ეშმაკს მეძახიან. ო, ისეთი რამები შემიძლია გითხრა, ძილი აღარ გაგეკარება!

ჩემს მტრებს გადაუწყვეტიათ, ერთიანად ააფეთქონ აქაურობა. მოვლენ ერთ მშვენიერ ღამეს და ბახ—ცაში აგვაფრენენ. ო, რა კარგი იქნება, რა ბედნიერი ვიქნები! შენც, განა! სულ მალა და მალა წახვალ, გადააჯდები შენს ცოცხს და ჰერი, ბლუ მაუნტინს გადაეგლები იმ შენი ჩვიდმეტი თაყვანისმცემლიანად. შენ, ჰო, შენ... მახინჯო... ენაჭარტალა კუდიანო!... (გამწარებული ვხეთქება აქეთ-იქით, პალტოს დასტაცებს ხელს, კარს მივარდება და გახეთქავს. თავზარდაცემული და გაოგნებული ქალები შიშით შეპყურებენ. ტომი პალტოს ჩაცმას ცდილობს, მაგრამ სახელოში ხელის გაყრა ვერ მოუხერხებია. ერთი წუთით თითქოს შებოროკა უშველებელმა პალტომ, მერე გამწარებული გმინვა აღმოხდება, პალტოს მოივლეჯს, მხარი ჩამოურღვევა, და ოთახში მოიქნევს, პალტო თაროს მოხვდება, რომელზედაც ლაურას მინის სათამაშოები აწყვია. მსხვერვის ხმა გაისმის. ლაურა იკივლებს. თითქოს მისთვის დაერტყას ვინმეს. მუსიკა. ევრანზე წარწერა: „მინის სამხეცე“).

ლ ა უ რ ა. (კვილით). ჩემი მინის... სამხეცე! (სახეზე ხელებს მიიფარებს და შებრუნდება).

(ამანდაზე კი ისე იმოქმედა სიტყვებმა „მახინჯო კუდიანო“, რომ კვლავ გაოგნებულია, ვერც კი ამჩნევს ირგვლივ რა მოხდა. ბოლოს გონს მოეგება).

ა მ ა ნ დ ა. (განწირული ხმით). მანამ პატიებას არა მოსოვ, ხმასაც არ გაგცემ! (მეორე ოთახში გადის, ფარდას შეკრავს, ოღონდ არც კი მობრუნდება: ხელებს უკან გამოიშვერს და ისე. ოთახში ტომი და ლაურა დარჩებიან. ღონეგამოლეული ლაურა ბუხრის თაროს ჩამოჰკიდებია, თავს მოაბრუნებს. ტომი ერთხანს გამოლენჩებულევით შეპყურებს, მერე თაროსთან მივა. მუსღებზე დაეცემა და ჩამოცვენილი სათამაშოების აკრეფავს დაიწყებს, თან ლაურას შეპყურებს, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

სცენა თანდათან ბნელდება და ასევე ნელა იწყება მელოდია — „მინის სამხეცე“).

სურათი მეოთხე

(უინგვილდების ბინაში ბნელა, ქუჩა მკრთალად არის განათებული. მოქმედების დაწყებისას მახლობელი ეკლესიიდან ზარის გუგუნე მოისმის — ხუთი საათია.

ქუჩის ბოლოში ტომი გამოჩნდება, ზარის ყოველ დაბუბუნებაზე, რასაც საზეიმო იერი დაჰკრავს, ტომი პატარა სათამაშო საჩხარუნას შეათამაშებს ხელში, თითქოს ამით ადამიანის ბუნების არარაობას გამოხატავდეს, ყოვლისშემძლის შეკავებული ძალისა და ღირსების წინაშე. ამაზეც ეტყობა, რომ მთვრალია, თუმცა ისედაც ბარბაცით მოდის. რამდენიმე საფეხურს რომ ამოივლის კიბეზე, ბინაში მკრთალი სინათლე აინთება. შემოდის ლაურა, საღამური პერანგი აცვია, შენიშნავს, რომ წინა ოთახში ტომის საწოლი ცარიელია. ტომი ჯიბე მოიჩრჩევს, ოთახის გასაღებს ეძებს. ათასნაირ ხარბხურას ამოყრის ჯიბიდან, მათ შორის ბლუჯად კინოს ძველ ბილეთებსა და ცარიელ ბოთლებსაც. ბოლოს, როგორც იქნა, გასაღებს მიაგნო, მაგრამ ის არის ქუჭრუტანას უნდა. მოარგოს, რომ თითებში გაუცურდება. ასანთს გაჰკრავს და კართან დაიხრება, ეძებს).

ტომი. (დანანებით). ძლივს მრვაგენი და არ გამივარდა!
(ლაურა კარს გააღებს)

ლ ა უ რ ა. მანდ რას აკეთებ, ტომ?

ტომი. გასაღებს ვეძებ.

ლ ა უ რ ა. სად დაიკარგე?

ტომი. კინოში ვიყავი.

ლ ა უ რ ა. ამდენ ხანს კინოში?!

ტომი. უსაშველოდ დიდი პროგრამა იყო. ჯერ გარბო გვაჩვენეს, მერე მიკი-

მაუსი, კიდევ რაღაც ფილმი მოგზაურობაზე, ბოლოს — ქრონიკა და ახალი ფილმების მიმოხილვა. საორღანო კონცერტიც გამართეს და იქვე რძის ფულის შეგროვებას მოაწყვნენ უმუშევრებისათვის. სულ ბოლოს ერთი ზორზოსა დედაკაცი დაეტაკა მებლიეთებს და მაგარი ჩხუბი გაიმართა.

ლაურა. (გულუბრყვილოდ). შენ კი იჯექი მთელი ღამე და ამეებს უყურებდი? ტომი. მამა! ჰო, კინაღამ დამავიწყდა. საესტრადო კონცერტიც გამართეს. იცი, ვინ მონაწილეობდა? ჯადოქარი მალვოლიო! საოცარი ფოკუსები გვაჩვენა. აიღებდა სურით წყალს და მეორე სურაში გადაასხამდა, ჯერ ღვინოდ გადაიქცეოდა ეს წყალი, მერე — ლუღად, მერე ვისკოდ. ნამდვილი ვისკი იყო, მე თვითონ გავსინჯე. დამხმარე დასჭირდა ფოკუსის დროს და აუდიტორიას სთხოვა, ვინმე ამოვიდესო. ორჯერ ავედი! ნამდვილი ბურბონული ვისკი იყო. რა ბიჭია! რა ხელგაშლილი — სუენინრებიც დაარიგა. (შარვლის უკანა ჯიბიდან ცისარტყელასავით აჭრელებულ ცხვირსასოცს ამოიღებს). ეს მაჩუქა. უბრალო კი არ არის, ჯადოსნურია. აჰა, გამომართვი. დაბერტყავ იადონის გალიაზე და უცებ ოქროს თევზად იქცევა ის შენი იადონი. კიდევ დაბერტყავ და ოქროს თევზის აკვარიუმიდან უცებ იადონები ამოფრინდებიან... მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება კუბოს ფოკუსი იყო. ჩაწვა კუბოში, ჩვენ ხუფი დავახურეთ და მაგრად დავეჭედეთ. ისე გამოძვრა, ერთი ლურსმანიც არ განძრეულა. (უკვე შემოსულია ოთახში). ეჰ, მაგისტანა ფოკუსი მე მომიხდებოდა, ჩემი კუბოდან გამოვფერებოდი. (საწოლზე დაებერტყება და ფეხსაცმელების გახდას იწყებს).

ლაურა. ჩუმად, ტომ!
ტომი. რა ამბავია?

ლაურა. დედას გააღვიძებ.

ტომი. არა უშავს. თვითონაც მიხვდება, როგორია — „გაიღვიძე! შუბლი გახსენი!“ (დაწვება, კვნესის). იცი რა, ლაურა — დიდი ჭკუა და განათლება არ სჭირდება დაჭედულ კუბოში ჩაწოლას. ეშმაკმა დალახვროს, როდესმე გაგიგონია — დაჭედული კუბოდან ამოძვრეს კაცი, ლურსმნის ამოუძრობლად?

(თითქოს ამის პასუხად, მომღიმარე მამის სურათს კედელზე სინათლე მიადგება).

(სცენა ბნელდება. მაშინვე ეკლესიის ზარი ექვს ჩამოჰკრავს. მეექვსე ჩამოკვრავს ამანდას ოთახში მალვიძარა საათი აწკრიალდება და რამდენიმე წამის შემდეგ იქიდანვე მოისმის: „ადექი, შუბლი გახსენი! ადექი, შუბლი გახსენი! ლაურა, გადი ერთი შენს ძმასთან და ადგეს, უთხარი შუბლი გახსნას!“)

ტომი. (ზანტად წამოჯდება). ადგომით კი ავდგები, მაგრამ გაღიმებისა რა მოგახსენოთ.

(სინათლე სულ უფრო და უფრო ძლიერდება).

ამანდა. ლაურა, შენს ძმას უთხარი, ყავა მზად არის-თქო. (ლაურა ფეხაკრეფით შემოდის წინა ოთახში).

ლაურა. ტომ, საცაა შეიდი გახდება. ნუ ანერვიულებ დედას. (ტომი გამოლენჩებულნი თვალებით შესცქერის დას. ლაურა მუდარით მიმართავს). ტომ, გამოვლავარაკე დედას ამ დილით, ბოდიში მოუხადე, უთხარი რამე.

ტომი. თვითონვე არ უნდა ჩემთან ლაპარაკი. თავს მარიდებს.
ლაურა. შენ ბოდიში მოუხადე და ნახე, თუ არ გამოვლავარაკოს.

ტომი. რა დიდი ტრაგედია ვგ არის, თუ არ გამოვლავარაკება!

ლაურა. ტომ, გენაცვალე!

ამანდა. (სამზარეულოდან). ლაურა, მოიტან თუ არა, რაც დაგავალე?... თუ მე თვითონ ავდგე და ჩავიცვა?

ლაურა. ახლავე, ახლავე, დედა, პალტოს გადაიცვამ (თავზე რაღაც უფორმო თეჭის შლიაპას დაიხურავს ნერვიულად, ტომს გადახედავს მუდარით. მერე უხერხული

მოდრობით მივარდება პალტოს. სახელოები მოკლე აქვს, ზედვე ეტყობა, ამანდას ნახ-
მარი პალტო გადაუკეთებიათ) კარაქი და კიდევ რაო?

ამანდა. (სამზარეულოდან გამოვა). მეტი არაფერი. უთხარი, დავთარში ჩა-
წერონ.

ლაურა. ისე დაიჭყანებიან ხოლმე, დედა.

ამანდა. დიდი ამბავი, მისტერ გერფინკელი თუ დაიჭყანა. შენს ძმას უთხარი.
ყავა გაუცივდება.

ლაურა. (უკვე კართან არის). ხომ შემისრულებ, ტომ. თხოვნას, პა, ხომ გამო-
ელაპარაკები?

(ტომი ქუშად მოაბრუნებს თავს).

ამანდა. ლაურა, თუ მიდიხარ, წადი ბარემ, თორემ სულ აღარ იქნება საჭირო.

ლაურა. (გეგარდება). მივდივარ... მივდივარ. (ერთი წამიც და კიბიდან მისი
შეკვივლება მოისმის. ტომი წამოხტება და კართან მიიჭრება. დაფეთებული ამანდაც შე-
მოვარდება. ტომი კარს გამოაღებს).

ტომი. ლაურა!

ლაურა. არაფერია. ფეხი დამიცურდა, არაფერი არ მტკენია.

ამანდა. (შეშოთებით გაპყურებს). ერთი არ მინდა, ვინმემ ფეხი მოიტეხოს
ამ კიბეზე, სულს ამოეხდი სახლის პატრონს! (კარს მოიკეტავს. უცებ გაახსენდება, რომ
შვილთან უბრად არის და მამინვე მეორე ოთახში შებრუნდება).

(როცა ტომი მოშვებულად შევა ყავის დასალევად, ამანდა ზურგს შეაქცევს და ქუ-
შად მიაშტერდება ფანჯარას, საიდანაც რუხად ჩამუქებული ცის ნავლეჯი მოჩანს.
მისი ინფანტილური სახე, თუმცა უკვე სიბერის კვალი აზის, დომიეს კარიკატურის
ფრაგმენტს მოგაგონებს).

მუსიკა: „ავე მარია“.

ტომი, ცოტა არ იყოს დაბნეულად, მაგრამ ამავე დროს ქუშად შეპყრებს დედას
და მაგიდასთან სკამზე დაებერტყება. ყავა ცხელი გამოდგება: ტომი მოსვამს და უკანვე
გადმოაფურთხებს ფინჯანში. ამანდას, შეილის ასეთ მოქმედებაზე, ლამის სუნთქვა შე-
ეკრას, ერთი პირობა მოხედვას დააპირებს, მაგრამ ისევ ფანჯრისკენ მიტრიალდება.
ტომი ყავას უბერავს, თან ცერად გაპყრებს დედას. ამანდა ხმას ჩაიწმენდს. ტომიც
ჩაახველებს. ადგომას დააპირებს, მაგრამ ისევ დაეშვება სკამზე. თავს მოიფხანს, კვლავ
ჩაახველებს. ამანდაც ჩაახველებს. ტომი ორივე ხელით აიღებს ფინჯანს, რათა სული
შეუბეროს, პირთან მიიტანს და თვალი დედისკენ გაუშტერდება. მერე ფინჯანს მაგიდაზე
დადგამს დინჯად და ყოყმანით, გაუბედავად წამოდგება).

ტომი. (ჩახრინწული ხმით). დედა. მა... მაპატიე. დედა. (ამანდა წამოისლუკუ-
ნებს, სახე დაემანჭება და ბავშვივით ტირილი წასკდება). მაპატიე, რაღაც რომ გი-
თხარი. ყველაფერი მაპატიე, განა გულით მინდოდა, უნებურად მომივიდა...

ამანდა. (სლუკუნით). ოჯახს გადაეყვი და იმიტომ გაგზდი კუდიანი. საკუთარ
შვილებსაც იმიტომ შეეძულდი.

ტომი. ნუ, დედა, ნუღარ...

ამანდა. მოსვენება დავკარგე, ძილი აღარ მეკარება.

ტომი. (ნაზად). ვიცი, დედა.

ამანდა. აგერ რამდენი ხანია, მარტოდმარტო ვიბრძვი და ვიღწვი. ჩემი ერ-
თადერთი საყრდენი შენა ხარ, ნუ გამომეცლები, ნუ დამანგრევე!

ტომი. (ნაზად). ყოველნაირად ვცდილობ, დედა.

ამანდა. (მგზნებარედ). შენ ოღონდ სცადე და ყველაფერს მიაღწევ. (იმის
წარმოდგენაზე, რომ ყველაფერს მიაღწევენ, ამანდას სუნთქვა შეეკრის). რა ბრძანე-
ბაა... იმისთანა ნიჭის პატრონი ხარ... რა შვილები მყავს... რა განსხვავებული

შვილები! შენ რა გგონია, ვერ ვგრძნობ ამას? ამით მომაქვს თავი! ამით ვარ ბედნიერი...
ღმერთო, შენ გმადლობ.. ოღონდ ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე, შვილო.

ტომი. რასა მთხოვ, დედა?

ამანდა. ნუ გამაწვილებ... ლოთობას ნუ დაიწყებ.

ტომი. (დედისკენ მიტრიალდება, უღიმის). არასოდეს არ გავლოთლები,
დედა.

ამანდა. სულ მაგისი შიში მქონდა, სმა არ დაიწყოს-მეთქი. შეჭამე რამე,
შვილო.

ტომი. აგერ, ყავას დავლევ, დედა.

ამანდა. იქნებ ნამცხვარი გეჭამა.

ტომი. არა, დედა. ყავას დავლევ.

ამანდა. ცარიელი კუჭით მთელი დღე მუშაობა სად გგონილა. ათი წუთი
კიდევ გაქვს, დამშვიდებით დალიე, ასე ფაცხაფუცხით ნუ ყლაპავ! ცხელმა სასმელმა
კუჭის კიბო იცის... ნაღები ჩაისხი.

ტომი. არ მინდა, გმადლობ.

ამანდა. გააგრილებს მაინც ყავას.

ტომი. არა, არ მინდა. შავი ყავა მირჩევნია.

ამანდა. ვიცი, მაგრამ, ცარიელი ყავა არ ვარგა. როგორმე ჯანის სიმრთელე
უნდა შევინარჩუნოთ და მაშინ ყველაფერს მიაღწევს კაცი. ამისთანა მძიმე ღროში,
ერთმანეთს თუ არ მივხედეთ, არაფერი გამოგვივა... იმიტომაც ვცდილობ ხოლმე...
მოიხედე, ტომ, შენი და განგებ გავგზავნე ახლა, მინდა ცალკე მოგელაპარაკო. პირ-
ველი შენ რომ არ დაგეწყოს, მე თვითონ გამოგელაპარაკებოდი (დაჯდება).

ტომი. (ნაზად). რაზე უნდა მელაპარაკო, დედა?

ამანდა. ლაურაზე.

(ტომი ნელა დადებს ფინჯანს).

(ეკრანზე წარწერა: „ლაურა“).

(მუსიკა: „მინის სამხეცე“).

ტომი. ო... ლაურაზე?

ამანდა. (ხელში ჩააგლებს ხელს). ლაურას ამბავი შენც კარგად იცი...
წყნარად არის, არაფერს ამბობს... მაგრამ აბა ერთი გულში ჩახედე! ყველაფერს ხე-
დავს და მე მგონი... მაგრადაც განიცდის. (ტომი ახედავს). ამ ერთი კვირის წინ შე-
მოვედი და ვხედავ, ტირის.

ტომი. რა მოუვიდა?

ამანდა. შენ გამო ტიროდა.

ტომი. ჩემ გამო?

ამანდა. ეჩვენება, რომ აქ ბედნიერად ვერ გრძნობ თავს.

ტომი. საიდან მოიგონა?

ამანდა. ასეა. შენ თვითონ იქცევი რაღაც უცნაურად... განა რამეს გეუბნები...
არა, უნდა მიმიხედე. ვიცი, რომ მაღაზია შენი საქმე არ არის, გული არ ვიდგება...
შენც... მსხვერპლს იღებ სხვებივით... მთელი ქვეყანა ასე არ არის?! ცხოვრება ადვილი
საქმე როდია, ტომ... სპარტანულ მოთმინებას მოითხოვს, შვილო. ნეტა ჩემს გულში
ჩაგახედა, რა მძიმე ლოდი მაწევს, მაგრამ არაფერს გეუბნები... ჯერ შენთვის არც კი
მითქვამს, მაგრამ გაგიჟებით მიყვარდა მამაშენი...

ტომი. (ნაზად). ვიცი, დედა.

ამანდა. ახლა, შენ რომ გიყურებ... შენც იმის გზას რომ დაადექი!... გვიან მოდი-
ხარ... იმ ღამესაც, ხომ გახსოვს, რა დღეში იყავი... წახვედი და დალიე... ლაურა
ამბობს, სახლი შეჯაგრდა, გული არ უდგება და ღამიანობით იმიტომ დადისო. მართლა
ასეა, ტომ?



ტომი. არა. შენ ამბობ, გულზე მძიმე ლოდი მაწევს და ვერაფერს ვამბობთ, მეც ასე მომდის, დედა. იცი, როგორ დამძიმებული მაქვს გული და შენთვის კი მითქვამს!.. ამიტომაც უნდა ვცეთ პატივი ერთმანეთს...

ამანდა. ჰო, მაგრამ... ტომ... გენაცვალე... ასე მოუსვენარი რომ გახდი!.. რამ აგაწრიალა?... სად დადიხარ ღამლამობით!

ტომი. აკი... კინოში.

ამანდა. ყოველ ღამე კინოში რა გინდა, ტომ?

ტომი. აბა ისე მომწყინდა... სამსახურში ვერაფერს ვხედავ, ჩამკვდარია ყველაფერი... კინოში მაინც გავერთობი.

ამანდა. მუდამ დღე?

ტომი. მიყვარს რომანტიკა, გართობა.

(ამანდას წყენა და იმედის გაცრეუბა დაეტყობა. ამის შემდეგ დიალოგი ჩვეული გაღიზიანებით წარიმართება და ტომიც ძველებურადვე უკემეხი ხდება, მოთმინება აღარა ჰყოფნის. ამანდაც თანდათანობით სიანჩხლესა და დაუნდობლობას იჩენს შვილის მიმართ).

(ეკრანზე: ხომალდი და ზედ მეკობრეების ალაში — შავ ფონზე გადაჯვარედი-ნებული ძვლებისა და თავის ქალას გამოსახულებით).

ამანდა. ახალგაზრდების უმრავლესობა სამსახურებრივ კარიერაში პოულობს რომანტიკას.

ტომი. ახალგაზრდების უმრავლესობა მაღაზიაში არც მუშაობს.

ამანდა. ზოგი მაღაზიაში მუშაობს, ზოგი კანტორაში, ზოგი ქარხანაში — ასეა მთელი ახალგაზრდობა.

ტომი. მერე ყველა სამსახურებრივ კარიერაში პოულობს რომანტიკას?

ამანდა. ჰო, პოულობენ... ან არადა ურომანტიკოდ ძვლებენ! ყველა როდი კარგავს ჭკუას რომანტიკაზე.

ტომი. ადამიანს თანდაყოლილი ინსტინქტი აქვს სიყვარულისა, ნადირობისა, ბრძოლისა... მაღაზიაში რა გასაქანი უნდა ჰქონდეს ამ ინსტინქტებს!

ამანდა. ინსტინქტი აქვსო?! ნეტა რა ინსტინქტებზე მელაპარაკები! რაღა დროს ინსტინქტია — ინსტინქტები ცხოველებს და შერჩა! ქრისტიან ადამიანს, უკვე ზრდადასრულებულს, რა ინსტინქტები სჭირდება!

ტომი. მაშ, შენი აზრით, რა სჭირდება ზრდადასრულებულ ქრისტიან ადამიანს?

ამანდა. უფრო ამალელებული განცდები, სულიერი და გონებრივი ინტერესები! ინსტინქტების აყოლა პირუტყვების საქმეა! ღმერთით, შენ უფრო მაღალი მიზნები და მისწრაფებები უნდა გქონდეს, ვიდრე მაიმუნებსა და... ღორებს...

ტომი. არა მგონია.

ამანდა. შენ ხუმრობ. მე კი სულ სხვა რამეზე მინდა გელაპარაკო.

ტომი. (წამოდგება). მე უკვე მეჩქარება.

ამანდა. (მხრებში წაავლებს ხელს და ისევ დასვამს). დაჯექი.

ტომი. გინდა, დაგვიანების წიგნში მოვხვდე?

ამანდა. ხუთი წუთი კიდევ გაქვს დრო. ლაურაზე უნდა მოგელაპარაკო. (ეკრანზე წარწერა: „მომავალზე ფიქრი“).

ტომი. კარგი. რა უნდა მითხრა ლაურაზე?

ამანდა. მის მომავალზე უნდა ვიფიქროთ. ხომ იცი, რომ ორი წლით შენზე უფროსია და ჯერ ვითომ არაფერი. ალაღბედზე დაფარფატებს და მორჩა, არაფერს არ ფიქრობს. შიშის ზარსა მცემს ვე ამბავი.

ტომი. მაგისტანა ტიპის გოგოებს შინ გამოკეტალებს ეძახიან ხოლმე.

ამან და. არა მგონია ამისთანა ტიპი არსებობდეს. თუ არის — მით უარესი! შინ გამოკეტვა საშინელებაა, თუ გათხოვილი არ არის ქალი.

ტომი. რაო?

ამან და. საშინელებაა პირდაპირ! რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მამაშენს ემსგავსები. სულ გარე-გარეთ დადიოდა. კაციშვილმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი... მერე კი მორჩა, მშვიდობით! ყველაფერი მე დამაწვა მხრებზე... მე ვნახე ის წერილი, საზღვაო-სავაჭრო საზოგადოებიდან რომ მიიღე. ვიცი, რასაც ფიქრობ. ბრმა ხომ არ გგონივარ. კი, ბატონო! შენი ნებაა! მაგრამ, მანამ წახვიდოდე, ვინმემ უნდა დაიჭიროს შენი ადგილი.

ტომი. ვერ გავიგე რას მეუბნები.

ამან და. ვერ გაიგე? ჯერ ლაურა მოეწყოს... თავის საკუთარ სახლში, ქმართან, თავისთვის... და მერე, როგორც გენებოს, თავისუფალი ხარ, წაბრძანდი, საითაც მოგეგუნებოს — გინდა ზღვაში, გინდა ხმელეთზე, და რა ვიცი, საითაც ქარი დაგიბურავს! მანამდე კი, გახსოვდეს, რომ და გყავს საპატრონო. ჩემზე არაფერს გეუბნები, დაგებრდი ქალი, არაფერი მიშავს! შენს დაზე მოგახსენებ, ყმაწვილი ქალია, პატრონი სჭირდება. სავაჭრო კოლეჯში მოვაწყვე მეგონა — ჩამიფლავდა! ისე დაფეთდა, რომ შიშით გული აერია. „ახალგაზრდების ლიგაში“ მივიყვანე, ეკლესიაში — იქაც არაფერი გამოვიდა. არც მაგას გაუცია ვინმესთვის ხმა, არც არავინ გამოლაპარაკებია. უტრიალებს ამ მინის ხარახურას და ზოგჯერ გაცვეთილ ფირფიტებს თუ დაუკრავს. ეგ არის და ეგ! ამას ჰქვია გასათხოვარი ქალის ცხოვრება?!

ტომი. მე რა უნდა ვქნა მერე?

ამან და. მოეშვი ამ თავგერძობას! საკუთარი თავის მეტი აღარავინ გახსოვს (ტომი წამოხტება და პალტოს მივარდება. საშინელი ულაზათო ფაშფაშა პალტო აქვს, ყურებიან ქუდს ჩამოიფხატავს). კაშნე რა უყავი? შალის კაშნე მოიხვიე (გაბრაზებული გამოიღებს კაშნეს კარადიდან, ყელზე შემოიხვევს და ბოლოებს გადასკვნის). ტომ! ჯერ არ დამიმთავრებია ჩემი სათქმელი.

ტომი. დამავციანდა...

ამან და. (მკლავზე მოებლაუჭება. მერე დარცხვენით). თქვენთან იქ, მალა-ზიაში... წესიერი ყმაწვილი კაცი არავინ გყავთ?

ტომი. არა!

ამან და. როგორ დავიჯერო, როგორ არ იქნება...

ტომი. დედა! (ცდილობს თავი გაითავისუფლოს).

ამან და. შეგარჩე ვინმე წესიერი კაცი... სმა რომ არ იცოდეს... და ლაურასთან მოიპატრიე.

ტომი. რაო?

ამან და. ლაურასთან მოიყვანე-მეთქი. შეხვდნენ ერთმანეთს, გაეცნონ.

ტომი. (კარს მიაბრტყამს ფეხს). ო, ღმერთო ჩემო!

ამან და. ჰა, ხომ მოიყვანე? (ტომი კარს გააღებს. დედა მუდარით მიმართავს)

ჰა? მოიყვანე, გენაცვალე?

ტომი. (კიბეებიდან მოძახებს) კარგი.

(ამანდა უხალისოდ მიკვტავს კარს. ფიქრებს მოუყავს. სახეზე სუსტი იმედი აღბეჭდვია).

(გვრანზე: პრიალა ჟურნალის გარეკანი. სინათლე ამანდას ეცემა — ხელში ტელეფონის მილი უჭირავს).

ამან და. ელა კარტრაიტი ხარ? ამანდა უინფილდი გელაპარაკება! როგორ ხარ, გენაცვალე? თირკმლები რას გიშვრება? (პაუზა ხუთის დათვლამდე). უი, რას მეუბნები! (პაუზა ხუთის დათვლამდე). ნამდვილი წამებული ხარ, გენაცვალე, ნამდვილი წამებული! ჰო, მართლა, აგერ შემთხვევით წავაწყდი ჩემს უბის წიგნაკში —

„თანამგზავრის“ გამოწერის ვადა გავსვლია. ასალი შესანიშნავი რომანის ბეჭდვას იწყებენ გაგრძელებებით და ვიცი, რომ გული არ მოგიტომენს. ბესი პოპერის რომანები „სამი ადამიანის თაფლისთვე“ რომ გამოაქვეყნა, მას შემდეგ ამისთანა აღარაფერი დაუწერია. რა გასაგიჟებელი წიგნი იყო, არა? ეს კიდევ უფრო უკეთესი იქნება, ნახე თუ არა! ისეთი საზოგადოება აქავს თურმე გამოყვანილი... დოღები ლანგ-აიღენდზე... (სცენა ბნელდება).

სურათი მახუთა

(ეკრანზე წარწერა: „კარგი ამბავი“. მუსიკასთან ერთად წარწერაც ნელ-ნელა ქრება.)

გაზაფხულის საღამოს ბინდბუნდია. უინგფილდები ეს არის ეახშამს მორჩნენ. ჭრელ კაბებში ჩაცმული ამანდა და ლაურა სუფრას ალაგებენ — ეს სცენის ჩაბნელებულ სიღრმეში ჩანს. რიტმული მოძრაობა აქვთ, თითქოს ცეკვავენ ან რაიმე რიტუალს ასრულებენო. მსუბუქად და უხმოდ დაქრიან. ტომს თეთრი პერანგი აცვია. სუფრიდან წამოდგება და კარისკენ მიდის).

ამანდა. (სწორედ იმ დროს, როცა შვილი ჩაუვლის). ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე.

ტომი. რა იყო?

ამანდა. თმა დაივარცხნე! ისე გისდება დავარცხნილი თმა. (ტომი სავარძელში მოიკრუნჩხება, საღამოს გაზეთს აიღებს. ჩანს უშველებელი სათაური: „ფრანკო გამარჯვებას შეიმობს“). მარტო ერთ რამეში მინდა, მამას დაემსგავსო.

ტომი. რაში?

ამანდა. სიკობტავე უყვარდა. ჩემს დღეში ულასათოდ ჩაცმული არ მინახავს. (ტომი გაზეთს დააგდებს და კარისკენ გაემართება). სად მიდიხარ?

ტომი. გავალ, პაპიროსს მოვწვევ.

ამანდა. ძალიან ბევრს სწვევ, თითო კოლოფს დღეში. კოლოფი 15 ცენტი ღირს. ასლა იანგარიში, თვეში რა დაგიჯდება! პა, ოცდაათჯერ თხუთმეტი რამდენია, ტომი იანგარიში და შენ თვითონ გაგიკვირდება, თურმე რამდენის დაზოგვა შეგძლებია! ეს ფული ვაშინატონის უნივერსიტეტში შესასვლელად გვეოფა, ბუღალტერიის შესასწავლად საღამოს კურსებზე. პა! კარგად დაუფიქრდი, რა დიდებული იქნებოდა ეს შენთვის, შვილო. (ტომზე სულაც არ უმოქმედია ამას).

ტომი. მე მაინც მოწვევა მიჩვენია. (გაგა და მინის კარს გაიჯახუნებს).

ამანდა. (გაღიზიანებულია). რაღა თქმა უნდა. მთელი ტრაგედიაც უკ არის სწორედ... (მარტოკა რომ დარჩება, ქმრის სურათს შესცქერის).

(საცეკვაო მუსიკა: „მთელი ქვეყნიერება მზის ამოსვლას მოელის“.)

ტომი. (აუღიტიორიას მიმართავს). ჩვენს პირდაპირ, ქუჩის გასწვრივ საცეკვაო დარბაზი იყო — „პარადისი“. გაზაფხულობით, საღამო ხანს, ფანჯრებს დააღებდნენ ხოლმე და მუსიკის ხმა გამოდიოდა. ზოგჯერ დარბაზში სინათლეს ჩააქრობდნენ, მხოლოდ ერთ დიდ ლუსტრას დატოვებდნენ, ჭერიდან დაშვებულს. ნელ-ნელა ტრიალდებოდა ეს ლუსტრა და ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზს ცისარტყელას მკრთალი ფერები ფრინებოდა. ორკესტრი ვალსს ან ტანგოს დააგუგუნებდა, ან სხვა რამეს, უფრო ნელ რიტმში, გრძნობისმოგვრელს. მოცეკვავეები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ ხოლმე დაცარიელებულ ქუჩაში. ხან სად დინახავდი და ხან სად — ნაგვის ურნებსა და ტელეფონის ბოძებს მოფარებულები როგორ ესვეოდნენ ერთმანეთს. ამით ინაზღაურებდნენ ხოლმე ჩემნაირად გატარებულ ერთფეროვან, ურომანტიკო ცხოვრებას. თუმცა ცვლილება და რომანტიკა თურმე მოახლოებული იყო იმ წელიწადს. იქვე იყო

თურმე ჩასაფრებული, კუთხეში ელოდა იმ ყმაწვილებს. ბერტესგადენის თავზე ჩამოწოლილ ბურუსში იყო გათქვეფილი, ჩემბერლენის ქოლგის ნაოჭებში იმალებოდა... ესპანეთში გერნიკამ იფეთქა!.. ჩვენში კი მარტო მხურვალე მუსიკა, სასმელები, საცეკვაო დარბაზები, ბარები, კინო, სექსი — თითქოს წყვდიადს ეულად ჩამოკიდებული ნათურის მაცთუნებელი ციალი ეფინებაო... მთელი ქვეყანა საჭაერო დაბომბვისათვის ემსადებოდა!

(ამანდა სურათს თვალს მოაშორებს, მობრუნდება და წინ გავა).

ამანდა. (ამოიხრებს). კიბის პაპაწინა მოედანი. რაღა თქმა უნდა, პარმალად არ გამოდგება (საფეხურზე გაშეთს გაშლის და ჩამოჯდება კეკლუცად, ისე როგორც ოდესღაც მისისიპში ჩამოჯდებოდა ხოლმე თავის სარწმევლა სავარძელზე). რას უყურებ?

ტომი. მთვარეს.

ამანდა. უკვე ახალი მთვარეა?

ტომი. ეგერ, შეხედე, „გერფინკელის დელიკატესის“ თავზე ამოცურდა.

ამანდა. უი, მართლა! ვერცხლის პატარა ფაჩუს არა ჰგავს! უკვე ჩაუთქვი რამე, ტომ?

ტომი. აპა.

ამანდა. რა ჩაუთქვი?

ტომი. ეგ საიდუმლოა.

ამანდა. საიდუმლო? მაშინ არც მე გეტყვი, რა ჩაუთქვი.

ტომი. თუ გინდა სანაძღოოს ჩამოვალ, რომ გამოვიცნობ მაგ შენს საიდუმლოს.

ამანდა. ასე ადვილად შეიძლება ჩემი ფიქრების ამოკითხვა?

ტომი. შენ სომ სფინქსი არა ხარ.

ამანდა. არა. საიდუმლო მართლაც არაფერი მაქვს. ახლავე გეტყვი, რა ჩაუთქვი. ჩემი საყვარელი შვილების ბედნიერება და წარმატება! მთვარე იქნება თუ არ იქნება მთვარე, ჩემი საფიქრალი სულ ეგ არის.

ტომი. მე კი მეგონა ყმაწვილ კაცს ჩაუთქვამდი.

ამანდა. ვითომ რატომ?

ტომი. არ გახსოვს, რომ დამავალე, ვინმე მოიყვანეო.

ამანდა. მახსოვს, როგორ არა. მე ის გითხარი, კარგი იქნებოდა მაღაზიიდან ვინმე ყმაწვილი კაცი მოგეყვანა შენი დისთვის-მეთქი. ეს სომ ერთჯერ არ მითქვამს.

ტომი. ჰო, ბევრჯერ გითქვამს.

ამანდა. მერე?

ტომი. მერე ის, რომ მოვა.

ამანდა. რაო?

ტომი. გვესტუმრება-მეთქი.

(ამ საამურო სიტყვებს მუსიკა მოჰყვება) (ამანდა წამოდგება). (ეკრანზე წარწერა: „ყმაწვილ კაცს თაივლი მოაქვს“).

ამანდა. მოიწვიე ვინმე?

ტომი. ჰო. სადილზე მოვიპატიჟე.

ამანდა. მართალს ამბობ?

ტომი. ნამდვილად.

ამანდა. შენ კი მოიპატიჟე, მაგრამ, მოვალო, შეგპირდა?

ტომი. რა თქმა უნდა!

ამანდა. ახლა კი მესმის... ასე უნდა... ასე... დიდებული საქმეა.

ტომი. ვიცოდი, რომ გაგეხარდებოდა.

ამანდა. მაშ, გადაწყვეტილია.

ტომი. უსათუოდ მოვა.

ამანდა. მალე?

ტომი. სულ მალე.

ამანდა. თუ ღმერთი გწამს, ნუღარ ღებავ, პირდაპირ მითხარი!

ტომი. მეტი რაღა უნდა გითხრა!

ამანდა. რა უნდა მითხრა და როდის მოვა?

ტომი. ხვალ.

ამანდა. ხვალ?

ტომი. ხვალ.

ამანდა. ჰო, მაგრამ...

ტომი. რა იყო, დედა?

ამანდა. ხვალამდე რომ ვერ მოვასწრებ?

ტომი. ნეტა რა გაქვს მოსასწრები!

ამანდა. ხომ უნდა მოვემზადოთ. რატომ მაშინვე არ დამირეკე, იმავე წუთში, როცა მოიპატიჟე და თანხმობა მიიღე? რატომ არ გესმის, რომ მაშინ ყველაფერს მოვასწრებდი!

ტომი. რა საჭიროა ამდენი ფაცაფუცი!

ამანდა. ოი, ტომ, ტომ! აბა, ისე როგორ იქნება! უნდა პირილებდეს ყველაფერი. ანგრეულ-დანგრეულში ხომ ვერ შემოვიყვანთ. რამე უნდა მოვიფიქრო.

ტომი. ნეტა რა ფიქრი გჭირდება!

ამანდა. შენ რა გესმის. საღორეში ხომ ვერ მივიღებ სტუმარს! ჩემი ნამზითვი ვერცხლეული უნდა გავაპრილო. მონოგრამებიანი სუფრა უნდა გავრეცხო და გავაუთაო. ფანჯრის მინები უნდა დაირეცხოს, ახალი ფარდები ჩამოვიდოთ... ჩასაცემელს რაღა მოეუხერხოთ? ცოტა უფრო ხეირიანად არ უნდა გვეცვას?

ტომი. დედა, სულაც არ არის იმისთანა ბიჭი, ამდენი ფაცაფუცი სჭირდებოდეს.

ამანდა. როგორ გეკადრება — პირველი სტუმარი მოდის, პირველი კაცი, რომელიც ლაურას უნდა გავაცნოთ! სირცხვილია, თავლაფის დასხმა, რომ აქამდე არავინ სტუმრებია შენს საწყალ დას. აბა ერთი აქეთ გამოდი, ტომ (მინის კარს გამოაღებს).

ტომი. რა გინდა, დედა?

ამანდა. რაღაც უნდა გითხრა.

ტომი. ასეთი ფაცაფუცი თუ ასტეხე, იცოდე აღარ მოვიყვან, ნუ მოხვალ-მეთქი, ვეტყვი!

ამანდა. მაგას შენ არ იზამ! ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს — ჯერ დაპატიჟო კაცი და მერე უარი უთხრა?! ეგ არის რომ, მაგარი მუშაობა მომიწევს. რას იზამ — ძალიან კარგად იქნებ ვერ შევხვდეთ. მაგრამ რამეს მაინც მოვახერხებთ! შინ შემოდი. ტომ, (ტომი ხვნეშით გაჰყვება). დაჯექი.

ტომი. სად დავჯდე მაინც, რა ადგილს შემირჩევ?

ამანდა. კიდე კარგი, რომ ეს ახალი სავარძელი ვიყიდე! ეს ტორშერიც... ჯერაც არ გამისტუმრებია მაგისი ვალი! ავეჯს ჩითის გადაკვრა დასჭირდება — უფრო კარგად გამოჩენს ყველაფერს! შპალერის გამოცვლაც კარგი იქნებოდა, მაგრამ... რა ჰქვია მაინც იმ ყმაწვილ კაცს?

ტომი. ო'კონორი.

ამანდა. მამ, თვეში დაგვჭირდება! ხვალ პარასკევია... შეკმაზული ორაგული მივართვათ... რა მოხელეა? თქვენთან მუშაობს მალაზიაში?

ტომი. რა თქმა უნდა. აბა ისე სად...

¹ გვარის მიხედვით, ამანდა მიხვდა, რომ ეს კაცი ირლანდიელი ყოფილა, ე. ი. თევზი ეჭვარება (მთარგმნელის შენიშვნა).

ამანდა. ტომ... სმა ხომ არ უყვარს?

ტომი. რატომ მეკითხები?

ამანდა. იმიტომ რომ მამაშენი სვამდა.

ტომი. ისევ შენებური დაიწყე?

ამანდა. მაშ, სვამს, არა?

ტომი. არა მგონია სვამდეს.

ამანდა. კარგად გაიგე, გამოიკითხე! ყველაზე უფრო — ლოთი არ მინდა გადაყაროს ჩემს ქალიშვილს.

ტომი. რა სულწასულობაა. ჯერ თვალის არ შეგივლია მისტერ ო'კონორისათვის.

ამანდა. ხვალ ხომ ვნახავ. შენს დას უნდა შეხვდეს. მე კი ვიცი, ვინ არის, რას წარმოადგენს? არა. ლოთის ცოლობას შინაბერობა სჯობია.

ტომი. თ. ღმერთო ჩემო!

ამანდა. გაჩუმდი.

ტომი. (წინ გადაიხრება, ჩურჩულით ეტყვის). რამდენი ახალგაზრდა კაცი შეხვდება ქალს, სავალდებულო ხომ არ არის, ცოლად შეირთოს.

ამანდა. ცოტა ჭკუას დაუხმე, ტომ... რა დროს დაცინვა!

(თმის ჯაგრისს აიღებს).

ტომი. რას აკეთებ?

ამანდა. ქოჩორი უნდა გადაგივარცხნო! რა მოხელეა მაინც, რას აკეთებს მაღაზიაში?

ტომი. (უხალისოდ შეურიგდა დაკითხვასაც და დავარცხნასაც). ექსპედიტორად მუშაობს, დედა.

ამანდა. მშვენიერი სამსახური ყოფილა, რას ერჩი. შენც კი მიაღწევდი მაგას, რომ მოგენდომებია. ჯამაგირი რამდენი აქვს, თუ იცი?

ტომი. ოთხმოცდასუთ დოლარამდე თვეში.

ამანდა. რას იზამ... ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც...

ტომი. ჩემზე ოცი დოლარით. მეტი

ამანდა. მაღლობა ღმერთს, ეგ მაინც ვიცი, ცოლშვილიანი კაცისთვის ოთხმოცდასუთი დოლარი რა არის, ერთი...

ტომი. ო'კონორი ხომ ცოლშვილიანი არ არის.

ამანდა. გახდება. როცა იქნება, გახდება.

ტომი. ჰო. მომავლის გეგმები, არა?

ამანდა. შენს მეტი კაცი არ მინახავს, ეს არ ესმოდეს, რომ მომავალი აწმყოდ იქცევა ხოლმე, აწმყო — წარსულად, წარსული კი, თუ თავის დროზე არ იზრუნე მომავლისათვის, იქნებ სამუდამო სანანებლად გაგიხდეს.

ტომი. კარგად დაუფიქრდები მაგ შენს სიტყვებს, იქნებ გამომადგეს.

ამანდა. ნეტა რაში გჭირდება დედასთან ქედმაღლობის გამოჩენა. მაგას ისა სჯობია, უფრო დაწვრილებით მიაბზო, ვინ არის, რას წარმოადგენს... რაო, რა ჰქვიაო?

ტომი. ჯეიმს დელანი ო'კონორი.

ამანდა. ღმერთო ჩემო! დედითაც და მამითაც ირლანდიელი ყოფილა! და არ სვამსო, შენ ამბობ!

ტომი. გინდა, ახლავე დაუურეკავ და ვკითხავ!

ამანდა. მაგისთანა რამეების გაგება უფრო დაშვებებით და საფუძვლიანად არის საჭირო. დრო უნდა შეაჩირო. ჩემს ქალიშვილობაში, ჯერ ისევ ბლუ მანტინენში რომ ვცხოვრობდი, ვინმე ყმაწვილკაცზე ვჭვი თუ შეეპარებოდათ, ასე და ასეო, ღვინის სმა უყვარსო, და თან ქალიშვილი თუ იქნებოდა დაინტერესებული ამ ყმაწვილი კაცით, მაშინ ადგებოდა ეს ქალიშვილი და მღვდელს გამოჰკითხავდა, ან არადა მამა-



მისი გამოპკითხავდა მღვდელს, მამა თუ ეყოლებოდა ცოცხალი... და ასე თანდათანობით გაიგებდნენ მის ასავალ-დასავალს, ასეთი სიფრთხილით და წინდახედულად შეიძლება აიშოროს ახალგაზრდა ქალმა ტრაგიკული შეცდომა.

ტოში. მაშ, შენ როგორღა მოგივიდა ეს ტრაგიკული შეცდომა?

ამანდა. იმისთანა უწყინარი შესახედობა ჰქონდა შენს მამას, რომ ვის არ გაასულელებდა! ერთს რომ გაიღიმებდა — მთელი ქვეყანა მოხიბლული იყო! გასათხოვარი ქალისათვის იმაზე დიდი საშინელება არ არსებობს, როცა ლამაზი კაცი მოხიბლავს ხოლმე. იმედი მაქვს ოკონორი არ იქნება ძალიან ლამაზი.

ტოში. არა, არც ისე ლამაზია. ჭორფლიანია, ცხვირბაჭუა.

ამანდა. ძალიან შეუხედავიც არ იყოს!

ტოში. არა, არც ძალიან შეუხედავია. ისე, საშუალოდ.

ამანდა. მამაკაცისათვის მაინც ხასიათის სიმტკიცეა მთავარი.

ტოში. აბა მე რას გეუბნები ხოლმე!

ამანდა. პირველად მესმის ეგ შენგან! მაგისთანა რამე მგონი გულშიაც კი არ გავივლია.

ტოში. ყველაფერი ასე გეჭვება ხოლმე ჩემი!

ამანდა. ნეტა მონდომებული და ფხიანი კაცი მაინც გამოდგეს.

ტოში. ძალიან მონდომებულია.

ამანდა. რაზე ატყობ?

ტოში. ღამის სკოლაში დადის.

ამანდა. (სახე გაუბრწყინდება). დიდებულია! რას აკეთებს მერე? ეს იგი რას სწავლობს?

ტოში. რადიოსაქმეს. თან ორატორულ ხელოვნებასაც ეუფლება.

ამანდა. მაშ, ჰქონია მომავლის გეგმები და ეგ არის! ახალგაზრდა კაცი რომ ორატორული ხელოვნების დაუფლებას დაიწყებს, ეტყობა უფრო შორს უმიზნებს, გამგებლობისათვის ემზადება. ახლა რადიოსაქმეც! მაგასაც დიდი მომავალი აქვს! ერთი სიტყვით, ორივე ფაქტი კარგის ნიშანია. დედამ ყოველთვის უნდა იცოდეს ამისთანა რამეები ახალგაზრდა კაცის შესახებ, როცა იგი მის ქალიშვილთან შეხვედრას აპირებს... თუკი, რაღა თქმა უნდა, სერიოზული განზრახვა აქვს...

ტოში. ოღონდ ასლავე უნდა გაგაფრთხილო: იმ კაცმა არც კი იცის, და თუ მყავს მე. ჩვენს ეშმაკურ გეგმებს ხომ არ გადაეუშლიდი?! ისე ვუთხარი, უბრალოდ — ერთს რატომ არ გამოგვივლი, ერთად ვისადილოთ-მეთქი. სიამოვნებითო, მითხრა. ეგ იყო და ეგ მთელი ჩვენი საუბარი.

ამანდა. ლაპარაკში, იცოცხლე, ვერავინ გაჯობებს. მაგისი იმედი კი მაქვს. არა უშავს, ლაურას ამბავს აქ გაიგებს. როცა ნახავს, რა გოგოც არის, რა ლამაზი და მომხიბლავი, თავის ბედის ვარსკვლავს დაუმაღლებს.

ტოში. დედა, შენ რაღაც მეტისმეტად დიდი წარმოდგენა გაქვს ლაურაზე!

ამანდა. ვითომ რაო?

ტოში. ლაურა ჩვენ იმიტომ გვეჩვენება ლამაზი და მომხიბლავი, რომ ჩვენია და გვიყვარს. თვალი გვაქვს შეჩვეული, ვეღარც კი ვამჩნევთ, ხეიბარი რომაა.

ამანდა. მაგ სიტყვას ნულარ ახსენებ! რამდენჯერ ამიკრძალავს შენთვის, ხეიბარს ნუ ახსენებ-მეთქი!

ტოში. ახსენებ თუ არ ახსენებ, ასეა, დედა... თანაც, მარტო ეს რომ იყოს...

ამანდა. როგორ თუ „მარტო ეს იყოს“...

ტოში. ლაურა ხომ სხვა გოგოებს არ ჰგავს:

ამანდა. მით უკეთესი.

ტოში. არა, დედა. სხვების თვალში ეგ უკეთესი სულაც არ არის... მეტისმეტად მორცხვია, გულწაბრობილი... გარეშე ადამიანს უცნაურად მოეჩვენება.

ამან და. „უცნაურს“ რა უგავს!

ტომი. ასეა. სინამდვილეს თვალი უნდა გაუსწორო.

(მუსიკა ახლა ტანგოს უკრავს — მინორულად ჟღერს, გაბოროტების ტონი და-
ჰკრავს).

ამან და. რითია მაინც უცნაური? იქნება მიბასუსო!

ტომი. (ნაზად). გულჩათხრობილია... თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი... მინის სა-
თამაშოების მეტი არაფერი ახსოვს, დედა... (წამოდგება. ამანდას ისევ ჯაგრისი უჭი-
რავს ხელში. შვილს შეშფოთებით შესცქერის). მინის სათამაშოები და ძველი ფირ-
ფიტები... მეტი არაფერი... (სარკეში ჩაიხედავს და კარისკენ გაემართება).

ამან და. (მკვახედ). სად მიდიხარ?

ტომი. კინოში. (გაღის).

ამან და. კინოში! ყოველ ღამე კინოში?! (სწრაფად მიიჭრება კართან). არა
მჯერა, რომ სულ კინოში დადიოდე! (ტომი წასულა. ამანდა შეწუხებულია, მას გააყუ-
რებს ერთხანს, მერე ერთბაშად დაუფლდება ოპტიმიზმი, გამოცოცხლდება. კარს მო-
შორდება. პორტიერისკენ წამოვა). ლაურა!.. ლაურა! (ლაურა სამზარეულოდან უბა-
სუხებს).

ლაურა. რა იყო, დედა?

ამან და. მაგ თეფშებს თავი დაანებე, აქ გამოდი! (შემოდის ლაურა, ხელში სა-
მზარეულოს ტილო უჭირავს. დედა მხიარულად მიმართავს:) აქ მოდი ლაურა, მთვარეს
შეხედე და ჩაუთქვი რამე!

ლაურა. მთვარე... აბა მთვარე?

ამან და. ეგერ, ვერცხლის ფაჩუჩივით ჰკიდია ცაში. მარცხნივ შებრუნდი და ჩა-
უთქვი რამე! (ლაურა რალაცნაირად არეულია, თითქოს ეს არის, გამოადვიძესო. ამან-
და თვითონვე ჩასჭიდებს ხელს და შეაბრუნებს). ასე, ახლა ჩაუთქვი, ინატრე რამე!

ლაურა. რა ვინატრო, დედა?

ამან და. (ხმა უთრთის, თვალეზზე უცებ ცრემლები მოადგება). ბედნიერება,
კარგი მომავალი (ვირლინოს ხმა ძლიერდება, სცენა ბნელდება).

დასასრული იქნება

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ პელიძემ



მზია პაჭკორია

დრო და სახელები

„მზე აღმა ისროდა ფერდაკარგულ შუქს. დაძრულიყო, ფეხაკრეფით მოდიოდა ბინდი. უმცირესი კენჭებიც კი ისროდნენ გრძელ ჩრდილებს. მზე ჩადიოდა, ღამდებოდა. ახლა უკვე შეიძლება მზისთვის თვალის გახწორება. გიორგიმ პირდაპირ შეხედა მზეს, შეხედა თამამად და დაცინვით... ასე დაცინვით უხწორებენ თვალს იმას, ვისაც ოდესღაც ღიმილით შეხედვასაც ვერ უბედავდნენ და მონურად მორჩილებდნენ, როცა ძალა ჰქონდა, ახლა კი...“

მზეს აღარ ჰქონდა ძალა... საჭირო აღარ იყო სამწვესკენ შეშინებული თვალის ქირმიშად გაპარება. მზე თვალს აღარ მოსჭრიდა. შუადღეც რომ ყოფილიყო, ვეღარ მოსჭრიდა, თვლებში მწეგაუფალი ბინდი ჩაწოლილიყო.

თანდათან უმძიმდებოდა ქუთუთოები, თითქოს ერთმანეთს უახლოვდებოდა და იხურებოდა... წუთისოფლის დიდი დღე თავდებოდა.

თანდათან, უღიმღამოდ ჩადიოდა მზეც“.

გიორგი შაბანარაშვილი.

მიმე იყო განვლილი გზა: ცხოვრებაში ვარამიც ნახა და განუკითხაობაც, უარყოფაცა და დაკნინების ტკივილიც... და ვადირჩინა ნათელი სული, რწმენა და იმედი. ირწმუნა — ადამიანს არ შეუძლია გაბოროტდეს, იგი სიკეთისთვისაა მოსული ამქვეყნად...

ვინც კი იცნობდა, ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს იგი, ნათლად უგრძნვია. ამ თავდაოცებული და ამაყი კაცის მკერდში მუდამ ენთო მშვიდი სიკეთე. ვისაც ჩაუხედავს მის ვეება, იღუმალი დარღით დამძიმებულ თვლებში, მიმხვდარა — ნათ არ იციან ცბიერებითა და დალატით კრთომა. ვისაც მოუსმენია მისი დარბაისლური ქართული, კიდევ ერთხელ ჩაძირულა სიტყვის წილში და შეუცვენია — სიტყვას უნდა გაუფრთხილდე, მაშინ ასგზის მოგიზღავს სანაცვლოს, სიტყვას ჭირდება რულუნება და ოფლი, რადგან სიკეთის თესლისთვის გულგადახსნილი ბელტივითაა.

მან არ იცოდა ხმამაღალი სიცილი, არც ხმამაღალი ლაპარაკი უყვარდა. მის ირგვლივ ყოველთვის სიმშვიდე ისადგურებდა და ეს იყო მხოლოდ მისი, შატბერაშვილისეული სიმშვიდე: გოროზი თავდაბლობისა და დაურვებული ვნებე-

ბის, შეურიგებლობისა და იმავე დროს, ნატიფი, სევდით მოცული სულის ძალი სიმშვიდე.

მისი მაღალი შუბლი, სახის ძლიერი ნაკეთი და ამაყი ქედი მუზარადს მოიხდენდა, რადგან გამოხედვასა და იერს საოცრად შემორჩენოდა თოროსან რაინდთა გაუტეხლობა და ჯიში.

უცნაურად უყვარდა ჩამავალი სხივამკრთალი მზე და თითქმის ყოველ მოთბობაში იმეორებდა ამ ხატს; უბრუნდებოდა, რადგან გონების თვალთ მიღწეული იყო არყოფნის მიჯნას და არ ეშინოდა მისი.

„საოცარია უკვე ჩასული, ქვეყნის კიდეს მიფარებული მზის ეს უკანასკნელი ამოსხივება. სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანი, საოცარია მისი სახელიც.

მკედრის მზე...“

და საოცარი იყო გიორგი შატბერაშვილის მეორედ დაბადება, ის შემობრუნება, რასაც ამ დაბრძენებულმა, თითქოს და სამუდამოდ ჩამოყალიბებულმა უკვე ჩუმი ჰერეტისა და დახშულ განცდათა ხანს მიღწეულმა მწერალმა განიცადა.

საოცარი იყო ქართული სიტყვის უღრმესი შრეებიდან დაძრული მარადი წარმოდგენების თვისობრივი განახლება; მისი ნიჭის გახალისებულ წახნაგზე აკიაფებული ზმირინის წვეთი.

მას ბევრი ახალგაზრდა მეგობარი ჰყავდა, თითქოს მათ უშუალობასა და შეურყვენელ გულწრფელობაში ეძებდა იგი წყაროს საკუთარი შთაგონებისა.

გიორგი შატბერაშვილს კურთხევაც ხელეწიფებოდა და აუგის თქმაც. ყოველ ჩვენგანს, ვინც იწყებდა თავისი ლიტერატურული ცხოვრების ძნელ გზას, ერთი ახსოვს — იგი ყოველთვის იყო სამართლიანი, განუხრელად სამართლიანი. არ ერიდებოდა კაცის ნდობას, მაგრამ არც შეღავათიანი დაპირებების ვაცემა შეეძლო. მასთან მოკრძალებით მისული ახალგაზრდის თავმოყვარეობასაც უფრთხილდებოდა, ოღონდ უფრო — ქართულ მწერლობას; და მისი მრავლისმხილველი გული უცნაური სიცხადით განჰკრეტდა მომავალს.

იმ დღეს, როცა უკანასკნელად აიარა დინჯი ნაბიჯით ელბაქიდის აღმართი, მან ნახა ბავშვის სიკვდილი; ნახა ჩამქრალი კიდევ ერთი უცოდველი სიცოცხლე და, ალბათ, მის ჭირნახულ სულში შეიძრა და აბობოქრდა მინავლებული ცეცხლი დიდი ტკივილისა...

და ვერ გაუძლო...

მძიმედ გადმოიარა ხიდი, აუყვა გოგებაშვილის გზას... ფერგამკრთალი სახე ცვილის ნიღაბს მიუგავდა; დარდიანად იღიმებოდა, ოღონდ ისე არა, როგორც ყოველთვის — თვალები ჰქონდა უღიმილო და შექჩამქრალი.

— ბატონო გიორგი!..

მხოლოდ უდაბნოს რჩეულმა მკვიდრმა იცის, როდის შეეპარება ქვიშნარს გაზაფხულის სიმწვანე; იგი ხედავს ფერს, რომელსაც ამ მოზღვავებულ სიკვითულში სხვა ვერაფერს დინახავს.

„დაკვირვებულმა კაცმა ყოველთვის იცის დაახლოებით როდის მოკვდება“ — წერია მის დღიურში და იმ დღეს გიორგი შატბერაშვილს თავის უკანასკნელ აღმართზე მოახლოებული სიკვდილის გამხელილი შეგრძნება აჰქონდა. ოღონდ... იყო მშვიდი და დარბაისელი.



მთვარე წინამდგომო, შენს ბედნიერ თავს ელოცულობ ჩემი შეუღლისა და შევილის სიმართლისთვის. ფუჭ-ნერჩი დამიცივი ჭირისა და ღათერაკისაგან; ხვატისა და თოშისაგან, შენ დავვიფარე ავთან შეყრისაგან...

თუთაშხა სვებდენიერო, ჩემი ძე გამრავლე. წლეულს რამდენი სულიც იყო, იმდენჯერ ორი კვერით დავამწყალობე; ვაისად ორგზის მიმრავლე ჩემს სახლში კაცი და ქალი.

მთვარის ლოცვა

„კოლხური თუთარჩელა ადამიანს სევდასა ჰგვრის, თითქოს მთვარეს თეთრი ცრემლები სცვივა...“

თუთა ჩელაია თეთრი მთვარეა, საესე მთვარე; მოქცევასს შმაგი სიყვარულით რომ აესებს კალანდარიების გულს.

„ამბობენ, კალანდარიები მთვარის კაცები იყვნენო“, ძველი თუთაშები. მთვარის ტაძრის ქურუმები და ორატორები. ამბობენ, კალანდარიებს ოდითაგანე შეეძლოთ „ხორცის სრული გაწირვა სულისათვის“...

არგებ, მხნე და ძლევაშოსილმა რაინდმა შეპკრა კალანდარიების ვაფანტული ტომი, მისცა მათ კერბი კაპუნია და შექმნა არგის ქვეყანა...

ოდიოიმ, ზიკა-ბატკანიანმა მეუღანზემ დაუქცია კალანდარიებს კერბი და მოუპოვა თუთა: მაყარი და სამართლიანი, დაუნდობელი და მოწყალები, იღუმალი ღეთაება ზესენელისა და ქვესკნელისა...

მერე აღაზვეა თუთამ ოდიოა „ერისიონზე“ (ოლიმონზე) და მოიტაცა ოდიოიმ მესამე ციდან ნანა-მზექალი.

ვარისხნდა თუთა, განდევნა ოდიოა ერისიონიდან და ვარდაქმნა ოხოკოხად...

მას აქეთ დაძრწის ოხოკოჩი საკალანდარიოს ტყეებში და გავეშებული დენის ტყაშმაფას.

მერე...

თებერელის მთვარე თუთარჩელაა: უფორიან-ჭებს თებერელის მთვარე ადამიანს სულს და დაეხეტება ტყე-ღრეში გონსვადასული გუგუ კალანდარიო.

ესაა გზა მითიდან დღევანდლამდე.

„...ყოველ დროში მითი იყო და იქნება ყველზე უფრო მადლიანი ნიადავი პეროიკული ტრაგედიის ან რაც იგივეა — ცხოვრების ტრაგედიის აღმოსაყენებლად.“

ერი — შემოქმედი სამყაროს სრული მითოლოგიური სურათისა, წარმოუდგენელია ქამიდან ქამზე მხატვრული წარმოსახვით არ დაუბრუნდეს საყუთარ მითოლოგიურ წიადს.

ის, რაც განიღვენა ცხოვრების წესიდან, რამაც დაკარგა რეალური მნიშვნელობა და უკვე აღარაა ყოფის ნაწილი, ფუნქციას მინც ინარ-

ჩუნებს, როგორც ეროვნული თვისებისა და ხასიათის ღრმა განცდა.

იქნებ ქართული მითოლოგიური წყვილიდის ნათელყოფასა და გაცნობიერებას სწორედ ამ განცდით დასდო ლიტერატურამ დიდი ღვაწლი.

„თუთარჩელა“ ორბლანიანი რომანია, უფრო სწორად, ორ კომპოზიციურად არათანაბარ ნაწილად გაყოფილი.

პირველი შთაბეჭდილება ერთგვარი გაურკვევლობა იყო. ძნელია „მითოსსა“ და „ყოფისს“, ირრეალურსა და რეალურს შორის კავშირის დამყარება. მითოლოგიური ექსპოზიცია თითქოს თავისთავად არსებობს, განყენებული. გათიშვის გრძნობას ამძაფრებს განსხვავებული ტონალობაც: ერთის მხრივ, ამალღებული და პოეტური (აქ ექსპოზიცია თითქოს რომანის მეტაფორაა), მეორე მხრივ, დინჯი და თხრობითი.

თუ რა კავშირი არსებობს „თუთარჩელას“ მითოლოგიურ ნაწილსა და საერთოდ მითოლოგიას შორის, ამის კვლევა საინტერესოა, მაგრამ, ვფიქრობ, გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. (რომანში არ ჩანს მითოლოგიის მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენების ცნობილი ასპექტები: როცა მითოსი ორგანულად იჭრება ნაწარმოების სტრუქტურაში, აქტიურად მოქმედებს, განსაზღვრავს ყოფის ფორმებს, კოლორიტს, „გამოთქვამს“ სოციალურ შინაარსს). ჩვენ უფრო შინაგანი კავშირები გვინტერესებს, პლასტების მთლიანობა, მითოლოგიური ნაწილის კომპოზიციური ფუნქცია. არა და, ძნელი იქნება ამ ექსპოზიციის ხელოვნურობისა და ზედმეტეობის უარყოფა.

(აკაკი ბაქრაძემ წერილში „მთვარიანი ღამის საიდუმლო“ უკვე მითითა მთელი რიგი კავშირები, ჩვენი აზრით, სწორად და დასაბუთებულად).

თუ დაუფრებთ, წინათქმა (დავარქვათ მითი) მხოლოდ კოლორიტისთვისაა, საქმე დიახაც გაიოლდება. იგი უმტკივნეულოდ მოიკვეთება და ჩვენც ძალდაუტანებლად შევალთ გორაკისა და ანიანს რეალურ სამყაროში, სადაც დარჩება

მანკაისა და ქალის ურთიერთობა, სიკეთის ქმნის სურვილი და შეურაცხყოფილი ვაჟკაცის სულიერი სიძაბუნე... ეს იგივე „თუთარჩელა“ რწნება და არც იქნება.

„მითი თავისუფალი გამოწვევა არ არის, იგი დაწერილი ფორმით მოცემული სურათია, და ეს სურათი ადამიანისთვის გაშიშვანებული სამყაროს მოდელს ასახავს“ (თ. ჩხენკელი „მწვენიერი მძლევალი“). ამ მოსაზრებას, გამიზნულს კლასიკური მითოლოგიისთვის, არა აქვს ლოკალური ხასიათი.

ნოდარ წულუისკიერი ყოველთვის სწორედ „ადამიანისთვის გაშიშვანებული სამყაროს მოდელს“ შექმნას ლამობს (ეს მისი უპირველესი თვისებაა), ბოლოსდაბოლოს, ყოველი მწვერილი ქმნის სამყაროს თავის მოდელს, თავის მითს, რა თქმა უნდა. თუ ძალი შესწევს.

ნ. წულუისკიერი რამდენიმე ეთიკურ ფორმულას უდებს საფუძვლად თავისი „ლიბერალური ქვეყნის“ ზნეობრივსა და სულიერ სტრუქტურას. იგი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს ნათლად წარმოიდგინოს, რა ზნეობრივ საძირკველზე უნდა აგოს ეს ქვეყანა, რა სულიერი ტრადიციის შემცველია იგი; და ამ ქვეყნის შექმნას შორიდან იწყებს: პრეისტორიული ფესვებდან. ერთის შეხედვით, ეს ეგზოტიკაა, მაგრამ აქვეა მთავარი — იმ პარამონის გაშლად ნების სურვილი, რაც მწერლის წარმოსახვაში დროის დიდ მონაკვეთებს ფარავს და ეპოქათა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულიერი გამოვლიანების შესაძლებლობებს მოიცავს.

ძნელია დარწმუნებით თქმა, თითქოს პარმონის ეს განცდა პრაქტიკულად ყოველთვის „დაწერილი ფორმით მოცემულ სურათს“ ან კომპოზიციურ წინასწორობას ქმნიდეს. იქნებ ერთგვარი ეკლექტიზმის საშიშროებაცაა მოსალოდნელი.

ნოდარ წულუისკიერი თავისუფლად, ნებისმიერად თხზავს მითის სიუჟეტს (რაც საკუთარსმთა), თხზავს წინასწარ აღებული თვალსაზრისიდან გამომდინარე. თუმცა იქვე ბოჭავს ფაქტობრივი მასალით, ამყარებს შინაგან კავშირებს, აგებს სქემებს. იგი მითოლოგიურ ფაქტში უმეტესად რეალობის აღგორიულ გამოხატულებას კი არ ეძებს (რისი მაგალითიც აბდოის „კენტავრია“), თვით მითში შეაქვს რაიმე დეტალი, რასთანაც შემდგომ მისთვის საკუთრო აზრობრივ და ემოციურ კონტაქტს ამყარებს. ეს კონტაქტები დიფერენცირებულია, თავისებურ გენეტიკურ ხაზებს ქმნიან. მაგალითად, ოდრისაგან მთვარის ტაძარში დაყუდუნებისა ჭაჭუების ასხმა და შემდეგ, გიორგი კალანდარიას ჭაჭუებასმული მარტივობა თითრად შემოხილ ოთახში... ოდონდ, ეს არ არის მხოლოდ გარეგნული ნიშნით შექმნილი ასოციაცია, იგი თანდათან ამოდის ძირითად. ე. წ. კატარზისის პრობლემამდე, მითოლოგიური და

რეალური პლასტების მსოფლმხედველობით გუმბათამდე.

თუ არ შეეწერდებით არგის (იგრის) და კაპუნისა ამბავზე, ან ოდროსიგან კერპის დაქცევისა და თუთას მოპოვების ისტორიაზე (რაც მთლიანად შეთხზულია), არ არის ძნელი, პირობითად რომ ვთქვათ, „ნამდვილი მითოლოგიისა“ და მწერლისგან შექმნილი მითის ერთურთისგან გაითავება.

ნოდარ წულუისკიერს „ერისიონი“ ძირითადად შექმნილია ბერძნულ-რომაულ პანთეონთან შეპირისპირებით შედგენილი შვიდთა დღეთა შვიდი მთავარი ღვთაების კოლხური ოლიმპოს მიხედვით.

„თუთას თან ახლდნენ სხვა ღმერთები: ნათელი დედამერთი ბეა, თავისუფლებისა და ომის ღმერთი, მირსხანე თახონ“ (თახა, თახაშხასამშბათი, არგისის დღე); „ბედისწერის ღმერთი, ბრძენი მირსი“ (მირსა, ჭეგ-მისპარონი, მითრა; ნ. წულუისკიერის კერპი კაპუნია მირსის იბსტასია, ავტორი ინარჩუნებს სახელს და ცვლის მნიშვნელობას); „ტაროსის ღმერთი — მხიარული ვობი“ (ობიშხა — პარასკევი, ეობის დღე; პარასკევი დიოსის დღეა. დიოსი — ზეესი, ცა-ღრუბლისა და ავღარ-ტაროსის ღვთაება); „ეპატარა და მოგზაურთა მფარველი, მონერხებული და გონებაშახელი ჭუშა“ (ჭუშაშხა, ოთმშბათი — ჰერმესის დღე); „ნადირთა და ფრინველთა პატრონი მესედეები“ (უფრო გამგებენი, მესედენი რასაც შთანთქვენ, მასვე აცოცხლებენ, რათა იქვე გასწირონ მოსაყვინელად) და ა. შ.

ამ ცხრილის მოტანა თითქოს აუცილებელი არც იყო, მაგრამ სწორედ მასთანა დაკავშირებულ ე. წ. თუთაშობის ინსტიტუტი.

საერთოდ ნ. წულუისკიერი არც კერპ კაპუნისა და არც ღვთაება თუთას არ სახავს, როგორც განყენებულ რელიგიურ ფენომენს. იგი გამოპყოფს მათ მორგანიზებულ მისიას, ხალხის დაქუცმაცებულ ენერჯისა და ზრახვების თავმოყრისა და ამოქმედების საშუალებას.

არგმა, ვინც კაპუნია მთაზე აიტანა, იცის — ეს მხოლოდ ქვაა და სხვა არაფერი. მაგრამ კაპუნია მისთვის ხალხის სულიერი ძალების კონცენტრირების გამოშატველია.

ცოტა სხვაგვარად უყურებს თავის ღმერთს „ცრულღვთების“ დამბობი და „ნამდვილი“ ღვთაების მომპოვებელი ოდოია. იგი ბიჭა-ბატკანიანი მუღღბნოეა, ქრისტიანული ატრიბუტებით აღჭურვილი; ასკეტობისა და რიტუალური მისტერიების, ზორცის გვემით აბსოლუტთან ნიახლოების მალაჩებელი მოძღვარია (რაც; სხვათაშორის, სრულგებთაყ არ უშლის ხელს ამ ბუნებით პროტესტანტ თუთაშს ზე-

ოტბა პაპაორბა
დრო და სახელეში



ციდან ქალი მოიტაცოს და მიწვირი ენებანი დაიურვოს). მაგრამ მისთვისაც თუთა უთავრესად ერის ამოქმედების, სახელმწიფოებრივი შეგნების აღორძინებისთვის არსებობს.

თუთას კულტურა დაკავშირებული ნ. წულეისკირის მიერ გამოგონილი **თუთაშობა**. თუთაში მთვარის ქურუმია, ერის მსახურითა და წინამდგომიც. თუთაშისთვის დამახასიათებელია „ხორცის სრული გაწირვა სულისათვის...“ თვითგვემით იმ სულიერი აღზევების მიღწევა, სადაც უკვე ორავულია და „ღვთაებრივი ხელი“.

გიორგი კალანდარიანის წარმომავლობით ზნეობრივი მრწამსით, ბედითა და ცი, თუთაში.

აქიმ გერგებესა და ექიმ გიორგი კალანდარიას ბაღს „ჰეკატეს ბაღი“ ჰქვია. გერგებე ჯადოქარია და მკურნალი: გააშენა გრძნეული ბაღი, სადაც უამრავი უცხო მცენარე გაახარა. ესაა ბუნების წიაღის, მისი მაცოცხლებელი ძალის მაგიური რწმენა. ამ ბაღში მეორედება კვდომი-ადღვომის მარადი ციკლი (ჰეკატე ბუნების განახლების, იმავ დროს, ჯადოსნობის, ქვესკნელისა და გრძნეულთა გვეგეტაციური ღვთაება).

ჰეკატე-თუთა (სელენა-არტემიდასთან, სელენა-მთვარესთან გაიგივებით) კალანდარიანთა დამთავრ და უცნაური ღმერთია.

(„წარმართ ქართველის წარმოდგენით მთვარეზე ყოფილა დამოკიდებული ადამიანის ბედი და უბედობა, სნეულებანი და სიკვდილიც კი. მთვარის განრისხება არაგზით არ შეიძლება, თორემ უბედურებას ვერ აცდება კაცი“).

გავეყვით სქემას უფრო შორს. ღვთაებათა შერწყმის ტენდენციამ და ორფიკულმა წარმოდგენებმა ტრიფია ჰეკატე-პერსეფონე-სელენა დიონისეს კულტს დაუკავშირა (პერსეფონე დიონისეს პირველი დედაა, ზაგრეუსი, დაფლეთილი და შთანთქმული ტიტანების მიერ იგივე დიონისე, დაფლეთილი მენადებისაგან — რომელი განმეორებით სემელას უნდა ეშვა). აქედან — „დაპირისპირებულ ფენომენთა იგივეობისა და ერთიანობის იდეა“ (ტრაგიკულია სათავე), ტრატანურისაგან განთავისუფლებით ღვთაებრივთან შერწყმის გარდუვალობა (დიონისური კათარტიკა), „დიონისესთან ურთიერთობის აუცილებელი ელემენტია განწმენდა“ — კათარისისა.

...კათარისისი ნ. წულეისკირის შემოქმედების ერთერთი უმთავრესი პრობლემაა.

ტრაგიკული განწმენდით, „ეთიკური ღვალიზმიდან“ თავდახსნით, საკუთარი არსების ბოროტი საწყისის დათრგუნვით სულიერი ზეობის, სრულწმინდობისა და გასაქცევის იმ საფეხურის მიღწევა, სადაც მამოკლებული მორალური უფლება მოწამებრივი თავგანწირვისა; უფლება ერის მსახურების და წინადგომობისა.

სწორედ ესაა ნ. წულეისკირის „ქვეყნის“ ზნეობრივი საყრდენი.

და იი, გუგუ კალანდარიას სენი, ჯაქვებახმული მარტვილობა თუთარჩელობისას უკვე სხვა, ღრმა შინაარსი იქნის (ეს კათარისია, გავისხენოთ ოლიას განწმენდა ყინი-ანთარად ვარდაქმნის წინ). გვემის, არნახული ტანჯვის, სულიერი გათიშულობის დაძლევის გზით იგი კვლავ უნდა დაუბრუნდეს სოფელს, ქალს, საქმეს; აღსდგეს (ჩვენი გიორგის ჯაქვების ახსნის სცენაში ვარდამოხსნის მოტივსაც კი შევიცნობთ). აღსდგეს მეტად უფლებამოსილი და ერთნადა განთავისუფლებული „ნამდვილი კალანდარიანობის“ მეორეული საწყისისგან — გვიარსგან (სხვათაშორის, არა გვერინა გვაჩი მაცდურ ციას განსახიერება იყო, გიორგიცა და გვაჩიც ზნეობრივ სათავეს ოლიას ორმაგი ბუნებიდან იღებენ).

გუგუ კალანდარიან მთვარის ქურუმთა შთამომავალია, „მთვარის კაცია“ და ამ მკაცრი ღვთაების ატავისტურ ზემოქმედებას მძაფრად განიცდის.

თვით გიორგი კალანდარიას სახე ორბუნებოვანია, სხვა იგი სოფელში, საავადმყოფოში, ადამიანებთან — უბრალოა, სადა, თავაზიანი და მამოხე. მისი ინტელიგენტში თითქმის მის გარეგნულ ინერტულობაც კი განაპირობებს. მაგრამ გიორგი კალანდარიან („თეთრი მთის“ ყვეთელი ანგლოსი გურამ კალანდარიან) მათგანია, ვინც ნებით თუ უნებლიედ მოვლენათა გულსგულში, წრის შუაშია მოქცეული (ესაა „ნამდვილი კალანდარიანობის“ — ჯადოქარი გერგებესა და პატრიარქ ბათუს მიერ დაღვნილი მორალური და ფიზიკური იდეალის — საერთო ზეუდრი). მაგრამ გიორგი ყოველთვის ინარჩუნებს დისტანციის გრძნობას (მოვლენათა ცენტრში ყოფნა სრულბეობაც არ ნიშნავს დისტანციის დაკარგვას), იგი ყოველთვის რამდენადმე განსხვავებულია. განდგომილია... ფრთხილად, მორჩილად შეიგნებს თავისი გარებულები არსების ტრაგიკულ ზეუდრს, უდრტივებლად შეუდგება განწმენდის, მაგიური ხილვების თეთრ გოლგოთას. მაგრამ გიორგი კალანდარიანს მოკუყუება არ შეიძლება. მასში მუდამ მოქმედებს უცნაური, ქვეცნობიერი ძალა მიხვედრის, დაფარულის ცოდნისა. არ შეიძლება მისი დილატი, მისი „ქვეყნის“ ხელყოფა, რადგან გუგუ კალანდარიან იგია, ვინც ნათლის სვეტში ცხოვრობს.

გიორგის დაავადება, რომლის ანამნეზსაც არ შევადგენთ, ფსიქიატრიის, ან მხოლოდ ფსიქიატრიის საგანი არ არის. იგი სულ სხვა ზნეობრივ ფესვებიდანაა ამოზიდული, სხვა სათავეთაგან მოედინება. ჰერეტიკი პასიურობა, მარტობის პათოლოგიური სიმპაფრთი განცდა და ზღაბრული ხილვები, რაც მთავარია მთვარის, თუთარჩელას საოცარი ზემოქმედება, სულ სხვა

შინაარს აძლევს ამ სენს. აქ მთავარია არა ავადმყოფობის მიმდინარეობა, არამედ სახშილი სწეულისთვის, ხსნა და გადარჩენა, მაგრამ ამ სენსაც ჰქონდა თავის ვარეშე ბიძგი, ობიექტური მიზეზი, ანინას შეცოდება — რომანის კადეც ერთი ძირითადი პრობლემა.

ამთავითვე უნდა დაეაზუსტოთ ერთი რამ: ანინას „შეცოდება“ არ არის სიძვა. შეიძლება და გვაჩინოს და ანინას დაახლოება პირდაპირ გადაგვტანს გრძნობადის სფეროში, მაშინ ყოველივე უბრალოდ აიხსნება: მიზეზთა და მიზეზთა გამო (ფიზიოლოგიური უკმარისობის, ან შინაგანი დაუქმყოფილებლობის, ან ჩვეულებრივი სისუსტის) ჭალი დაემორჩილა ვაჟს, შეერყა მორალური საყრდენი, ჩაეფუშა ვით „ბანქოს სახლი“. და რაღაა სალაპარაკო: ეს დაღატაკა და სხვა არაფერი. მაგრამ ანინას მორალური „გადარჩენა“ აუცილებელია, თუნდაც საიმისოდ, რომ გიორგის „გადარჩენის“ ლოკუტური და ზნეობრივი შესაძლებლობა დარჩეს.

დავიწყეთ შორიდან:

ნ. წულეისკირის მითვის ცენტრალური პერსონაჟია ოლია.

ნ. წულეისკირის ოლია გამოგონილია. მართალია ოლი, უძველეს წარმართულ პლასტებთან დაკავშირებული. სავარაუდოა, მოსავლისა და მოუსავლიანობის საერთო ქართული ღვთაებაა, მაგრამ ნ. წულეისკირის თუთაშ ოლიას მასთან არავითარი საერთო არ აქვს (თუ არ ვიგულისხმებთ სარიტუალო სიმღერა-ჰიმნების ოლია და ოდერის სახელწოდებებს, საიდანაც თუთაშის სახელია წარმოებული).

რომანში ოლია გარდასახვის რამდენიმე ეტაპს განიცდის: იგი ჯერ ბიჭუა-ბატკანიანი მეუღლანოა და მესიანური ფუნქცია აქისრია; შემდეგ თუთაშია და ერისმთავარი; მერე თუთა აღაზევებს „ერისიონზე“ და გარდაქმნის ჟინი-ანთარად (შინაური საქონლის მფარველად); მაგრამ ჟინი-ანთარი ოლია ერისისი მღვდლი განსახიერების ციას მეშვეობით მესამე კიდან მოიტაცებს მშვენიერ ნანას; განრისხებული თუთა მას ოჩოკოჩად გადააქცევს, ხოლო ციას ტყაშმაფად. ამ მომენტიდან ავტორი კვლავ უბრუნდება „ნამდვილ“ მითოლოგიას: ოჩოკოჩი დენის ტყაშმაფას — მითოსის ტრაგიკულ პერსონაჟს (სიყვე, ვით პანი დენის სირიქსს), ტყაშმაფა გაურბის, მაგრამ არ ძალუძს ბოლომდე წინ აღუდგეს ოჩოკოჩს. ეპიძიან ეპაშე ოჩოკოჩი იმორჩილებს მას. ტყაშმაფა იღუპება. შემდეგ ყველაფერი იწყება თავიდან.

იკვებება ოლიას ბუნების ორი საწყისი: მეუღლანობის, თუთაშის (საიდანაც მოდის გიორგი) და ოჩოკოჩის (საიდანაც მოდის გვაჩი). როცა გერგებ ამ ორ, ხსიათით უღარესად განსხვავებულ მაგრამ „ერმანეთის მსგავს“ კბატუს ეუბნება; თქვენ „ნამდვილი კალანდარიები“ ხართო, იგი თავის კალანდარიულ იდეალში კე-

პისიდაქცევი; ღმერთთან შერკინული ოლიის მთლიან სახეს, საპირისპირო საწყისთა შერყვევად ხედავს, როგორც მოქმედ, სრულქმნილ დამდვილ მდელი“ კალანდარიულ თვისებას.

ავტორი გმირების სახელების შერჩევისას გარკვეულ პრინციპს იცავს. არაფერი რომ არ ვთქვათ გიორგიზე (თეთრი გიორგისა და ღვთაება მთვარის იდენტურობაზე), სახელი გვაჩი ოჩოკოჩის ორგანული შემაღვენილია. (ოჩოკოჩი ორნაწილადი სახელია, „ოჩი-ის წინამორბედ ფორმალ ჯერ ვაჩია საფიქრებელი და ძველ საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი ვაჩე სწორედ ამ ძირისა და თავდაპირველი მნიშვნელობის სიტყვა უნდა იყოს. ხოლო ქართულ ფონეტიკაში ვ-ისის გვ-დ ზმირი შენაცვლებით ამ საკუთარი სახელიდან წარმომდგარი უნდა იყოს სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცთა საკუთარი სახელი გვაჩი-ი-ი. ჯავახიშვილი). ყოველივე კიდევ ერთხელ ამქედანებს მითოლოგიური ფენის ყოფითთან დაკავშირების ავტორისეულ მეთოდს.

იმ გარემოში, სადაც ანინა ცხოვრობს, მით უმეტეს თეთრ მთაზე, სადაც გვაჩისთან ერთად მოხვდა, ატმოსფეროში ხშიანობს ტყაშმაფას მოთქმა, მისი ტრაგიკული ცდუნება და უნებლიე მორჩილება. ატმოსფერო ქვეცნობიერად მოქმედებს ანინაზე, რამდენდემდე განაპირობებს მის საქციელს.

და კიდევ:

გერგებს „ნამდვილი კალანდარია“ და ანინას იდეალი თანხვედრია.

ანინას წარმოდგენაში გიორგი და გვაჩი ერთი მთლიანის, მამაკაცი-იდეალის (ოლიას) ორსახიანი ვასხეულებაა. გიორგი ამ იდეალის სულიერი და ზნეობრივი არსია, გვაჩი ემოციური, ბაქიური, ანინას წარმოდგენაში ისინი ერთიანდებთან, მათ შორის ზღვარი იშლება. გიორგის სიმშვიდეს, მის კურეტი, ანალიტიკურ ბუნებას ავსებს გვაჩის პლასტიკურად გამოკვეთილი, იმპულსური, მფეთქავი ხასიათი. და როცა ანინა მოექცევა თეთრი მთის წარმართული ხილვებით აღსავსე ვარემოში (თანამედროვე ფანტასმაგორიის ფონზე), იგი ემორჩილება გვაჩის, ვით ტყაშმაფა ოლია-ოჩოკოჩს, იმ ტკივილითა და ტრაგიკულის მძიმე განცდით, რაც აღერ მისთვის უტეხო იყო.

ანინა უახლოვდება და უერთდება თავის მამაკაცი-იდეალს, თუ გნებავთ, მამაკაცი-ღვთაებას. რაც სრულებით არ გამოირიცხავს ბოროტ საწყისს (ამ საწყისის უარსაყოფად ანინამაც უნდა განვლოს თავისი კათარზისი).

„ანინა გალურსტული იწვა გვაჩის მკლავებზე და ჩუშად ჩამოსდიოდა ცრემლები...“

გიორგი გვერდით გადაა, თითქოს ბუღას გზა

ობია პაპოკრია

დრო და სახელები



დაუთმო, როგორც კი ბულა გაუსწორდა, სოფელი ბიჭის სიმარლით აედევნა, აედევნა და ცალ რქას წყეტანა.

— ხომ იცი, რომ თავდადევნებით მიყვარხარ! — გვაჩის ხმამ გამოიყვანა ბურანიდან ანინა...

...ბულადა და გიორგიც მტერის კორდინტელში გაეხვია. დარტიანებული ბულა შედგა. თავი გაიქნია, ტლინები აჰყარა და გიორგი ქვაფენილზე მტერში გადააგდო. ამასობაში ანინა საღდაც რკინის კარებში შევარდა. ბულა იმ კართან მიიჭრა, ჩაეკტილ კარს მრისხანედ შეეხდა, ვერ გავანგრევეთ თუ იფიჭრა, გაბრაზებულმა დახარა თავი. წითელ ეშმაკთან ჰიდილის უინმა ცვლავ აიტანა. ჭერ უკანა ფეხი დაჰკრა ქვაფენილს, შემდეგ წინა ჩლიქებით დაუწყო ფხაჭენა. უინსა და ვნებას აჰყვა, აჰყვა, თავისი სქლო კუროს კისერი მოიდრია, თვალები დააბრიალა, ჰიაყულასდერი ხაოიანი ენა გადმოაგდო და ხაზარლად დაიწმუფლა..

— ანინა! ანინა! — ყვირილი ასტეხა გვანინა...

ამ სცენაში თეთრ მთაზე ნ. წულეისკირი ზღვარის წაშლის, გამოლიანების ფსიქოლოგიურად უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის და იქვე ვათავსებ, ორი დაპირისპირებული საწყისის ჰიდილიც ხდება საცნაური. მაგრამ ქალის წარმოდგენაში ფაქტი სახეს იცვლის. გიორგი ვერ ითრევის ბუღას; ეს უყვე გვაჩია; საინფელი; შემაბრუნებელი ხორციელი განსახიერება ოჩოკონისა.

(ანინა-ტყაშმაფას კავშირი პლასტიურ გამოხატულებათა პირობებს — ანინა დია კარში ტყის ქალივით გამოჩნდა. გაჩეჩილი ომეზით, მოკლე ღამის პერანგით, ფეხშიშველა ნამდვილი „ტყაშმაფა“ გვეგონებოდათ).

ტყაშმაფა „მოსქენის მღალა კლდეს, კივილით გარბის წყარანაზე, სასოფარკვეთილი უკანასკნელად სახარლად შეპაცილებს ქვეყნიერებას და ხრამში გადაიხეხება.“

გიორგის ლტოლვას ნათლისყენ, მის რწმუნას ბინდი გადაეფარა და ამ ბინდში, მარად ღეთა-ებრივისყენ მსწრაფი ზუგუ კალანდარია ჯაჭვებასხმული შედის და თან შეაქვს თავისი თეთრი ფერი, რათა სულიდან აღმოაფხვრას ბოროტი და ვანდევოს ბნელი, უარისი ვანუშორებელი „მეორე მე“ და გასპეტაცებული ამაღლდეს პატივამდე.

ამაღლდეს პატივამდე — ეს ძნელია და მხოლოდ რჩეულთათვის მისაწვდომი. გიორგი ვერ ვერ ახერხებს... იგი სულიერად ჭერ არ არის განწმენდილი და არ შეუძლია ბუნებრივი, ნამდვილი პატიება. პირველად მისთვის პატიება მხოლოდ თეორიული თვალსაზრისითა და არა სულიერი მოთხოვნისა.

„უნდა ვაპატიო“ — მინც ესაა გიორგის საბოლოო დასკვნა. „პატიებაა ღმერთი“, ამიტო-

მაც და მხოლოდ ამიტომ არა — შურისმძივნი ბენდენიერია ხუთი წუთით, მიმოცივებული მთელი სიცოცხლე. ამ მომენტიდან ხდება გიორგი კალანდარია ნორდ წულეისკირის „ქვეყნის“ წნობრივი ცენტრი.

ოდოია-თუთაში და ოდოია-ოჩოკიში მიეთურ რკალს ტოვებენ. იწყება ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრება და ზოგი რამ კიდევ ერთი, ახალი ასპექტით ნათდება.

ტურგენევის გმირი ამბობს — ქალის ღალატში ყოველთვის მიმაკაცს მიუძღვის ბრალი.

ძნელია გიორგის „ბრალის“ ფორმალური დადგენა. იგი სხვისთვის ცხოვრობს, სხვისად იღვწის, სხვათათვის იხარჯება; სულიერი წინადაგომობისთვისაა მოწოდებული (იქნებ ამიტომაც უნდა განვლიოს ტანჯვისა და განწმენდის ყველა რგალი).

და ამ ჩნდება ერთი ფარული ბზარი. ჰეკატეს ბალი თავისი ასკუპიოსის, თუნდაც ჰეკატეთუთას ატირებული „უნადართამით“, რისი შეშვებითაც გიორგი თავის პიანოზურ თნარს წურონდა, და რასაც ქალი ინტუიციითაც კი ვერ მისწვდა, ქმნის ერთგვარ სიერტეს, „არაის მიწას“ გიორგისა და ანინას შორის. ამ „არაის მიწაზე“ შემოდის გვანი კალანდარია — ხორცსავე და რომანტიკული, ცბიერი და თეატრალური.

საინტერესოა გვანის ლოგიკური „მინიშულაციები“, როცა იგი, მინც შეილი და ნათესავი თეისტომთა, ცდილობს გაარკვიოს და გააპაროილოს ლტოლვა ანინასადმი:

„საკვირველი გრძნობა არსებობს ბუნებაში, ყოველი მეძუტერი პატარა სულდამული საყვარელია. მგლის ლევიც კი ვინდა ხელში აიყვანო და ეალერსო, გულში ჩაიკრა, ყურებზარტყუნა, დაქუფსული, ჩაქუპატებული მგლის ლევი ძაღლისას ჰგავს, ღამზია, საყვარელი, ეტყობა, იღუმალი ხიბლით შემოსა იგი ვანჯვამ და მისცა პატარას მეტი ღვთისა, ვიდრე მგლისა. ხოლო ყოველი იქერისი მისდამი ღვთაებრივი გრძნობით განაწყო.

ამ სიყვარულით უყვარდა გვანის ანინა, თვითონ აღზოაინა ეს, თვითონ იფიჭრა ამაზე, ეკამთა საყუთარი თავს და დაასკვნა: ანინა მე როგორც ქალი კი არ მიყვარს, როგორც პატარა ღამზი ბავშვი, ან როგორც მზის ამოსვლა მომწონს, მიყვარს და მახარებსო.“

„მისცა პატარას მეტი ღვთისა, ვიდრე მგლისა“ — ღვთისა უცოდველობაა, უცოდველობის გამო უყვარს „ყოველ იქერისს“ მგლის ლევიც კი... ანინა, ვიდრე უცოდველია, მზის ამოსვლასავით ღამზია და სათელი, ამიტომია გვანი მისი მოწმინებული თაყვანისმცემელი, იკარგება ანინას უცოდველობა და ხდება იგი ჩვეულებრივი ცოდვილი ქალი. გვანი იმეგ წუთს ივიწყებს თავის „მზის ამოსვლის სიხარულს“, უმაღ ვითშება „საკვირველ გრძნობას“.

გვაჩი ანინას მფარველობას სთავაზობს, „ხომ გვაჩის ბრალის ანინას არევე-დარევა...“ და გვაჩიც, სადაც კი ანინა მოისურვებს იქ „აცხოვრებს“ მას.

ერთხელ „დაცემას“ შესაძლოა ცვლავ დაცემა მოჰყვას, ავტორი ამის თეორიულ შესაძლებლობასაც ტოვებს, ვიდრე გვაჩი ერთი ფრაზით — „ვისაც გინდა მოველა“, საბოლოოდ არ გამოეთიშება ანინას „რომანტიკულ“ ილუზიას და უცებ არ გახდება სცენარული — გვაჩი ქალის გაუმხელელი დეტაბის ის მაცდური იპოსტასია, ვისაც შეიძლება მხოლოდ ერთი ეთქვას — განვედ, სატანა ანინას შეგნებაში უცებ უკეთება საკუთარი შეცდომის მთელი სიმძიმე და უსამართლობა.

(ჩეხოვის „ხტუნია“ დღე და მოსწრება გენიოსებს ეძებდა. მხოლოდ ქმრის სიკვდილის დღეს გაიგო, რომ გენიოსი იქვე, გვერდით ჰყოლია. მაგრამ არ ჰგავდა ის კაცი ტალანტისა და შემოქმედის იმ ხორციელ ხატს, რაც ქალის აგზნებულ წარმოსახვაში არსებობდა. ასოციაცი ბირობითია, ანინა სხვაა, სულ სხვა... და მაინც, ანინაც ვერ „ხტედავდა“ ბოლომდე გიორგი კალანდარიას).

„ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“ — ანინას ღალატი ამ ღალატის ტოლფასოვანია, ავტორისთვის კი კიდევ ერთი, მოულოდნელი, უსამართლო, მაგრამ ნამდვილი, ყოფიერი ფაქტია. თუმცა, გიორგისა და ანინას პლასტიკაში, ქცევაში, თავშეაყვებულ სიამაყეში, თუნდაც შინაგან არისტოკრატიზმში არის ის გამაერთიანებელი ნიშანი, რაც მათ გათიშვას, დაშორებას შეუძლებელს ხდის.

„ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“ — ამბობდა ქირსტე და ხალხის სახეზე უსიამო მწუხარება იხატებოდა, მხოლოდ კედელზე აკრულ ამ ორ ურწმუნო სტუდენტს განათებოდა სხვაგვარად სახე. კაცის თვლი მარწმინდე შეინიშნავდა, რომ კედელთან ცრდილები კი არ იდგნენ. არც ის ნათება, რაც ახალგაზრდებს სახეზე ეფინათ, არ იყო ეშმაკისეული. გასაოცრად ლამაზები იყვნენ ისინი, რა უნათებლათ ასე სახეს, რა შუქი იყო, რა სხივი?

— ძველ წიგნებში ეწერა ამ შუქის ზუსტი სახელი „ნათელი“. სახეზე მართავეს ნათელი ადგა.“

სწორედ ამ ნათელის გადარჩენა ანინას უპირველესი ვალი, რადგან უმასოდ გიორგის დეტაბირივი არის წედობა შეუძლებელია.

თუთაშთა ზნეობრივი კანონი ცვლავ მოქმედებს...

ავტორი მას მაშინაც არ იეიწყებს, როცა კალანდარიგბს ჰყოფა (ცოტა არ იყოს მექანიკურად), ნამდვილ და ეურუ-კალანდარიგბად. იმ კალანდარიგბად, თეორი მთის სანახებს რომ განელტვიან, მოედანსა და ბაზარს ეტანებთან. თი-

თქვის ამითაც ეთიშება „ნამდვილთა“ ცხოვრების წესს და საკალანდარიოს პრაქტიკულ, უფრო ზუსტად, პრაგმატისტულ არს შეგნებენ.

„ნამდვილი კალანდარიია“ დიდოსტა. თუ გუგუ კალანდარიას ხორციელი ბუნება ერთგვარად პეკმონდილია, დიდოსტა კალანდარიების ხორციელი ფესვია და ძირი. მისი თაკარა სული მთელი ხალხის პატიოსნებისა და სულიერი მხნეობის უკუფუნა.

ჯიუტია დიდოსტა საკუთარი სიმატლის გაგებასა და დამკვიდრებაში. ჯიუტია და მიტევებას ეძინება. მან იცის, თუ ეურუ-კალანდარიას უმსგავსობას აპატიებს, ამით საკუთარ ზნეობაში შეიტანს ბზარს და შემდეგ... იქნებ გაფხვიერდეს და ჩაიფუნვას ის მყარი ნიღაგი, რასაც მძალური და მამარალი ხელებით დაყრდნობია.

მაგრამ დიდოსტამ კიდევ ბევრი იცის: თავისი საზოგადოების, თავისი თემის ერთიანობისა და განუყოფლობის ძალა და ფასი. იცის, როდის უნდა მისცეს მზარი თვით „მტერსაც“ კი, და როცა კალანდარიებს უცნაური და ირონიული სიკვდილი ეწვევთ (ირონიული) რადგან სულ სხვას უნდა წვევოდა, ასე სურდათ ეურუ-კალანდარიებს, და სულ სხვას მიაკითხა), დიდოსტა ქირსტეფალია და გლოვის ქურუმი; ქედ-მოდრეკილი, თალხით მოსილი და დარბასილი. აღსაყენ მიწისმუშისა და „სახლისმშენებლის“ ანტიკური სისადავითა და ძლიერებით. ღვას მისთვის უცხო და გაუგებარ „ეურუთა“ შორის, რადგან არ ძალუქს თვისტომის უარყოფა.

დიდოსტას ხსიათი „ბათუ კალანდარიის“ („თეთრი შთა“) ხსიათის თავისებური გამეორებაა, ბათუს ძლიერი, მიწიერი და მონღოლურ-ტური სახის განშტოება. და თუ ცვლავ ხსიათთა წარმომავლობაზე მიდგება საქმე — ბათუ და დიდოსტა უფრო ღრმა უშუალობისა და ბუნებრივი ძალის, ტოტემისა და კერპის მრწმენთა პირველქმნილი დასაბამიდან მოდიან. ბათუ და დიდოსტა არგის შთამომავლები არიან.

დიდოსტამ იცის, თავთავეს სიკვდილი თავთავის გადარჩენა, მიწა ყოველთვის მადლიერია ჩაღვრილი ოფლის, სიკვდილი შობს სიცოცხლეს... ესაა მისი მსოფლმხედველობის საყრდენი და ფუძე. იგი იმასაც ხედება, რომ გუგუ კალანდარიას დახვეწილ სულს (იმ გუგუსი, დაღვრილი სისხლის დანახვაც რომ არ შეუძლია) დიდი განსაცდელი მოელის და ცდილობს დიდოსტა გუგუ კალანდარიას „სისხლით წურთუნას“, ოღონდ ამით...

ღმინა პაპაქორია
ღრო და სახელეანი



ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს საგრძნობი ინტონაციური სხვაობა მითოლოგიურ და ყოფით პლასტებს შორის. ექსპოზიციის რამდენადმე მაღლებული ტონი მითის მეტაფორულ თვისების უკუფენაა. „მითი თავისი არსით იდენტურია პოეტური შემოქმედებისა...“ რა თქმა უნდა, გარკვეულმა ეგზალტაციამ თავისი პოეტური გამოხატულება ექსპოზიციის მიპოვა.

შემდეგ იწყება ყოფითი ნაწილი (იწყება უაღრესად დაძაბული და დინამიური სცენით). მკვეთრად იცვლება რიტმი, ინტონაცია და თხრობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტყველების მანერაც. ეს შეგნებთაა მიღწეული. მაგრამ ხდება უცნაური რამ: გასაგებია, რომ ემპირიული (აქ არაფერია სახიფათო, ემპირიული ყოველთვის როდი ნიშნავს აუგს) ვერ შეინარჩუნებდა პათეტიკას, ეს არც იყო საჭირო. და მაინც, რატომ აკლდება თხრობას ასე საგრძნობლად ენერჯია, რატომ ქრება თავიდან აღებული ტონი, ძნელია მიზეზის უბრალოდ მითითება. ყოველივე ეს, ასე ვთქვათ, ფორმალურად როდია გამოხატული. ერთიანი მელოდია ნაწევრდება, და რაც ნიშანდობლივია, დანაწევრებულ მონაკვეთებშიც არ არის დაცული ერთი რეგისტრი. ეს გამოწვეულია არა მარტო ინტონაციის საერთო შეცვლით (თავისთავად ისიც საძიებელია, თუ რა ცვლის ინტონაციას, რატომ დუნდება დინამიზმი), თვით ფრაზის ხასიათის შეცვლითაც, ერთგვარი უწონასწორობით, მეტყველების ზედმეტად გაუბრალოებით.

არ უნდა იყოს გამართლებული ცალკეული ფრაზის გამოდევნება, მით უმეტეს, როცა სპეციალურად არ ვიკვლევთ სტილსა და ენას, მაგრამ მაინც უნდა შევჩერდეთ ზოგიერთ მაგალითზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ პრინციპს, მწერლურ თვისებას გამოხატავენ. (საერთოდ, შესაძლოა სტილისტური ანალიზი უახლეს ქართულ პროზაში მალე სულ ერთი, ყველასათვის საერთოდ ფორმულით ამოიწუროს, თუ რატომ, ეს უკვე სხვა საკითხია).

ზემოთ მოვიტანეთ ამონაწერი: ანინა, მოხვედრილც უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში, წარმოსახვით უბრუნდება ბუღასთან შექიღების სცენას და იკვებება ოჩოკოჩის სახე:

„წითელ ეშმაკთან ჭიდილის ენისა კვლავ იტანა, ჯერ უკანა ფეხი დაჰკრა ქვაფენილს, შემ-

დეგ წინა ჩლიქებით დაუწყო ფხაზა, ენისა დანებას აჰყვა, აჰყვა, თავისი სქელი კურთხეული სერი პოიდრია, თვალები დააბრიალა, ჰიაყელასფერი ხაოიანი ენა გადმოაგდო და საზარლად დაიშფულა...“

(დახატულია მძაფრი სურათი, დაკავშირებული არანალებ მძაფრ ფსიქიკურ მდგომარეობასთან.)

ამ ადგილს მოსდევს ფრაზა:
 „— ანინა! ანინა! — ყვირილი ასტება გვაჩიმი...“

სწორედ ამ ფრაზაზე გვინდა შევჩერდეთ. პირადად ჩემში მან მოულოდნელი დამშვების, გაუბრალოების, დაძაბული სიტუაციის სრულიად ზედმეტი განტვირთვის შეგრძნება წარმოშვა. ფრაზა სწორია, მაგრამ, პირობითად რომ ვთქვათ, იგი სულ სხვა პროზიდანაა წამოღებული, სულ სხვა, მოძველებული იერი ახლავს და ამ ადგილას საერთოდ დაქვეითების შთაბეჭდილებასა ქმნის.

რა თქმა უნდა, რაც კურიოზი არ არის და არც ენობრივ ნორმებს არღვევს, მისი უვარგისობისა და ვარგისიანობის დასაბუთება როდია იოლი. ენერჯიის ნაკლებობა მხოლოდ შეგრძნებაა. თუმცა, ამ შეგრძნების სიხშირე უკვე თვისებად, უკეთეს შემთხვევაში, მანერად გარდაიქმნება.

„აი, ეს არის „ბაბა“, გრძელკაზიროკიანა თეთრი ქული რომ ახურავს, — უთხრა გიორგიმ ანინას.

— უიმე, როგორ მაინტერესებს გაცნობა! — შესძახა ანინამ.“

ანინა „თავის გრძელ თითებს სიცილის დასაფარავად სხვადასხვაგვარად იფარებდა ტურჩებზე.“

ამ ყოფაში რომ იყვნენ, უცებ სადღაც ყვირილი და ხმაური ატყდა“.

„ამ ყოფაში რომ იყვნენ“, ვფიქრობთ, ზედმეტია. ისევ დუნდება ფრაზა, „თუთარჩელას“ საერთო ხასიათისთვის უცხო იერს იძენს.

„უცებ გიორგიმ თვალი მოჰკრა გვაჩისა და მის ამხანაგებს, თურმე გვაჩიმაც ნახა ისინი“.

„კარგი ამინდი იყო და ერთმანეთითა და ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდნენ“.

აქ უკვე პრინციპზე მიდგა საქმე.

კარგი ამინდი, ერთმანეთითა და ბუნების სიმშვენიერით ტკბობა ერთი ტონალობის სიტყვებია და აქ სრული აზრობრივი თანხმობაა. ასეა, მაგრამ ეს მაინც ცივი მეტყველებაა, არის

ამ ფრაზაში რაღაც ისეთი, ზედმეტად აღწერილობითი, „ნაიადი“ თხრობითი, რაც გამოირჩეხავს ემოციურ კონტაქტს, განწყობილების გადმოცემასა და მის მკითხველში აღძვრას.

ჩვენ მხოლოდ ექსპოზიციის მომდევნო მცირე მოწვევით ავიღეთ, რათა რამდენადმე მივინც გავრცეულიყავით რატმის მოდუნების, ერთგვარი თვისობრივი ცვლილების მიზეზებში.

აქ ერთ ვითარებასთანაც უნდა გვეჩინდეს საქმე (რაც უფრო პოზიციაც უნდა იყოს, ვიდრე უნებლიე რამ), ფრაზა ხშირად მხოლოდ მოქმედებას; მოძრაობას, საქციელს გადმოცემს და არ ხატავს, არ იძლევა ემოციურ და ესთეტიკურ შესატყვისს. ფრაზას აქვია პლასტიურობა. სისადავისთვის მომეტებულმა ზრუნვამ, ცოტა არ იყოს, გულგრილობის იერი მიიღო (უცნაურია, იმავე დროს იგრძნობა დიდი სიფრთხილაცა და ლექსიციის გამრავალფეროვნების სურვილიც), აგრეთვე, მოქმედების ფეხდაფეხ, ყოველგვარი ტრანსფორმაციის გარეშე მიყოლამ განსაპირობა თხრობის მანერა და მეტყველების სტილი.

ეგზალტაციამ და ეგზალტაციის მდგომარეობიდან გამოსვლამ პროზაში პირდაპირი გამოხატულება არ უნდა პოვოს. ეს ძნელია, მაგრამ სასურველი. თუკი ექსპოზიციაც და თითქმის ყველა ადგილი, სადაც თემა იძლევა ემოციური დაძაბვის პირობას, სისადავითა და იმავე დროს არტიტიზმითაა აღბეჭდილი, რატომ სუსტდება; თითქმის ქრება შემდეგ ეს არტიტიზმი (ჩვენ არ გვინდა მიზეზი თითქოსდა ამბავის ხასიათის შეცვლაში ვეძიოთ, ეს იოლია გზა იქნებოდა), რატომ ჩნდება ფრაზაში ზედმეტი გაუზარალოების, ემოციურისგან განმუხტვის ტენდენციაცა და, რაც მთავარია, ენერჯის ნაკლებობის განცდა. იქნებ უკიდურესობამდეც მივდივართ, მაგრამ „თუთარჩელა“ ის ნაწარმოებია, სადაც სხვა და სხვა სიმძლევებზე აქლიმატიზაციისთვის ზრუნვა უდავოდ ხელის შემშლელია.

როცა „თუთარჩელას“ სტრუქტურაზე, მის ზნეობრივ და აზრობრივ კონცეპციაზე ვმსჯელობდით, რთული და მნიშვნელოვანი სურათი მივიღეთ. რაც მთავარია, მივიღეთ დასკვნა — ნოდარ წულუღისკირი ძირითადად აღწევს ჩვეულებრივი ყოფის, ცხოვრებისეულის შერწყმას თანამ იდეალიზაციასთან.

ეს ცოტა როდია, მაგრამ შესრულების, ამ უღარესად მნიშვნელოვანი პრინციპის მხატვრუ-

ლად განსახიერების თვალსაზრისით, ეფიქრობა „თუთარჩელა“ არათანაბრად დაწერილი.

რა თქმა უნდა, ეს პირადი აზრია და სრულეზობითაც არ აქვს შეუვალი ქეშმარიტების პრეტენზია. აღმოსავლეთში უთქვამთ: „ერწმუნე მას, ვინც ჭეშმარიტებას ეძიებს, ნურაფერს ირწმუნებ მისას, ვინც უკვე მოიძია იგი“.

ნოდარ წულუღისკირი სინამდვილის ერთგულია. ამის დადასტურებაა მოტივი „მიცვალებული ქონება“. აქ ერთიც უნდა გაირკვეს. თუ ჩვენ საერთოდ უარყავთ ზოგადი, მარადიული მორალური კატეგორიების გვერდით ყოფითის, ყოველდღიურის არსებობის ავტორიტეტულ თვალსაზრისს (დაპირისპირებული ზნეობრივი კატეგორიების თანაარსებობას, რაც პიროვნებებიდან საზოგადოებაზეც ვრცელდება), მაშინ, რასაკვირველია, ეს მოტივი „უცხო სხეულია“. თუ დავუშვებთ, ქურუ-კალანდარიების არსებობა, მათი ზნეობრივი მრწამსი აუცილებელი ფონია, რაზეც მოცულობითი სურათი უნდა დაიხატოს, მაშინ „ქურუთა“ თვისება ამომწურავად უნდა იქნეს ნაჩვენები. საკალანდარიო მხოლოდ წარმართული ხილვების განყენებულ საშუალო როდია. საკალანდარიო კონკრეტული, ეთნიკურად შემოგარსული „ქვეყანა“. წინააღმდეგობათა შემცველი, მრავალპლანიანი... საკალანდარიო ქურუ კალანდარიებიცაა, იქნებ მეტადაც.

უარყოფის, მხილების საფუძველი იგივე ზნეობრივი პოზიციაცა, რაც თეორი მთის კალანდარიათა ცხოვრების კანონს შეადგენს. ყოველი განყენებული ეთიკური პრობლემა მიიმეღუნითა და მამაგრებული რეალობასთან. ავტორი ნატურალისტურ სიზუსტესაც არ ერიდება.

ჩვენ არ მივყვებით „თუთარჩელას“ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა თანმიმდევრულ დახასიათებას. ორი ძირითადი ჯგუფი, გამოყოფილი ავტორის მიერ, თითქმის თანაბარი ლირებულეების მქონეა. მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულიერი ინტენსივობის, ზნეობრივი დატვირთვის მხრივ მნიშვნელოვანია პირველი, „ნამდვილ კალანდარიათა“ ჯგუფი. ეს არ არის მხოლოდ განყენებულ მორალურ კატეგორიათა სტერილური, უფერობო ატმოსფერო (უნდა გამოეტყდეთ, ამის საშვიროვბაც არსებობდა), ბოლოსდაბოლოს, ეს მაინც იქვის, ძიების ზნეო-

მონი პაპაშვილი

დრო და სხანალები

ბრივი სრულყოფისკენ სწრაფვის რეალური ქვეყანაა. თუმცა, კალანდარიათა გათიშვა რამდენადმე მიინც შექანიკურია. გიორგის ჩასვლა მოედანზე, მისი ურთიერთობა სოფელთან სხვა ქვეყანაში მგზავრობასა ჰგავს. მიუხედავად გიორგის და ანინას პროფესიისა, გიორგის წარუწვი-სა თანასოფლელებზე, ეს არ არის აქტიური ურთიერთობა (სხვათაშორის, შესაძლოა ესეც თხრობის მანერის ბრალი იყოს).

არის რომანში ერთი, ჩვენი აზრით, ზუსტი დეტალი. როცა გიორგი დაავადდება, სოფელი უცებ იხსენებს მისი ბავშვობის სახელს. ახლა სოფლისთვის გიორგი კალანდარია გუგუ კალანდარია. ექიმი გიორგი თავისი ლაშაზე ცოლით, ჰეკატეს ბალით, ჰიპნოზით პატივსაცემი და, ცოტა არ იყოს, უცხო იყო. დასნეულდა გიორგი და სოფელმა გაიშინაურა, გაითავისა „საბრალო გუგუ კალანდარია“, სუსტი და სნეული, მისახედი და საპატრონო. მოხდა გიორგის ცხოვრებაში რაღაც იღუმალი უბედურება და უბირი ღერწმინაც კი ცდილობს ამ იღუმალს საფარველი ახადოს. ოღონდ ღვარძლისა და ანგარების გამო არა. უბრალოდ, ჩნდება საბაბი, რომ ეს თავშეკავებული და ამაყი კაცი საბოლოოდ გახდეს „თავისიანი“. იმ ტრაგიკუ-

ლით და „არაჩვეულებრივით“ (ჯაქვების მით, რაც პიეტაა), გიორგი კალანდარიას ცხოვრებაში რომ იჭრება, იგი უახლოვდება საკუთარი ბუნების სრულქმნილ არსს და იმავე დროს აღამიანებსაც.

მწელი მარტოობა, მამაკაცის მარტოობა, სულიერი განახლებისა და ზეობის იღუმალი სამყარო. იგი არც გლოვავა და არც ასკეტური უარყოფა ცხოვრების სიამეთა. ყოველ ვაჟკაცს თანახლეა და ამ მარტოობაში ეძიებს იგი საკუთარი თავის მოპოვების ნიჭს. გიორგი კალანდარიამ იცის მისი ფასი და ისიც იცის, რომ ამ მარტოობის დარღვევა არავის ძალუძს.

„თუთარჩელა! თუთარჩელა!

ვარსკვლავიანი ცა აჩაღულ სანებს დამობიან, ცასა და მიწას შორის არის კავშირი და მაინც მიწის შვილებს იქედნურად კვიცქერის კორფლიანი ტატნობი...

მაღალი გვიმრებიდან ჯაქვების ეღარუნით გამოდის გუგუ კალანდარია.

ახ, საწყალი გუგუ კალანდარია!..
თორმეტთა ეტლთა და თექვსმეტთა ვარსკვლავთა იციან გუგუ კალანდარიას იღმალისი...
იციან მისი დაბრუნების ნათელი ვა...



საქართველოს ისტორიის ზოგადი საქმის

(XII საუკუნის პირველი მეოთხედი)

ისტორიული საბუთებიდან აშკარად ჩანს, რომ შიდაკლასობრივი ბრძოლა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში ძალზე მწვავედ მიმდინარებდა. დიდგვარიან ფეოდალთა ბრძოლა სამეფო ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმძაფრით გიორგი მეორისა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში (XI საუკუნის მიწურული — XII საუკუნის დასაწყისი) გამოვლინდა.

ამჯერად გვინდა შევჩერდეთ დიდგვარიანი ფეოდალების ძაგანისა და მოდიტოსის საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ. ეს საკითხი დღესდღეობით არ არის სათანადოდ შესწავლილი. უფრო მეტიც, ბევრს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (მათ შორის სახელმძღვანელოებში ვაჩვენებ) საერთოდ არაფერია თქმული მის შესახებ.

ისტორიული წყარო, სადაც მოთხრობილია ზემოთხსენებულ დიდგვაროვან ფეოდალთა მოქმედების შესახებ, ვახლავთ დავით აღმაშენებლის ანდერძი, მიცემული შიო მღვიმის მონასტრისადმი 1123 წელს. აღნიშნული საბუთი საქმად საინტერესო კომენტარით და რუსული თარგმნითურთ გამოსცა და ხელმისაწვდომი გახდა თ. ჯორდანიამ.¹ „ანდერძი“ იძლევა უაღრესად დიდ და საინტერესო მასალას იმდროინდელი საქელსის ცხოვრების შესახებ და საქმად გამოკვეთილად ვგაბლავთ ცნობას ზოგიერთი ფეოდალის თავგანსული, უგვანო მოქმედების შესახებ. ასეთები კი მრავლად ყოფილან, რომლებიც „ცხადთა წინააღმდეგობად“² (აშკარა მოწინააღმდეგებად) იწოდებიან. მათ სიმ-

რავლუზე ისიც მიუთითებს, რომ „ანდერძი“ ხანგანსით ამბობს „ერთმან მოგანმან, ძაგანმან“...³ და ა. შ. ე. ი. ძაგანი სამეფო კარის ერთი მოწინააღმდეგეთაგანი იყო (და არა ერთადერთი).

1123 წლის ანდერძის მიხედვით დავით აღმაშენებელს შიო მღვიმის მონასტრისათვის უამრავი ქონება უბოძებია და განუსაზღვრავს წესი და რიგი მონასტრში ცხოვრება-სამსახურისა. ანდერძიდან ირკვევა, რომ მონასტრის შუადგვილას აღმართული ღვთისმშობლის სახელობის დიდი უკუშმათო ეკლესია დავით აღმაშენებელს აუშენებია⁴ იმ დიდი სამსახურის საფასურად, რაც მემღვიმეებს მეფისათვის გაუწევიათ (დავით აღმაშენებლისაგან დევნილი და მღვიმეს შეფარებული ძაგანი შეუტყუიათ და მიუტყუიათ მეფისათვის): „მწყემსი უკაროა კეშმარითა მწყემსთა — მიერ დაეშუა და ძაგანი მღვიმეს შელტოლილი მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა მცირედი ერთგულება არქენეს ჩუენდა მომართ მამათა მემღვიმეთა... მადლობე აღვუიარე დამბადებელსა ღმერთსა და თავგანისცეც... შმიდისა შიოს საფლავსა... მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათოდ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიად საშუალ მონასტრისა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისასა“.

ახლა ვნახოთ თუ რა ჩაიღინა ძაგანმა ქვეყნისა და სამეფო კარის წინაშე ასეთი საშინელი, რომ საჭიროველს გუფმ ეცოდან დიდი წაღობის მოითხოვს დანაშაულის ჩადენის დროც და აგრეთვე რიგი საკითხებისა, რომელიც ამ დიდგვარიანი ფეოდალის სახელთან არის დაკავშირებული.⁵ კიდევ ვიმეორებთ, რომ მს-

¹ Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шю-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895. იხ. მისივე ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 14-18.

² Ф. Жордания, Завещание, Тб., 1895, გვ. 10.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 9-10.

⁵ იქვე, გვ. 10.

⁶ ჩვენ ვაკვირთ შევეხეთ აღნიშნულ საკითხს ნაშრომში „დავით აღმაშენებელი“ (თბ., 1965, გვ. 9-10).




ცემული საკითხის შესახებ არაფერი მოგვეპოვება გარდა თ. ეორდანიასეული, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო კომენტარებისა, თუმცა ასევე მივვანია, რომ განსვენებული მეცნიერის ზოგიერთი მოსაზრება გადახედვას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძაგანის საგვარეულო¹ ისევე როგორც ზოგიერთი სხვა საგვარეულოები (მაგალითად ბლავაშთა სახლი), ტრადიციულ მტრობას უწყევდა საქართველოს სამეფო კარს და ისტორიის მთელ მანძილზე, მეფისადმი ერთგულებით არ გამოირჩეოდა. ამის შესახებ თვით დავით აღმაშენებელი გვამცნობს „ანდერძში“ — „...რომელ სხვათაცაჲ ჰქონებოდა მათა გუარა და არავის ოდეს ექნა ჩუენი (დავით აღმაშენებლისა და მისი წინაპრებისა — რ. მ.) ერთგულება“² (ხაზგასმა ჩემია — რ. მ.). საქართველოს მეფე ერთგვარი სინანულით აღ-

¹ ფეოდალური საგვარეულოების მკვლევარს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ნ. შოშიაშვილს მიიჩნია, რომ ძაგანი აბულეთის საგვარეულოს წარმომადგენელია და კახეთის ერისთავის პატივის მატარებელი.

აბულეთის ძეთა ფეოდალური სახლის გენეალოგია ისტორიული წყაროების საფუძველზე შემდეგი სახით წარმოგვიადგება:



აღნიშნული საკითხის შესახებ ცნობის მოწოდებისათვის ჩვენ მადლობას მოვასხენებთ ისტ. მეცნ. კანდიდატს ნ. შოშიაშვილს.

² Ф. Жордания, Завещание, გვ. 13.

ნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული მხარდებისა, რომელიც საქართველოს მეფეების მხრიდან ძაგანის წინაპართა მიმართ იყო განხორციელებული, არავის (ძაგანის გვარის წარმომადგენლებს) ერთგულებით არ დაუფასებია. ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ პრინციპულ ბრძოლასთან, რომელშიც, ერთის მხრივ, საქართველოს მეფე დგას, ხოლო, მეორე მხრით, დიდგვარიანი ფეოდალი — ძაგანი.

როდის უნდა მომხდარიყო ძაგანის გალაშქრება საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ, ან რა სახის გამოსვლას უნდა ჰქონოდა ადგილი ამ ფეოდალის მხრიდან?

განსვენებული თედო ეორდანიას რამდენადმე შეეცადა პასუხი გაეცა ამ კითხვისათვის. კერძოდ, მან მიიჩნია, რომ ძაგანი ის პირი იყო, რომელმაც აღსართან კახთა მეფეს მოლაღატურად გადასცა მუხრანისა და ზედაზნის ციხეები:

«Упомянутый в завещании Дзагам, вероятно, есть тот самый вельможа, который изменив царю Давиду, передал Агсартану принадлежавшие грузинскому царству крепости Мухран и Зеда-Задени (защита которых, вероятно, была поручена ему грузинскими царями Давидом и Георгием II). Со всеми землями в пределах сих укреплений лежавшими»³.
 თ. ეორდანიას ეს ვარაუდი უსათუოდ უტრადსაღებია. საინტერესოა აგრეთვე მისი მტკიცება დავით აღმაშენებლისა და გიორგი მეფის ერთობლივი მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში დღემდე არ მოგვეპოვება საბოლოოდ დადგენილი თარიღი საქართველოს მეფის გიორგი მეორის გარდაცვალებისა. ის ფაქტი, რომ მარტინე ვალმოვეტემს რა გიორგი მეორის მიერ დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე აყვანას 1089 წ. ხოლო შემდგომ საერთოდ აღარ მოიხსენიებს მას (გიორგი მეორეს) ისტორიკოსებს აძლედათ იმის საშუალებას, რომ სხვადასხვაგვარად ემეჭრათ გიორგი მეორის შემდგომ ბედზე. ასე, მაგალითად, ვახუშტი ბავრაციონი პირდაპირ გადაჭრით აღნიშნავს: „...მოიცალა მეფე გიორგი წელსა 1089, ქართულსა 309“⁴. იგივე აზრობს აკადემიკოსი მარი ბროსიც⁵. ნ. ურბნე-

³ იქვე, გვ. 4.

⁴ ვახუშტი, საქართველოს ისტორია. განმარტებული და შეგებული ახლად შექმნილას არხელოგოურისა და ისტორიულას ცნობებით. დ. ზ. ბაქრაძის მიერ, თბ.: 1885, გვ. 172.

⁵ მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, I, თბ.: 1895, გვ. 149, მ. ბროსე, გადაჭრით დარწმუნებული არ ყოფილა თავის დათარიღებაში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი არ გამოორცხავდა გიორგის სიცოცხლეს 1089-1092 წწ. იხ. მისი Historie de la Georgie. Introd. გვ. XIV.

ლი და დ. კარიჭავჭელიშვილი გიორგი მეორის გარდაცვალების თარიღად 1112 წელს სდებენ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ერთგვარად ააჩივრა თავი ამ თარიღის მოცემას, ალბათ ისტორიული მასალის უქმარობის გამო. თ. ყორღანია დაბეჭდვით მიუთითებს გიორგი მეორის 1112 წელს გარდაცვალების შესახებ. უფრო მეტიც, იგი აღნიშნავს, რომ ამ დრომდე გიორგი მეორე არამც თუ ცოცხლობდა მხოლოდ, არამედ ქვეყნის მართვისა და პოლიტიკაშიც ეტროდა.

მართლაც, რაკი ჩვენ არავითარი საბუთი არ გავაჩნია, რომელიც გიორგი მეორის გარდაცვალების მიგვანიშნებდეს, შეიძლება რამდენადმე ვავიზიროთ მოსახრება საქართველოს მეფის 1112 წელს გარდაცვალების შესახებ. მით უმეტეს, რომ თ. ყორღანიას თუმცა მცირე, მაგრამ მინიმუმ მოაქვს მასალა თავისი ვარაუდის დასაბუთებლად. კერძოდ, „აფხაზთ მეფეთა ქრონიკიდან“ ქქსა: ტლბ — დასაბამითგან: ხლივა აქა მოტყუენა -- იყო ქ'ა ქ'ყ -- თამარ შირვინით გამოვიდა და გ'ი მ-შ'კლ- --4 ეს დაზიანებული წარწერა თ. ყორღანიამ ასე წაიკითხა: „ქრონიკონსა: ტლბ: დასაბამითგან: ხლივ: აქა მოტყუენვა იყო ყოველსა ქვეყანასა: თამარ შირვინით გამოვიდა და გიორგი მეფე მოკლუა“¹ ამგვარად, გიორგი მეორე, თუ ამ წყაროს სისწორეში ექვს არ შევიტანთ, 1112 წელს გარდაცვლილა.

ჩვენ განსაკუთრებით ზნერდებით გიორგი მეორის გარდაცვალებაზე იმბტომ, რომ თ. ყორღანია სავანგებო დასკვნებს აკეთებს აქედან გამომდინარე ძაგანის გამოსვლასთან (ლაღატთან) დაკავშირებით. ასე, მაგალითად, „ანდერშიშ“ მოყვანილი: „ოდეს ზეზანდისა (ზედაზნისა — რ. მ.) ციხე და მუხრანა ძუელითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მაშამან ჩემთან უბოძა...“² თ. ყორღანიას მიანიშნავს გიორგი მეორის დიდი როლის (უფრო მეტის, ვიდრე დავით აღმაშენებლის) დამადასტურებლად სხვადასხვა საქმეების ვადაჭრავში³.

ამრიგად, აფხაზთა ზემოთმოყვანილი ქრონიკის წყალობით თ. ყორღანია აქტიუტებს რა, რომ გიორგი მეორე 1112 წლამდე ცხოვრობდა, ამავე დროს მიიჩნევს, რომ ამავე დრომდე იგი იყო დავით აღმაშენებელთან ერთად სახელმწიფოს მართვის სათავეებში და წამყვან როლს

ასრულებდა. (ეს უნახსენებელი დავით აღმაშენებლის „ანდერშიდან“ გამოჰყავს).

«... Царь Георгий не только являлся живым и после 1089 года, но и царем играющим первенствующую роль при совместном царствовании с сыном...»⁴

ვიმეორებთ, ჩვენ სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია ის ვარაუდობა, რომ გიორგი მეორემ იტოცხლა 1112 წლამდე (და არა 1089 წლამდე), მაგრამ რაც შეეხება მის ესოდენ უხარმხარავტორიტეტსა და როლს («Первенствующую роль») დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის დროს, გაზვიადებული და უფრო მეტიც, არასწორი შეფასება აქვს მიტყუებული. თ. ყორღანია მთერ, გამოდინარე აქედან დაშვებული ჩანს ზოგიერთი შეცდომა ძაგანის ღალატის დროს განსაზღვრასა და ამ მოვლენასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებშიც.

ვეფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ისეთი ძლიერი მეფის მოღვაწეობის პერიოდში, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო (რომლის დროსაც ქვეყანამ ცენტრალიზაციის, ხოლო სამეფო ხელისუფლებამ სიძლიერის მწვერვალს მიაღწია). არავის შეეძლო წინ აღსდგომოდა მის ნებასურვილს (თუნდაც ეს მისი მამა ყოფილიყო) მით უმეტეს, როდესაც საქმე მოღალატესა და მეფის მოწინააღმდეგეს ეხებოდა.

ჩვენი აზრით, სრულიად გამორიცხული უნდა იყოს გიორგი მეორის ჩარევა სახელმწიფო საქმეებში (თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ყოფილიყო იგი) 1089 წლის შემდგომ. საქმე იმაშია, რომ დავით აღმაშენებლის გამეფება, რომელიც განპირობებული იყო ერთის მხრივ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, ხოლო მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების მწვერვალისთვის, არ შეიძლებოდა ისე მშვიდად მომხდარიყო, როგორც ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს („ამას მართლად შობილსა გიორგისაგან თუთ მაშამან დაადგა გვრვინი მეფობისა...“)⁵. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ეს იყო გადატრიალება, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა ერთი გარკვეული ჯგუფის მონდომებითა და აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. და თუ გიორგი მეორემ თავისივე ხელით დაადგა შვილს სამეფო გვირგვინი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოქმედება საკუთარი სურვილის ქვივალენტური გამოხატულება ყოფილიყო. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აქ გარკვეულ იძულებას ექნებოდა ადგილი. სხვა შემთხვევაში საქართველოს მეფის ძალა-უფლების მთლიანად შემკვიდრებე ვადაცემა ალბათ არ მოხდებოდა.

¹ იქვე, გვ. 7-8.

² ქართლის ცხოვრება, I, თბ: 1955, გვ. 324.

რომის მხრეკველი

სამართლმლოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი

1 ნ. უბრენლი, დავით აღმაშენებელი და მისი დრო, „დროება“, 1894.

2 დ. კარიჭავჭელიშვილი, საქართველო მეთორმეტე საუკუნეში, თბ: 1902, გვ. 44.

3 Ф. Жордания, Завещание, გვ. 7-8.

4 თ. ყორღანია, ქრონიკები, I, თბ: 1892, გვ. 239.

5 თ. ყორღანია, ქრონიკები, I, იქვე:

6 Ф. Жордания, Завещание, გვ. 13.

7 იქვე, გვ. 7.



შოდა. უფრო მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დავით აღმაშენებელი თვითონ იყო აქტიური მებრძოლი სამეფო ხელისუფლების სადავეების მთლიანად (ნაწილობრივ იგი 1085 წლამდე მართავდა ქვეყანას მამასთან ერთად. ამაზე დაწერილებით ქვემოთ შეგვიჩვენებთ) ხელში აღებისა და გამორიცხული არ არის, რომ ამ სურვილის აღსრულება სხვა ღონისძიებების გატარებულ შემთხვევაშიც ხდებოდა. მოგვჩანია, რომ ეს კონფლიქტი მამასა და შვილს შორის იმდენად მწვავე იყო, რომ დავით აღმაშენებელს თავისი მოქმედება საკუთარი მამის წინაშე უდიდეს ცოდვად მიიჩნდა და იგი არაერთხელ იგონებდა მას. მოვიკონოთ მისი «გალობანი სინანულისანი». (ეს ძეგლი XII საუკუნის ქართული სასულიერო პოეზიის მეტად საინტერესო ძეგლია.² ქრისტიანული საკაცობრიო სეგლის გამომხატველ ამ ნაწარმოებში მკაფიოდ ჩანს დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობა და მისი ძლიერი პიროვნება). ან კიდევ შიო-მღვიმის მონასტრისადმი მიცემულ ანდერძში მისი სიტყვები: «ო (უფალო) ღ'თო, დავითს მიუტევებ ბრალნი მისნი სიყარმისა და ცთომილებისანი».³

სწორედ ეს «გალობანი სინანულისანი» და «ბრალნი მისნი სიყარმისა და ცთომილებისანი» ვიორგი მეორე⁴ წინაშე ჩადენილი მძიმე მოქმედების (ალბათ მისი ტახტიდან გადაყენების)

¹ მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882 წ.; გვ. გვ. 513-518.

² აღნიშნული ძეგლის შესახებ საინტერესო წერილი აქვს დაბეჭდილი მ. კაკაბაძეს — იხ. მისი «დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა»; მნათობი, 1962 წ. № 4, გვ. გვ. 136-143.

³ **Ф. Жордания, Завещание**, გვ. 12. დავით აღმაშენებელი თავის 1125 წლის ანდერძშიც საგანგებოდ აღნიშნავს: «...არა დამიტევა მე საწუთრომან და დამძიმებულ ცოდვათას იმ რა ცლითა მწუხარედ განმიყვანა წინაშე მსაყულისა».

⁴ ვიორგი მეორის მეფობა მეტად რთულსა და მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში მიმდინარეობდა, რამაც ობიექტურად განაპირობა საქართველოს სამეფოს ერთგვარი დაქვეითება. ვიორგი მეორე მიუხედავად მრავალჯისი სხვადასხვაგვარი მკვლელობისა დაღებით შედეგს ვერ აღწევდა ქვეყნის აღმავლობის გზაზე დასაყენებლად. ჩვენ მიგვჩანია, რომ ვიორგი მეორის შესახებ დღემდე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გაბატონებული და დამკვიდრებული აზრი (ვიორგი მეორის როგორც სუსტისა და ქარაფშუტა მეფის შესახებ) გადახედვას მოითხოვს. ვიორგი მეორის მიერ გატარებული ღონისძიებები გამდგარი დიდგვარისა

გამო მიუძღოდა დავით აღმაშენებელს დემეტრე ტაო მითხოვდა ამ «ცოდვათა» მიტევებას ლმერთისაგან. თავის დროზე თეოდორი ერდანიანი არ ყოფილა შორის ამ მოსაზრებისაგან. იგი დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმის მონასტრისადმი მიცემული 1123 წლის ანდერძის რუსულ თარგმანში, იქ სადაც «ბრალსა» და ცთომილებათა» ლაპარაკი შენიშნავს:

«Вероятно, тут разумеется слишком строгое обращение царя с изменниками или, может быть, какие-либо крупные недоразумения с отцом его, Георгием II, вовлекшим юного царя в тяжкие грехи»⁵. განა შეიძლება მოლატებეთან მკაცრი მოქცევა («Строго обращение царя с изменниками») ცოდვად ჩათვალიყო და მოსახანებელი ვახტანგისა საქართველოს მეფეს? რა თქმა უნდა, არა. ასეთ შემთხვევაში მოსალოტებელი არაფერი ექნებოდა მოლატებელთა დამორჩევნულ დავით აღმაშენებელს. ბუნებრივია, საქმე გვაქვს მამა-შვილს შორის მწვავე კონფლიქტთან, რომელიც სამეფო ძალაუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა («Крупные недоразумения с отцом его...») თ. ერდანიანი ვაკვირვებულის სჯამდა შეკითხვას: «Ужели предполагать что воцарение Давида сопровождалось какими-либо насильями, и первенство в управлении царством исторгнуто им из рук отца вопреки воли последнего»⁶.

გამომდინარე აქედან ჩანს, რომ განსვენებული მეცნიერის ხელთ არსებული მასალა იძლეოდა საშუალებას ვარაუდის სახით შეკითხვა დაესვა დავით აღმაშენებლის მიერ ხელისუფლების ძალით («какими либо насильями») აღების შესახებ.

მიგვჩანია, რომ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გავცეს. დავით აღმაშენებლის მიერ ძალაუფლების ხელში აღება (გარკვეული ძალის გამოყენებით) ნაკარნახევი იყო, უპირველესად ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესებით, (იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა მითხოვდა ახალ, ძლიერ მეთაურს), ამავე დროს ეს იყო დიდგვარიანი ფეოდალთა დიდი ჭკუდის (მათ შორის, ბუნებრივია, თვით დავით აღმაშენებლის) ნება-სურვილის გამოხატულება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების

ფეოდალების მიწების დასაჩუქრება იყო ეს, თუ თუნდაც ვეყენის ციხის ალყის უტყარი (იქნებ არც კი იყო უტყარი) მოხსნა გამოწვეული უნდა იყოს არა მეფის რაიმე ქარაფშუტული კაპრიზით (როგორც ამას მიიჩნევენ), არამედ გარკვეული მოსაზრებით ვადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ერთი სიტყვით, ეს საკითხი ცალკე ობიექტური გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს.

⁵ **Ф. Жордания, Завещание...**, გვ. 25.
⁶ **Ф. Жордания, там же.**



სადავეების ასეთი ძალით აღების შემდეგ, ყოფილი მეფე გიორგი მეორე სახელმწიფო მმართველობისათვის უნდა მოეშორებინათ და გარკვეულ იწოდებინათ მოქცეათ. ამას მოათხოვდა სახელმწიფოს ერთმართველი მეფის (დავით აღმაშენებლის) ინტერესები. ასე რომ, სამეფო კარზე ასეთ გადატარალებას შემდეგ, რამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლა გიორგი მეორეს, ძველად დასაშვებია, რომ მისთვის სახელმწიფო ცხოვრების თუნდაც უმნიშვნელო საკითხი მიენდოთ ვადასაქრვლად.

მაშ რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ თვით დავით აღმაშენებელი წერს მოთმობისადმი 1123 წელს მოცემულ ანდერძში: «არა იყო ნება ჩემი; მაშინ ჩემმან უბოძაა¹, რომლის გამოც თ. შორდანიი ფიქრობდა, რომ გიორგი მეორე მთელი სიცოცხლის მანძილზე (1089 წლიდანაც კი, ვიდრე 1112 წლამდე) წამყვან როლს («первенствующую роль») ასრულებდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეში.

ფიქრობთ, რომ აქ ბევრი საკითხი მოითხოვს დაკვირვებასა და გარკვევას: საქმე იმაშია, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში ხაზგასმითა აღნიშნულია: «ოდეს ზეზადანისა ციხე და მუხრანის ძუელი თვან ვეცადე მათვან (ძავანი და მისი) წინაბრებია მხედრელობაში — რ. მ.) ძებნიოთა მაშინცა არა იყო ნება ჩემი...² და სხვ. ვ. ი. ზედანისა და მუხრანის დაბრუნება «ძუელითვან» უცლია და «მაშინცა» ვერა გაუწყვია არა, როგორც ჩანს, უფულებობის გამო («არა იყო ნება ჩემი»³). როდის იყო ეს «ძუელითვან» და «მაშინცა»?

თ. შორდანისა არ მიუტყვევია ამ სიტყვებისათვის ყურადღება და «ანდერძის» საერთო ანალიზის სადემუგელზე მსჯელობდა, საიდანაც გამოძინარეობს, რომ ძავანის შებყრობა 1101-სა და 1103 წლებს შუა უნდა მომხდარიყო.³

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს ძავანისა და მისი საგვარეულოს წარმომადგენლების სხვადასხვა სახის (დალატი, განდგომა) არაერთგზის გამოსვლასთან საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი ხაზგასმით ამბობს: «...მით რომელ სხუთაჲცაჲ კჳონებოდა მათთა გუარითა და არა ეის ოდეს ექნა ჩვენი ერთგულება»⁴ ასეთ დასკვნა საქართველოს მეფე შემთხვევით არ გააკეთებდა. საფიქრებელია, რომ ძავანი და მისი გვარის წარ-

მომადგენლები, ისევე როგორც ბაღვაშთა საგვარეულო არაერთხელ გამოსულან სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ საკუთარი ინტერესების დაცვა-გაფართოებისათვის.

საინტერესოა საკითხი, თუ როდის იყო საქართველოს მეფე ისეთი უფლები, რომ თავისი სურვილი ვერ განახორციელა ქვეყნის მოღალატეების მიმართ, რადგან თურმე «არა იყო ნება» მისი. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს 1089 წლის შემდეგ არ შეიძლებოდა მომხდარიყო (თუ იმატომ ამავე ზემოთაც გვეწონა ლაპარაკი და ახლა სადავებოდ ამ საკითხზე შეჩერება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად), რადგან ამ დროიდან ქვეყანას სათავეში ჩაუდგა უაღრესად ძლიერი ბიარვანება, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი გამპრიახობით და შორსმკვრეტელური დიპლომატიით, გაბედული მოქმედებით შინ და გარეთ, ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. აქ უკვე მეორე საკითხი ისმება. განა 1089 წლამდე დავით აღმაშენებელს ჰქონდა რაიმე გავლენა სამეფო კარზე? თუნდაც იმდენი, რომ მას რაიმე გარკვეული საკითხი გადაეჭრა? (ზოგჯერ, როგორც ვნახეთ, ვერც ჭრად საკითხს რამდენადმე უფულებობის გამო, რადგან, ბუნებრივია, მეფე-მამის ავტორიტეტი დიდი იყო და მისი ნებასურვილიც კანონად ითვლებოდა). ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გვაქვს, 1089 წლამდე გიორგი მეორის შორსმის დათვის არა თუ რაიმე უბრალო გავლენა ჰქონდა საქართველოს სამეფოში, არამედ იგი მეფის თანამმართველადაც კი ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ უკვე 1085 წელს დავითი იწოდებოდა მეფედ და სევასტოსსად. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დავით გარეჯის წიგნისათვის ალმოჩენილი ზელნაჟერის 1085 წლის მინაწერს:

«დაესრულა საწელიწადო საწინასწარმეტყველო წესსა ზუდა ბერძულსა, ახალთარგნილი წა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრულ ყოვლითორთ და უნაკლო. მე სულთა საწყალბებელმან ეგნატი დავურე წა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლეარისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღვთიე — გვრგვნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა»⁵.

ამგვარად, უკვე 1085 წელს, გიორგი მეორის მეფობის დროს, დავითი იწოდებოდა მეფედ და სევასტოსად. ბუნებრივია, რომ ქვეყანას განაგებს მეფეთა-მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად გარკვეული უფლებები სამეფოს მართვის საქმეში მის მკერწლოვან (1085 წელს დავითი 12 წლის იქნებოდა) შვილსაც ჰქონდა.

⁵ თ. შორდანიი, ქრონიკები, I, გვ. 232.

¹ Ф. Жордания, Завещание..., გვ. 13.

² იქვე, შტრ. პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემული ტექსტი. იხ. «ქართული სამართლის ძეგლები» თბ. 1965, გვ. 16.

³ იქვე, შტრ. პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემული ტექსტი. იხ. «ქართული სამართლის ძეგლები», თბ. 1965, გვ. 5-6.

⁴ Ф. Жордания, იქვე, გვ. 13.

რომის მხარეზელი
საპარტიველოს ისტორიის ზომიერი
საპიონი



ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული — გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი — შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი¹. როგორც ცნობილია, ამ ბერძნულ ტიტულებს ბიზანტიის იმპერია აძლევდა სხვადასხვა ქვეყნების მეფეებს თავისი გავლენის დასამტკიცებლად. ქართველი მეფეებიც ასე იყვნენ. მაგალითად, ბაგრატ მეოთხე ჯერ ნოველისიმოსის ტიტულს ატარებდა, ხოლო შემდეგ სევასტოსისა. მის მიერ მოჭრილი მონეტების ზედწერილები ასეა: ადასტურებენ ამას: „ქრისტე, ადიღე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“, სხვა მონეტაზე ბაგრატი უკვე „სევასტოსად“ იხსენიება².

არ არის გამორიცხული, რომ ზემოთმოყვანილ წარწერაში დავითის სევასტოსად ხსენება შემთხვევით, წამწერლის ნებასურვილით კი არ იყოს გაპირობებული, არამედ საესკებით შეესატყვისებოდეს მის პირდაპირ მნიშვნელობას. შესაძლებელია მას შემდეგ, რაც გიორგი მეორე შვილი თანამართლულად გაიხადა, ამ უკანასკნელმა (დავითმა) ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან სევასტოსის (!) მაღალი პატივი მიიღო³.

კოველევი ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებელს 1085 წლიდან (შეიძლება ცოცა აღრიდანიც) თუმცა ნომინალურად, მაგრამ მინც ჰქონდა ქვეყნის მმართველის გარკვეული უფლებები, ვფიქრობთ, რომ მის მიერ ძაგანისათვის (ან მისი გვარის რომელიმე წარმომადგენლისათვის) სამფლობელოს ჩამოართმევს და სწორედ 1085-1089 წლებს შუა უნდა ყოფილიყო, ამ დროს ისიც კანონზომიერია, რომ იგი ვერ წაევიდოდა მისი მამის გიორგი მეორის ნებასურვილს წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში (ეს ფაქტი რომ დავით აღმაშენებლის უშუალო მეგობარს პერიოდში მომხდარიყო), თითქმის მთელი ამიერკავკასიის გამაერთიანებელი ძლიერი და თავმოყვარე მეფე („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“) 1123 წელს ასე ხამაძლავ არ განაცხადებდა „არა იყო ნებადა ჩემი“-ო.

ამგვარად, ძაგანის საგვარეულოს წარმომადგენელთა ერთ-ერთი გამოსვლას — ლალატს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ — ადგილი უნდა ჰქონოდა 1085-1089 წლებს შორის. რო-

გორც ჩანს, ეს გამოსვლა მარცხით დამთავრებულია, რის შემდეგაც საქართველოს მემკვიდრეობათა გარკვეულად დაუსჯიათ. მაგრამ უკიდურესი ზომები არ მიუღია გამომსვლელთა (მოლაღატეთა) მიმართ.

განვიხილოთ უფრო დანწირილებით მოცემული საყიბო, რა პირობებში, რა მიზნით უნდა მომხდარიყო ძაგანის (ან მისი გვარის წარმომადგენლების) გამოსვლა (ლაღატი).

ჩვენ ზემოთაღ აღენიშნეთ, რომ ასეთი გამოსვლები არაერთი უნდა ყოფილიყო. ამგვარად ერთ-ერთ მათგანზე გვიდა შევჩერდეთ (1085-1089 წლებს შორის რომ მოხდა).

გიორგი მეორეს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. ფეოდალთა აღვირახსნილი ცენტრიდანულ მოქმედების გარდა საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი ე. წ. „დიდი თურქობა“ დაიწყო (XI საუკუნის 80-იანი წლები).

საქართველოს დამოუკიდებლობა შენარჩუნებული იქნა სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურ მძიმე ხარკის საფასურად. ამ დროს დღის წესრიგში დადგა კახეთის საყიბო. ამ საყიბოს განხილვას საკვლევი პრობლემის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმე ის არის, რომ გიორგი მეორე დიდებულითა რჩევით თვითონ ეახლა სულტან მალქ-შაჰს „ქრისტიაწეთა ხსნისათვის“. საქართველოს მეფის ასეთი მისიით კმაყოფილ სულტანს გაუთავისუფლება „სამეფო მისი (გიორგისი — რ. მ.)... ზედამარბველთაგან“. ამავე დროს მიუფა კახეთი და პერტიონ და თან ლაშქარი გამოუყოლებია, „რათა პართან კახეთის“ როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი (მათ შორის ზედაზნის ციხე და მუხრანს) აქლიათ კიდე სულთნისა ლაშქრის მეშვე-

4. სხვადავა რა ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, ამავე დროს თურქების სიძლიერეს, ხოლო ძალი ბერძენთაგა შემციტებელი იყო“. გიორგი მეორემ შეკრიბა დიდებულები და ითათბირა მათთან, რის შემდეგაც „ჰყო განზრახვა თვსთა თანა, და დაამტკიცეს წარსვლა მაღალსა სულტანსა მალქშაჰს წინაშე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321).

5. კახეთი და პერტიონ მალქ-შაჰს არ ექუთენოდა და ამდენად მას არც მისი ბოძებეს იურიდიული უფლება ჰქონდა. კახეთს თავისი მეფე ჰყავდა — აღსართანი. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციული ქართული პროვინციები არც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს სამეფო იმდენად შემციტებული იყო, რომ „სახლდარი სამეფოსა მითა მცირე ღიბთა და სადგომი სამეფო წაღლისათვი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324). ე. ი. სამეფოს სახლდარი ღიბის მისი იქეთ იყო.

6. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

¹ უნდა აღენიშნოთ, რომ სევასტოსი ყველაზე დაბალი ტიტული არ არის. ქვემოთ არის ნოველისიმოსი (გარკვეულ დროს ბაგრატ მეოთხე ატარებდა ამ ტიტულს).

² დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბ: 1950, გვ. გვ. 42-43. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი; თბ: 1965, გვ. 88.

³ შესაძლებელია ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან დამოუკიდებლადაც თვით გიორგი მეორემ მიანიჭა შვილს სევასტოსობა.



ბით საქართველოს სამეფოს მესჯურებებს. ეს 1083-84 წწ. უნდა ყოფილიყო. აქ აღსართანმა ხერხი იხმარა, თვითონ ეახლა სულთანს, „დაუტყუა ქრისტიანობა და შევიძინა სარკინოზთა სხუელსა“. ამით „აიღო სულტნისაგან კახეთი“. აღსართანი აქტიურად მოქმედებს თავისი სამფლობელოს დასაბრუნებლად და აღწევს კიდეც ამას (1086-1087 წწ.). თ. ყორღანია ვარაუდობს, რომ სწორედ ამ დროს ზედანისა და მუხრანის მფლობელი ძავანი ლალტოზს საქართველოს მეფეს და თავის სამფლობელოს კახეთის მეფე აღსართანს გადასცემს. ეს მოსახერხება სინამდვილისაგან შორს არ უნდა იყოს. სინამდვილე კი, რატომ უნდა ეღალატა ძავანს გიორგი მეორისათვის?

საფიქრებელია, რომ ძავანისა და მისი საგვარეულოს უპარტებულო მოქმედების გამო ამ დიდ ფეოდალსა და საქართველოს მეფეს შორის დიდ უთანხმოებას უნდა ჰქონოდა ადგილი, რის გამოც მეფემ ურჩ ფეოდალს, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, გარკვეული სასჯელი მიუხლო. შეიძლება ამ დროს (ალბათ ეს 1035-87 წწ. შორის იქნებოდა) დასვა დავიძინა საქიფი ძავანისათვის მიწების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ მამამ არ გაუგონა. დროებით დაშოშიონებული ძავანი კი, გრძობდა რა მამა-შვილის (გიორგი მეორისა და დავითის) დაძაბულ დამოკიდებულებას, ახალ მომენტს უცდიდა, რათა სამაგიერო გადაეხადა საქართველოს მეფისათვის;

ასეთი მომენტი ძავანს მაშინ დაუდგა, როდესაც მალექ-შაჰმა კახეთი აღსართანს დაუბრუნა. იგი, ბუნებრივია, ითვლისწინებდა საქართველოს საშინაო და საგარეო რთულ მდგომარეობას და ამიტომაც არ დააყოვნა — ზედანე და მუხრანი კახეთის მეფეს გადასცა. ალბათ ძავანსა და აღსართანს შორის არსებობდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამ მიწების მიღების შემდგომ ძავანი კვლავ იტოვებდა მათი მმართველის უფლებებს. რა გასაკვირია, რომ კახეთის მეფეც ასეთ შემოთავაზებას დათანხმებულიყო და ძავანი „თავის ეცაღა“ ეცნო. ჩვენი აზრით, თ. ყორღანია მართებულად მიიჩნევს, რომ ძავანი თავის სამფლობელოს დავით აღმაშენებლის მიერ ზედანის აღებამდე მართავდა (1103 წ.).²

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი მიცემულ „ანდერძში“ მოხსენებულ ძავანისა და მოდისტოსის მეფის საწინააღ-

მდგომარეობების ფაქტს, მას ადგილი უნდა ჰქონოდა ზედანის დავით აღმაშენებლის მიერ აღების (1103 წლის) შემდგომ. ამგვარად, უკვე ხედავდა რა თავის უიმედო მდგომარეობას, საქართველოსა და მისი მეფის აღმავლობას, ძავანმა უთანხმოელი ვაბრძოლება სცადა. „ძავანმა, შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთამან, მძლავრებით ღმრთისადა არაპირდმან, თანვე ძისა (უნდა იყოს ძმისა — რ. მ). თვისისა მოდისტოს, წინაუკმოხა მღვდელთ-მოძღვრისა, რომელმან ერთმან პატრონთა თჳსთა წყალობამა მათ ზედა საისტრელად აღმახუა, ხოლო მეორემან ღმრთისადა განუთენითა ეკლესიები ააზეზთ-მჩენოდა თჳსად მიიტაცა“.³

უკვე გვინდა შევინშნოთ, რომ პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემულ („ქართული სამართლის ძეგლებში“) „ანდერძში“ მოდისტოსი მოხსენებულია არა ძედ („ძისა თვისისა მოდისტოს“), არამედ ძმად „ძმისა თვისისა მოდისტოს“⁴ სხვათა შორის, თვითონ თ. ყორღანიაც მის მიერ გამოცემული ტექსტის საწინააღმდეგოდ (არა მხოლოდ ქართულად, არამედ რუსულ თარგმანშიც «сын его Модистоса წერია») კომენტარებში მოიხსენიებს მოდისტოსს ძავანის ძმად «Дзагам и брат его Модистоса»⁵.

დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი მიცემულ 1123 წლის „ანდერძს“ ჩვენამდე შემორჩენილი ფოტოპირია აშკარად იძლევა იმის საშუალებას, რომ გარკვევით იქნას წაკითხული: „ძმისა მისისა“. ამგვარად, მოდისტოსი არის ძავანის ძმა და არა შვილი.⁷

როგორც „ანდერძის“ ტექსტიდან ირკვევა, ძავანს ხელთ უდგია „მძლავრებით“ მცხეთის, წილენისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულეები. შიომღვიმე ძავანს სიმამრედ გადაუქცევეს და თავის შეფარებაც იქ უცლია. რაც შეეხება მოდისტოსს, იგი წილენის ეპარქიის ეპისკოპოსის პატივში აუყვანია და მისი მეოხებითაც არა ერთი მიწა მიუტაცია: „აწ ძავანმან საღვამოდ საეპისკოპოსონიცა უდიდესნი ზარნა სამთავროდ, თჳთ ადრიღგან მამაობასა ეწერაყუ საეპისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დამეპირნეს, და წილენისა საყდრისა, მონასტრისა. რაცა იყო: მთასა ციხე, მარანი ანუ მატური

³ Ф. Жордания, Завещание..., გვ. 10.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, გამოცემული პროფ. ი. დოლიძის მიერ, თბ. 1965, გვ. 13.

⁵ Ф. Жордания, დასახ. გამოცემა, გვ. 17.

⁶ იქვე, გვ. 3.

⁷ იხ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიომღვიმისათვის დაწერილი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ.: 1912, გვ. 6.

როინ მებრძველი
სამართლებლო ინსტორიის ზომიერითი საპირთი

ოგ სოფელი და მღვწე მონასტრი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვთ¹.

ამგვარად, ძაგანისა და მოდისტოსის ეს გამოსვლა, საფიქრებელია, მოხდა სწორედ 1103 წელს, როცა ძაგანმა ზედანზენე თავის უფლებები დაეკარგა და ეს ციხე დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს დაუბრუნა. ამ დროს ძაგანსა და მის მომხრეებს ისღა დარჩენოდათ, უკანასკნელად გაებრძოლათ საქართველოს მეფის წინააღმდეგ და არ დამორჩილებოდნენ მის წინაშე. დავით აღმაშენებელმა, ისევე როგორც ბევრი სხვა მოწინააღმდეგე ფეოდალების აღვირახსნილი მოქმედება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, ალგამა მათი თავგასულობა. ძაგანი იძულებული გახდა, საქართველოს მეფისაგან დევნილი, შიო-მღვიმის მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. აქ უკვე აღარ გაუმართლა ძაგანს. საეკლესიო მასხურებმა, როგორც ჩანს, აწონ-დაწონეს საქართველოს სამეფოს აღმავალი ძლიერება (ჩვენ არ ვამოვრცხავთ მათ პატიოსნებასაც მეფის საქმისათვის სამსახურში) და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საქართველოს მეფეს მისცეს შეპყრობილი ძაგანი. თვით დავით აღმაშენებელი ამ ფაქტს აფასებს, როგორც ერთგულების გამოხატულებას მის მიმართ: „და ძაგანი, მღვიმეს შელტოლოცილი, მომცა ღმერთთან, რომელსა შინა არა მცირებდა ერგულეებაჲ, არჟუნეს ჩუენდა მომართ მამათა მეგდვმეთა. რამეთუ იხარებს მართალი, რაჟამ იხილოს შურისგებაჲ“².

ამგვარად, ძაგანი და მისი მომხრეები შეიპყრო დავით აღმაშენებელმა. ფაქტია ის, რომ ძაგანი დავითს სიყვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მესთვის ყველა პატივი და ღირსება აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონები მისა-მიმართ თესებულ და მღვმეს ქონებანი მისნი სავაზაჲკონი და წარტყუენიანი“ მისთვის დაუტოვებია სიყვდილამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ძაგანის შთამომავლობა ჰყარგავს ყოველგვარ უფლებას ზემოთ აღნიშნულ ქონებაზე.

„ანდროჲ“ ამტკიცებს: „ოღეს მოიქცეს³ საღმობა მისი (ძაგანის, — რ. მ) თავსა მისსა, ყოველი ყოველითავე უქუენებით ნაქონები მისა-მომართ... ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან განჩინთ სწერია. აღარ-ოდეს მიგელოს და არცა ვის სხუასა საქმე უც მღვმესა — თანა და არცა მღვმისა ქუბათა“⁴.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 16.

² ანდროჲ დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, თბ. 1965, გვ. 13.

³ Завещание..., გვ. 13.

⁴ პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემულ ტექსტში წერია „მოიქცა“.

⁵ Завещание... გვ. 13. რა უნდა იგულისხმებოდეს „ანდროჲს“ სიტყვებში: „ვითა მამისა

აქ დაახლოებით იმგვარად იქცევა მეფე, როგორც ლიპარიტ ბაღვაშის დასჯისას (საერთოდ უსპობს მომავალში მეფის საწინააღმდეგე გამოხატვის საშუალებას. კლდეკარის საერო-მთავრობის მის რატის ვარდაცვალების შემდეგ მთლიანად საქართველოს სამეფოს შემოუერთა). — არა მხოლოდ ძაგანს უსწორებდა, არამედ საერთოდ მის შთამომავლობას უსპობს გზას სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგე რაიმე მოქმედებისაკენ.

ამავე პერიოდში ჩანს დავით აღმაშენებლის ბრძანებით შიო-მღვიმის ე. წ. ღვთისმშობლის მონასტრის მშენებლობის დაწყება, რომელიც იმ ერთგულების ერთგვარი საზღაური იყო, რაც მემღვიმეებმა ძაგანის შეპყრობით და მისი მეფისადმი ვადაცემით დაიმსახურეს. „მადლობა აღუვადო დაბადებულისა ღმერთსა და თაყვანისყვე ღმერთ შემოსილსა წმინდისა მამისა შიოს საფლავსა... მხიარულებით აღსავსე სამო-

ჩემისა ბრძანებასა შიგან განჩინთ სწერია“? აქ უსათუოდ მხედველობაშია გიორგი მეორის სიცილი, რომელიც შიო-მღვიმის მონასტრისადმი მიცემული აღნიშნული სიგელი 1072-73 წ.წ. თარიღდება და იგი ფაქტობრივად წარმოადგენს განახლებას ყველა უფლებისა, რომელიც ბაგრატი მეოთხის მიერ ჰქონდა ნაბოძები მონასტრის (აიგი სიგელნი გაუახლენით და დაწერილი დაუმტკიცენით“ — ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 10.). გიორგი მეორის ეს სიგელი აკანონებს შიო-მღვიმის მონასტრის უფლებებს მთელ რიგ მიწებზე. (აქვე ვითა აღადგენ ღმერთთან ძლიერსა მეფეთა-მეფესა გიორგის ბაგრატიონისა, დაოწერია წმინდისა შიოსათვის და ყოველნი საქონელი მისნი ყოვლის შუაგულსაგან ვითავისუფლებიან“ — გვ. 12). აი ეს უნდა ჰქონდეს მხედველობაში დავით აღმაშენებელს თავის 1123 წ. „ანდროჲში“, როცა იგი მამა მისის, გიორგი მეორის ბრძანებას მოიხსენიებს.

თ. გორაძის კიდევ ერთი გუჯარი მიანიხიავს გიორგი მეორის მიერ გაცემულად შიო-მღვიმის მონასტრისადმი. იგი ამ დოკუმენტს 1082 წლით ათარიღებს. აქ ალბათ არ არის საჭირო ფართო მსჯელობა ამ საკითხზე. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს გუჯარი არ უნდა იყოს გიორგი მეორისა (მეუხედავად იმ მსჯელობისა, რომელსაც განსვენებული მეცნიერი თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად აყეთებს — იხ. ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 13). ამის მტკიცების საშუალებას თვით ტექსტი იძლევა. ალბათ ამიტომაც არ უნდა იყოს შემოხვევითი, რომ პროფ. ი. დოლიძემ აღნიშნული საბუთი გამოაქვეყნა, როგორც გიორგი მესამისეული (იხ. მისი, ქართული სამართლის ძეგლები, 11, თბ. 1965, გვ. 20-24).



თხის მსგავსისა მის ლავრისათვის. მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოა ჩემი და ვარწმუნე აღმწინებად ეკლესია და საშუალ მონასტრისა სახელსა ზედა ყოველად წმიდისა ღვთისა — მშობლისასაჲ! ამდენად, აღნიშნული ეკლესიის (ტაბრის) მშენებლობა 1103 წელს უნდა დაწყებულყო. 1123 წლისათვის ეკლესიის მშენებლობა ძირითადად დამთავრებული იყო («ვიხილე ეკლესია ჩემ — მიერ აღშენებული დასრულებულად»¹).

ამგვარად, როგორც ზემოთ ვნახეთ საქართველოს სამეფო კარს (გიორგი მეორე, დავით აღმაშენებელი) უხდებოდა მწვავე, მეტად მძიმე და მწელი ბრძოლა დიდგვარიან ფეოდალებთან. ბუნებრივია, მხოლოდ ძაგანი და მისი შთამომავლობა არ იყო საქართველოს განზრდისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე (მსგავსი მაგალითები უხვად გვაქვს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში). უთანხმოება მეფესა და ფეოდალებს შორის იმდენად ხშირი და ფართო მასშტაბის ყოფილა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულსტიკვილით განზოგადოებულად დაღაღებებს: «ეინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდდნენ, განსუქნენ და დიდება პოიან და ვანსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატრიანე ქართლისა და საქმენი აჲ ხილულნი»². სწორედ ამიტომ მთელი ძალით უხდებოდა საქართველოს სამეფო ხელი-სუფლებას ბრძოლა შინაურ მტრებთან — ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეებთან. ასეთ ბრძოლას XI-XII საუკუნეებში თითქმის ყველა მეფე ატარებდა, მაგრამ გიორგი მეორე და დავით აღმაშენებელი გამოირჩევიან მათ შორის.

თვთ მეფე-მეფეთა იქმოდა საჭირველთა უკირველად: ცხადთა წინააღმდეგობთა განგებულისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად: იღუმალთა.

კვალად ზაქუვისათვის შორის მფარველთა არა შეუნდობდა სიციბილად, რომელთა თანად თვენი მიიღეს ზაქუვისა მათისათვის საცთური»⁴.

დავით აღმაშენებლის «ანდერძის» ეს ნაწილი (რომ არაფერი ვთქვათ «მატიანე ქართლისას» და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობების შესახებ) აშკარად მიგვანიშნებს მძიმე შიდაკლასობრივი ბრძოლის არსებობაზე. დავით აღმაშენებლის აპოლოგეტი მისივე ისტორიკოსი ყოველგვარად ცდილობს გაამართლოს საქართველოს მეფის მკაცრი მოქმედება მისი შიდაკლასობრივი მტრების (დიდგვარიანი ფეოდალები, ეკლესია) წინააღმდეგ. «უცეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანი, ნაკვლად ორგულთა, ჰბანათა და უღირსთა, აღიდნეს, რა უსამართლო ქნაჲ კითხულობა ისტორიკოსი და თვითონვე იძლევა პასუხს: «უხმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თვისთა აბრალუბდნენ»⁷. დავითის ისტორიკოსი ძალიან საინტერესო ცნობებს გვაძლევს ჩვენ, იმის შესახებ, რომ ასეთი «უხმარნი და უღირსნი» საქმოდ მრავლად იყვნენ XI-XII საუკუნეების საქართველოში. ძაგანი და მოდისტოსი თავისი საგვარეულოთი (მათთა გუართა «არაიის ოდეს ქენა ჩვენნი ერთგულთა») ლიპარიტი და რატი (მათთან ერთად ბლევამთა მთელი სახლი) სწორედ ამგვარ მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალთა ერთგული წარმომადგენლები არიან.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XI საუკუნის მიწურულს და XII საუკუნის დასაწყისში ერთიანი საქართველოს საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას კლასობრივი ბრძოლის გვერდით (პარალელურად) არსებული მწვავე და მძაფრი შიდა კლასობრივი (მეფეებისა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის არსებული) ბრძოლა განსაზღვრავდა.

1 Завещание..., გვ. 10.
 2 იქვე, გვ. 9-10.
 3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.
 4 Завещание..., გვ. 10.
 5 ეკლესიისა და სასულიერო წოდების სამეფო ხელისუფლებასთან დამირისპირების შემთხვევები ცალკე საკითხია და აქ მასზე არ ვჩერდებით.
 6 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.
 7 იქვე, გვ. 360.





შაირი, გურთი და მოედანი

მე ხელთ მაქვს ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში გამოცემული ერთი პატარა წიგნი, მას არ ამშვენებს მდიდრულად გაფორმებული სურათები, ტიტული და არც კონტრეტული ქაღალდის თხელ ყდაზე გაკრული ხელით აღმუშავებული ავტორის ფაქსიმილე — გრიგოლ აბაშიძე, წიგნში მეორე ლექსად მოთავსებულია „შაირი, ბურთი და მოედანი“, რომელსაც წამძღვარებელი აქვს რუსთაველის ცნობილი სტროფი, „ეითა ცხენსა შარა გრძელით“ რომ იწყება.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, წიგნი ძალიან პატარაა, „დიდი ღამისა“ და „ღოშარღას“ ერთობლივი გამოცემის ერთი მეთათხადი თუ იქნება. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე ჩემი სულიერი თანამგზავრია. მის პაწაწინა ფურცლებზე მეგობარი პოეტის მღელვარე სიჭაბუკე ნამდვილი გახატული სუნთქვაა. წიგნი, მართალია, შინაარსობრივად გამოკვეთილი სათაური არ აწერია, მაგრამ მთლიანობაში იგი გამსჭვალულია „შაირის, ბურთისა და მოედნის“ რომანტიკული რიტმიითა და დინამიკით.

მკითხველი ბევრი შეგხვდება გზაში,
მაყურებელიც — ნაირნაირი,
მათ ერთნაირად იტაცებს ტაშით
კარგი დარტყმა და კარგი შაირი.
მათ უყვართ ბურთი და ფეხბურთელი,
უყვართ პოეტი და ფაშავენი;
ბრწყინავს სურვილით გამოუთქმელით
მათი თვალების თვფარავინი...

თავიდანვე გრიგოლ აბაშიძის ოცნება იყო, რაც შეიძლება მკიდრო კონტაქტში. მკიდრო ურთიერთობაში ყოფილიყო ფართო მასებთან თავისი შემოქმედებითი მოწოდებით. ამისათვის კი საჭირო იყო — მათი სურვილებითა და მისწრაფებებით ეცხოვრა მასაც. აქი მისი თაობის ერთი წარმომადგენელი ამბობდა კიდევ: შენ ვინ დაგითმობს სიტყვის მოედანს, მასების სისხლის დენა თუ არ ხართ და საკუთარ სიმძლავრეში დაიმედებული განაგრძობდა: მოვალე ქუხილით და ბარათშეიღს ჩვენ გამოვტაცებთ ხელიდან მერანსო...

მერანი მერნად დარჩეს და გრიგოლ აბაშიძემ კი ჭაბუკობიდანვე მაგრად ჩაავლო ხელი ფაფარში თავისი ფიქრისა და ოცნების ნაღვალ-ქედვად თეთროსნ. მაგრად ჩაავლო ხელი, რადგან იგი საამისოდ უკვე კარგად იყო აღჭურვილი. ჯერ კიდევ სრულად ახალგაზრდას შემოქმედებითად ჰქონდა ათვისებული ქართული პოეზიის კლასიკური მემკვიდრეობა, შესანიშნავად ერ-

კვეოდა თანამედროვე პოეზიის პრობლემატიკაში, მის პოეტიკასა და ვერსიფიკაციაში.

მართალია, ახალგაზრდა პოეტი ზოგჯერ მეტრისმეტად ტვირთავდა თავის ლექსებს ბრჭყვიალა მეტაფორებითა და ორნამენტებით, რითაც ერთგვარ ხარკს უხდიდა ფორმალისტურ პოეზიას, მაგრამ ეს იყო გამოწვეული არა რაიმე მსოფლმხედველობის გამო, არამედ დაუღუღლებელი სიჭაბუკის ცდუნებებით.

ხშირად რითმა, ახალბედა პოეტის შემოქმედებაში, მიხეილ სვეტლოვის თქმისა არ იყოს, კეკელეც დედოფლად გვევლინება, კეკელეც დედოფლად, რომელიც განსაკუთრებულ აღურსა და მომსახურებას მოითხოვს ავტორისაგან. ასე ემართებოდა ერთხანობას გრიგოლ აბაშიძესაც... ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან რითმა უკვე დედოფალი კი არა, მხევალაა, რომელიც ახლა პირიქით, ავტორის ნება-სურვილს ემორჩილება და ემსახურება.

საილუსტრაციოდ აქ შეიძლება დავასახელოთ ძლიერი, თითქმის მითითური სახეებით დატვირთული ორი პოეტური ნაწარმოები — „ქურდო ნიკორა“ და „ძმები“.

ნელი ნაბჯით მოდიოდა ნაბალახარი,
სოფლის წყაროსთან შეჩოჩქოლდა უცტრად
ჯოგი.

უდაბნოს მგზავრის დახარბებით დააკვდა ხარი
წყაროს, და სუნთქვა შეუჩერდა მუხლზე
ღაროქილს.

ქურდ ნიკორას მუხლზე მთვარე აქვს თანდაყოლილი, ისიც ნაბალახარ ჯოგთან ერთად სოფლის წყაროსთან ჩერდება წყურვილის მოსაკლავად. წყლით სავსე აუზში მთვარე ლაბლაბებს, მაგრამ აი ამოიხაბა, გათვდა წყალი და წყალთან ერთად აუზიდან მთვარეც გაქრა. მთვარიანში მუხლზე მთვარით მხოლოდ ნიკორა მოხვერი ჩანდა და გიშვრა ხარმაც სწორედ მას დაუწყო ცქერა, მერე სხეებისათვის ბნელი საიდუმლო მარტივად ახსნა, ალბათ მთვარე წყლიდან ამოჰყვო და წამსვე წასართმევად მიეძალა...

სევე, ქართული მიწის რომელიდაც პერიტორიული ლანდშაფტივით იჭრება ჩვენს ცნობიერებაში მეორე ლექსის პეიზაჟიც, მხოლოდ უფრო დრამატულ ვითარებაში:

შუადღის ჩრდილი დაილია და დაახლოვდა,
ზეცამ რომ ღრუბლის ნატამალიც გადაიყარა,
არ მოუძღოდა ძველებურად ნახირს წიქარა,
ისე დაბრუნდნენ არეულნი საბალახოდან...



წიქარას ნაცელად ნიალადარმა ბუღამ ებოში
 ვასახზობად გავრულ მის ვეებერთელა ტყავს
 მოჭკრა თვალი და სისხლისა და სიკვდილის სუ-
 ნით გახელბულმა ცა და მიწა შესძრა ბლავი-
 ლით. მას მალე მთელი ჯოგი აყვა.

**შენსათ მწყემსებს, უუურებდნენ ჯერ
 ჩაფქრებით,
 მერე გადნეს, ვერ გაუღღეს მტირალთა
 ბღავილს:**

**ხმბოლა მზეზე აჩიჩნილი მიწა ჩლიქებით,
 სისხლის წვეთები და უსულო წიქარას ტყავი...**

ეს რამდენიმე ამონაწერი ჩვენ მარტო იმის
 დასამტკიცებლად კი არ გვჭირდება, თუ რითმას
 მხვევალეით როგორ იმსახურებდა თავის ახალ-
 გაზრდილში ცნობილი ქართველი პოეტი, არა-
 მედ იმისთვისაც, თუ როგორ კარგად ახერხებ-
 ედ ეპიურ თხრობას მკაცრ პოეტურ ფორმაში.
 „შავი ქალაქის გაზაფხული“, „მღვეის ქელი“,
 „ნარჩის ზმანება“ და „გიორგი მეექვსე“ პო-
 ეტური თხრობის ბრწყინვალე ნიმუშებია. ზოგი
 პროზაშიც ვერ ახერხებს დიალოგების ისე ბუ-
 ნებრივად გაშლას, როგორც ამას გრიგოლ აბა-
 შიძე ახერხებს ჩვენს მიერ დასახელებულ პოე-
 მებში.

პოეტური თხრობის სწორედ ამ შესანიშნავ
 ნიმუშებში დაიბადა პოეტის ახალი ლტოლვა
 სიტყვიერი ხელოვნების სხვა ფორმებისაკენ. ახ-
 ლა ნოველა, მოთხრობა და რომანი გახდა მისი
 შემოქმედებითი ფიქრის მთავარი საგანი. გახდა
 იმიტომ, რომ მხატვრულ ისტატობასთან ერთად
 მას ბევრი საინტერესო სათქმელი ამოშიძის ეპი-
 ამის დასადასტურებლად მარტო „დიდი დამისა“
 და „ლაშარელას“ დასახელებაც კმარა. მაგრამ
 გრიგოლ აბაშიძის პროზის დახასიათება წინამ-
 დებარე წერილის მთავარ მიზანს არ წარმოად-
 გენს. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩე-
 რებთ მხოლოდ მის ლექსებზე, რომელთა უმე-
 ტესობა სიჭაბუკის შემდეგაა დაწერილი.

მასხოვს, მოსკოვში ქართული ლიტერატურისა
 და ხელოვნების დეკადანზე ყოფნის დროს, ცნო-
 ბილმა რუსმა პოეტმა პავლე ანტოკოლსკიმ,
 ლირსეულად შეაფასა რა გრიგოლ აბაშიძის ეპი-
 ური ქმნილებები, მთელი გულითა და სულით
 უსურვა ავტორს, რომ შემდგომში თავის ახალ
 ნაწარმოებებში მეტი ადგილი დაეთმო ლირიკო-
 სათვის, უფრო ზუსტად — ლირიკულ განწყო-
 ბილებებისათვის. ლირიკული წიაღსვლებისათვის
 რადგან ყოველივე ეს ქმნის იმ ტემპერატურას,
 რომელიც აუცილებელია სასიცოცხლო ატმოს-
 ფეროსათვის არა მარტო პოემებში, არამედ
 თვითონ ლექსებშიაც.

გრიგოლ აბაშიძის ლექსების თემა მარტო
 საბრფალიო და პეიზაჟური ლირიკით არ ამოი-
 წურება. მათ შორის გვხვდება პატრიოტულ მო-
 ტივებზე აგებული ბალადური ხასიათის ნაწარ-
 მოებებიც, რომელთა სიუჟეტი იშლება როგორც
 ჩვენი დროს, ისე ჩვენი წარსულის პეროიკულ

ფონზე. პოეტი ხშირად მიმართავს სიკვდილ-სო-
 ცოცხლის მარადიულ თემასაც და ცდილობს მე-
 მხატვრულ გახსნას ფილოსოფიურ ასპექტში.
 რომლის საფუძველსაც კონკრეტულ შემთხვე-
 ვაში ოპტიმისტური საწყისი წარმოადგენს, თუქ-
 ცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ოპტიმიზმი
 არაა თავისუფალი ადამიანური დარღისაგან, და
 არც უნდა იყოს, რადგან ქეშმარიტი სიხარული,
 რწმენა და მისწრაფება გამოტანჯული ფიქრის
 ნაყოფია ხშირად.

**ვღგვარ, ვგონებ განვიღოს და განციღოს --
 ზღვად რომ ვსახავდი — ერთი პეშვია...
 რაც გულით გავტყდი, რაც ორმოცს გავცდი,
 სიკვდილზე ფიქრი შემომჩვია...**

კავშინი, რომელიც ზემოთმოყვანილ სტრი-
 ქონებიდან მოეონავს, ჯერ კიდევ არაა სულის-
 შემპყრელი კავშინი, იგი ასაკისმიერია და ცოტა
 არ იყოს, ნაადრევციქ მას ჯერ კიდევ არ მოქ-
 ვება სიკვდილის ის ილუმინი სუსის, თმას რომ
 ქალაქზე გვიყენებს და გვიპირბოლიანებს. ამიტომ
 არის, რომ პოეტი ადვილად გადადის კონტრ-
 შეტყევაზე: თუ აქამდე ვერა გარტრა, — მიმარ-
 თავს მშობელ ქვეყანას, — სიკვდილი ჯერ კი-
 დევ ჩემს ხელშიაო და სიცოცხლის განმეორე-
 ბის იმედით შემოქმედებით ექსტაზს ეძლევა
 მთლიანად..

სიკვდილი მაინც სიკვდილია, დროდადრო მოს-
 ვენებას არ აძლევს პოეტს. ბრძოლის ასპარეზ-
 ზე აქ უკვე რწმენა გვევლინება მთავარ რაღმში.

— განმეორდება, ურწმუნო ნუ ხარ, რწმენის
 დაკარგვა შესაზარიოა. — გვამცნობს სხვა ნა-
 წარმოებში გრიგოლ აბაშიძე სიცოცხლის შესა-
 ხებ და თავისი თავისადმი ამ ელდიანი მიმარ-
 თვის შემდეგ ჩვენთვის უკვე თითქმის ნათელი
 ხდება წუთისოფლის ის დრამატულ-ოპტიმის-
 ტური აღქმა, რომელსაც ავტორი გვთავაზობს
 ჯვარედინა რითმის არტახებით შეკრულ სტროფ-
 ში:

**გვჯერა, რომ ფეხებს წლები არ უშლის—
 ისევ იფეთქონ მწვანე ყლორტებად...
 ლექსში, შვილებში და სიყვარულში
 ჩვენი სიცოცხლე განმეორდება...**
 („განმეორება“)

სენეკას უთქვამს: სიკვდილი ყველას და ყო-
 ველივეს მოქალს. იგი კანონია და არა სასჯე-
 ლითი... ეს ქეშმარიტება ალბათ ჩვენზე კარგად
 მოეხსენება ჩვენს გამოჩენილ პოეტსა და ბე-
 ლეტრისტს, თორემ კიდევ დიდხანს გაუჭირდე-
 ბოდა თავის დაღწევა ამ ჯალღონური წრიდან.
 სიკვდილზე ფიქრი რომ ეწოდება. აქი უდაბ-
 ნობის, პირამიდებისა და სფინქსების შესახებ
 დაწერილ ლექსებში იგი შიგადაშიგ გვანინებს
 კიდევ, რომ აღარ ვღებები, მივდივარ მდღა, სა-
 ნამდე მუხლი ქარს უმკლავდება, მე ერთღრო-
 ულად ვეუთენი ახლა ამაოებას და უკვდავე-
 ბასო..

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებითი ოპტიმიზ-
მი შორეულ გზებზე ნასიარულევი სტუმარივით
უხმბურად გვიანდობდა, გვიტყობდა და გვი-
შინაურდებდა, რის გამოც ავტორის ყოველ ნათ-
ქვამს ჩვეულებრივ სიტყვებად ვიღებთ. ესეც
მის ოსტატობაზე მეტყველებს, თორემ სასაუბ-
რო ტონის შენარჩუნება არც ისე ადვილია ტექ-
ნიკურად ისეთ რთულ სტროფში, როგორიცაა:

დათბა და ლაფარად გააქვს კაშკაში,
ცაზე გაუბამი მერცხლებს პრკარები;
ასე მგონია, ამ გარდაქმნაში
მზეს და გზაფხულს მეც ვეხმარები...

სიცოცხლის, ცხოვრების ამგვარ გაგებას გვთა-
ვზობს პოეტი ლექსში — „სანაპიროზე სამი
ფანჯარა“. კითხულობთ მას და მთელი სხეუ-
ლით გრძნობთ იმ ბედნიერებას, რაც მტკიცე
დულაბით შეკრულ ოჯახს ახასიათებს, ოჯახს,
რომლის ქერქვეშაც იბადება, იზრდება და
ფრთიანდება ჩვენი შთამომავლობა:

მე კართან ვტოვებ მტვერსა და ტალახს,
და როცა ვრჩები მარტო, მათ ახლოს,
მგონია, წუთით ვშორდები ახალს,
და სადაც მყუდრო უქნძულზე ვსახლობ..

მომავლის იმედით გაბრწყინებული ოჯახის
ამ წმინდა განწყობილებას ჩვენ ვგრძნობთ არა
მარტო ოთხედელშეა, არამედ თვით ბუნების
წიაღშიაც. ლექსი „ახალშენი“ სწორედ ასეთი
განწყობილებითაა დაკონცხებული:

ჭერ კიდევ ტანის აყრა არ შევინს,
არ მოხვევია ჭერ ფარჩეული,*
პატარა ვაზი დგას ახალშენი,
თივის შუბლივით რქებდაჩნეული.
მაგრამ ეს ვაზი, მაღლა წასული,
მალე დააფრენს ფოთლებს ჩიტიბად,
ადგება, როგორც სახსნე ქალწული
და ჭიგოს თმებით მოეჭიდება...

ბალადური ზასიათის ლექსებში გაცოცხლე-
ბულია ჩვენი გმირული წარსულის მღვლვარე
ეპიზოდები. „სვეწყის ჩვენება“, „შეშლილი ხა-
რი“, „თელავის ციხის ლეგენდა“ და „ნოსტეს
ღრუბელი“ ამ ციკლის საუკეთესო ნიმუშებია,
რომელთა სტრიქონები ცეცხლწაყიდებულ ქეი-
ბურა ისრებივით წვიან ჩვენს მესხიერებაში.
ქეშმარიტად ჩანალი და ვაჟკაციური ვნებია-
ნობით ხასიათდება მისი სატრევილო ლირიკის
საუკეთესო ნიმუშები. მათ შორის საკმაოდია
დავასახეთლო თუნდაც „ჩიგოხათუნის“:

...და შედგა ჩემი ბედის ბორბალი,
შეჩერდა შენი ომით დახლართული;
შენ ერთადერთი ხარ დედოფალი,
ჩემი ოცნების ჩიგოხათუნის.
მე ერთადერთი მიზნულას ოცნება,
წერილი წარბები, წყვილად გართხმული,
რალაც გულწრფელი, ვით გაცემა,
და რალაც კიდევ უფრო ქართული...
...ვეფხვზე უწყალოვ, ჭიჭე უწყალოვ,
შენა ხარ ჩემი ჩიგოხათუნის!..
სხვა ზასიათის ლირიკულ ლექსებიდან გან-
საკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ხამართის

ფანჯარები“, სადაც ნათქვამია: ცივა, მაგრამ
არც რალაც ნეტარება — გაუქვალე თოვნი
კვალის დატოვებო... ნეტარება იმითმაც
კვალი სიცოცხლის მანიშნებელია, არა კვალში?
მასსადამე არაა სიცოცხლეც!.. და რადგან და-
სახელებული ლექსი თავისებურ კვალს სტო-
ვებს ჩვენს გულსა და სულში, ეს ნიშნავს იმას,
რომ ისიც ცოცხალია ცოცხალთა შორის...

— გულს ერთიც ჰყიდის იმედის ბურჯად,
ოღონდ ის დარჩეს შეუბღალავი! — პოეტის
ეს სიტყვები შეიძლება ეპიგრაფად წარემძღვა-
როს მიმღ მის შემოქმედებას... გიორგი ლე-
ონიძე იტყუდა ხოლმე: ჩაქტილი ვარ ჩემს სიყ-
ვარულში და ჩემს გულში ვარ გამაგრებუ-
ლი... ალღმბართალი, შეუპოვარი და შეუბღა-
ლავი გული მართლაც ის ციხესიმაგრეა, რომელ-
შიც კეთილშობილი ადამიანის ძლიერი და განუ-
მეორებელი მეობა ბინადრებს... გრიგოლ აბა-
შიძეც სწორედ სინამდვილის ამგვარი გაგებ-
საცივ მიიღებს.

— იმითმაც არის, რომ ვეფ-ფშველას სახლის
ვიწრო სარკმელს ამავე სახელწოდების ლექსში
იგი კედელში დატანებულ სათოფურს ადარებს,
სათოფურს, საიდანაც ხედვად და ფიქრადქე-
ული მთების მგოსანი თორ-აბგრიანი მიომარ-
ვით უთვალთვალებს დევების ქორწილს და არა
მარტო დევების ქორწილს, არამედ საერთოდ
მთელ გარესამყაროს..

მაღალი, თუ შეიძლება ითქვას, ზეადამიანური
ხილვებით აღსავსე პოეზია, როგორც საყოველ-
თაოდ ცნობილია, პოეტისაგან მოითხოვს უღრ-
მდეს ენერჯიას, შთაგონებას, ნებისყოფას და
გამძლეობას. სწორედ პოეზიის ამგვარი გაგების
მწვევე განცდამ ათქმევინა მისივე მისამართით
გრიგოლ აბაშიძეს: თვალბნის ცეცხლით, გულს
ფერფლითა, ხორცდაგლეჯილი მოველ შენთანა-
მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეგზისტენ-
ციალიზმის დანიელი წინამორბედის, ცნობილი
ფილოსოფიური ნაწარმოების „შომისა და
ფართოლის“ ავტორის — სირენე კერეკგორის
მსგავსად, მას როდი უთქვამს, რომ პოეტი უბე-
დური არსებაა, რომ მისი გამოტანჯული სულის
ძახილი არავის ესმის ამ ქვეყანაზე და ამიტომ
პოეტად ყოფნას ისევ მწყემსად ყოფნა მირჩე-
ვიაო...

პოეტის მძიმე ზვედრი მართლაც მძიმე კი
არის, მაგრამ როგორც ჩანსალად „მოაზროვნე
ყველა ქართველი შემოქმედი, გრიგოლ აბაშიძეც
მას ღვთაებრივ ტვირთად მიიჩნევს და მზა-
არის, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ზი-
ღოს იგი.

ისე რომ „შაირის, ბურთისა და მოედნის“
მისი სიჭაბუკისდროინდელი დევნი ისევ ძა-
ლაში, ისე მოქმედებაში რჩება. ამავე მეტყვე-
ლებს ბოლოდროს დაწერილი ბალადური ხა-
სიათის ლექსი „პირამიდები“, რომელშიც ვკი-
თხულობთ: „მე უსასრულო სიმაღლით ვთვრებო,
ვხუპავ თვალბნს და მიწას ცელილები, ჭზარმა-
ზარი ლოდების ფრთებით ცად მიმაფრენენ პი-
რამიდები“.

პსკიდან

აზშ

„მკვლელობა
თეთრ სახლში“

ყოულ ფეიფერის ახალი პიესა „თეთრ სახლში მომხდარი მკვლელობის საქმე“ ექვსი წლის წინანდელ ამბავზე მოგვითხრობს. ამერიკელები მუხანათურად თავს დაესხნენ ბრაზილიას, ოპერაცია „სრული გამარჯვება“ რომელიც ბრაზილიელი პარტიზანების წინააღმდეგ იყო მიმართული, ამერიკელების მარცხით დამთავრდა. „მშვიდობიან ვაჭს“ ბრაზილიელი პარტიზანები უნდა გაენადგურებინა, მაგრამ ქარმა ვაჭს მიმართულედა უცვალა და 750 ამერიკელუჭარისკაცი იმხვერაპლა, დააბრმავა და დასახიჩრა გენერალი პრატი. დასახიჩრებული პრატი ჩაფრინდა ვაშინგტონში, სადაც ჩატარდა თათბირი მომხდარი ფაქტის ოფიციალური ვერსიის დასადგენად. ლიბერალურად მოაზროვნე პრეზიდენტის მთელლემ გადაწყვიტა სიმართლედ ელიარებინა, მაგრამ არ დასცალდა — იგი მუხანათურად მოკლეს. პრეზიდენტის მრჩეველები კვლავ შეიკრიბნენ, რათა მიეჩქმალათ მომხდარი ინციდენტები.

ასეთია მოკლე შინაარსი, იმ პიესისა, რომელსაც ამერიკელი კრიტიკოსები უკანასკნელი დროის ერთ-ერთ ყველაზე „ბნელ კომედიას“ უწოდებენ.

ყოულ ფეიფერი გამოჩენილი კარიკატურისტი და სატირიკოსია. ამჟამად იგი დრამა-

ტურგიაში განაგრძობს არსებული ამერიკული კანონების წინააღმდეგ ბრძოლას.

პიესა ასახავს ვიეტნამის უსამართლო ომს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

3 საუბუნის მანძილზე

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემლობა „რიუტენ ი ლიონინგმა“ ვამოსცა გოეთეს „ფაუსტის“ არაჩვეულებრივი გამოცემა. წიგნი გამოირჩევა თავისი ფაფორებით, მასში თავმოყრილია სხვადასხვა ქვეყნის 42 მხატვრის ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია სამი საუკუნის განმავლობაში.

ვიგნისათვის ილუსტრაციები შერჩეულია ცნობილი სეციალისტის ჰენინგის მიერ. ჰენინგმა გასულ წელს ვაიმარში მოაწყო გამოფენა „ფაუსტის სახვით ხელოვნებაში“. წიგნისათვის ილუსტრაციების შერჩევისას იგი არ დაჰყარფილდა მარტო ძველი, პოპულარული ილუსტრაციებით, დიდი ადგილი დაუთმო თანამედროვე მხატვრების საინტერესო ნახატებს. გოეთეს მიერ თავისი წიგნისათვის შესრულებული ექვსი ილუსტრაციის გვერდით მოთავსებულია როკუელ კენტის გრაფიურები და საბჭოთა მხატვრის ანდრეი გონჩაროვის ილუსტრაციები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

„მე ვმღერ მუშაბისათვის...“

მშვიდობისათვის მებრძოლმა დასავლეთგერმანელმა პროგრესულმა მოქალაქეებმა საშობაოდ საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. ისინი დასავლეთგერმანიის შთავრობიან განმოიხოვდნენ ეცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ფედერაციულ გერმანიაში ჩატარებინა დემოკრატიული გარდაქმნები. დემონსტრაციები არ შეუშინდნენ ქარსა და წვიმას. დღეობლით გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს, მაგრამ როდესაც სიჩუმეში გაისმებოდა ზოლმე ფაუსტის გამამხნევებელი სიმღერა, ყველანი დროდნენ მასთან ერთად.

ფაუსტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშაბისათვის კარგად ცნობილი და საყვარელი მომღერალია — საპროტესტო პოლიტიკური სიმღერების ოსტატური შემსრულებელი. იგი დაიბადა ჰამბურგში, ლიბერიის გენერალური კონსულის ოჯახში. მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო შავი კანი. ფაუსტამ ბევრჯერ განიცადა რასობრივი დისკრიმინაციის მწარე შედეგები. 18 წლისას სწავლა მიატოვებინეს, იძულებით სამუშაოზე განაწავეს ნოინგაუმის საკონცერტაციო ბანაკის ფილიალში. პატიმართა შორის იყვნენ ტყვე კომუნისტებუომის დამთავრებისთანავე ფა-



საზრანგაბითი

ფერანანდელის „ახალი ოდისეა“

„ბენდინერია, როგორც ოდისევსი“ — ასეთია ახალი კომედიის პირობითი სათაური, რომელსაც საფრანგეთში იღებს რეჟისორი ანრი კოლბი. ფილმში ანტონენის როლს ასრულებს ცნობილი ფრანგი კინომსახიობი ფერანანდელი. მას ფილმში პარტნიორობს ცბენი — ოდისევსი, რომელიც ანტონენის განუყრელი მეგობარია. მათ 25 წლის მეგობრობა აკავშირებთ. ოდისევსი დაბერდა. პატრონმა გადაწყვიტა მისი გაყიდვა და მანქანით შეეცვლა. ამ საქმის შესრულება მან ანტონენს დაავალა. ანტონენს ოდისევსი არღონი უნდა წაეყვანა ვასაყიდად.

მეგობართან განშორებია მუქარა აიძულებს ანტონენს მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. იგი ოდისევსთან ერთად გაეშურება არა არღონი, არამედ სხვა მიმართულებით სამოგზაუროდ. ამ მოგზაურობის თავგადასავალს ეძღვნება ფილმის ძირითადი ნაწილი.

ზოგადა კომუნისტური პარტიის წევრი, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღო დემოკრატიული გერმანიის დაბადებაში. ამჟამად ფაზია მთელს ენერჯიას ახმარს აქტიულოური სიმღერების შექმნას უთანასწორობის, ნეონაციზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლონდონი

„მე ბენდინერების მჯერა“

ლონდონში დიდი წარმატებით ჩატარდა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ცნობილი ფრანგი მომღერლის შულიეტ გრეკოს კონცერტები.

შულიეტ გრეკომ ესტრადაზე შესცვალა შესანიშნავი ფრანგი მომღერალი ედიტ პააფი. თუ პააფი იყო სუსტი უმწეო, ცხოვრების უსამართლობისადმი მორჩილი მომღერალი, რომელსაც მთლიანად არ მქონდა დაკარგული მომავლის იმედი, გრეკო არის მებრძოლი და გამბედავი მომღერალი, რომელიც არ უშინდება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პრობლემებს, ღრმად სჭერა ბენდინერების.

13 წლის ასაკში შულიეტ სარტრით იყო გატაცებული.

14 წლის გოგონა დედისა და დის პოლიტიკური მოღვაწეობის გამო ციხეში აღმოჩნდა. 1950 წელს „ლა როზ რუში“ შედგა 18 წლის შულიეტის დებიუტი, მან შეასრულა პრევიერის, ვეილის, ბრეტის და ფერეს სიმღერები. მალე გერმანიის ვარსკვლავიც გახდა, ითამაშა ფილმებში „ორფონი“ და „ზვარი სარკეზე“.

ამჟამად გრეკო 43 წლისაა. იგი დიდი გატაცებით უმღერის მშვიდობას, თავისუფლებას, სიყვარულს, „მე მჭერა მშვიდობის, დიდსულოვნების, მჭერა ადამიანების, არ მინდა ვირწმუნო ომის საშინელება. უკვე 20 წელია ვუმღერი თავისუფლებას, რადგან თავისუფლება აუცილებელი პირობაა ადამიანის ბენდინერებისათვის. მე მჭერა ბენდინერების, არა მჭერა სიკვდილის. მილიონობით ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე არ უნდა ეწირებოდეს მტრობასა და ომს.

ქორნალი გააფორმეს ჯ. ლოლუამ და დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი, № 91.
 ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდინის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 11/IV-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/V-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70x108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეჯ. № 1136. უე 02100. ტირაჟი 23,200.

საქ. ცკ კ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

КОНТРОЛЬНЫЕ

30872 -

30872 -



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236